


ჭოროხი



5

2019



აჭარის მხარეთა სხლი

ISSN 0134-3459 19005



9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 61-ე წელი

სექტემბერი-ოქტომბერი

№5

2019 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
სანდრო გერიძე

სარედაქციო კოლეგია
როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თაღორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჭარაძე
რამაზ სურმანიძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქიზურია
ვახტანგ ლლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფალავა

ოპერატორი
მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2019

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი



აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „კოლორ პრესში“.
თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №20



ავტორთა საყურადღებოდ:

რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)); რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

თანაკანი

ალექსანდრა ჰოტიომკინი – EuRICAA – მსოფლმხედველობრივი

ეკოლოგიური რევილუცია: ეკო-საპიენსის ახალი ცივილიზაციური

სტანდარტების კოდექსი (მოარგმნელი **ლალი კონცალიძე**) 3

ჯანსაღი, ჯანსაღი

თამარ ნიკურაძე – ყვითელი ავტობუსი (მოთხრობა) 19

ვაჟა ოთარაშვილი – ლექსები 35

ეკა კვანტალიანი – ლექსები 40

სოფიო ღლონტი – ლექსები 45

ინგა გომიზარიძე – მინიატურები 48

ირინე მიქაბერიძე – მოთხრობები 53

სალომე კაკაბაძე – ლექსები 60

ქართული, ქართული

შალვა ნიკლაური – კვლავ ლელთ ღუნისა წარმომავლობის თაობაზე 63

მიხეილ მახარაძე – საფრთხეების შემცველი გამოწვევები 65

ნათელა ვაშალომიძე – ჟოზე სარამაგუ – „სიბრმავე“ 74

ლიანა ზომიძე – ტრიპტიქი 77

კოსმოსური ჩანაწერი

მამია ფალავა – ექსპედიციის დღიურები (გაგრძელება) 89

ჩუბჩუბი

გული სალუქვაძე – ფიქრები წიგნზე „სოფელი მარადიდი და მარადიდებლები“ 114

მანანა თავდგირიძე – „დიდი წარღვნის ლეგენდა აჭარის ფოლკლორში“ 118



ALEXANDER POTOMKIN

ალექსანდრე პოტიომკინი – ცნობილი მწერალი, მეცნიერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, წარმატებული ბიზნესმენი, მეცენატი. საზოგადოების ბედისა და მდგომარე-

ობის შესახებ ინტელექტუალური და ფილოსოფიური შრომების ავტორი. ა. პოტიომკინის პროზა გამოირჩევა ღრმა ერუდიციითა და ინტელექტუალური სიმძაფრით. მისი რომანები („სოლო მონო“, „კაბალა“, „მოთამაშე“, „მანია“, „განდევნილი“, „მე“, „რუსი პაციენტი“ და სხვ.) და გლობალური სამეცნიერო სტატიები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის, ქართულად.

ბავშვობა სოხუმში გაატარა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, მუშაობდა წამყვან საბჭოთა გაზეთებში. გერმანიაში, ბონის უნივერსიტეტში მიიღო ეკონომიკური განათლება და გახდა საფონდო ბაზრის სპეციალისტი. იყო საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთის შორის პირველი ერთობლივი პროექტების ინიციატორი, მათ შორის, უურნალ „ბურდას“ რუსული ვერსიის გამოცემისა; სხვა მრავალ ინოვაციურ პროექტთან ერთად, მის სახელს უკავშირდება საბჭოთა პრესაში პირველი უცხოური რეკლამის იდეა და მისი რეალიზაცია.

ალექსანდრე პოტიომკინმა არაერთხელ მიაპყრო პროგრესული ქვეყნების პირველ პირთა ყურადღება მსოფლიო მნიშვნელობის პროექტებზე, რომლებიც მიჰყავს წარმატებულ რეალიზაციამდე. არის მსოფლიო ნანონდუსტრიისთვის ინოვაციური მეტროლოგიური სტანდარტების შემუშავებელი; ხელოვნური ინტელექტის უკონტროლო განვითარების საფრთხის განხილვის საერთაშორისო ველის შემქმნელი და კურატორი.

EuRICAA (ევროპა-რუსეთი-ინდოეთი-ჩინეთი-ამერიკა-აფრიკა) – ავტორის მსოფლიო ინფრასტრუქტურული პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილებას, საერთო ძალისხმევით ერთიანი „მწვანე“ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას, თანამედროვე ეკოლოგიური ინოვაციების მეშვეობით ერთიანი მსოფლიო მეგაინფრასტრუქტურის აშენებას.

„EuRICAA – ეს არის ცივილიზაციური საზოგადოების განვითარების შესაძლებლობა პროგრესისა და გაერთიანების გზით. ეჭვგარეშეა, ჰუმანიტარული შემადგენელი მისი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. საჭიროა ყველა ღონე მიემართოს მსოფლმხედველობრივი სტანდარტების შეცვლისკენ – XXI საუკუნეში კაცობრიობის ცხოვრება უნდა ეფუძნებოდეს ნდობას, ურთიერთგაგებასა და ურთიერთდახმარებას. ომები, რევოლუციები და კონფლიქტები უნდა ჩაანაცვლოს სოლიდარობამ და სტაბილურობამ. ამ წამოწყებისთვის ვემალიერები პროექტის ავტორს, რომელმაც გამაღვივინა აზრის სითამამე და დაიწყო ხალხთა მშვიდობიანი თანაარსების იდეების საერთაშორისო განხილვა. რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი გავლენიანი გაზეთიდან – Die Welt – შევეცდებო პროექტ EuRICAA-ს შესახებ და შევნიშნე ამ იდეის უჩვეულო აქტუალურობა და სიღრმე. აკი ცნობილია, რომ პლანეტა დედამიწის აქტივები კოლოსალურია“.

ჰანს-დიტრის გენშერი

გურ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიცე-კანცლერი (1974-1992)

EURICAA – მსოფლმხედველობრივი ეკოლოგიური რევოლუცია: ეკო-საკიანის ახალი სივილიზაციური სტანდარტების კოლექტი

მსოფლმხედველობრივი ეკოლოგიური რევოლუციის მანიფესტი

პროექტი EurICAA-ს მეორე ტომი – „მსოფლმხედველობრივი ეკოლოგიური რევოლუცია“ – წარმოადგენს გლობალური ეკოლოგიური კრიზისის სოციალური ასპექტის ანალიზის შედეგს და სრულად წარმოაჩენს წლიდან წლამდე მომეტებული და გაჭიანურებული პრობლემების გადაჭრის პრინციპულად ახალ მიდგომას.

პირველ ტომში „**EurICAA – მშვიდობიანი მომავლის მოდელი**“ გადმოცემულია კარდინალური ცვლილებებისთვის საზოგადოების მომზადების აუცილებლობის იდეა, რომლის მიზანია: ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილება, საერთო ძალისხმევით ერთიანი „მწვანე“ ეკონომიკის განვითარება, თანამედროვე ეკოლოგიური ინოვაციების მეშვეობით ერთიანი მსოფლიო მეგაინფრასტრუქტურის აშენება. პირველი ტომის იდეას საფუძვლად დაედო პლანეტის მიმდინარე დამორგუნველი მდგომარეობის ფაქტოლოგიური ანალიზი. **EurICAA-ს** მეორე ტომში დეტალური ასახვა ჰპოვა თემამ სოციალური გარდაქმნების საზოგადოების შექმნის შესახებ: მასში თვალსაჩინოაა წარმოდგენილი **XXI** საუკუნეში კაცობრიობის მთავარი „დაავადებები“ და ჩამოყალიბებულია სტანდარტთა ერთობლიობა, რომელიც ქმნის საფუძველს საზოგადოებრივი განვითარების ხარისხობრივად ახალი მოდელისათვის. ახალი ტიპის, ე. წ. მწვანე ეკონომიკაზე გადასასვლელად, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს მომავლის ეკოლოგიური უსაფრთხოება, საჭიროა მოხდეს ტექნოლოგიური რევოლუცია. განვითარებულმა ქვეყნებმა, როგორც არსებული ტექნოლოგიების უმრავლესობის შექმნისა და დანერგვის ბაზებმა, ამ გადასვლაში უნდა ითამაშონ ფუძემდებლური როლი: უნდა შემუშავდეს და ხელმონერილ იქნას ახალი სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც შეცვლის იმ ინვესტიციებისა და სუბსიდიების რეგულირების წესებს, რომლებიც გამოყოფილია ინოვაციებისთვის, განვითარებად ქვეყნებში ახალი ეკონომიკის რეალიზებისა და ჩამოყალიბების მიზნით. საჭიროა გადაიხედოს ეკონომიკური წარმატების ცნება, რომელსაც საფუძვლად დაედება ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და გარემოს ეფექტიანი (და არა დეკლარაციული) დაცვის სინთეზი.

40 წელზე მეტია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები აქტიურად განიხილავენ თემებს, რომლებიც მოიცავს ჩვენი პლანეტის უსაფრთხო მომავლის უზრუნველყოფის საკითხებს. ამაზე მეტყველებს ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებისთვის განსაზღვრული ბიუჯეტისა და დანახარჯების ყოველწლიური ზრდა (იხ. დანართი 1). თუმცა მცდელობა – შეცვლილ იქნას და განახლდეს პლანეტის მოსახლეობის მიერ სამყაროს ხედვა, წინ წამოინიშნა ანტიმომხმარებლობის იდეა, რაც მიმართულია საზოგადოების ძირითადი პრობლემის – ინფორმაციით გადატვირთვისა და გადამეტებული რესურსთარგებლიანობის წინააღმდეგ, მუდმივად მარცხისთვისაა განწირული. თანამედროვე ადამიანის ფუძემდებლურ სასიცოცხლო მოტივაციას აყალიბებს პირადი მატერიალური და ფინანსური კეთილდღეობის მიღწევისა და „ნიშანთა ირეალურ სამყაროში“ გაბატონებული მდგომარეობის შექმნა.

მარეობის იდეები, რომლებმაც უნდა მოუტანოს მას სოციალური პრესტიჟი და ბედნიერება, და არა სწრაფვა – უზრუნველყოს ეკოლოგიური უსაფრთხოება ჰარმონიული ანმეოსა და მომავლისთვის.

სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების უმეტესობა შეიძლება გადაიჭრას ზღვარგადასული მომხმარებლობის მნიშვნელოვანი შემცირებისა და ადამიანის ახალ, რეალურ ღირებულებებზე გადართვით. სამოქალაქო საზოგადოების შექმნა, სადაც ადამიანური ბედნიერება და თვითრეალიზება არ არის დამოკიდებული მომხმარებლობაზე, ხოლო მომხმარებლობა აღარ წარმოადგენს ცხოვრების საზრისს, ხშირად მოითხოვს პერსონალური ცნობიერების მტკიცე, თუ არა რადიკალურ, ძვრებს და თანაც, აუცილებლად, ყველა ქვეყნის სახელმწიფოებრივ დონეზე.

„EuRICAA – მსოფლმხედველობრივი ეკოლოგიური რევილუცია“ თითოეულს აძლევს საშუალებას შეაფასოს ადამიანთა საზოგადოებრიობის ამჟამინდელი მდგომარეობა, აგრეთვე, გარემოზე ყოველდღიური ზემოქმედების ჩვეული ეფექტი, და განიცადოს მსოფლიო კრიზისულ სიტუაციაზე პირადი გავლენის აუცილებლობა.

ახალი ცივილიზაციური სტანდარტების შეთანხმების პრობლემა გლობალური მასშტაბით საკმაოდ მწვავედ იქნება დასმული, მაგრამ მათი გამოყენებისა და დანერგვის გადამწყვეტილება უდიდესი სიკეთე იქნება უმნიშვნელოვანესი მიზნის მისაღწევად – დაცული და შენარჩუნებულ იქნას დედამიწა და კაცობრიობის მომავალი.

მსოფლიოს ყველა მოქალაქეს!

თანამედროვე სამყარო ჯიუტად გვარწმუნებს – Homo sapiens (გონიერი ადამიანი) Homo consumers-ად (ადამიანი მომხმარებელი) ტრანსფორმირდება. მომხმარებლურმა მსოფლმხედველობამ საბოლოოდ დაიპყრო კაცობრიობის ცნობიერება. პირადი გამოცდილება – მე თვითონ ყველა ღონეს მივმართავდი, რათა ჩამეხშო ჩემში სურვილი ეიფორიის განცდისა, ინდუსტრიული ცივილიზაციის ყველა მატერიალური სიკეთის ფლობითა და სარგებლობით გამონვეული ზღაპრული კმაყოფილება.

თქვენ? გრძნობათა რომელ მწვერვალს ესწრაფვის ადამიანთა დღევანდელი თაობა? რა აზრები მართავს ყოველდღიურ ყოფიერებაში თქვენს გონებას? როგორ ჩაიცვათ მსოფლიო ბრენდების სა-მოსი, რათა ცნობილი კუტიურების სახელი უფრო მეტად ხვდებოდეს თვალს? ივრიალოთ ქუჩებში „ბენტლით“, „ფერარით“, „ლამბორჯინით“, ფლობდეთ მდიდრულ ვილებს ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ფლორიდის ელიტურ კურორტებზე? ყველას დაანახოთ თქვენი პირადი ურთიერთობა „მის აზიასთან“, „მის ევროპასთან“ ან „მის ამერიკასთან“, რათა გარშემომყოფებს შეშურდეთ თქვენი? ოცნებობთ ძვირფასეულობაზე, ელიტური მარკის მაჯის საათებზე? ივსებით ხარბი იდეებით, ძალაუფლებისა და საყოველთაო აღიარების წყურვილით, იფორიაქებთ ცნობიერებას საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის დაკავების სურვილით, ფლანგავთ სულიერ ძალებს პირადი უპირატესობის მოსაპოვებლად, რათა მიეკუთვნებოდეთ „ელიტას“; ცდილობთ, ყოფაცხოვრებაში დანერგოთ და ელოლიავოთ პრივილეგიებული წოდების ნორმებს, შექმნათ სამყარო, სადაც ე. წ. შიკერიის – ფუფუნებისა და პატივმოყვარეობის სიმფონია ბატონობს?

პლანეტის ჯანმრთელობა კი თითქოს არც გეხებათ, ისე მიეჩანებით გასართობი პროგრამებისკენ, რესტორნებისკენ, მოდების ჩვენებებისა და ამაოების სხვა ბაზრებისკენ, საკუთარ თავს აცდუნებთ ზღაპრული კომფორტით, ზიზღს გგვრით უბრალოება და მოკრძალებულობა, გარშემო ნერგავთ შინაგან ზიზღს ღარიბების, მორცხვების, ნაკლებად წარმატებულების, სუსტების, უმწიკების მიმართ. ადამიანთა დღევანდელი სამყარო მიდრეკილია მომხმარებლობისგან სიამოვნების მიღება-

ზე. ივინყებს რა სულიერი და გონებრივი სრულყოფის აუცილებლობას, ის დაულღელად ზრუნავს მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე. სწორედ სულიერი სიცარიელე და რწმენის არქონა მიიყვანს კაცობრიობას დაღუპვამდე.

ადამიანი – რთული, ბოლომდე ვერშეცნობილი, თუმცა ადვილად მართვადი არსებაა. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ არ არსებობს უფრო ეფექტური ძალა, რომელსაც ძალუძს დააკოს მისი ჟინი მომხმარებლობისადმი, ვიდრე ძალადობა. თავისი მისწრაფებით, ადამიანი ზნეობრივი ურჩხულია: მხოლოდ კეთილდღეობის ზრდა ანიჭებს მას საკუთარი თავით დაუსრულებელი ტკბობის განცდას, და არა ცნობიერების სულიერი სრულყოფა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ყოველი სულიერი – უმარტივესი ერთუჯრედიანებიდან დანყებული, ადამიანის ჩათვლით, მომხმარებლობით იწყებს არსებობას. მათ მომავალი არც ექნებოდათ, ეს გრძნობა რომ თავიდანვე არ აღმოცენებულიყო მათში. როგორც ცნობილია, ყველა ცხოველური ინსტინქტი ფორმირდება პირამიდის წარმმართველი საწყისით: თითოეული ორგანიზმის ცხოველმყოფელობა ჯიუტად მოითხოვს მოხმარებას. მაგრამ არაჰარმონიული, ბუნებასთან მჭიდრო კონტაქტის გარეშე სიცოცხლე საშიშია და აზრს მოკლებული. როგორც ჩანს, სუსტი ინტელექტი არ იძლევა ჩვენი ყოფითი ქცევის წაგებიანობის სრულად შეფასების საშუალებას, ჩვენ არ ვაფასებთ და უგულვებლევყოფთ ბუნების კანონებს, რითაც ვაჩქარებთ მსოფლიო კოლაფსს.

მოხმარების საგნების წარმოების ინდუსტრიულმა განვითარებამ ადამიანში აუცილებელი ნორმების გარყვნილი, ჰიპერტროფირებული სახე მიიღო. სიტკბოების ეიფორიაში მას ავიწყდება, ან არ სურს გაიგოს, რომ დედამინა და მთელი სამყარო იგივე ნაწილაკებისა და ელემენტებისგან შედგება, რისგანაც თვითონ ადამიანი, და ასევე ერთმანეთზე არიან დამოკიდებული. მარტივად რომ ვთქვათ, როცა სამყაროს ერთ ფრაგმენტში, ვთქვათ, პლანეტა დედამინაზე, ირღვევა ელემენტარული ნაწილაკების თვითკმარი ჰომეოსტაზისის ჰარმონია, სადღაც რაღაცა მატულობს, რაღაცა იკლებს; შედეგად, ირღვევა აუტოპოეტური წონასწორობა და დგება კრიზისი; ბიოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს კრიზისი, შემდეგ კი – ყველა ცოცხალი ორგანიზმის ტოტალური განადგურება. სწორედ ამგვარი კატასტროფა ემუქრება კაცობრიობას – მის ფუნდამენტურ საფუძველში დევს უვიცობა და თანამედროვე Homo consumers-ის (ადამიანი მომხმარებელი) სწრაფვა ზღვარგადასული მოხმარებისადმი. თუ თანამედროვე ცივილიზაცია კაცობრიობისთვის აყალიბებს ფასეულობათა ნაკრებს, რომელსაც ის მიჰყავს დიდების, სიმდიდრის მწვერვალებისკენ, ეროვნული თუ მსოფლიო აღიარებისკენ, ამავდროულად, ამ ამბიციური მწვერვალების მიღწევის შაბლონები, უმეტესწილად, ხელს უწყობს ჭეშმარიტი გრძნობადი გონების ნგრევას, რაც იწვევს პიროვნების დეგრადაციას, მის სულიერ უნაყოფობას, სიამოვნებათა პრიმიტივიზაციას (პოპ-კულტურის გავლენის გაძლიერება: ჩნდება პრიმიტიული ესტრადული ნომრების, მოღური მოკაზმულობის დემონსტრირების, ერთნაირი ხელოვნური სახეების, მდიდრული საცხოვრებლების, ავტომობილების კულტი); ყოველივეს მიყვავართ პათოლოგიურ, სუსტად გააზრებულ მომხმარებლურ ყოფიერებამდე.

დაფიქრდით: 1995 წელს ჩვენმა ინდუსტრიულმა ცივილიზაციამ ატმოსფეროში გაფანტა 38 მლრდ ტონა CO₂ ეკვივალენტი. 2005-ში – უკვე 47 მლრდ ტონა (რაც 23%-ით მეტია, ვიდრე 10 წლის წინა მაჩვენებელი). 2016 წელს ჰაერში გაფანტულმა სათბურის აირებმა 53,4 მლრდ ტონა შეადგინა (40%-ით მეტი, ვიდრე 1995-ში). პროგნოზების მიხედვით, 2030 წელს სათბურის აირების გამონაბოლქვი (ეს კი ჩვენი ტოტალური, აბსურდული მომხმარებლობის შედეგია) შეადგენს 64,4 მლრდ ტონას. ამის შემდეგ მოხდება კიდევ უფრო უარესი: ატმოსფერო მიიღებს 80,1 მლრდ ტონას წელიწადში. 2070 წლისთვის ის 100 მლრდ ტონას მიაღწევს. გამონაბოლქვი სათბურის აირების მოცულობის შემცირების გარეშე თავიდან ვერ ავიცილებთ პლანეტაზე კლიმატის კრიტიკულ

გაუარესებას და საზარელ შედეგებს. ადამიანის სიხარბე საზოგადოებაში წარმოშობს უკურნებელ დაავადებებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა და მომავალს ართმევს ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს.

1995 წელს დედამიწის მოსახლეობამ 5,6 მილიარდი შეადგინა. 2005-ში – 6,3 მილიარდი, 2015-ში – 7,3 მილიარდი. პროგნოზების მიხედვით, 2030 წლისთვის პლანეტის მცხოვრებთა რიცხვი 8,5 მილიარდს მიაღწევს, 2050-თვის – 9,7 მილიარდს, 2070-თვის კი – 11,4 მილიარდს. როცა გადათვლილ იქნა გარემოს დაცვის მიმართულებით მსოფლიოს ქვეყნების მიერ გაღებული ჯამური დანახარჯი (რაზეც ამდენს საუბრობენ მაღალ, მსოფლიო დონეზე), მან 1 კვადრატულ მეტრ ფართობზე შეადგინა მხოლოდ 0,0001 ცენტი წელიწადში (ანუ 0,00000027 აშშ დოლარი). ასეთი ციფრები, ფაქტობრივად, ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს მომნიშებულ პრობლემაზე.

მსოფლიოს სასწრაფოდ ესაჭიროება კაცობრიობის ცნობიერების ეკოლოგიური რევილუცია. თუ არ მოხდება მასების ცნობიერების ტრანსფორმირება, თუ **Homo consumers** – მომხმარებელი ადამიანი არ იქცევა **Eco sapiens** – ეკო-ადამიანად, თუ ის უარს არ იტყვის სიმდიდრისკენ გაუკუღმართებულ სწრაფვაზე, **XXI** საუკუნის ბოლოს კაცობრიობა გაქრება, ისტორიის ნაწილი გახდება.

როგორ გადავურჩეთ ეკოლოგიურ კატასტროფას და არ დავუშვათ პლანეტა დედამიწის დაღუპვა? ამის უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ ერთხმად მიღებულ, დამტკიცებულ და მსოფლიოს უკლებლივ ყველა ხალხის მიერ სოლიდარულად დაცულ მომხმარებლობის ახალ სტანდარტებს, რომლებიც საფუძვლად დაედება რეალურ „მწვანე ინტელექტუალურ ეკონომიკას“.

ახალი თანამედროვე ადამიანის, **Eco sapiens**-ის, მსოფლმხედველობრივი არსენალი უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ იდეებსა და რეკომენდაციებს:

– **Eco sapiens**-ის ეთიკური და მსოფლმხედველობრივი კოდექსის შედგენა. ის უნდა გახდეს სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმა პლანეტის ყველა მცხოვრებისთვის – ნებისმიერი ჩვენგანის არსებობა ინტეგრირდება დედამიწის მთელი ეკოსისტემის ცხოვრებაში და ჰარმონიაშია მასთან. საკუთარი ეგო-ს რადიკალური შემცირება – თვითრეალიზაციის უმთავრესი იმპერატივი;

– კანონმდებლობის დონეზე უნდა განმტკიცდეს ნორმა, რომ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის მთლიანი პირადი კაპიტალი არ შეიძლება აღემატებოდეს 1 მლნ ევროს. ყველა დანარჩენი აქტივი უნდა განთავსდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (იგულისხმება რეფორმირებული გაერო ან ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია) არსებული სპეციალური ეკოლოგიური ფონდის ანგარიშებზე. ამ სახსრებს განკარგავს მსოფლიო კომისია, რომელიც მიმართავს მათ მხოლოდ პლანეტის საჭიროებებზე, ანუ დედამიწის ყველა მცხოვრებზე;

– შეწყდეს მსოფლიოს მოქალაქეებისთვის „ლამაზი ცხოვრების“ ხატის თავსმოხვევა ტერმინის თანამედროვე გაგებით – ამის ღირსეული მაგალითი უნდა გახდეს ცხოვრება შიკერიისა და ფუფუნების გარეშე. რაც უფრო ნაკლებია სურვილი საკუთარი ცოდნის გამდიდრებისა და კულტურული დონის ამაღლებისა, მით უფრო მეტად ემსგავსება სიგიჟეს ლტოლვა მატერიალური მომხმარებლობისკენ. აუცილებელია, კანონმდებლობით შეიზღუდოს კოლექციების ფლობის უფლება, ეს ეხება ტანსაცმელს, საიუველირო ნაწარმს, ავტომობილებს, სახლებს, ბინებს, ხელოვნების ნიმუშებს, ბროლს, ფაიფურს, ანტიკვარულ ავეჯს, – ყველაფერს, რაც შეიძლება ითვლებოდეს მატერიალურ ღირებულებად, ან გამკაცრდეს საგადასახადო დატვირთვა ელიტური ნივთების მესაკუთრეებისთვის. გაკიცხულ იქნან ისინი, ვინც სხვადასხვა ცბიერი ხერხით შეეცდება **luxury** სტილში „ლამაზად ცხოვრების“ უზრუნველყოფას.

– 2035 წლიდან დაწესდეს საკანონმდებლო შეზღუდვა ბინებისა და სახლების მშენებლობაზე, რომლის მიხედვითაც ერთი ადამიანისთვის განსაზღვრული საცხოვრებელი ფართი არ უნდა აღემატებოდეს 40 კვ. მ-ს;

– ქალაქების, თეატრების, პარკების, სახლების სადღესასწაულო განათების რეფორმირება ეკო-ტექნოლოგიის გამოყენებით. მოხდეს დაბალ ორბიტაზე, დედამიწის ზედაპირიდან 50 კმ-ის სიმაღლეზე, სარკების პროექტირების ლობირება ღამის საათებში ტერიტორიების გასანათებლად. აღნიშნული სიახლე ხელს შეუწყობს ელექტროენერჯის ეკონომიას, ნახშირწყალბადების გამოყენების შემცირებას და უნდა გადაიქცეს ეკონომად;

– პოპულარული მსახიობებისა და წამყვანების მონაწილეობით გამართული სატელევიზიო, საკონცერტო შოუების, გასართობი პროგრამების შემცირება 95%-ით (საერთო მსოფლიო მასშტაბით). უნდა შეიქმნას პირობები, რათა ნეგატიური და ირონიული შეფერილობა მიეცეს ადამიანთა მოხსენიებას „ვარსკვლავებად“, „უდიდესებად“, „ვიპ-პერსონებად“, „კერპებად“.

შოუპროგრამების ორგანიზატორები, ზოგადად, მომხმარებლური მსოფლმხედველობის პროვოკატორები არიან. წამყვანთა გარეგნობა, ცხოვრების გლამურული სტილის პროპაგანდირება, ელიტური ბრენდების დემონსტრირება მასობრივ მაყურებელში აჩენს მათდამი მიბაძვის, მათთან ასოცირებული ძვირფასი ნივთების შეძენის სურვილს და სწრაფვას – შეესაბამებოდეს „შიკერიის სტანდარტებს“.

გასართობი პროგრამების ალტერნატივად, ტელევიზიებმა უნდა გაზარდონ ისეთი გადაცემების რაოდენობა, რომლებიც მიეძღვნება მეცნიერებას, ადამიანის ბიოლოგიური სრულყოფის პრობლემებს, მისი ორგანული არსის შეცვლის შესაძლებლობას, Eco sapiens-ისა და „მწვანე ეკონომიკის“ სტანდარტების შესაბამის ჯანსაღი ცხოვრების წესს. ამგვარი პროგრამების წამყვანები და მონაწილე-ექსპერტები უნდა იყვნენ წამყვანი მეცნიერები.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ტელევიზია ორიენტირებულია მასობრივ მაყურებელზე და თავის კონტენტს აფუძნებს ადამიანის ყველაზე მდაბალ მოთხოვნებსა და ინსტინქტებზე, რითაც დაბლა სწევს მთელი საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების თამასას. მაღალინტელექტუალური ადამიანების მსოფლმხედვა და შრომები არამოთხოვნადი ხდება, სოციალური უცნობი რჩება, კაცობრიობის ზოგადი ინტელექტუალური დონე კი განუზრელად იკლებს. თვით პოტენციურ ინტელექტუალებსაც კი მედიამანქანა უზრუნველ მომხმარებლად აქცევს. ძნელია წარმოიდგინო ეკრანის ვარსკვლავებთან ერთად ერთობოდნენ, ძვირადღირებულ ღვინოებს ყიდულობდნენ ან მდიდრულ ბუტიკებში დადიოდნენ მოდური სამოსისა თუ ფეხსაცმლის ასარჩევად ალბერტ აინშტაინი, ერნსტ რეზერფორდი, რობერტ კოხი, რიჩარდ ფეინმანი, ნილს ბორი, ცოლ-ქმარი კიურები, პიოტრ კაპიცა, პიტერ ჰიგსი, ჟორეს ალფეროვი ან გრიგორი პერელმანი. მათი გარდერობი რამდენიმე პერანგისგან და კოსტუმისგან შედგებოდა, ხოლო გონება დაკავებული იყო სამყაროში ადამიანის დამკვიდრებაზე ფიქრით, მისი უდიდესი პოტენციალის გახსნით. თანამედროვე თაობების წარმომადგენლებს კი სიხარულის და სიამოვნების განცდას ანიჭებს ახალი კაბის, მოდური ჯინსის, ბოლო მოდელის გაჯეტის შეძენა ან „საკულტო“ სერიალის ნანატრი სეზონის ნახვა.

ცივილიზაციური კრიზისის მთავარი დამნაშავე, რომელმაც Homo Consumers-ის გაჩენასა და მის ჰიპერტროფირებულ განვითარებამდე მიგვიყვანა – არის მსოფლიო მედიამანქანა, რომლის საქმიანობა ხელს უწყობს დედამიწის მკვიდრთა ცნობიერებაში მომხმარებლობის გადაჭარბებული გრძნობის ტოტალურად დანერგვას. მათი გონება ვერანაირად ვერ ერთვება საკუთარი ევოლუციის გლობალურ სამეცნიერო თემაში. იმისათვის, რომ განხორციელდეს ეკოლოგიური რევოლუცია, რათა დედამიწა დარჩეს ადამიანის სამკვიდროდ, აუცილებელია აბსოლუტური ბოიკოტი გამოეცხადოს მსოფლიოს მთელ აბსურდულ მედიასისტემას;

– შეწყდეს სოციალური სტატუსის შესატყვისი ამალგებული ხარისხის სერვისებისა და მომსახურებების მიწოდება. შეწყდეს გამოყენება ტერმინებისა – „ბიზნესკლასი“, „კომერციული კლასი“,

„საერთო კლასი“, „I, II, III კლასი“, „მაღალი საზოგადოება“, „ოლიგარქი“. ყველა სოციალური ფენა განთავსდეს ჰორიზონტალზე, მათი ფინანსური შესაძლებლობის, თანამდებობის, განათლების დონისა თუ მინიჭებული ნოდება-სტატუსებისგან დამოუკიდებლად.

– ყველა სახის (საერთო მსოფლიო რაოდენობის მიხედვით) სანახაობრივი შოუებისა და ღონისძიებების 95%-ით შემცირება – ეს ეხება მოდეების ჩვენებებს, ფესტივალებს, „ნითელ ბილიკებს“, ახალ ქსოვილებთან, ავტომობილებთან, ფუფუნების საგნებთან, კინოფილმებთან, ტელესერიალებთან დაკავშირებულ კომერციულ გამოფენებს. სახელმწიფოებრივ დონეზე მუშაობა მასობრივი მკითხველის ინტერესის გასანელებლად მოდისა და სარეკლამო პროდუქციის ილუსტრირებული ჟურნალების, ასევე, იმ გამოცემების მიმართ, რომლებშიც რეკლამირებულია ცხოვრების ვარსკვლავური წესი და გრძნობითი სიამოვნებები (Playboy, Vogue, Elle, Cosmopolitan, Glamour, People, GQ და მისთ.);

– ნახშირწყალბადებზე მომუშავე კერძო იახტების, კრეისერების, საკრუიზო ლაინერების, თვითმფრინავების, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილების წარმოების შემცირება, ვიდრე არ მოიძებნება ენერჯის ალტერნატიული წყარო;

– Eco sapiens-ის პროგრამის განვითარების ფარგლებში, ახალი ტიპის ეკოქსოვილების შემუშავება, რომლის წყალობითაც ადამიანისთვის სავსებით საკმარისი იქნება ხარისხიანი საზაფხულო, საზამთრო, საგაზაფხულო-საშემოდგომო ტანისამოსის მცირე რაოდენობა (კაბების, პერანგების და ფეხსაცმლის შერჩევით);

– შეზღუდვის შემოღება რესტორნების გახსნაზე; საზოგადოებრივი კვების წერტილებისა და სასურსათო მაღაზიების (რომლებიც, ასევე, ზედმეტი მოხმარების აქტიურ პროვოკატორებს წარმოადგენს) ფუნქციონირების ახალი, კარგად გათვლილი და შენონილი კონცეფციის ამოქმედება, რომელიც შემუშავებული იქნება „Eco sapiens-ის ჰამბურგის კლუბის“ რეგიონალური განყოფილებების სხდომათა ფარგლებში. პროდუქციისა და საქონლის, მათ შორის, სასურსათო პროდუქტების, გაყიდვის ძირითადი საშუალება უნდა გახდეს განსაზღვრული ელექტრონული ველები, რომლებიც უზრუნველყოფს შემოთავაზებათა განუსაზღვრელი მოცულობის შემცირებას და მარკეტინგული კომპანიების სარეკლამო ზეგავლენის შესუსტებას მასობრივი მომხმარებლის ფსიქოლოგიაზე;

– წყლის მოხმარების შემცირება. ადამიანის ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხმარდება 30 ლ სუფთა წყალი (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალური სტატისტიკით, ეს ციფრი უკვე 50 ლიტრს აღწევს, მაგრამ გაანგარიშებისას ვისარგებლეთ გაშუალებული მონაცემებით). წყალი იხარჯება:

- ჰიგიენურ პროცედურებზე (სახის, პირის ღრუს, სხეულის დაბანა-დასუფთავება) – 7,5 ლ
- საჭმლის მომზადება – 4 ლ
- ჭურჭლის რეცხვა – 7 ლ
- საპირფარეშო ვიზიტი, უნიტაზში გასაშვები წყალი – 10 ლ
- სასმელი წყალი – 1,5 ლ

2019 წელს პლანეტის მოსახლეობამ შეადგინა 7,7 მლრდ, მათგან 6,3 მილიარდ ადამიანს აქვს წვდომა წყლის რესურსების გამოყენებაზე.

6,3 მლრდ ადამიანი × 30 ლ = 189 მლრდ ლიტრი = მსოფლიოში ადამიანის მიერ ყოველდღიურად მოიხმარება 200 მლრდ ლიტრი წყალი;

189 მლრდ ლიტრი × 365 დღე = 68,985 ტრლნ ლიტრი, ანუ დაახლოებით 69 მ³ – პლანეტის წყლის წლიური ხარჯი, განეული ადამიანთა პირად საჭიროებებისთვის.

2050 წლისათვის წყლის მოხმარების პროგნოზი:

9,7 მლრდ ადამიანი × 30 ლ = 291 მლრდ ლიტრი = ადამიანთა მიერ ყოველდღიურად მოხმარებული წყალი;

291 მლრდ ლიტრი × 365 დღე = 106,215 ტრლნ ლიტრი, ანუ 106 მ³ – წყლის წლიური ხარჯი, გაწეული დედამიწის მკვიდრთა პირადი საჭიროებებისთვის.

ბოდენის ტბას ჩვენ „ვსვამთ“ 8 თვეში (2050 წლისთვის – 5 თვეში), ჟენევის ტბას – 1,3 წელიწადში (2050 წ. – 10 თვე), აზოვის ზღვას – 4 წელიწადში (2050 წ. – 2,5 წელი);

– 2035 წლისთვის მეტალის, ხისა და პლასტიკის ყველა სახის ჭურჭლისა და სუფრის მონყობილობის ამოღება ბრუნვიდან. მათი ჩანაცვლება უნდა მოხდეს კვების პროდუქტებისგან დამზადებული ნაკეთობებით. მაგალითად, სუფრის კოვზებისა და ჩანგლების წარმოება შეიძლება ბრინჯით, ხორბლით ან სორგოთი, ჩაის კოვზები შესაძლებელია დამზადდეს კარამელით ან შოკოლადით, ფინჯნები – მშრალი ხილისგან, თევზები – ხორბლის ქატოსგან, ყველისგან, სიმინდისგან ან კარტოფილისგან. კიდევ სხვა ვარიანტებიც არის შესაძლებელი, თანამედროვე ტექნოლოგიები უკვე იძლევა ამის მაღალ დონეზე გაკეთების შესაძლებლობას, თუმცა არა მასობრივი მასშტაბით. ტრაპეზის ბოლოს ჭურჭელი და მაგიდის მონყობილობებიც მიერთმევა, ამგვარად, მცირდება რეცხვისთვის საჭირო ძვირადღირებული წყლის, ასევე, საპნის ხსნარების მოხმარება. შედეგად – იკლებს ნარჩენების გადამუშავებაც.

ჭურჭლის გასარეცხად და საჭმლის მოსამზადებლად საჭირო წყლის ხარჯის შემცირებით, დავზოგავთ კაცობრიობის მიერ დღიურად საშუალოდ მოხმარებული წყლის დაახლოებით 36%-ს, რაც შეადგენს 0,07 ტრლნ ლიტრს დღეში (0,07 მ³) და 25,3 ტრლნ ლიტრს წელიწადში (25,3 მ³). ამგვარად, ჩვენ შევინარჩუნებთ ერთნახევარ ონტარიოს ტბას (აშშ), ან ათ ულამაზეს ვანის ტბას (თურქეთი) ყოველწლიურად;

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ პლანეტის რესურსები ამოუწურავი არ არის; მოსახლეობის რიცხვის მუდმივი ზრდის გათვალისწინებით, ორი-სამი თაობის პერსპექტივაში, მათ რაოდენობას მოკრძალებულიც კი შეიძლება ვუნოდოთ. ამასთან, პლანეტის ხარისხობრივ მდგომარეობას თვალსაჩინოდ ასახავს ფარმაკოლოგიური ინდუსტრიის ბრუნვის მონაცემები. თუ 2001 წელს ფარმაცევტული კომპანიები გამოიმუშავებდნენ 400 მლრდ დოლარს, უკვე 2018 წელს ამ რიცხვმა 1,2 ტრლნ დოლარი შეადგინა, ანუ 3-ჯერ მეტი. 2000 წელს ჯანდაცვაზე მსოფლიო დანახარჯები შეადგენდა საშუალოდ 472 დოლარს ერთ ადამიანზე, 2016 წელს კი – 1025-ს. აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის ანგარიშში მითითებულია, რომ პლანეტაზე ტემპერატურის მატებასთან ერთად იცვლება დაავადებათა გავრცელების არეალი. მაგალითად, დათბობა აქტიურად უწყობს ხელს ლაიმას დაავადების გამომწვევთა მიგრაციას, დასავლეთ ნილოსის ვირუსის, მალარიის გავრცელებას სხვა რეგიონებში.

ადამიანთა სასიცოცხლო საქმიანობის ნარჩენების შესწავლისას, მათში შენიშნულ იქნა სხვადასხვა ლითონის მომატებული შემცველობა. ერთი კგ ფეკალია საშუალოდ შეიცავს 0,0065 მილიგრამ ვერცხლისწყალს, 0,15 მგ ტალიუმს, 1,5 მგ კადმიუმს, 8,8 მგ დარიშხანს, 14,5 მგ ტყვიას, 23 მგ ნიკელს, 28 მგ ვერცხლს, 40 მგ ქრომს, 49 მგ ვანადიუმს და 638 მგ სპილენძს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადამიანის ორგანიზმი აგლომერაციულ ფაბრიკას ემსგავსება. ეს იმის შედეგია, რომ მომხმარებლური ცივილიზაცია ატმოსფეროში გაისვრის CO₂ ეკვივალენტის მნიშვნელოვან რაოდენობას. წვიმის მეშვეობით ქიმიური ნივთიერებები ნიადაგში ხვდება, კვების პროდუქტებით კი – ადამიანის ორგანიზმში.

– განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე მძიმე ინდუსტრიასა და მისი განვითარების შედეგებს. ადამიანის მიერ კოსმოსის ათვისება მასშტაბურ ეკოლოგიურ რისკებს წა-

რმოშობს. რაკეტის თითოეულ სტარტზე ატმოსფერულ აირებში გაიფრქვევა დიდი რაოდენობით წყლის მოლეკულები, რომლებიც 50-100 კმ სიმაღლეზე არღვევენ იონოსფეროს ოზონის ფენას. თითოეული აფრენა ანადგურებს 50 000 ტონა ოზონს, და ამგვარად, დედამიწის ოზონის ფენაში წარმოქმნის 50 000, 100 000, 300 000 კმ² ხვრელებს. თუ წელიწადში 5 გაშვება ხორციელდება, შესაბამისად, 100-ჯერ იზრდება ხვრელების ფართობი. ანთროპოგენური საქმიანობის შედეგად, ოზონის შრე 8-9%-ით უკვე შემცირებულია. „მატლის“ ტიპის 450 მძიმე რაკეტის გაშვება საკმარისი იქნება მისი სრული განადგურებისთვის. ეს ნიშნავს, რომ დედამიწაზე სიცოცხლე დასრულდება. კოსმოსური სტარტების შემდეგ, ატმოსფეროში ფიქსირდება, ასევე, მაგნიტური, ქიმიური, დინამიკური, ელექტრომაგნიტური და თბური ეფექტები. ოზონის მდგომარეობაზე განსაკუთრებით ნეგატიურად მოქმედებს მყარი საწვავის სარაკეტო ძრავები, მათი რეაქტიული ჭავლი შეიცავს დიდი რაოდენობით ქლორწყალბადს, რომელიც განსაკუთრებით აქტიურ ოზონდამშლელ ნივთიერებას წარმოადგენს. ამერიკელმა ეკოლოგებმა ყურადღება უნდა მიაქციონ „მატლებს“, რომელთა ძრავები უდიდეს ზიანს აყენებენ ატმოსფეროს. ეკოლოგიური თვალსაზრისით, კოსმოსში მსხვილი სატვირთო ნაკადის რეალიზებისათვის მიზანშეწონილია თხევადსაწვავიანი ძრავების ბაზის მქონე რაკეტების გამოყენება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არ არის გამოგონებული რაკეტის ზემოქმედებისგან, სარაკეტო საწვავის წვის ნარჩენებისგან ოზონის შრის დაცვის მოქმედი საშუალებები.

გაერომ უნდა მოახდინოს კოსმოსური ობიექტების ყველა აფრენის რეგლამენტირება, საჭიროა შემუშავებულ იქნას ალტერნატიული სატრანსპორტო ტექნოლოგიები, რომლებიც იყენებენ ურაკეტო საშუალებებს ორბიტაზე ტვირთისა და მგზავრის ტრანსპორტირებისათვის. აუცილებელია შემუშავდეს ეკოლოგიური სტანდარტები, სხვაგვარად, პლანეტას ატმოსფერული კოლაფსი ემუქრება;

– სარკინიგზო, საავტომობილო, საჰაერო ტრანსპორტის ნაცვლად, რომლებიც ნახშირწყალბადებზე მუშაობს, 3000-5000 ტონა ტვირთამწეობის დირიჟაბლების დანერგვა, რომლებიც გამოიყენებენ ჰელიუმ-4-ს. ისინი უსაფრთხო და ეკოლოგიურია;

– აკრძალვის შემოღება ყოვლისმომცველი ეკონომიკური სანქციების (ქვეყნებს შორის ყველა სახის სავაჭრო და საფინანსო ოპერაციების სრულად ბლოკირება) გამოყენებაზე. გამოყენებულ იქნას სექტორალური და მიზანმიმართული სანქციები, რომლებიც ზღუდავს გარკვეული პირების და/ან კომპანიების გარკვეულ ოპერაციებს, ნებისმიერი სახის რესურსის ჭარბმოხმარების გამო.

ამის მიზეზია „მწვანე ეკონომიკის“ პრინციპების შესაბამისად ქვეყნების განვითარების არათანაბარი პირობები და შესაძლებლობები: ცხოვრების დონის ხელოვნური შეზღუდვა, წარმოებისა და მოხმარების რაციონალური მოდელების უგულებელყოფა;

– „ადამიანობადაკარგული“ Homo sapiens-ის კვლავ გაადამიანება და მასში Eco sapiens-ის ახალი ეკოლოგიური მომხმარებლური სტანდარტების ჩანერგვა;

– 2030 წლისათვის საპროექტო დისკუსიების დასრულება და მეგაინფრაბანი EuRICAA-ს მშენებლობის დაწყება, თავისი „მწვანე“ ინფრასტრუქტურით;

– 2050 წლისთვის ყველა სამხედრო ბლოკის დაშლა და ტოტალური განიარაღების დასაწყისი; მიამიტობაა? დიახ! მაგრამ თუ ჩვენ ვიქნებით ათასი, მილიონი... ან ასი მილიონი, მილიარდი? ეს რეალობა გახდება. მილიარდ აქტიურ ეკო საპიენსს ყველაფერი შეუძლია!

– 2060 წლისთვის შეიქმნას კონტინენტალური სამთავრობო-საკოორდინაციო ცენტრები – ჩრდილოეთ ამერიკა, სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ევროპა და აზია. XXII საუკუნისთვის შემუშავდეს ერთიანი სამთავრობო-საკოორდინაციო ცენტრის კონცეფცია – ამ შემთხვევაში პლანეტა დედამიწას ექნება პერსპექტივა: გაგრძელდეს მასზე გონიერი არსებების სიცოცხლე.

რა თქმა უნდა, Homo sapiens-ს იმდენად აქვს გამჭდარი სისხლსა და ხორცში Homo consumers-ის მენტალობა, რომ მე ნაკლებად მჯერა, კაცობრიობის მასამ აიტაცოს ჩემი რეკომენდაციები

ცივილიზაციური სტანდარტების ახალი საფუძვლების შესახებ და დაიწყო მათი გატარება ცხოვრებაში. ადამიანთა ინტელექტუალური შესაძლებლობები განსხვავებულია, ამიტომ, ვფიქრობ, მომავალში სამყაროს დაყოფა „სახელმწიფოებად“, შესაძლოა, განიხილებოდეს არა ეთნოსებისა და ეროვნებების მიხედვით, როგორც ეს დღესაა მიღებული, არამედ მენტალობისა და მსოფლმხედველობის მიხედვით. დროა, ადამიანი გათავისუფლდეს აუცილებელი სოციალური მოწყობისგან. საჭიროა, მიეცეს მას არჩევანის შესაძლებლობა, რომელ სოციალურ წყობაში გეგმავს ცხოვრებას. ეს უნდა იყოს არა უსათუოდ სახელმწიფო წარმონაქმნები, არამედ, მაგალითად, სხვადასხვა საზოგადოება: პირველყოფილი თემური წყობილება, ანტიკურობა, ფეოდალიზმი, ადრეული შუა საუკუნეები, რელიგიური ერთობები, სოციალიზმი, კაპიტალიზმი, გაერთიანებები ინტელექტის დონის მიხედვით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსოფლიოს გარკვეული ნაწილი მხარს დაუჭერს ჩემს მოწოდებას – გახდეს *Eco sapiens*-ის ფილოსოფიის მიმდევარი, კულტურულ ველში ასევე შეიძლება გამოჩნდეს სხვა ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი იდეები, რომლებიც მიიზიდავს ადამიანებს თავისი შინაარსით, და ეს ადამიანები აქტიურად ჩაერთვებიან მათ განხილვასა და რეალიზებაში. მოსალოდნელია, რომ კიბორგები, ანდროიდები და ხელოვნური ინტელექტის მქონე სხვა არსებები უახლოესი ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაიწყებენ ფიქრს საკუთარი საზოგადოების შექმნაზე. ძალიან არ მინდა, რომ ჩემი ფილოსოფია ანდროიდებისა და კიბორგებისთვის უფრო ახლობელი იყოს, ვიდრე დღევანდელი *Homo sapiens*-თვის. შესაძლოა, 2030-2035 წლისთვის, როცა მსოფლიო გაიგებს ჩვენი პროექტის – მსოფლმხედველობრივი ეკოლოგიური რეკოლუციის შესახებ, ღირდეს მსოფლიო რეფერენდუმის ჩატარება. და თუ მას ხმას მისცემს და მხარს დაუჭერს ამა თუ იმ შეხედულების გამო შემოკრებილთა არსებითი რაოდენობა, მსოფლიოს ახალი მოწყობა უზრუნველყოფილი იქნება არა ეროვნული, ეთნიკური ან პოლიტიკური, არამედ მსოფლმხედველობრივი საზღვრებით.

პროექტს *EuRICAA* საფუძვლად უდევს საერთაშორისო გაერთიანების იდეა, რომელსაც რეალობად აქცევს რამდენიმე კონტინენტზე გადაჭიმული მეგაინფრასტრუქტურის მშენებლობა. ერთიანი ზოგადეროვნული იდეის გარეშე ცალკე აღებულ ნებისმიერ ქვეყანას სულ უფრო მეტად გაუჭირდება მსოფლიო მასშტაბით განვითარება. არაერთხელ მითქვამს, რომ 2035-2040 წლებისთვის მრავალი ქვეყანათაშორის გაერთიანება შეწყვეტს თავის პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ არსებობას და ამ დესტრუქციულ პროცესს საფუძვლად დაედება ერთობებში შემავალი ხალხების განსხვავებული ენობრივი, რელიგიური და კულტურული მახასიათებლები (წარსულში ყველა იმპერიის დეზინტეგრაცია ერთი და იგივე თარგზე განხორციელდა: ენა, რელიგია, კულტურა). ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მომავალში, სავარაუდოდ, შეუძლებელი გახდება იმ ერების არსებობა თავისი სახელმწიფოთი და სახელმწიფოებრივი ენით, რომელთა მისი მოსახლეობა 1-50 მილიონს შეადგენს. მაგალითად, ევროკავშირში გამოიყენება 24 ოფიციალური ენა, მხარდაჭერილია რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნება. მაგრამ, დროთა განმავლობაში, აუცილებლად გაიმარჯვებს გლობალური პროცესები: გაერთიანებები, ინტეგრაციები, ასოციაციები. ამას მოითხოვს ისტორიული განვითარების ლოგიკა. ამიტომაც, უპირველესად, ენობრივ დონეზე აღნიშნული ტენდენციები აისახება შემდეგნაირად: ევროპაში მაქსიმუმ 3 ენა დარჩება – უნიფიცირებული გერმანული (გერმანიის, ავსტრიის, დანიის, ნიდერლანდების, შვეციის, ნორვეგიის მცხოვრებთათვის), უნიფიცირებული რომანული (მის არეალში შევა საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია, ესპანეთი, რუმინეთი), და უნიფიცირებული სლავური (პოლონეთის, ლატვიის, ლიეტუვას, ჩეხეთის, სლოვენის, ბულგარეთის, სერბეთის, ხორვატიის, ბოსნიის, ჩრდილოეთ მაკედონიის მოსახლეობისთვის). რუსეთი, ბელარუსი და უკრაინა მიიღებენ რუსულ ენას, როგორც ერთადერთ სახელმწიფო ენას. შვეიცარია და ბელგია უკვე მრავალენოვანი ქვეყნებია (სახელმწიფო დონეზე მიღებულია სამი ენა) და ძირითად ენად

რომანულს ან გერმანულს აირჩევენ. ისეთი ქვეყნების ენობრივი ჯგუფები, როგორცაა სომხეთი, საქართველო, ფინეთი, უნგრეთი, საბერძნეთი და ირანი, ერთი მხრივ, მცირერიცხოვანნი, თუმცა, მეორე მხრივ, მათ შორის არის სახელმწიფოები უძველესი ენებით, და მათთვის სხვა კულტურის თავსმოხვევა არაკორექტულია. მათ შეიძლება ჩაატარონ რეფერენდუმი და გადაწყვიტონ, რომელი ენა ურჩევნიათ. ან დაიტოვებენ თავის მშობლიურ ენას, მეორე ენად კი ინგლისურს აირჩევენ.

თურქული ენების უნიფიკაციის იდეა შეიძლება გაჩნდეს თურქეთში, აზერბაიჯანში, თურქმენეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ყაზახეთში. ასევე, მოსალოდნელია ტაის ენის უნიფიკაცია ლაოსის, ვიეტნამის, კამბოჯის, ტაილანდისა და მალაიზიისათვის, ავსტრონეზიულისა – ინდონეზიის, ფილიპინების, ბრუნეის, აღმოსავლეთ ტიმორის, ოკეანიისა და მადაგასკარისთვის. ჩინელები, იაპონელები, ებრაელები, კორეელები და არაბული სამყარო თავიანთ მშობლიურ ენებს დაიტოვებენ.

ურთიერთობის საერთაშორისო ენად ინგლისურს მიენიჭება უპირატესობა, რომელიც დღეს უკვე დეფაქტოდ ატარებს ამ ფუნქციას.

გარდა ამისა, მათემატიკური კანონზომიერების გამოყენებით, გამოვთვალე, რომ მცირე ერები, შესაძლოა, გაუცნობიერებლად, დღეს უკვე განიცდიან დემოგრაფიულ დისჰარმონიას. თუ სახელმწიფოს ეთნოსი 1-დან 3 მილიონამდე მოსახლეობისგან შედგება, ეს, პრაქტიკულად, ერთი ოჯახია, შემდგარი ნათესავებისგან – დეიდაშვილები, ბიძაშვილები, დისშვილები, შვილიშვილები.

დავუბრუნდეთ ნათესაური კავშირის ჩემეულ მათემატიკურ ფორმულას – ის ასე გამოიყურება:

$$a_k = a_1 \times q^{k-1}$$

სადაც:

a_k – k თაობის ნათესავთა რიცხვს აღნიშნავს;

a_1 – 1-ლი თაობის ნათესავთა რიცხვი ($a_1 = 2$, რადგან ვინცერთ თითოეულ ოჯახში დაბადებული 2 ბავშვით);

q – გეომეტრიული პროგრესიის მნიშვნელი ($q = 2$, რადგან ყოველ 25-30 წელიწადში ნათესავთა რიცხვი ორმაგდება);

k – თაობათა რიცხვი (თითოეული 25-30 წ.);

გავიგოთ, რომელ k თაობაში (1 მლნ ადამიანი) გახდება მთელი მოსახლეობა ნათესავი, ამის შემდეგ კი ისინი ერთმანეთზე დაიწყებენ დაქორწინებას, ანუ:

$$a_k = 1\,000\,000 \text{ ადამიანი};$$

$$a_1 = 2;$$

$$q = 2.$$

თუ ფორმულაში მნიშვნელობებს ჩავსვამთ, მივიღებთ:

$$1\,000\,000 = 2 \times 2^{k-1};$$

$$1\,000\,000 = 2^k;$$

$$\lg 1\,000\,000 = \lg 2^k;$$

ანუ 20 თაობაში 1-3 მილიონი ადამიანი გახდა ან გახდებიან ნათესავები.

ამასთან დაკავშირებით, მწვავედ დგას მცირე ეთნოსების მსხვილ ენობრივ და კულტურულ წარმონაქმნებად შერწყმისა და გაერთიანების აუცილებლობა.

EURICAA-ს მეორე ტომი გვარწმუნებს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის აუცილებელი და გარდაუვალია მსოფლმხედველობრივი რევილუციის მიღება. სხვაგვარად, პლანეტის დასაცავად მიმართული ყველა სიტყვა და მოქმედება „ხმა მლალადებლისა“ აღმოჩნდება, ხოლო „ბუნების გვირგვინად“ წოდებული არსებისაგან ანაბეჭდილად დარჩება მხოლოდ.

კონსიუმერიზმის სოციოკულტურულმა კონსტანტებმა თავი ამონურა, ისინი დამლუპველნი გახდნენ კაცობრიობისთვის. მოდით, ერთად შევქმნათ ახალი ეკოლოგიური ცივილიზაცია, **Eco sapiens**-ის ბიოლოგიური სრულყოფისკენ მიმართული ცივილიზაცია!

მჯერა, რომ თუ ადამიანი გადარჩება და შეითვისებს **Eco sapiens**-ის მსოფლმხედველობას, **XXI** საუკუნის პირველ ნახევარში ის დადგება სამყაროში თავისი საბინადრო არეალის გაფართოების პრობლემის წინაშე. ხელოვნური ინტელექტი აღარ დაუტოვებს მას დედამიწაზე სივრცეს. კოსმოსში კაცობრიობის ახალი სახლის ძიების საკითხის განხილვისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ **Homo sapiens**-ის ფიზიკური შესაძლებლობები შეზღუდულია. ამის გარდა, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ საშიში და არაპროგნოზირებადი ფაქტორი – ხელოვნური ინტელექტის უკონტროლო განვითარება. მსოფლიოს უდიდესი კორპორაციები, რომლებსაც მხოლოდ მეტი მოგების სურვილი ამოძრავებთ, ასობით მილიარდი დოლარის ინვესტირებას ახდენენ ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან დაკავშირებულ კვლევებში. ადამიანის ცხოვრებაში ხელოვნური ინტელექტის დამკვიდრება ყველა დონეზე უსწრაფესი ტემპებით მიმდინარეობს. მაგალითად, მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი ანდროიდი სოფია უკვე საუდის არაბეთის მოქალაქე გახდა და ოფიციალურად იხდის გადასახადებს. ბევრი **Homo sapiens** ოცნებობს კიდევ მისთან ქორწინებაზე. **50-60** წლის შემდეგ, ქორწინება ადამიანსა და ანდროიდს, ადამიანსა და კიბორგს შორის ბანალურ სიუჟეტად იქცევა.

სად იპოვოს ადამიანი თავი ამ დრამატულ მოცემულობაში? **Eco sapiens**-მა მთელი თავისი ინტელექტუალური ძალები უნდა მიმართოს ბიოლოგიური თვითგაუმჯობესებისკენ. თუ ადამიანი იგივე მცირე სიდიდეებისგან შედგება, რისგანაც სამყარო, მამასადამე, მას შეუძლია არ დაელოდოს ევოლუციისა და ბრმა მუტაციების შედეგებს და თავად დაიწყოს თავისი ბიოლოგიური არსის შეცვლა. ალორძინების ეპოქის ერთ-ერთი მოაზროვნე წერდა: „ღმერთმა შექმნა ადამიანი, რათა ადამიანი გამხდარიყო ღმერთი“. მსოფლიოს მოქალაქეებო, დღეს თქვენ მოვალენი ხართ ყველაფერი გააკეთოთ იმისათვის, რომ თქვენი შთამომავლები გახდნენ „ღმერთები“, უნივერსალური არსებები და მოიპოვონ ახალი სამყოფელი სამყაროში. სხვა მომავალი თქვენ არ გაქვთ.

2065-2070 წლებისთვის ქალაქების დაცარიელება დაიწყება. ცათამბჯენები თანდათან დაემსგავსება მიტოვებულ ჩონჩხებს, სადაც მხოლოდ ვირთხები და ღამურები ცხოვრობენ. სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი შემცირების, საპენსიო ფონდის ლიკვიდაციის გამო, კაცობრიობა იძულებული გახდება დაუბრუნდეს ნატურალურ მეურნეობას. ამ დროისათვის, თუ არ მოხდება ეკოლოგიური რევოლუცია, დედამიწა უნაყოფო იქნება. ასე რომ, კაცობრიობის წინაშე ჩნდება მხოლოდ ორი მთავარი იდეა – როგორ განსახლდეს სამყაროში და თავად როგორ შეიცვალოს ბიოლოგიურად.

თავისი ამჟამინდელი ფიზიკური მდგომარეობით, ადამიანს არ შესწევს ძალა გასცდეს დედამიწის საზღვრებს: უსამოსოდ, **+6** და **+57** გრადუს ტემპერატურაზე, ის **5** საათში კვდება სხეულის გაცივების ან გადახურების გამო. მაგრამ შესაძლებელია ეს მოცემულობა შევცვალოთ, თუ გამოვიყენებთ ნანო-, ფემტო-, ატო- დიაპაზონების ზემცირე სიდიდეებზე მომუშავე ტექნოლოგიებს, ამ სტანდარტების ნაწილი მე მეკუთვნის. მზად ვარ, უანგაროდ გავცე ისინი მოხმარებისთვის. ამ ტექნოლოგიას შეგიძლიათ გაეცნოთ ჩემს რომანში „სოლო მონო“.

Homo sapiens-ის ბიოლოგიურ სრულყოფასთან დაკავშირებული სამეცნიერო საქმიანობა დაფინანსდება გაეროს ეკოლოგიური ფონდის სახსრებით. პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის, მისკენ უნდა იყოს მიმართული ხელოვნური ინტელექტის განვითარებისთვის საჭირო ფინანსირების თანაზომადი თანხები – ასეულობით მილიარდი დოლარი. მეცნიერებისა და მკვლევრების მუშაობის მიზანი იქნება ბიოლოგიური ინტელექტისა და ბიოლოგიური სუბსტანციის შექმნა, რო-

მელსაც შესწევს უნარი არა მხოლოდ კონკურენცია გაუწიოს ხელოვნურ ინტელექტს, არამედ გადააჭარბოს მის შესაძლებლობებს. რა თქმა უნდა, ამას დიდი დრო დასჭირდება, შეიცვლება ორი-სამი თაობა, მაგრამ კაცობრიობა გადარჩება. ხელოვნური ინტელექტი უწინდებურად ადამიანს უნდა მოემსახუროს, სხვა შემთხვევაში, მოხდება ადამიანის განდევნა ცხოვრების ყველა სფეროდან, და არ დარჩება პლანეტაზე ადგილი, სადაც ის შეძლებს თავის რეალიზებას.

კაცობრიობის მომავლის შენარჩუნებისთვის ერთადერთი გამოსავალია *Eco sapiens* ახალი ცივილიზაციის შექმნა.

ECO SAPIENS!

უკონტროლო „მინდა“-ს წყალობით ნონაში მომატებული ყოველი ზედმეტი კილოგრამი, ტყუილად ნაყიდი და გადაგდებული თითოეული კვების პროდუქტი, უმიზნოდ დაღვრილი თითოეული ნვეთი წყალი, კიდევ ერთი უსარგებლო ახალი კაბა ან პერანგი, ტყავის ან რეზინის ფეხსაცმელი, ნაგვის თითოეული კილოგრამი, უაზროდ გაფლანგული ენერჯის თითოეული კილოვატი და გიგაკალორია, ყოველი ახალი ავტომობილი ან გაჯეტი უარყოფითად მოქმედებს პლანეტის ეკოლოგიაზე.

საბრძოლო ტექნიკის თითოეული ერთეული („ტრაფალგარდი“, „პერშინგი“, „კალაშნიკოვი“, „ცზინი“, „F-35“, „ლეოპარდი“), შესაძლოა, სახელმწიფოების დაცვას ემსახურება, მაგრამ ხელს უწყობს ატმოსფეროს არასტაბილურობის სულ უფრო საშიშ, გიგანტურ მასშტაბს.

პლანეტის საზიანოდ საკუთარი კომფორტის შექმნის სურვილი სულ უფრო მეტად იწვევს არარაციონალურ ქმედებებს, რომლებიც ღუპავს გარესამყაროს, ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას და მიწის ახალ ბორცვად იქცევა ნებისმიერი ჩვენგანის საფლავზე.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, გერმანიაში, თითქმის ყოველ შაბათს, ქვეყნის ასიათასობით მოქალაქესთან ერთად მონაწილეობას ვლებულობდი ანტისამხედრო, ანტიბირთვულ მოძრაობებში. ამგვარი პროტესტი უდიდეს ზეგავლენას ახდენდა მსოფლიო პოლიტიკის ფორმირებაზე. შედეგად, 90-იანი წლები საერთაშორისო სამხედრო და პოლიტიკური განტვირთვის პერიოდად იქცა. სამწუხაროდ, დღეს ყველგან დავინწყებულა ამგვარი ანტისამხედრო და ანტიბირთვული აქტივობები. ცოტამ თუ იცის, რომ ერთი 10-კილოტონიანი წყალბადის ბომბი წვავს და ფერფლად აქცევს ქალაქის ტერიტორიის 10 კვადრატულ კილომეტრს. მსოფლიოს ბირთვული სახელმწიფოები რამდენიმე ათას ასეთ ბომბს ფლობენ. ამასთან, 50 მეგატონის ბომბს შეუძლია ფერფლად აქციოს 100 კვადრატული კილომეტრი, ხოლო 200-250 კილომეტრის რადიუსში გამოიწვიოს ძლიერი ნგრევა, ხანძრები და შექმნას მაღალი, დამლუპველი რადიოაქტიურობა. ამგვარი ბომბები რუსეთსა და აშშ-ში ასობითაა. 2018 წელს, როცა ერთ-ერთი მიგრანტი გერმანიის სამხრეთით დანით თავს დაესხა ქვეყნის მოქალაქეებს, მოსახლეობაში პროტესტის ქარიშხალი აგორდა, ამგვარი რეაქცია კი სრულიად არაადეკვატურია სამხედრო მოქმედებების მართლაც დამანგრეველ ფონზე, რაზეც არავინ ამახვილებს ყურადღებას, – პაციფიზმი არაპოპულარული გახდა.

აუცილებელია ყოველდღიური ანტისამხედრო მოქმედებები.

სურათის სრულად გაცნობიერების შემდეგ, ნუთუ შეიძლება ისევ გქონდეთ სურვილი – ფლობდეთ მდიდრულ გარდერობებს, ვილებს, პრესტიჟულ ავტომანქანებს; იჩქაროთ რესტორნებისკენ, პოპულარული მუსიკის კონცერტებზე, საფეხბურთო მატჩებზე, ან აავსოთ საოჯახო კალათი ათასგვარი დელიკატესებით?

ქვირფასო თანაკლანეტალო!

მოდით, 2020 წლიდან სერიოზული ბრძოლა დავიწყოთ პლანეტის გაჯანსაღებისთვის, გავხდეთ რეკოლუციური ეკოლოგიური მსოფლმხედველობის აქტიური გამტარებლები!

Eco sapiens-ის მონოდება და დანიშნულება – სამყაროს გადარჩენაა!

მე გადმოგეცით ეკოლოგიური მსოფლმხედველობრივი რეკოლუციის მანიფესტი, აღვწერე მრავალი პრობლემა, შემოგთავაზეთ ეკო-საპიენსის კოდექსი.

არა ეროვნება, არა ეთნოსი, არამედ ადამიანის მსოფლმხედველობრივი, ეკოლოგიური კულტურა, მისი ცნობიერების უზენაესი გამოხატულების სიდიდე – მხოლოდ ამ საძირკველზე უნდა მოხდეს **XXI** საუკუნის მეორე ნახევრიდან ნებისმიერი სახელმწიფოებრიობის ფორმირება.

სწორედ ამ ფილოსოფიურ კატეგორიებში იძენს რეალობა ფენომენოლოგიური რეალობის ყველა მარტივ თვისებებს. ასეთ შემთხვევაში, სულიერი ტკბობის ან ფიზიკური კმაყოფილების ეფექტი ჩნდება არა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შედეგად, არამედ ინტელექტუალური გასხვივების მომენტებით.

ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, უნდა გავიგოთ, რომ დღეს კაცობრიობა ჰგავს ცივილიზაციას, რომელიც ილხენს, როცა გარშემო შავი ჭირი მძვინვარებს. გამალებული ეკონომიკური ზრდა ანგრევს და საბოლოოდ ღუპავს პლანეტას! შეჩერდით! დაფიქრდით და მხარი დაუჭირეთ ჩვენი მომავლის ახალ კონცეფციას.

ბავშვების, მოსწავლეებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების ეკოლოგიური განათლება მთელი მსოფლიოს საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს. ეკოლოგიური აღზრდა, ეკოლოგიური აზროვნება უნდა გახდეს ჩვენი კულტურის აუცილებელი, ბუნებრივი ნაწილი.


მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის დადგა გადამწყვეტი მომენტი – ეკოლოგიის სფეროში მიღებულ იქნას უმკაცრესი კანონები, რომლებიც ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მათი დარღვევისთვის. ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი წინადადებები მაქვს, თუმცა მიმაჩნია, რომ მათი განხილვა უნდა მოხდეს სადისკუსიო ველში, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.

ეკო-საპიენსის ძირითადი საქმიანობა უნდა გახდეს საკუთარი ეკოლუციის მეცნიერული ძიებანი.

თუ ორი-სამი თაობის მანძილზე თითოეული ჩვენგანი სრულად არ გაისიგრძელებს ეკოლოგიურ მსოფლმხედველობას და არ შეისიხლხორცებს მას, თუ კაცობრიობა ქედმაღლურად და დაუდევრად შეხვდება ჩემს რეკომენდაციებს, კატასტროფული შედეგები გარდაუვალია.

ატმოსფეროში CO_2 -ის დონემ ბოლო 800 000 წლის მანძილზე რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ამერიკის მაუნა-ლოას ობსერვატორიის კვლევებმა დაადასტურა, რომ 2019 წლის აპრილში CO_2 -ის კონცენტრაციის საშუალო მაჩვენებელმა მილიონზე 415,26 წილით გადააჭარბა. ეს ნიშნავს, რომ ჰაერის ყოველი კუბური მეტრი შეიცავს ნახშირორჟანგის არანაკლებ 415 მილილიტრს. მწვავე ეკოლოგიური პრობლემებისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულება მომავალში ჰაერის ტემპერატურის ზრდას შეუწყობს ხელს. და თუ **XXI** საუკუნის ბოლოსთვის ნახშირორჟანგის დონე ატმოსფეროში შეადგენს 1200-1300 წილს მილიონზე, ხოლო ტემპერატურა მოიმატებს სულ ცოტა 2,5 გრადუსით – მსოფლიო მომხმარებლური საზოგადოება კი დაჟინებით, ერთგვარი ტკბობით მიისწრაფვის აქეთკენ – მსოფლიო ოკეანის ტემპერატურა 21-22 გრადუსამდე აიწევს, ჩრდილო-ყინულოვანი ოკეანისა – 9-11 გრადუსამდე.

ატმოსფერული CO₂-ის კონცენტრაციის დონეს და მის განუხრელ ზრდას აჩვენებს კილინგის გრაფიკი:



წყარო: Mauna Loa Observatory, USA

ამგვარი ტემპერატურული ცვლილებების შედეგად, მსოფლიო ოკეანიიდან მოხდება მეთანის მორიგი ამოფრქვევა – 300 მლრდ ტონა, ასევე, პოლარული რეგიონების (ალასკა, კანადა, გრენლანდია, რუსეთი) მუდმივი გამყინვარების დნობის ზონებიდან – 200 მლრდ ტ, ჯამში – 500 მლრდ ტონა. მსგავსი პროცესები უკვე მოხდა ჩვენს პლანეტაზე დაახლოებით 50 მილიონი წლის წინ. გვიანი პალეოცენოზის დროს, მკვეთრი დათბობის შედეგად, რომელიც მოჰყვა მსოფლიო ოკეანიიდან მეთანის ამოფრქვევას, დედამიწაზე დაფიქსირდა თერმული მაქსიმუმი, პლანეტარული ხანძარი, რამაც გამოიწვია 100 000 და მეტი წლით პლანეტაზე ყოველგვარი სიცოცხლის გაქრობა.

მსგავსი ტრაგედია გარდაუვლად გველოდება ჩვენ – ყველას.

P.S. პროექტის ეფექტური განვითარებისთვის, ახალი ცივილიზაციური სტანდარტების მხარდაჭერისთვის, ეკოლოგიური ფილოსოფიის სრულყოფისა და ამ მიზნით, ამ კონცეფციის ყველა მხარდამჭერის გაერთიანებისთვის, უნდა შეიქმნას ჰამბურგის კლუბი „Eco sapiens“.

2020 წლიდან, ჰამბურგის კლუბ „Eco sapiens“-ის საქმიანობის ფარგლებში, მოენწყოს რეგულარული ყოველკვარტალური საერთაშორისო კონსულტაციები და დისკუსიები, რომელთა მთავარი თემა გახდება ეკოლოგიური მსოფლმხედველობისა და ახალი ტიპის Eco sapiens ფორმირების შესახებ მსჯელობა. რეგიონალური ცენტრები დაფუძნდება მსოფლიოს შემდეგ ქალაქებში: ჰამბურგი (გერმანია), სტოკჰოლმი (შვეცია), მოსკოვი (რუსეთი), მილანი (იტალია), ლიონი (საფრანგეთი), ვალენსია (ესპანეთი), ვარშავა (პოლონეთი), თბილისი (საქართველო), ტაშკენტი (უზბეკეთი), ხაიფა (ისრაელი), სტამბოლი (თურქეთი), ქაირო (ეგვიპტე), ელ-რიადე (საუდის არაბეთი), თეირანი (ირანი), მუმბაი (ინდოეთი), ოსაკა (იაპონია), შანხაი (ჩინეთი), ჰანოი (ვიეტნამი), დარ-ეს-სალამი (ტა-

ნზანია), აკრა (განა), კეიმპთაუნი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), მონრეალი (კანადა), ბოსტონი (აშშ), სან-ფრანცისკო (აშშ), სან-პაულო (ბრაზილია), გვადალაჰარა (მექსიკა), კორდოვა (არგენტინა), მაკასარი (ინდონეზია), კანბერა (ავსტრალია).

აღნიშნული ქვეყნებისა და ქალაქების პატივცემულო წარმომადგენლებო, ვინც მზად ხართ სათავეში ჩაუდგეთ რეგიონალურ სადისკუსიო კლუბებს და მიიღოთ მონაწილეობა მათ საქმიანობაში, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ განცხადება ამის თაობაზე. შემოუერთდით ჰამბურგის კლუბ „Eco sapiens“-ს, თუ თქვენ გაღელვებთ პლანეტა დედამიწის ეკოლოგიური პრობლემები.

გახდით ეკო-საპიენსის ახალი ცივილიზაციის ლიდერები.

წინ დიდი მუშაობა მოგველის, პლანეტის გადასარჩენად.

უახლოეს მომავალში მსოფლიო ეკოლოგიური ინტელექტუალური ფრონტის შექმნა, მძლავრი ფინანსური კაპიტალი, ყოველდღიური ბრძოლა – ყოველივე ამის გარეშე, მსოფლიო დაღუპვისთვისაა განწირული. მზად ხართ ამას შეეგუოთ?

მაშ ასე, თითოეული ჩვენგანის წინაშე დგას პლანეტისა და კაცობრიობის გადარჩენის გლობალური საკითხი: უნდა გვეყოს გონიერება და ნებისყოფა, რათა 2-3 თაობის მანძილზე უარი ვთქვათ მომხმარებლობის ცივილიზაციურ ტრადიციებზე, მთელი არსითა და ინტელექტით მივიღოთ ეკო-საპიენსის მსოფლმხედველობა, გადავარჩინოთ პლანეტა დედამიწა, და ღია სამყარო დავახვედროთ ჩვენს შთამომავლებს.

მთარგმნელი **ლალი კონცელიძე**



თამარ ნიკბურაძე

ყვითელი ავტობუსი

– გიყვარვარ?
დუმილი.

– მაგას ვინ ეკითხება. – ისტერიული ჩართვა გააკეთა გავეფხვებულმა მამამ.

– თქვი, გიყვარვარ?

ისევ გაუგებარი, მაგრამ შიშნარევი დუმილი. არც ამჯერად გამოხატა დუმილმა თანხმობის ნიშანი.

– არ ვუყვარვარ და ვერ ამბობს. – დაითვითი-მედა თავი მამუკამ.

– ახალ სიცოცხლეს გჩუქნის, ვერ ხედავ?

– მაგას არც გავურბივარ, მივხედავ.

– ცოლად უნდა შეირთო!

– არასწორია!

– ამას რა ვუყოთ?

– მოშორება შეიძლება...

– არა!

– მისი ნებაა.

– გააჩენს ოჯახში. ბავშვის ოჯახში.

– კმარა! – იღრიალა ოჯახის თავმა და ამით წინა ორის ტანჯვალაგს ბოლო მოუღო. ყველას სმენა ჩაიგდო ხელში და მკაცრი ტონით გააგრძელა. – ყველას ინტერესის გათვალისწინებით, ისინი შეუღლდებიან. ბავშვი დაიბადება ბავშვის ოჯახში, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, დავუშვათ ერთ წელში გასცილდებიან ერთმანეთს. ბავშვი თავის წილს მიიღებს.

– რას ლაპარაკობ?

– მე ჯერ არ დამისრულებია ბატონო რიფათ. – მკაცრი ტონი არ დააგდო ამირანმა: – შეცდომა ორმა დაუშვა და ორივემ უნდა აგოს პასუხი. ბავშვი რომ დაიბადება, თუ დედა დათანხმდება, ბავშვზე მზრუნველობის სადავეებს მთლიანად ჩვენ ავიღებთ.

ლიამ თავისი გასაცოდაებული თვალები ყველა სულიერს მოავლო, ვისი მზერაც განსაკუთრებით ლელას მოხვდა გულში. აშიშებულ ანერვიულებული ლია ხმას ვერ სწვდებოდა რომ ამოელო, რითაც საკუთარ დანაშაულს აფიქსირებდა. ლიას საცოდავი თვალები ლელას თვალებთან შეჩერდა. „ბავშვი როგორ დავტოვო“ თვალებით ჰკითხა ლელას. ლელა თითქოს საპასუხოდ გაემზადა, როდესაც იგივე თვალებმა თხოვნა ამოთქვეს „გთხოვთ მიშველეთ, ბავშვს ნუ წამართმევთ“.

ჯერ ამაზე ფიქრი ნაადრევია, გაიფიქრა ლელამ და ცხარე მამაკაცებს უსიტყვოდ გადახედა.

– ჯერ მთავარია ოჯახი შედგეს. – ოდნავ მოშუშდა რიფათის უმი ღრიალი. აშკარად დათმო, თუმცა მისი საკუთარი აზრები მაინც ჟღარუნობდნენ კუთხეში მიყუჟულნი.

– შედგება. – დაუდასტურა ამირანმა. – ერთი წლით.

– რაც შეიძლება სწრაფად, სანამ დაეტყობა.

მამის თანადგომით გამონვეული ემოციები-საგან, აღშფოთებული მამუკა სიხარულის ელე-

მენტებს ვერ მალავდა. მისი ლურჯი თვალები შუქნიშნის მეოთხე ფერით ანათებდნენ.

– დღეს 3 ნოემბერია. ბევრი არაფერი და არც არავინ გვჭირდება. ერთი კვირა სავსებით საკმარისია. ღია გადმოვა ჩვენთან. ხელშეკრულებასაც გავაფორმებთ.

– ხელშეკრულება რა საჭიროა? – გაიკვირვა რიფათმა. – სიტყვა არ არის საკმარისი?

– სიტყვა ტყდება, ხოლო ფურცელი არა.

ასე გადაგორდა პრობლემა პირველი.

მამუკას ოჯახი მამამისის სამსახურებრივი ცვლილებების გამო რამდენიმე წლის წინ თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. მეუღლე, ვაჟი, დედა და მამა, უკლებლივ ყველა აედევნა ამირან გოგუაძის სამსახურს. ჩვეულებრივად გაგრძელდა მამუკას იქაური ცხოვრება. რა თქმა უნდა, იყო წვრილ-წვრილი პრობლემები, რაც მამუკას ხელს უშლიდა ადაპტაციაში. მაგალითად, საუბრის კილო, რითაც თბილისელებისგან გამოირჩეოდა, ხშირად დაცინვის საგანი ხდებოდა. მაგრამ მამუკას უკან არასოდეს დაუხვია თავისი ბათუმელობის და ბათუმური კილოს გამო და საკადრის პასუხს სცემდა ყველას. თავისი ხასიათის ამ თვისების წყალობით მალე ბევრი აემეგობრა და ქალაქის ცხოვრების ჩვეული რიტმის კალაპოტსაც მოერგო. სკოლა წარჩინებით დაასრულა და სწავლა ჯავახიშვილში ეკონომიკის ფაკულტეტზე გააგრძელა 70 პროცენტით ანტი გრანტით. ნიჭიერი სტუდენტი სწავლას და გართობას საკმაოდ კარგად ათავსებდა ერთმანეთს, მაგრამ ერთხელ გართობისას ისე გაუტყდა კოკა, რომ ალბათ მის გამრთელებას მთელი თავისი ცხოვრების ფასად თუ შეძლებდა. ერთხელ, მეოთხეკურსელობისას ერთ-ერთი კურსელის დაბადების დღეზე მოხვდა. მისი ჯგუფელი ღია კახეთიდან ჩასულიყო თბილისში სასწავლებლად. ბინა იქვე უნივერსიტეტთან ახლო ტერიტორიაზე ეგირავებინა და ცხოვრობდა თავისთვის მორიდებულად. კახეთიდან თვეში ორჯერ ნობათი აკითხავდა. საკმაოდ შემოსავალმსუყვე ოჯახიდან იყო. წელში გამართული პა-

ტრონის წყალობით თბილისში მობინაკალათებული შრომადამით მიჰყვებოდა სწავლის არც თუ ისე მარტივ ტენდენციას. იმ წელს 20 წლის ხდებოდა და გადაწყვიტა ჯგუფელები დაეპატიჟებინა. მამუკასთან დიდად არ ახლომეგობრობდა, მაგრამ რადგან ყველა კურსელი დაპატიჟა, ისიც უნებლიედ მათ რიცხვში ჩავარდა. მამუკას ძმაკაცი ჯიჯი მიდიოდა და ამანაც გადაწყვიტა კარგი დრო ეტარებინა. თან ღიამ წინასწარ მიახარა ბიჭებს რომ მამას მისთვის კარგი კახური ღვინო გამოეგზავნა. ბიჭებს რაც შეეხება, მათ განსაკუთრებით იზიდავდა ღვინის სურნელი. იცოდნენ, რომ ნაჩალიჩარი არ იქნებოდა. ჰოდა დაირაზმა თითქმის მთელი კურსი და დაადგინა ღიას დაბადების დღის აღსანიშნავად.

– აუ, თავი მისკდება. სანამ თვალს გაახელდა საწოლში გადაბრუნდა და რალაც თბილის მოხვდა. თვალი სასწრაფოდ გაახილა.

– ავდგები წამალს გამოგიტან. მიუგო ხმამ, რომელსაც თბილი ობიექტი გამოსცემდა.

– ღია? გაიკვირვა მამუკამ.

შეცბა ღია, ეგონა მამუკა ყველაფერს აზრინად აკეთებდა. ყოველ შემთხვევაში, წინა ღამით ყველაფერი ნამდვილს ჰგავდა.

ამ ამბის შემდეგ ქალიშვილობამიტაცებულ მამუკას გოგონას გააფთრებული მამა მოსვენების საშუალებას არ აძლევდა, მისი შვილის ცოლად შერთვის მოთხოვნით. მოკლედ, აურზაურის მიჩქმალვის მიზნით, დადებული პირობა შესრულდა. ღია და მამუკა მშობლების და რამდენიმე მონმის თანდასწრებით დროებით შეუღლდნენ. ღიას მალევე ისევ დაუმჩატდა მუცელი, მაგრამ რადგან ერთი წელი არ იყო გასული, მშობლებმა ის არ დააბრუნეს სახლში. მამუკა მალე ალოთდა და ღიას საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას. ღიას კი თავისი მშობლები კვლავ ჩუმად დაორსულებას სთხოვდნენ დროებითი ქმრის მუდმივ საპატიმროში გამოკეტვის მიზნით, მაგრამ მამუკა არ ეკარებოდა ვითომ ცოლს. სასმელმოუთქმელი ელოდებოდა ვადის ამოწურვას, რის შემდეგაც ღრმად შეისუნთქა-

ვდა თავისუფალი სიფხიზლის ჰაერს. მაგრამ ბჭობა ვინ დააცალა კაცს, ისე სწრაფად გაიცინა ღმერთმა. ლიას კვლავ დაუმძიმდა მუცელი და ამ საქმეს უფრო სქელი ფარდა ჩამოეფარა. სასმელით გონებამორთული მამუკა ახლა ნარკოტიკების ხიბლში ჩავარდა და კატასტროფული სისწრაფით იწყო ჩაძირვა მასში. სახლის მისამართიც მიზანმიმართულად დაივიწყა, ერთი მეგობარი ქალი გაიჩინა და მასთან გადაეწერა საცხოვრებლად. მშობლები, ვითომ ცოლი და ვითომ მოყვრები გამუდმებით მის ძებნაში იყვნენ. განსაკუთრებით ვითომ სიმაძრი აქტიურობდა, ხელებს შლიდა, გამუდმებით იგინმუქრებოდა. მისი მუცელგაბერილი შვილი კი პირდაღებულ მისჩერებოდა ყველას და დარდგამოლეული ელოდებოდა შედეგებს. რამდენიმე ხნის უკვალოდ ძებნის შემდეგ ბოლოს მშობლებმა მამუკა გამაჯანსაღებელ ცენტრში იპოვეს, სადაც ის თავის მეგობარ ქალს მიეყვანა. რამდენიმე კვირიანი მკურნალობის კურსის შემდეგ ის სახლში დააბრუნეს. არც მზერა და არც სიტყვა გაუმეტებია მთელი ამ დროის განმავლობაში ლიასთვის, სულ ცალ ფეხზე ეკიდა, თუმცა არც ლია იკვავდა თავს ამ დანაკლისის გამო. აი, ვითომ სიმაძრს კი ვერ დაიკიდებდა ისეთი მძიმე იყო. მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა, გონებაგანათებული მამუკა სწავლას და ოჯახს ჩამოსცილდა და უკან ბათუმში გადმოსახლდა. მას ბებოც გადმოჰყვა, რადგან თავის გაზრდილ შვილიშვილს ვერ დატოვებდა.

* * *

საბაგიროსთან თბილისი-ბათუმის სამარშრუტო ტაქსი გაჩერდა. მოუცლელი სიცოცხლე დაბორილობდა ირგვლივ. მოედანზე სხვადასხვა რჯულის, ასაკისა თუ საქმის ადამიანები ჭიანჭველებივით ირეოდნენ. ზოგი სამსახური-დან ბრუნდებოდა, ზოგი-კენ, ზოგი იქვე დაფენილ მაღაზიებში და და-დან, ზოგი სად და ზოგი სად... ამ ყველაფრით გადატვირთული ქალაქი ტურისტებით დაქუჩმძიმებულა და მათი მოძრაობით ოფლში გაღვითქული სულს ძლივს ითქვამდა მსუბუქი სიოს მარაოთი.

მონატრებული თვალები ვერა და ვერ დაანაყრა მამუკამ და ცქერა გააგრძელა.

ქუჩის მარჯვენა ხელზე, „ირინას აფთიაქის“ გვერდით, ყოფილი საყოფაცხოვრებო სახლის ე.წ. „დომ ბიტის“ შენობის ადგილზე უკვე რამდენიმე ფეშენებელური ცნობილი ბრენდებით აჭრელაფიშებული მაღაზიის გახსნაც კი მოესწროთ.

ქუჩის მარცხენა ხელზე, შემოღობილი მშენებარე ტერიტორიის ხედი კიდევ უფრო ღლიდა ისედაც გადატვირთული ადგილის იერსახეს. ბილბორდების მიხედვით, ან „ტექნო ზუმის“ ობობა თავის მაღაზიათა ქსელს ქსოვდა ან კიდევ გასაყიდი კომერციული ფართები იდგამდა ფესვებს. ამ ადგილის გვერდით მდებარე ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე გაშენებულ პროდუქტების მაღაზიას სხვებისგან განსხვავებით მოუსვენარი მუშაობა ჰქონდა. ხან შესასვლელი კარი აღებდა პირს და ხან გასასვლელი, საიდანაც ყველა პოლიეთილენის გატიკინებული პარკებით გამოდიოდა, რომელსაც „გუდვილი“ ეწერა. ყველაზე ცნობილი ბრენდია, რომელიც მთელ საქართველოში ალერგიული გამონაყარივითაა გავრცელებული. გარდა ამისა, პროდუქციის სანდოობითა და უმაღლესი ხარისხით საჯაროდ იკვეხნის. „გუდვილის“ გვერდით ძველი ბაზრის ადგილზე უზარმაზარი „პლაზა“ აეშენებინათ. იქვე ჩაყოლებაზე ვალუტის გადასახურდაველი ფართობით უმწეო, მაგრამ შემოსავლით ძლევა მოსილი პუნქტები ისევ იყო, მაგრამ რამდენიმე თაღლითობაში ეჭვმიტანილი სათამაშო კლუბი და სხვა წვრილ-წვრილი მაღაზიები უკვე გამქრალიყო. ტურისტები და ადგილობრივი მაცხოვრებლები ერთმანეთში იზილებოდა. ამას კიდევ სხვადასხვა სახის დროებითი მაცხოვრებლებიც ემატებოდა: აფრიკელები, თურქები, რომელთა უბანიც ძალიან ახლოსაა, ჩინელები – მჩქეფარე ბიზნესით, ინდოელები და ვინ გამოიცნობს კიდევ რამდენი. ერთი სიტყვით, პატარა ქალაქი გასაერთაშორისოებულყო. ხოლო თბილისიდან ჩამოსული მამუკასთვის ამგვარი მრავალრასობრიობა, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ იყო. გარდა ამისა, უამრავი დიდი თუ პატარა მანქანა მოძრაობდა მოედანზე. ეს ის პერიოდია, როდესაც კერ-

ძო სამარშრუტო ტაქსები და სახელმწიფო ავტობუსების სისტემები გაშმაგებით ებრძვიან ერთმანეთს. პირველნი კლიენტების დაკრულ ბუკზე ცეკვავენ, ხოლო მეორენი პირიქით – აცეკვებენ კლიენტებს. ეს ის პერიოდია, როდესაც ხალხი სამართლის დაპურებას ელოდება, მაგრამ სუფრის გასაშლელად არავის სცალია, რადგან სახლში რემონტია. ყველა ერთიმეორეს ხელში შესცქერის. ეს ის პერიოდია, როდესაც გაძვალტყავებული ქუჩები ხორცს ისხამენ ახალი საცხოვრებელი კორპუსებით. ეს ის პერიოდია, როდესაც ინვესტორების წვიმის შედეგად ახალ-ახალი სასტუმროები სოკოებივით მრავლდება.

„უკვე სახლში ვარ“, გაიფიქრა მამუკამ და დამხვდური ნესტიანი ჰაერი ზებუნებრივი სიამოვნებით შეისუნთქა თავის გამომშრალ ფილტვებში. ხილვით გატაცებული ჯერჯერობით ვერ ამჩნევდა ტაქსის მძღოლების შემოსევას, რომლებიც მგზავრებზე შეტევის პოზიციებს არ თმობდნენ. „ტაქსი ხომ არ გინდათ?“ მეორდებოდა ერთ ფრაზიანი მისამლერი მრავალ ხმაში.

– რამდენი რამ შეუცვლიათ, მაგრამ აქაურობა ყველანაირი მიყვარს. – მიმოიხედა მამუკამ ირგვლივ და ბებოს ბათუმით გამთბარი თვალები მიანათა.

– ჰო, ბებო. მე კი ჩამოვდიოდი ხშირად და ჩემთვის ასე თვალში საცემი არაა ეს ცვლილებები. აი შენთვის, რა საკვირველია არის.

– კი, ბოლოს მაშინ ვიყავი ქუჩების გადათხრა ახალი დაწყებული ჰქონდათ. ღმერთო, რა კარგი გრძნობაა. – ბოლო წინადადებით მამუკამ თავისი სულიერი მდგომარეობა ამოამზეურა.

უკვე ტაქსის მიმცხრალი მძღოლების არჩევანის წინაშე მდგარმა ბებია-შვილიშვილმა ერთერთი მათგანი აიყვანა და სახლში გაემგზავრნენ.

– რუსთაველის 37 – უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის გვერდით. – მისამართი ამოისუნთქა მამუკამ და თვითკმაყოფილებით გაბრუვდა.

– დაბრძანდით, 3 წუთში მიგიყვანთ.

– გმადლობთ.

– მომეცი ბებო, ჩანთას ბაგაჟნიკში ჩავდებ. თქვენ დაბრძანდით მე მოგემსახურებით რაფერც საჭიროა.

კლიენტების აყვანით გახალისებული ტაქსის მძღოლი გულით ემსახურებოდა თბილისიდან ჩამოსულებს.

– კილოზე გეტყობათ აქაურები უნდა იყოთ. პირველად თბილისელები მეგონეთ, გაელიმა მძღოლს.

– დიახ, ბიძაჩემო, აქაურები ვართ, მაგრამ დიდი ხანია იქით ვართ. – თავაზიანად უპასუხა მამუკამ.

– რაფერაა ახლა თბილისში საქმეები, რას ამბობს ხალხი, ვისკენ არიან?

– ეჰ, ბიძაჩემო, რას გაუგებ ხალხს, ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. მაინც არ ფიქრობენ იმას რასაც ამბობენ და აკეთებენ და პირიქით.

– ჰო, მართალი ხარ, აქ კი ხედავ სულ რაღაც შენდება...

– შენებით იქაც შენდება, – გაანყვეტინა მამუკამ, – ძალიან შეცვლილა ბათუმი, გალამაზებულია, მაგრამ ქუჩებიც გადატვირთულა.

– აგერ რამდენი სასტუმრო ააშენეს, „შერატონი“, იქით გვერდით, ადრე „მესხეთი“ რომ იყო იმ ადგილას კიდე „ჰილტონები“ შენდებაო და ვართ ასე, ბალანაც ინგლისურებზე მოვანყვე, მივიღებთ ტურისტებს და ვიქნებით. რაც მთავარია მასპინძლობაში არ გვეშლება.

– რამდენია ჩვენგან?

– ოთხი ლარი ეყოფა.

– ინებეთ, დიდი მადლობა.

როგორც კი ბათუმში ჩამოვიდა, მამუკამ მარის ამბები მოიკითხა.

მამუკა და მარი თანაკლასელები იყვნენ. პირველი კლასიდან მსუბუქად, მაგრამ მდგრადად უყვარდათ ერთმანეთი, სულ ერთად იყვნენ, მაგრამ შექმნილმა ცხოვრებისეულმა პირობებმა და თავიანთმა ბავშვურმა გულგრილობამ მათი გზები სკოლის დამთავრებამდე გაჰყო.

მარის კალმით ნახატი ბავშვური სილამაზე ქალიშვილობამ კიდე უფრო გაზარდა. მამუკას თბილისში წასვლის შემდეგ ყველა ამჩნევდა ხასიათის მსუბუქ ცვლილებას. ცოტა მოიწყინა,

ვარსკვლავით თვალები ჩაუქრა, ღიმილის საბაბიც გაუქრა. სევდის სხვა სერიოზული მიზეზი არ ჰქონდა, მაგრამ ამ ფაქტის გამო იგრძნობოდა რომ გასხვაადამიანებულიყო. ამას სწავლაზე არ უმოქმედია, მაგრამ დიდი გულისყურით ამასაც არ ეკიდებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ბათუმში შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოენყო უცხო ენათა ფაკულტეტზე, მაგრამ სწავლით არ იკლავდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული ენის მასწავლებლობა მისი ბავშვობის დროინდელი საოცნებო პროფესია იყო. მანანა მასწავლებელზე უზომოდ შეყვარებულმა მარამ ჯერ კიდევ მესხეთე კლასში გადანყვიტა ფრანგული ენის მასწავლებელი გამხდარიყო. გაპირველკურსელებულ მარის ხელად თაყვანისმცემელი აეკიდა იგივე სასწავლებლის ბიოლოგიური ფაკულტეტის მკვიდრი, მაგრამ მარის ინტერესის სპექტრში ვერ მოხვდა ეს ბიჭი. მიუხედავად ამისა, ბადრი მოსვენებას არ აძლევდა მარის, კვალდაკვალ დასდევდა სახლში, მაღაზიაში, მეგობრებთან, ყველგან სადაც მისვლა შეიძლებოდა. ერთ დღეს კი იმდენს მიაღწია, რომ მარი დანიშნა, მაგრამ მათმა ყალბმა ნიშნობამ დიდხანს ვერ გაუძლო, მალევე ჩაიშალა. მარის ძმამ კობამ და საქმრომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ იჩხუბეს. მარის ნათესავის ქორწილში დამთვრალმა ბადრიმ სიძეს რალაც ინციდენტის გამო სართულებიანი გინების ტორტი მიაართვა. ასე დაბრუნდა ნიშანი... მარიც კმაყოფილი დარჩა დროზე გამოფხიზლების გამო.

მამუკამ იმ დღესვე გაიგო, რომ მარის ბიძაშვილი თიკოს დაბადების დღე იყო. თიკო კიდევ მისი ბავშვობის მეგობარი მამიდამისის ეზოში ცხოვრობდა. მამუკაც დაუკავშირდა თავის ძველ მეგობარ დათოს და თიკოსთან ჩანგალზე გაჰყვა. ყველაზე სასურველი დაუბატიყებელი სტუმარი გამოდგა. როდესაც კარი გაიღო, ხალხმრავლობაში ერთმა წყვილმა თვალმა მეორე წყვილი თვალები მომენტალურად მოაქცია მზერის ალყაში. ორივეს სიყვარულიანმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში. მიზიდულობის ძალით ორი სხეული ერთმანეთთან მიიწია, მცირეხნიანი თვალმოფერებიაობის შემდეგ ბაგე-

ებიც უსიტყვოდ მიენება ერთმანეთს. თვალგულდაბინდულთ ირგვლივ სულიერი თუ უსულო ესულერთებოდათ. სხეულის აცერცვებულმა ნაწილაკებმა ერთმანეთთან ჩახუტებისთანავე აჟიოტაჟი ასტეხეს. თბილი სიმშვიდე მოეფინა მათ სულელებს. ახლა ორივემ კარგად იგრძნო თუ რა აკლდათ მთელ ამ უერთმანეთობით ამოვარდნილ პერიოდში. აი ამგვარად გადაიბა მათი განყვეტილი სასიყვარულო ურთიერთობის ძაფი.

– მაპატიე... – ჩურჩულით მიეამბორა მამუკა მარის ყურს.

– გაჩუმდი!!! – უმწეო, ნამტირალევი ხმით გაანყვეტინა მარიმ. დიდხანს იყვნენ ერთმანეთზე მიკრულნი. მარის თავმა თბილი ბინა იპოვა მამუკას მხარზე. მისი ცხელი ცრემლებით მკერდდამდულრული მამუკა სასიამოვნო გაუნძრევლობაში იდგა. ტვინი ხან ერთ უჯრედს მიადგა, ხან მეორეს, მაგრამ ვერცერთი შესაფერისი სიტყვა ვერ აღმოაჩინა.

ამ ერთიანი ორის გარდა სხვა სტუმრებმა სუფრასთან დალაგება დაიწყეს. გემრიელნაირი კერძებით ასურნელებული და დამხმარე აქსესუარებიანი უახლესი დიზაინით განწყობილი სუფრა მადისალმძვრელად გამოიყურებოდა.

ბედისწერით მეორეჯერ შესვედრილ წყვილს ახლა თიკოს სახლის აივანზე ეპოვნათ განმარტოებული ბუდე, სადაც მიქურჩმაჩებული მყუდრო ქუჩის გარდა არაფერი უშლიდათ ხელს. არც თუ ისე მოწყობილი ხედი, რომელიც ამ აივანიდან იშლებოდა, ახლა უკვე მათი განახლებული სიყვარულის მოწმე გახდა. ფოთოლი ფოთოლზე მიდებული გარინდული ხეები თითქოს გრძნობდნენ სიტუაციას და გარემო იდილიას უქმნიდნენ წყვილს. მამუკა და მარი ერთმანეთის სიახლოვით ტკბებოდნენ და სამყარო ერთი ასად ელამაზებოდათ.

მამუკა მარის ხელს სწვდა და ყოველი თითი სულმოუთქმელად გადაუკოცნა. ცალი ხელის თითებს რომ მორჩა, მეორეს მიადგა. განცხრომის არენაზე მოხვედრილი მარის პატარა გული არითმიას ცეკვავდა.

სტუმრები ისე დაიშალნენ რომ მათ არაფერი გაუგიათ. ისევ აივანზე იყვნენ, როდესაც თიკო

გავიდა მთვრალი წყვილის გამოსაფხიზლებლად. მისმა ხმამალაღმა შეძახილმა ისინი კვლავ სიცხადეში შემოაბრუნა. ღვინარყით ნაბახუსარი გულდარეტიანებული დათო კი სააბაზანოს შერწყმოდა და ჩანჩქეროს ყვავევით მღეროდა. მისი სიმღერისაგან დაზაფრული ახალგაზრდები საცოდაობის შორისდებულებით თანაუგრძნობდნენ მას.

- ტაქსს გამოვიძახებ და სახლში მიგიყვან.
- არა, ავტობუსით წავალ, აი მოდის რალაც... მოსახვევში რომელიღაც ყვითელი გამოჩნდა.
- მაშინ, მეც წამოვალ, კარგი?
- ჰო, აბა.

ჩაუარეს დასვენებულ მერიას, სადაც ხალხის მიმოქცევის საათები დასრულებული იყო. ლერმონტოვის ქუჩა ხელოვნურ სინათლეში გარინდული იპრანჭებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საათის ისრებს ათი სულ ახალი მიტოვებული ჰყავდათ, ქუჩაში ხალხსიმცირე უკვე საგრძნობლად თვალშისაცემი იყო. განსხვავება არც პუშკინის ქუჩაზე შეინიშნებოდა. ძველი უნივერსამის ანუ იგივე ახალი სავაჭრო ცენტრ „მოსკოვის“ დაქანცული შესასვლელი კარები მოსვენების უამით ტკბებოდა.

– საოცარი შეგრძნებაა, ყველაფერი ადამიანით ისვენებს. – ავტობუსში განფენილი ნაქსოვი სიმშვიდე შემოერღვა მარის.

– ჰო... – მამუკამაც კიდევ ერთი თვალი გამოაცალა სიმშვიდის ძაფს ისევ სიმშვიდისათვის. მარის მოხვია და მგზავრობის ბოლომდე ასე აკვირდებოდნენ ღამის ბათუმის ნაცნობ თბილ ქუჩებს. განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩეოდა ავტომობილების რაოდენობა, რომლებიც სიმსივნის მეტასტაზებით დღითიდღე მრავლდებოდნენ ქალაქის ძარღვებში და სისხლის მიმოქცევას უშლიდნენ ხელს.

ასე ლხინში და სიყვარულში მოიხარშა ერთერთი ღამაზი საღამო წარსულის მოთუხთუხე ქვაბში.

მომდევნო დღით მამუკამ მარის სახლში გაუარა და კობა მოინახულა. ეზოში რამდენიმე სა-

ათიანი საუბრის შემდეგ ბიჭები სახლში ავიდნენ და საუბარი იქ გააგრძელეს ალკოჰოლიანი სასმელის ფონზე. გაიხსენეს ბავშვობის გემრიელი წლები, სკოლა, მეგობრები და მრავალი საინტერესო წვრილმანი. თავისი გასაჭირიც დაწვრილებით მოყვა. მარი კი თვალეზავარსკვლავებული და გულაბრიალებული დასტრიალებდა ბიჭებს თავს.

- სად წავიდეთ? – სასმელისაგან აპრიალებული თვალებით ჰკითხა მამუკამ მარის.
- მწვანე კონცხზე? – ფხიზელი ღიმილით დაუფიქრებლად აჯახა დადებითი პასუხის ლოდინის რეჟიმში ჩართული კითხვა მარიმ.
- კარგი, მიდი გაემზადე და გავიდეთ.

ბოლო ჭიქა მიუჭახუნა კობას, ოჯახი დაულოცა და სიგარეტის მოსაწვევად აივანზე გავიდა. მარიც მალე მოემზადა და წავიდნენ მწვანე კონცხისკენ.

მწვანე კონცხის ბოტანიკურ ბაღში ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს რეალობას სწყდები და ოცნებაში ინაცვლებ. ამას კი განსაცვიფრებელი ასობით სახეობის მცენარე ქმნის, რომელიც იქ ბუდობს. ჯარისკაცებივითაა ჩამწკრივებული მუხის, ფიჭვის, პალმის და ნიფლის ხეები. ენით აღუწერელი ზღაპრისდარი სილამაზე ძლიერ რომანტიულ განცდას იწვევს მნახველში. არც ერთი ტურისტული ჯგუფი, რომელიც გავლით მაინც მოხვდება სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში, ბოტანიკური ბაღის ნახვის გარეშე არ ტოვებს აქაურობას. ადგილობრივებიც განსაკუთრებით აფასებენ თავიანთ ღირშესანიშნავ სიმდიდრეს და ხშირად სტუმრობენ ამ ადგილს. მამუკა და მარიც ამ ბაღში თავიანთი განცდებისთვის ხორცის შესასხმელად გაემგზავრნენ. შესვლისთანავე გადაუხვიეს ცენტრალურ გზაზე და ხელმარჯვნივ პატარა დასასვენებელ ადგილს მიადგნენ, იქვე შეჩერდნენ და რამდენიმე უენო წამი ტკბებოდნენ ერთმანეთთან ყოფნით ამ ზღაპრულ სამყაროში. ტკბობის იდილია მამუკას მობილურის ზარმა შეაჩერა. უცებ ღრმად ბედნიერეთში წასულები გონებამონყვევით უკან დაბრუნდნენ. მამუკამ მობილურს დახედა, სახეზე გაკვირვება აღებეჭდა,

ცალი წარბიც წამოსწია და თვალებში კითხვით-მა ნიშნებმაც ელვასავით გამოანათა.

– დიახ! – მშვიდი, მაგრამ რალაც უცხოს მოლოდინით აღსავსე ხმით უპასუხა ტელეფონს.

მარი ამ დროს მამუკას სახის მიმიკებს გულდასმით და ამავე დროს დიდი ინოვაციური ინტერესით იკვლევდა. თუმცა მის კვლევაში სიახლე არ დაფიქსირებულა. რადგან მან უკვე ყველაფერი დაწვრილებით იცოდა მამუკას მოსიარულე პრობლემის შესახებ, გულით განიცდიდა, რადგან ის უკვე ემისებოდა და თვლიდა, რომ ერთად უნდა გადაეგორებინათ ის. რამდენიმე წამის სმენის შემდეგ, მამუკა მაგიდიდან წამოდგა და ისევ იმ გზას დაუყვა საიდანაც ამოვიდნენ. ასადევნებლად გამზადებულ მარის ცალი ხელით და თვალთ ანიშნა არ გამომყვეო.

– დასრულდა ყველაფერი, წელიწადი ამოინურა და ხელშეკრულებაც გაუქმდა. – ოდნავ ანერვიულებული ტონით აუხსნა ვილაცას და იმწამსვე გათიშა მობილური.

მარიმ დაინახა მისკენ აჩქარნაბიჯებული მამუკა.

– ლიკა იყო.

– მერე რაო?

– სად ხარ, დიდი ხანია გეძებთ, დაბრუნდიო.

მამაჩემს საუბარი სურს შენთანო.

– ნომერი საიდან გაიგო?

– მამაჩემი ეტყოდა.

– რა უნდა ქნა?

– არაფერი.

– როგორ არაფერი?

– როგორ და არაფერი ხო იცი რას ნიშნავს? არა-ფე-რი. არ ჩავალ, ან რატო უნდა ჩავიდე. ვალი მოხდელი მაქვს.

– ის კაცი არ გაღიზიანდეს უარესად. იქნებ საბოლოოდ დაელაპარაკო ნათესავებთან ერთად.

– ჩემი საქმის პროფესორი მე ვარ. – წყნარი ირონიით თბილად დატუქსასავით მამუკამ მარი ჭკუის სწავლების გამო, ცხვირზე სიყვარულით ალესილი კბილებით უკბინა და ორივე ხელით კისრის უზურპაცია გაუკეთა. ასე ჩახუტებით ერთ მუშტად შეკრულნი შეერწყნენ ბუნების გულმომხვევქ პეიზაჟს და ტკბობა განაგრძეს ბუნების ნიაღში. ეს იყო სამოთხისდარი სილამაზე თავისი ადამი და ევათი, ადამის შეცდენამდე. ასეთი ნეტარება მოედინებოდა ამ სანახაობიდან და ცხოვრებას გაასმაგებული სიამოვნების მკლავებში ანეტარებდა.

წკრრრრ, წკრრრრ, წკრრრრრრრრრრ... კვლავ მობილური ანუნუნდა, რამაც ნეტარების ზღვაში ჩაძირულნი უმაღვე რეალობის ნაპირზე გამოორიყა. მამუკა ტელეფონს სწვდა და ამჯერად ნომრის წაუკითხავად, პასუხის გარეშე გაანადგურა ჯერ ზარის ხმა, ხოლო შემდეგ მასთან წვდომის შესაძლებლობა. ის მხოლოდ მარისთვის იყო მისანვდომი ბოტანიკური ბაღის ზრაპრული სილამაზის მტვევებში. რამდენიმე საათი ბაას-ბაას სითბოში ისეირნეს. საღამოსკენ, როდესაც მოწითალო ფორთოხლისფრად ლოყებალაჟღაჟებული ციური ბურთი სწრაფი ტემპით ზღვაში იხრჩობდა თავს, შინისკენ გაემართნენ სამარშრუტო ტაქსით.

– ნახე, რა ლამაზი ფერისაა.

– ასეთი ფერის არასოდეს მინახავს.

– რა საოცრებაა, ზღაპრულია.

– დააკვირდი რა სწრაფად ჩადის.

– ვაიმე, მართლა როგორ სწრაფად მიექანება.

– რა სისწრაფით ბრუნავს დედამინა, ხედავ?

– რა ლამაზია, გავგიჟდი!

სამარშრუტო ტაქსიდან მზის ჩასვლის ყოველ მოქმედებაზე თვალის დევნებით კინალამ გადმოცვივდნენ მამუკა და მარი. მათ გარდა არავის შეუმჩნევია აღისფრად აფერადებული ბუნებრივი სილამაზე, რომელიც კიდევ ერთ საოცარ დღეს უღებდა ბოლოს ახალი სიცოცხლის დანყების მიზნით. ნაცრისფერშავი ზღვა, მუქი ცისფერი ცა და უჩვეულო ფერზე შეღებილი ცხელი ბურთი წელში ამაყად გამართულ ჰორიზონტთან ერთად, როგორც ყოველთვის, თავიანთ საქმეს უბადლოდ ასრულებდნენ.

– აუ, იცი რა მინდა? – ბავშვური მიამიტობით ჰკითხა მარიმ მამუკას.

– რა უნდა, აბა მომახსენოს ჩემმა ფერიამ! – მზადყოფნა გამოხატა მამუკამ მარის ნებისმიერი სურვილის ასასრულებლად.

– რა მინდა და ავტობუსით გასეირნება. ყვირთელი ავტობუსით.

– რა უნდა, აბა მომახსენოს ჩემმა ფერიამ! – მზადყოფნა გამოხატა მამუკამ მარის ნებისმიერი სურვილის ასასრულებლად.

– რა მინდა და ავტობუსით გასეირნება. ყვირთელი ავტობუსით.

– რა უნდა, აბა მომახსენოს ჩემმა ფერიამ! – მზადყოფნა გამოხატა მამუკამ მარის ნებისმიერი სურვილის ასასრულებლად.

– რა მინდა და ავტობუსით გასეირნება. ყვირთელი ავტობუსით.

– რა მინდა და ავტობუსით გასეირნება. ყვირთელი ავტობუსით.

მამუკას გულში გაელიმა, რამაც სახე აშკარა კმაყოფილებით აუფერადა, მაგრამ მარის ეს არ დაუნახია. ტელეფონში ბევრი რამ არ ჩანს.

- მერე, გავისეირნოთ.
- ჩემი მამუტიკა!

მამუკა არც ერთ თხოვნაზე არ ეუბნებოდა უარს. მარიც იგივეს უბრუნებდა.

- სად ხარ ახლა?
- „ვაიკიკიში“ ნავყევი თინიკოს.
- მაშინ რო გამოხვალ „ირინას აფთიაქთან“

მოდის და იქ დაფხედით ავტობუსში.

- კარგი, გამოვდივარ.
- მეც „გუდვილში“ ვარ და გადმოვალ.

მარიმ უკან ჩამოიბოვა 90/60/90-იანების მიზიდვით დაინტერესებული მაღაზიები, რომლებსაც დამთვალეირებული უფრო მეტი ჰყავდა, ვიდრე საფულეგასიებული მყიდველი.

- ჩქარა, ჩქარა, მოდი! - სიხარულით დაუყვირა მარიმ მამუკას, ყვითელი ავტობუსის დანახვაზე. მამუკამ ძლივს მოუსწრო და ნახევრადდაძრულს შეახტნენ განსაკუთრებული ხალისით. მამუკა მძლოლისკენ ბილეთის შესაძენად გავარდა, ხოლო მარი უკან, შემალლებულ ადგილზე მოკალათდა.

- აუ, - მტკივნეულად წამოიძახა ბიჭმა.
- რა იყო, მამუ? - დაზიანებულ თავს მიეალერსა მარი. - მაგრად დაარტყი?

- არა უშავს. - ტკივილისგან დამანჭული სახის გასწორების მცდელობით მიუგო ბიჭმა და თავისი ხელი გოგონას ხელის მოსაფერებლად გვერდულად ჩააპარა. ბევრი ისეირნეს, აკვირდებოდნენ ქალაქის ქუჩებს, რომლებიც საინტერესო ამბებით იყო სავსე.

მეორე დღეს მამუკას მშობლებმა შეატყობინეს თბილისიდან, რომ მისი ყოფილი ვითომ სიმამრი სალაპარაკოდ ეძებდა. თან არაოფიციალურად ვრცელდებოდა მუქარა მისი „მოკვლის“ შესახებ, მაგრამ მამუკაზე ეს მუქარა მოქმედებდა ისე, როგორც კედელზე ცერცვი.

სწორედ ეს დამოკიდებულება აღიზიანებდა მის ყოფილ ვითომ სიმამრს, რომელიც ვითომ სიძეს თავისი ქალიშვილის ცოლობის ციხეში უპირებდა გამოკეტვას. თან რცხვენოდა ნათე-

სავების, მეზობლების, მეგობრების, და ხალხის სახლში მობრუნებული გოგოს გამო. მამუკა კი ამ დროს კერკეტი კაკლის პოზიციებს არ თმობდა. ვითომ სიმამრი კი სხვადასხვა იარაღებს ეძებდა და ცდიდა მის გასატეხად. ერთ-ორჯერ ტკბილი სიტყვითაც სცადა, შემდეგ ტკბილი სიტყვები მწარეთი ჩაანაცვლა. იყო შემთხვევა დიდ ქონებას დაჰპირდა, დაპირებები შემდეგ მუქარაში გადაიზარდა, ხოლო ახლა უკვე სიცოცხლის წართმევითაც დაემუქრა. მამუკას გული და გონება ახლა უკვე კვლავ მარის სიყვარულით დაკავებულიყო და სხვა უმნიშვნელო რამეებისთვის იქ ადგილი აღარ იყო. მარიზე ფიქრებში გართულ მამუკას ისევ ტელეფონის ზარმა მოჰგვარა სიცხადე.

- ჰო, მარი.
- მამუ, როგორ ხარ, ჩემო ცხოვრება?
- რა ვიცი, არა მიშავს მგონი, შენ რას შვები?
- ტელევიზორს ვუყურებ, ისეთს არაფერს.
- მამუ, მაშინ, გამოხვალ, გავისეირნოთ?
- რამდენ ხანში?
- რამდენშიც მოემზადები.
- კარგი, მოვემზადები და დაგირეკავ.
- სად გამოხვალ?
- შენ სად იქნები?
- სადაც მეტყვი.
- კარგი, უნივერსიტეტთან დამხვდი, კურსელს რვეულები უნდა გავუტანო, პარკთან ცხოვრობს.
- კარგი, შენ ზარს ველოდები.
- კარგი.

ზუსტად ნახევარ საათში რუსთაველის ქუჩაზე უნივერსიტეტთან შეხვდნენ ერთმანეთს მამუკა და მარი. შემდეგ პარკში გადაინაცვლეს.

- არის რაიმე სიახლე?
- არა, მუქარის გარდა არაფერი.
- დაგირეკა?
- კი.
- რაო?
- შემხვდი, საქმე მაქვსო.
- მერე?
- მე იგივე გავუმეორე რაც მის ქალიშვილს. საქმე მოყუმარებულია.

– მერე რა რეაქცია ჰქონდა?

– ისევე მუქარა.

– როგორ ფიქრობ, რას იზამს?

– ცოტა ხანში დამშვიდდება.

– რო არ დამშვიდდეს?

– დამშვიდდება.

– მე მეშინია.

– რისი?

– არ ვიცი...

– ნუ გეშინია, არაფერსაც არ იზამს. დღეს ჩამოსვლას აპირებს და კიდევ ავუხსნი უფრო კარგად.

ამ დროს მამუკას ტელეფონი ისევე ძველ ტალღაზე დადგა და რეკვით ატყდა.

– ჰო, ბებო, რა ხდება?

– ბებო, როდის მოხვალ, რიფათი გელოდება, საქმე აქვს.

– მოვდივარ. უთხრა მამუკამ ბებიას და ტელეფონი მიაყურა, მარის კისერში აკოცა, მოუბოდიშა, მერე სახლამდე მიაცილა და ვითომ სიმამრთან თათბირზე უდარდელად გაეშურა.

რიფათი, მამუკას ყოფილი ვითომ სიმამრი მამუკას მშობლებს შესაუღლებელი აქციის შემდეგ ყოველთვის თავაზიანად ეპყრობოდა და გამონაკლისი არც ახლა ყოფილა. გემრიელი მასლაათი დახვდა მამუკას სახლში ისე, რომ რიფათს წარბიც არ შეტოკებია. როგორც ჩანს განსხვავებული ხერხი მოეტანა მამუკას აზრის გადასახერხად.

– აი, ჩემი ბიჭიც მოვიდა. – თბილი, ღიმილიანი სახით მიეგება მამუკას ბებო.

– გამარჯობა.

– გამარჯობა, მამუკა, როგორ ხარ?

– არა მიშავს, თქვენ როგორ გიკითხოთ? – ნაძალადევი თავაზიანობა იმიშვლა მამუკამ.

– მე, ლიკა და მთელი ჩემი ოჯახი ძალიან ცუდად ვგრძნობთ თავს. მამუკა, ძალიან გთხოვ, დაბრუნდი თბილისში და გააგრძელეთ ცხოვრება, მაგრამ ამჯერად ნორმალურ რიტმში.

– ერთი წელი გავიდა.

– მაგას მნიშვნელობა არ აქვს. ხალხია, ნათესავები, მეზობლები, მეგობრები. ლაპარაკს დაიწყებენ. სირცხვილით სად გამოვყო თავი.

– ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა. ასე არ მოვილაპარაკეთ?

– შენი ჭირიმე, მამუკა. კიდევ ერთი წელი მაინც სცადეთ.

– და რა შეიცვლება კიდევ ერთ წელიწადში?

– შეგიყვარდება, აი, ნახავ, შეგიყვარდება! შვილიც გაგიჩნდებათ.

– მე სხვა მიყვარს! – ხერხი გადაუტეხა რიფათს.

მამუკას ვითომ სიმამრი უიარალოდ დარჩა, მაგრამ არ შეიმჩნია და ბრძოლა გატეხილი ხერხით გააგრძელა.

– ჩემი მეუღლე შორიდან დამანახეს... არც მე მიყვარდა, მაგრამ თანაცხოვრების დროს სიყვარულიც დაიბადა, პატივისცემაც და ოჯახისთვის ბევრი საჭირო გრძნობა. ახლა სამაგიეროდ უტკბესი ოჯახი გვყავს, თავად ხარ ამის მოწმე.

– მაშინ თქვენი დრო იყო. – ხაზი გაუსვა მამუკამ რიფათის ხერხის სიბლაგვეს. – ახლა ჩვენ ყველაფერს სიყვარულით ვქმნით. მგონი საუბარი დავასრულეთ ასე არ არის? – მამუკამ საბოლოოდ აგრძნობინა ვითომ სიმამრს, რომ მისი ხერხი ისეთი ძველი იყო, რომ ალესვაც აღარ უშველიდა.

– მამუკა, კარგად დაფიქრდი, კარგად. მომავალს ნუ გაიფუჭებ! – ამ წინადადების დამთავრებისთანავე წამოდგა, ბებოს თავაზიანად დაემშვიდობა, შემდეგ მამუკას რაღაც ყურში ჩასჩურჩულა და კარისკენ წავიდა.

მამუკას გულს ჩაეცინა, ირონიული ბოლმით სავსე დამშვიდობებიანი მზერა რიფათს გაცილების ნიშნად აადევნა და თავის ოთახში შევიდა, სადაც რიფათის მიერ ამოთხრილ ნერვებს ისევე თავიანთ ადგილას ჩარგავდა. „შეგიყვარდება“ აეკვიტა და არ ასვენებდა ეს სიტყვა, რომელიც სარეველას ბალახივით ძირებზე მოსდებოდა მის ნერვებს და ხელს უშლიდა დამშვიდებაში. „არც მე მიყვარდა“ ახლა უკვე მეორე ფრაზა ამოუტივტივდა, რომელმაც კიდევ უფრო აურია ტვინი. სიურპრიზი არა? ნეტავი რა? უცებ მარის თერაპია გაახსენდა, დაურეკა და საუბარში მალევე დამშვიდდა. ერთი აბი მარი საკმარისი აღმოჩნდა მამუკას სიმშვიდის აღსადგენად.

– ჩემო სიყვარულო, ხვალ სად წავიდეთ? ჩვეული მოფერებით იკითხა მამუკამ.

– ზღვაზე წავიდეთ, სარფში. – როგორც ყოველთვის, მომზადებული პასუხი დაახვედრა მარიმ.

წინა დღის წვიმისგან აბობოქრებული ტალღები და სიყვარულით აღელვებული წყვილი განუყოფელად ერწყმოდა გარესამყაროს.

სალამოს „პრივეტში“ გადანწყვიტეს თიკოსთან ერთად ჩამოჯდომა. ტევა არ იყო. სიგარეტის ბუღს და გამონაბოლქვ ნახშიროქსანგს გამწოვები ძლივს შეისუნთქავდნენ. თითქმის ყველა მაგიდა დაპყრობილი იყო. თიკოს ნაცნობი ოფიციანტი დახვდა და სწრაფადვე მიუთითა თავისუფალი ადგილისკენ.

– გამარჯობათ, როგორ ბრძანდებით?

– კარგად, თემო, შენ როგორ ხარ?

– მაღლობთ, მეც კარგად. აი, აქეთ მობრძანდით და ახლავე მოვალ და მოგხედავთ.

მაინც მიმზიდველი სუნი ასდიოდა აჭორბუდებულ „პრივეტს“. მომსვლელი და დამხვედრი სახეები ერთმანეთს ტანთგახდით თირავდნენ, ლამის საცვლების ბრენდებამდე აღწევდნენ. მიდიოდა ნაცნობების კოცნა-ტკუცი. ყველაფერი იციან რა, სად, როდის, როგორ, რატომ და ასე შემდეგ. ნებისმიერ კითხვით სიტყვიან წინადადებაზე აქვთ მზა პასუხი გასასროლად.

– თიკო, თიკო, – მიადგა თიკოს „დილის ტალღის“ ერთ-ერთი წამყვანი. – რა კარგია რო გნახე, დარეკვას ვაპირებდი.

– რა ხდება, ნათი?

– გოგო, დიზაინერებზე გადაცემას ვაკეთებთ და შენი მოწვევა გვინდა.

– კარგი, მერე შემეხმიანე.

– კარგი, იცოდე შენი იმედი მაქვს. პროდიუსერებს მივცემ შენს ნომერს.

– ნუ გეშინია არ გიღალატებ. – ბედნიერი ღიმილით უპასუხა თიკომ.

– რამდენი ხალხია, მაგრამ მაინც სასიამოვნოა აქ ყოფნა. მთელი ბათუმი აქაა. რა ხანია აქეთ აღარ გამომიხედავს. – ნახევრად თავისთვის ჩაილაპარაკა მარიმ.

– რას მიირთმევთ? – იკითხა თემომ.

– გოგონებს მოვუსმინოთ ჯერ. – შეკვეთის მოედანი დათმო მამუკამ.

– მე ბათუმური ყავა მინდა ტკბილი. – თქვა მარიმ.

– მე კაპუჩინოს დავლევ.

– მეც ბათუმური. ჯერჯერობით ესაა. მეოთხესაც ველოდებით და შემდეგ კიდევ შევუკვეთავთ.

– კარგი. ორი ბათუმური, ერთი ტკბილი, მეორე?

– მეორეც ტკბილი. – დააზუსტა მამუკამ.

– ორი ბათუმური ტკბილი და ერთი კაპუჩინო.

– გოგონებო, ნამცხვარი?

– არა.

– ნნ! უარყო თიკომაც.

– კარგი.

– აუ, ის ხო იცი ვინაა, მარ?

– რომელი თინი?

– რომელი და პირდაპირ, ქერათმიანი ორ ქალთან ერთად რო ზის, სიგარეტს საფერფლეში რო ათამაშებს.

– რალაც ნაცნობი სახე აქვს...

– ვინ და პორტის უფროსის ძმაა.

– მერე რა?

– რა და მაგარი მაყუთოსანი ყოფილა. შერატონის პირდაპირ პლიაჟი შეუსყიდია და კეთილმონყობას აპირებს. ამის შემდეგ იმ მხარეს ზღვაზე გასვლა ფასიანი იქნება.

– თიკო, შენ საიდან ეს ამბები?

– შოუ ბიზნესი ყველაფერს გასწავლის. – გაიმეტიჩრა თიკომ.

– მერე მიდი თვალი ჩაუკარი, გაიცანი. იქნებ დეფილეს კი მოგანყობინოს თავის პლიაჟზე. – გაეხუმრა მამუკა.

– ჰმ! ნუ მასწავლი, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

– ის ორი გოგონა ვინაა? – ველარ გაჩერდა ჭორის ეშხში ჩაჭერილი მამუკა.

– აა, ისინი აჭარის ტელევიზიის დიქტორები, სოფო და ნინო.

– კარგი სახეები ჰყოლია. – აღნიშნა მამუკამ.

– აუ, იმ გოგოს შეხედეთ, ნიქაბადის პიჯაკი აცვია. მაგარი კია, მაგრამ რალაც დიდად არ უხდება.

– ო, თიკო, თიკო, რა ხარ!

– აბა, რა ვქნა, მამუკა, მეც დიზაინერი ვარ, ბოლოს და ბოლოს და გამირბის თვალი.

მოკლედ ცოტა იჭორავეს. კობამ გადმორეკა ვერ მოვალო და ისინიც მალე დაიშალნენ.

თიკოსაც ყავდა შეყვარებული, მაგრამ ისინი ნინო და ალის ქანდაკებასავით ხვდებოდნენ ერთმანეთს.

* * *

– ბებო, წავედი. კარი ჩაკეტე.

– როდის მოხვალ?

– არ ვიცი ჯერ. საბუთები მაქ შოთაში მისატანი.

– კარგი, ბებო. მე შეიძლება გასული ვიყო პენსიის ასაღებად, შენ გასაღები ხო გაქვს?

– კი, ჯიბეში.

– კარგი, მაშინ მიხედე საქმეებს. ქათამი ჩაგინობხე, მჟავე კიტრი და კომბოსტო მაცივარშია და თუ არ დაგხვდი, შენით გაიმზადე.

– კარგი, ბებო, მადლობა.

– დღეს სალამოს ამირანი და ლელა ჩამოდიან და ძალიან არ დაიგვიანო.

– არა, ბებო. – თბილად გაუღიმა მამუკამ ბებოს და გავიდა. მარისთან ერქარებოდა.

კარში გასულ მამუკას ტელეფონის ზარი აეკიდა. რიფათი ურეკავდა... ღილაკზე ერთი თითის დაჭერით ჩამოიცილა ზარი და კიბეებზე ჩაიქცა ისეთი სისწრაფით, რომ კინაღამ ხელ-ფეხი ჩამოიტოვა.

პარკში ატირებული მარი დახვდა, რომელიც ცრემლების ყლაპვით ვერ დანაყრებულიყო. უნდოდა ემოციები დაეფარა მამუკასგან, მაგრამ აშკარად უნიჭოდ გამოსდიოდა. მოსდიოდა და მოსდიოდა ნიაღვარი მარის ლოყებზე, ლოყების გავლით კისერში ჩაედინებოდა, კისრიდან გულში, გულიდან ისევ თვალებს აწვებოდა, თვალებიდან ისევ ლოყებზე, ლოყებიდან კისერში, კისრიდან გულში და არაფრით არ წყდებოდა ცრემლებისა და ნალველის მიმოქცევა.

– რა გჭირს? – გულამოვარდნით ჰკითხა შენუხებულმა მამუკამ.

– არაფერი. – ცრემლყლაპვით ამოიქვითინა მარი.

– მითხარი რა გჭირს? – უკვე იყვირა მამუკამ სახეზე ბრაზანილბული.

– დამირეკა. – ამოისლუკუნა მარი.

– ვინ, ჩემო სიხარულო, მითხარი! – მოფერება დაუწყო მარის სახეზე და ცრემლების მოშორების მიზნით ისინი ერთმანეთში აუზილა. ორივე ცრემლიანი თვალი გადაუკოცნა და ისევ იგივე კითხვა გაუმეორა.

– ბადრის უთხრეს ჩვენს შესახებ და გადარეულია.

– ჩემი სულელი, მერე მაგაზე რა განერვიულებს, ვნახავ და დაველაპარაკები.

– ისე იქცევა თითქოს მისი საკუთრება ვიყო.

მამუკას უულვაშოდ გაეღიმა და ცრემლებით დამარილებულ მარის შუბლზე აკოცა.

– ნუ ტირი, გთხოვ, ეს არაფერია. მე გაცოფებული რიფათი დამეძებს და შენი ბადრი ვინ ყოფილა მასთან შედარებით?! – ამგვარი შედარებით ვითომ განადარდიანა მარი.

მარი ჩუმად მაინც სლუკუნებდა და მამუკას გულიც ამის გამო ჩუყჩუყებდა. შუბლზე კოცნით რომ ვერ მოსპო პრობლემა, ცოტათი ქვევით ჩამოინაცვლეს მისმა მკოცნარე ბაგეებმა. ცრემლებში ნაბანავები ცხვირი გულდასმით აულოკა, რის შემდეგაც სასიამოვნო საქმით დაღლილი ბაგეები მარისაზე ვნებით ჩამოასვენა. აქ უკვე შედარებით დიდი ხანი დაჰყო. მარისაც ეშველა. ცალმხრივი განმხიბვლელი ფლუკუნი განცხრომის ორმხრივ კენესაში გადაიზარდა. არა, არ ჩანდა პარკში მოსეირნე ხალხი, არც მოტკაპუცე ბავშვების ხმა ისმოდა, რომლებიც წრიაშულით აწუხებდნენ ცხოვრების მოდუნებულ რიტმს. ხალხი ამ დროს ვითომ ვერ ამჩნევდა წყვილს, ზოგჯერ შემთხვევით თუ გააპარებდნენ თვალს, ხო არ დაუსრულებიათო. ჭეშმარიტ სიყვარულს თვით მისი შემოქმედნი ვერ დაასრულებენ... ამაზე არც ერთი ფიქრობდა და არც მეორე. მოულოდნელად მამუკას ჯინსის შარვლის ჯიბის სამხრეთ-დასავლეთ მეოთხედსფერო უდროოდროს შეიძრა, უხერხულობაში ჩააგდო, რამაც მისივე გამოაფხიზლა. იმ წამსვე ჩაიყო ჯიბეში

ხელი, მაგრამ ვიბრო-ბზუილი შეწყდა. ნომერს დახედა, რიფათი იყო. ხასიათი დაეზეთა. ერთადერთი სლუკუნი არ დაუნყია, თორემ დანარჩენი ყველა წვენი დალია. გადარეკა.

– მამუკა, სად ხარ?

– რა ხდება? სიურპრიზი მზად გაქვთ? შეულრინა შფოთგალვიძებულმა მამუკამ.

– ნახვა მინდა შენი.

– პრობლემას ვერ ვხედავ, მაგრამ არ დასრულდა ჩემი ნახვების სერია?

– არა, მამუკა, მინდა კიდევ რალაც აგისხნა.

– ხომ იცით რომ ძველი გაკვეთილი არ მაინტერესებს, ისედაც კარგად ვიცი.

– ახალს მალე აგისხნი, ამას რო შეგასწავლი შემდეგ და ვაი რომ ვერ ჩააბარო...

– მე არავისთან არაფერი მაქვს ჩასაბარებელი.

– ვაჟკაცურად გთხოვ, ნახვა მინდა შენი.

– ნახვეარ საათში სახლში ვიქნები.

– სახლში არა სადმე სხვაგან.

– სად?

– სადაც მეტყვი. ოლონდ საუბარი შევძლოთ ხმაური არ იყოს.

– კარგი, ენგელსის და ჭავჭავაძის კვეთაში სახინკლე „ქიზიყა“ და იქ მოდი თხუთმეტ წუთში ვიქნები მეც.

– კარგი, მოვდივარ.

დაძაბული ძაფი გათიშვის შემდეგ დროებით განწყდა.

– მარ, უნდა ნავიდე.

– ჰო, მივხვდი, წადი ოლონდ ფრთხილად იყავი.

– ნუ გეშინია, მაგ სირს ვაჩვენებ სეირს.

მარი თვალმოფერა მამუკას და სიყვარულით გადაპიპინებული მზერით გააცილა იქამდე სადამდეც მზერა შესწვდებოდა. ზუსტად ხუთ წუთში ყვითელმა 11-მა ნომერმა ჩამოიარა და მამუკაც თან აიტაცა. რამდენიმე წუთით ადრე მისული კუთხეში დაელოდა ყოფილ ვითომ სიმამრს. ზუსტად სამიოდე წუთში ისიც მოვიდა. მოთაფლვის მიზნით მამუკა იძულებით გადაკონა და სახის აგრესიული მიმიკებით ალაპარაკებულები სახინკლისკენ გაუძღვნენ ერთმანეთს.

– ხმაურიანი ადგილია. აღნიშნა რიფათმა.

– არც ისე. მოუჭრა მამუკამ.

– ჰო, საუბარს შევძლებთ რაც მთავარია.

– რას მიირთმევ?

– არაფერს, წვენს რაიმეს.

– რას შეუკვეთავთ, ბატონებო? წაითავაზიანა ოფიციატმა ქალმა.

– წვენი მოგვიტანე რაიმე.

– რისი გნებავთ?

– სულ ერთია გოგონა, – სწრაფად დაამთავრა შეკვეთა რიფათმა.

– ანანასი. – საქმე გაუმარტივა მამუკამ და ბნეულობისაგან უკვე არეულ გოგონას.

– კიდევ გნებავთ რაიმე?

– არა, ხო გითხარით! – უხეშობას გულუხვად არიგებდა რიფათი.

ოფიციატმა უხერხულობისაგან და ამავდროულად თანხმობის ნიშნად თავი მორცხვად ჩახარა და მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

– რა საქმე გაქვს?

– შენ კარგად იცი!

– აღარ მეხება ეს მე! ვალი აღარ მაქვს!

– ვინ გითხრა? მე არ გადამიხაზია შენი ნისია.

– აჰა, თან ნისია. მაინც რამდენი მაქვს?

– მთელი ცხოვრება.

– აბსურდია!

– არა!

– თან სასაცილო. თან ნერვულად გადაიხარხარა მამუკამ.

– სულ არ მეცინება.

– არაა სავალდებულო, იუმორთან თუ ხარტ მწყრაღად...

– მისმინე შვილო! მე ოჯახი მაქვს, ქართული ოჯახი, ტრადიციებით გახარებული, რომელთაც მთელი ცხოვრება მორწყვას არ ვაკლებ, ენაგადმოგდებული ვშრომობ მაგისტრის და არავის მივცემ საშუალებას ისინი მოცელოს.

– მაშინ დაგესხათ წყალი ქალიშვილი რომ მარტო გამოუშვით სასწავლებლად.

სიტყვამშრალი პაუზა.

– არაა ეგრე შენ რომ ფიქრობ მამუკა. ხალხი რას იტყვის? კარგი ოჯახი მინდოდა მყოლოდა...

– მერე გყავთ.

– ლიას ცხოვრება დაენგრა.

– და კიდევ უფრო უნგრევთ. იქნებ თვითონ ლიას ჰკითხოთ რა სურს, არასოდეს გიფიქრიათ იმაზე რომ შეიძლება ლიასაც აქვს სურვილები...

– მე უფრო კარგად ვიცი რა სჭირდება ლიას. ლიას ტვინი არ აქვს თავში.

– რატომ, ჩემი გულისთვის რომ არ იკლავს თავს?

– მამუკა, გონს მოდი, დაბრუნდი და ნორმალური, ლამაზი ქართული ოჯახი შეკარით.

– არა, ეს გამორიცხებულია, რამდენჯერ გავიმეორე?

– ვალი გაქვს! – წამოიღრიალა სიმშაგეშეპყრობილმა რიფათმა.

სიტყვადაკარგულმა მამუკამ წინადადების ასანყობად ისევ ჯიბეში ჩაჰკრა ხელი, მაგრამ მხოლოდ ძველი სიტყვები ელაგა შიგ. „ხელშეკრულება“, „ვადა“, „ერთი წელი“, „ამოიწურა“, მაგრამ იმდენად ხშირად იყვნენ გამოყენებულნი ერთ კონტექსტში, რომ ამ სიტყვებით შემდგარი წინადადების აზრი თვისობრივად დაბლაგვებულიყო.

ასეთივე უფუნქციო იყო ანანასის წვენი თავისი ორ ჭიქიანი ატრიბუტით. საიდან გაჩნდა, ვინ მოიტანა, ან რატომ, ვინ შეუკვთა. ამ წვენში ბანაობდა ახლა ორივეს მხედველობადაქვეითებული თვალები.

– დავილალე! აზრი აღარ აქვს ამ ყველაფერს და არც მე. ჩემთან სალაპარაკოთ აღარ მოხვიდეთ, მომკალით და ეგაა, სხვანაირად არ შემოდლია.

– უნდა შეძლო!

– დამეხსენით! – უჩურჩულდრიალა მამუკამ თვალებში და ცოფიანი თვალით თვალი დაუჭრა. ელვაზე სწრაფად წამოვარდა და კარში მენხად გავარდა. ქუჩა ირეოდა, ფეხქვეშ მინა იშლებოდა. ქუჩას მიჰყავდა მამუკა და თან შავ-ბნელ აზრებს აწვდიდა გზადაგზა. გონებრივ ავდარს ხსნას ევედრებოდა. უნდა ეცემა აშკარად, მაგრამ როგორ იკადროს ასაკით ბაბუად ერგება. ისევ შეინძრა შარვლის სამხრეთ-დასავლეთ მეოთხედსფერო. რიფათი...

– დამეხსენით! – მამუკას გამეხებულმა ხმამ არემარე გადანვა. უჩვეულო ძაბვისაგან გადაინვა ტელეფონიც რომელიც ჰაერმა შთანთქა.

– კეთილებს მოგიტყნავ, შე ნაბიჭვარო! – როგორც იქნა გაგზავნა გინებაგაუფილტრავი მუქარა მამუკას მისამართით, მაგრამ ფრაზამ ყურმილს იქით ვერ გააღწია.

სახლში სეტყვად მივარდნილი მამუკა მშობლების დანახვაზე სიმშვიდეს მყარად მოეჭიდა.

– მოდი, შვილო, ჩაგეხუტო მომენატრე...

– მეც დედა. როგორ ხართ?

– კარგად, ჩვენ რა გვიჭირს... შენზე ვდარდობ...

– დავილალე... მამა... – ორი სიტყვით ხარბად მოეხვია მამის ძალას და შვება იგრძნო.

– ცოტაც მოითმინე. ჯანიკო მამიდას დავუკავშირდი, მგონი მის ქმარს ენათესავება და მისიანებთან ერთად იქნებ რაიმე შევასმინოთ.

– ბებო, შენ როგორ ხარ? ამდენ ხლართაბარდში ვერცერთს ვერ გაქცევთ სათანადო ყურადღებას, მაპატიეთ...

– რას ამბობ, შვილო, ჩვენ ყველანი შენზე ვართ აქტიურად გადმორთულები.

– ახლა ველაპარაკე, ნერვები დამათხარა...

– რას იზამ, ისიც მშობელია, თან გოგოს და ჰგონია რომ ამით კარგს უკეთებს.

– ჰო, მამა, მეც მესმის, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტია.

– მალე დავგიდგენენ მის სანათესაოს დედის მხრიდან. დედა ჰყოლია ქედელი.

– ვის? რიფათს?

– ჰო, ისე მეც მიკვირდა ეს სახელი საიდან-თქო.

– ჰო, დაადგენენ და მოკლედ საბოლოოდ ყველას თანდასწრებით დავასრულებთ ყველაფერს.

– არ მგონია ეს ოდესმე დასრულდეს...

– ლიას მივცემთ ბინას თავის ნილს.

– რომელს?

– რჩეულიშვილის კომპლექსში რომ შენდება. 70 პროცენტი შეტანილი გვაქვს. დანარჩენსაც ნელ-ნელა გადავიხდით.

– მამა...

– ნუ ნერვიულობ, კედლებს ბედნიერება არ მოაქვთ.

– მამა, მაპატიე გთხოვ... დედა...

– მამუკა, ბები, დამშვიდდი, ჩემო სიხარულო. ცხოვრებაში უარესი რამ ემართებათ ადამიანებს, მაგრამ მათ მშობლები არ ტოვებენ განსაცდელში.

– კარგი, საკმარისია, წადი დაისვენე სანამ ვახშამი დაიდგმება სუფრაზე.

ოჯახური ვახშმის შემდეგ, მამუკა კიდევ ერთხელ მოეხვია ყველას, ამით გული დაიმშვიდა, თავის ოთახში შევიდა და ძილის წინ მარის თერაპიის სატელეფონო კურსს მიმართა.

– მარ, ჩემო მამუტიკა, ხვალ ბოტანიკურში წამოსვლას ხო შეძლებ?

– კი მამუტი, რა გჭირს, მშვიდობაა?

– გცალია?

– ლექციები მაქვს, მაგრამ...

– ლექციების შემდეგ.

– კი, მშვიდობაა?

– კი, კი, თორმეტისთვის დაგირეკავ.

– იმან რაო?

– ვილაპარაკეთ.

– მერე?

– ყრუა და თუთიყუშობს.

– გასაგებია.

– მამუ, გამოვიძინო მინდა და თუ არ გენყინება დავწვები, კარგი?

– კარგი, მამუ, ხვალ გელოდები დილით.

– ასე თერთმეტის შემდეგ, ძალიან ადრე ნუ წამოფრინდები სანოლიდან.

– კარგი.

– მამუ...

– ჰო...

სამწამიანი დუმილი.

– მიყვარხარ. – დუმილს მგრძობიარედ შეერწყა სიტყვა.

– მეც...

დიდხანს ებრძოლა ძილს მისი სიფხიზლე, მაგრამ ბოლოს დანებდა მაინც. დილით მამუკას აწუხებული ხასიათი და ტანში სირსვილის შეგრძნება აჰკიდებოდა. რთული გასარკვევი იყო რომელი ამღვრეული წყაროდან იღებდა სათავეს, ტალღებიანი შეხვედრიდან თუ გამურული სიზმრიდან. ალბათ ყველაფრის ნაზავი იყო, რო-

მელიც მთელს სხეულში მყარად გამჯდარყდენთილიყო.

– ბე, ბებო, მინდა ბედნიერი ვიყო, მარისთან კარგად ვგრძნობ თავს.

– ბებო, ჩემო სიხარულო, ხარ და ყოველთვის იქნები კიდევ სანამ ამის სურვილი გექნება. ნურავის მოუსმენ. ერთადერთი, ვინც გულდასმით მოსმენის ღირსია შენი ლამაზი გულა. რაც მას უხარია, ის უნდა აკეთო. ის კიდევ ცოტას ილაპარაკებს და გაჩუმდება, არ ინერვიულო.

– მარისთან მინდა.

– მერე რა გიშლის ხელს?

– არაფერი, საერთოდ არაფერი. ძალიან რთულია ყველაფერი, როდესაც შინაგანად ყველაფერი გინყობს ხელს, ხოლო გარედან...

– რა გარედან? მე შენ ჭკვიანი ბიჭი მგონიხარ. ბებო, სირთულეებს თავად ნუ ქმნი. იმ გადარეულის გეშინია?

– ჰო, ბებო, მეშინია. არ ვიცი რატომ, მაგრამ მეშინია. სულის სიმწარემდე მეშინია.

– რას ამბობ, მშიშარა არასოდეს ყოფილხარ.

– ჰო, ბებო, მაგრამ საშინელი გრძნობა მაქვს შიშის.

– ყველაფერი კარგად იქნება.

– ჰო, იმედია.

კიდევ რამდენიმე ხანს ეთვალფერა ტკბილად მძინარე ბებოს, შემდეგ მშობლებს სიყვარულით გადახედა და ისევ თავის საძინებელში შებრუნდა. წამონვა და დამამშვიდებელ ფიქრებში წავიდა. რამდენიმე ხანში ისევ წამოხტა, სანოლთან მდგარი სანერი მაგიდის უჯრები ქექვით შეაწრიალა, შემდეგ სამზარეულოში წასაღებად გამზადებული პარკი აიყოლია, მოქუსქუსე ბებოს გულში მალამოდ მოეცხო და სწრაფი ნაბიჯებით გარეთ გავარდა. ახლა მხოლოდ ერთი აზრი გაუაქტიურდა, მაგრამ შეძლებდა თუ არა ეს აზრი გამარჯვებას სხვა აზრებს შორის, ეს უკვე მამუკას გამბედაობაზე იყო დამოკიდებული. თუმცა შეუძლებელი მაინც არაფერია. შედეგი რა იქნება, ესაა მთავარი. გათვალა ყველაფერი? თუ გათვალა, კარგია. თუ არ გათვალა, მაინც კარგია. ყველაფერი კარგია, რაც ქმედე-

ბასთანაა დაკავშირებული. უმოქმედობას არაფრისკენ მივყავართ. სად მიდის მამუკა? მამუკა შედეგისკენ. ცხოვრება გრძელდება, გრძელდება და მიყავს ყველა უნებლიეთ ჩართულნი ამ გაუგებრობაში. სურვილები, ოცნებები, ფიქრები, დაივიწყეთ ყველაფერი და მიყევით დინებას, გათიშეთ გული, ნაკლებს ატკენტ... არასოდეს იქნება ყველაფერი ისე იდეალურად როგორც სასურველია. ვილაც, სადღაც, რაღაც ზარალს დაითვლის და საწყობში ჩაკეტავს. გზად ერეოდა ტვინი მამუკას და უცებ შუქი მოვიდა, ყველაფერი დაულაგდა. ეს იყო მზის შუქი. ფიქრმა პრობლემების შესახებ დემონსტრაციულად დატოვეს მისი ტვინის ცენტრალური უბნები. უმალ გულში ჩაიკრა, კიდევ უფრო მეტად იგრძნო როგორ უყვარს. გათბა თმიდან ფრჩხილებამდე. ზარზეიმით აჟღარუნდნენ ბოთლები მამუკას პარკში. ღვინის ბოთლი ლიმონათს ეხუტებოდა. მარის პარკში კი ნამცხვარი ხაჭაპურს ეტკბილფერებოდა. რა საჭიროა სიტყვა, როდესაც არის გრძნობა. გულწრფელი გრძნობები ყველაზე გულწრფელად უსიტყვოდ საუბრობენ. არავინ არავის არაფერს უმტკიცებს. რა საჭიროა, რა, როდესაც ყველაფერს თავისი ხალასი ფერი აქვს.

მამუკას გასვლისთანავე გოგუაძეების ოჯახში სახლის ტელეფონი აწრიალდა. ამირანის მამიდა რეკავდა.

– მამი, როგორ ხარ?

– რა მიჭირს ჩემო სიხარულო, შენ თვითონ როგორ ხარ? მე უკვე წერილის წასაღებად ვარ გამზადებული.

– ო, მამიდა, რას ლაპარაკობ, ჯერ აქაური წერილები გაქვს დასარიგებელი. – გულიანად გაიხუმრა ამირანმა.

– კარგი, მამი, აბა მისმინე! გავიკითხეთ, გამოვიკითხეთ და ის ჩვენი სულ შინაურის ბადიშია და მოკლედ რომ გითხრა, არაა მთლად კარგად საქმე.

– კი, მაგრამ, რა ხდება? ვერ შევავსებინებთ ვერაფერს?

– ერთი სიტყვით გითხრა მამი გინდა?

– ჰო, აბა!

– ვერა!

– ასეთი რა ხდება, გამარკვიე ერთი.

– ჩემი ქმრის ბაბუის ნახევარძმის ბადიშია.

– მერე ძალიან კარგია, მაგას რა ჯობია?

– ჰე... მაგას ყველაფერი ჯობია.

– მამიდა, დროზე მითხარი გთხოვ...

– ვერ ყოფილა მის მატორზე. ახალგაზრდობაში ვილაც მოუკლავს. მერე ფულით ჩაუფარცხიათ საქმე. მამამისი მოსამართლე იყო და ციხეში რომ არ ჩაესვათ, ფსიქიატრიულში იწვა რამდენიმე ხანი. მკვლელობა სხვაზე გადაუბრალეხათ. მერე ქალი მოტყუებით მოუპარიათ.

– რას ლაპარაკობ, მერე?

– იქ, ფსიქიატრიულში თურმე ვილაც პაციენტში შემლიათ და ძლიერ მედიკამენტებზე ჰყოლიათ.

– რას ამბობ, მერე?

– არ გეყო, მამი?

სასოგანადგურებული ამირანი ყურმილით ხელში იდგა სადღაც და მამიდას სიტყვებიც ველარ პოულობდნენ ძმისშვილის სმენას. ინსტიტუტურად, მაგრამ ინსტინქტის გარეშე მადლობით დაემშვიდობა მამიდას, ტელეფონი გათიშა და ქალებს უსიტყვოდ მოუყვა ყველაფერი. ბებიამ აჯობა ყველას, არ დაიბნა, მობილურს სწვდა, მაგრამ გაახსენდა მამუკას გაფუჭებული ჰქონდა. დაფიქრდა. მარის ნომერი არ იცოდა. უცებ 009 აკრიფა, მარის ოჯახის ნომერი გაიგო. იქ მარის ნომერი მისცეს. გადაურეკა. არავინ უპასუხა.

ამ დროს შემოდგომის უმწეო მზეს წყვილის გრძნობები ეხმარებოდა არემარეს გათბობაში. მწვანე კონცხი დღეს უჩვეულოდ ლამაზია. ბუნება თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენისთვის გამოპრანჭულა. მრავალწლოვან მწვანედ აფოთლილ ხეებს ქოჩორი საგულდაგულოდ გადაუვარცხნიათ და აქეთ-იქით მგრძნობიარედ ირწვევიან სიოს ყოველ დარტყმაზე.

პატარა მაგიდა მრავალკერძიანობით ვერ იკვებნიდა, მაგრამ სამაგიეროდ მოკრძალებული სიყვარულით იყო შეკრული. იმერული ხაჭაპურის რამდენიმე ყველჩაშლილი ნერწყვდენი ნაჭერი და კობტად ჩაცმული ტარტარეტები იდო. ეული

წითელი ღვინის ბოთლს კომპანიონობას ნატახტარის ყურძნის ლიმონათის ბოთლი უწევდა. ორი ერთჯერადი თეფში და იმდენივე ჭიქა, რომელშიც უკვე ღვინო ესხა, რათა ქარს არ აეტაცებინა. მამუკამ სუფრას გადახედა. ეკმაყოფილა. მარის თვალით ანიშნა დამსხდარიყვნენ. ერთი ჭიქა ტკბილ ბაასში შემოესვათ. ღვინით არუფუნებულ მამუკას ჯიბე გაახსენდა და მისკენ გააპარა ხელი. რალაცის ამოღებას აპირებდა, მაგრამ მოქმედება უცებ გააუქმა, რადგან შორიდან ნაცნობ სახეზე წამოიკრა თვალი. ბადრის გავდა. სალაპარაკოდ მომზადებულ მამუკას მარიმ დაასწრო.

– მგონი რიფათი მოდის შენკენ.

მამუკა გაურკვეველმა გრძნობამ მოიცვა. მიიხედა იმ მხარეს საითკენაც მარიმ მიუთითა და საიდანაც რიფათი მოდიოდა. არა, უბრალოდ კი არ მოდიოდა, ბრალიანად მოიბრაზებოდა და მოიბოლმებოდა. თვალებით ზიზღის ტყვიებს ისროდა. რაც თუ ბოროტება იყო სამყაროში, ყველა სახის ტყვიამფრქვევეში ჩაეტენა. მარჯვენა ხელი წელზე მიმაგრებული ქამრისკენ წაიღო და რამდენიმე წამში ბუნებრივი იდილია დაარღვია. ტყვიამ ხმა ამოიღო. ერთხელ დაიღრიალა, მხოლოდ ერთხელ. ბუნება დაყრუვდა. არემარემ თვალი დახუჭა. ხეებს ჟრუანტელმა დაუარა. ქარი დაიზაფრა და გამძაფრდა. მზეს დამხმარე თბილი ალი ჩამოართვეს. ღრუბლები განითლდნენ და ატირდნენ. ყველა ფერი აირია და ამით დასრულდა ქაოსი.

ასე გადაგორდა პრობლემა მეორე.

* * *

მოედანზე, „ირინას აფთიაქთან“ ავტობუსების გაჩერებაზე, იქ, სადაც სხვადასხვა რჯულის, ასაკისა თუ საქმის ადამიანი ჭიანჭველებით ირევა, ერთი ახალგაზრდა მამაკაცი დგას და ავტობუსს ელოდება. არა მხოლოდ ავტობუსს კიდევ ვიღაც უნდა მოვიდეს. თვალებით ეძებს. სად არის? არ მოდის... ვერც ურეკავს, ტელეფონი რა ხანია აღარ აქვს. როდის მოვა? რატო იგვიანებს? თვალები დაუკითხავად გარ-

ბიან სხვადასხვა მხარეს. აი, ავტობუსიც მოვიდა. ის კი არ ჩანს. არადა, მოვალე დაჰპირდა. მომატყუა? გაუშვა ავტობუსი. კვლავ ელის, თან ეძებს თვალთ, გულით, სულით, ყველაფერი ავტომატურადაა ჩართული. ის არა და არ ჩანს. აი, მეორე ავტობუსიც გამოჩნდა, მარტო წავიდეს? მარტო არ სურს. თვალები ისევ გაიქცა. ეძება, მაგრამ დანებდა ბოლოს განგებას, მესამე ყვითელს აჰყვა. ბილეთი ერთის ნაცვლად ჩვეულებისამებრ ორჯერ გაატარა და მათ ადგილზე დაჯდა, ოღონდ ამჯერად, სიცარიელის გვერდით. წინ ვიღაც გოგონას მისალმების ნიშნად თავი დაუკრა და მაძიებელი მზერა გაააქტიურა.

მიდიოდა ავტობუსი და მიჰყვებოდა მამუკაც ჩვეულ მარშრუტს. ჯერ ბარათაშვილის ქუჩას დაემგზავრა სიცარიელეში, შემდეგ გორგილადის ქუჩის ნაკუნიც ჩამოიტოვა გზაში. სიცარიელე. მარჯვნივ შაუმიანისკენ გაუხვია, ისიც ცარიელი. სად გაქრა ყველა? სტლინის კვეთაც გადაიარა, ხალხისაგან გასუქებულ „პრივეტში“ სიცარიელეს მოჰკრა თვალი. შაუმიანის მოკლე მონაკვეთი რუსთაველმა გადაჯოკრა. რუსთაველი ვითომ სიცოცხლით შაირობდა, მაგრამ აქაც სიცარიელე. სამშობიაროში თვალმა ვეღარ შეაღწია, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ მარი იქ არ იყო. თვალმა და გულმა ტვინის უკითხავად მაინც ეძება, მაგრამ კვიცის როლში აღმოჩნდნენ ბოლოს. არც იქ იყო. ალბათ უნივერსიტეტი... გონება გაუნათდა წამიერ... ისიც ცარიელი...

– ბეჭედი უნდა მივცე, სადღაც იქნება და აუცილებლად ვნახავ! – გაიფიქრა მამუკამ და ძებნა შეწყვიტა დროებით.

* * *

– მაი, ჩურჩულით მხარი ჰკრა ერთმა გოგონამ მეორეს.

– რა ხდება?

– ეს ის ბიჭი ხო არაა, საცოლე თავისი სახლიდან რო გაასვენა?

– ჰო, ქორწილით.

– აუ, რა გიჟია!



ვაჟა ოთარაშვილი

პოეტური დუეტი ციკლიდან: „ჯვრისწერა ღამით...“

(გალაკტიონის და მერის სიყვარულის ისტორია)

I

* * *

მოგწერ: „ძილი ნებისა...“
მე კი ისევ უჩუმრად ბალიშში ვრგავ თვალებს,
არადა არ მეღირსა,
მერის სახეს ვხედავდე ტრფობით მოკამკამეს...
ის პარიზის ქუჩებში ივერიის შველია,
დააბიჯებს მარტო...
მონატრებულ სამშობლოს ძველებურად უწევს შინ
დედა, თბილისს ნატრობს...
ჩვენ კი უნდა ვეფეროთ
გამოგონილ ქიმერებს და ყმანვილურ ნატვრებს,
ვიდრე ჟამი – ბებერი
ეფოვსა და ბერიას კბილებს ჩამოამტვრევს...
მერიიი... გალაკტიონი
ველარ უძლებს იცოდე ღამის სუსხს და ვარამს,
ძმა ფრანსუა ვიონი,
ნანადერძევ ტკივილებს ლექსით გადაფარავს...

II

NOTRE-DAME DE PARIS...

მე მაგონდება წყნარი დღეები... ლუვრი...
 სხვანაირია მაინც პარიზი ღამით...
 სენა... ვერსალი... ცაში ეიფელს ვუვლით,
 ფრანგთ სიამაყე ცეცხლშია დღეს ნოტრ-დამი...
 ვინ აგიზგიზებს ბოროტ ენებით კოცონს?
 ვინ შეეხება ქრისტეს უწმინდეს გვირგვინს?...
 ლიბერალიზმი მხოლოდ ურწმუნოთ მოსწონთ
 და ცეცხლის ენებს ატრიალებენ ირგვლივ...
 ვერ გავექეცი ცოდვის გომორს და სოდომს
 და დამნაშავე ყველა ჩვენგანი არის...
 შენ მეუბნები ტიროდა კვაზიმოდო,
 მე კი სრულიად მიუსამძიმრებ პარიზს...

III

* * *

მე თქვენ მიყვარდით თურმე მაშინაც,
 ამის შესახებ როს არ იცოდით...
 თქვენთან უფალმა დამაკავშირა
 და ბიბლიური მოველ იმ ცოდვით...
 მე თქვენ მიყვარხართ... და ეგ ცრემლები...
 თვალთა ზეციდან ვარსკვლავთა წყვეტა,
 ისე თბილია, როგორც მტევნები –
 ბაგრატის ტაძრის ოვალს რომ კეტავს...
 და მეყვარებით ასი წლის მერეც,
 რადგან ეს ტრფობა არის ულავი...
 ცაშიც მოძებნის ერთურთის ხელებს
 შეყვარებული ჩვენი სულები...

IV

* * *

შენა ხარ ჩემი პატარძალი ქათქათა, თეთრი
 და ღრუბლისფერი კაბა გაცვია...
 ხარ თოვლისფერი, ღვთიურად მკვეთრი
 და რძისფერიც კი შენთან ბაცია...

V

* * *

გზას შევრჩი მარტო...
 ვდარდობ და გნატრობ...
 უშენოდ ღამე უფრო მუქია...
 ეჰ, ტრფობის კვანტო!
 ეჰ, ტრფობის კვანტო!
 შენი სიმცირე ვის შეუქია...
 აინშტაინის ფარდობითობა
 ყველაზე კარგად მიწნურებს ესმით
 და იბადება ცეცხლში მითები,
 როგორც მდულარე სიტყვებით ლექსი...
 როდესაც სევდა შემოგანვება,
 დაიცვარება ცრემლით ღანვები,
 შენ გადღეგრძელეს მგოსნის ყანებმა
 და ნუ იქნები ჩემზე ნაწყენი...

VI

* * *

მონყენილია მერიი,
 ლექსები ველარ შველის...
 ის არის ჩემი შველი
 და უნაზესად მწველი...
 მერი, მერი და მერი...
 გალა სულ მუდამ გელის...
 მოგონებების ჯარი
 და გული ბრძოლის ველი...
 შენს მკერდზე ჩემი ჯვარი,
 შენი პატარა ხელი...
 არა ჰყოფნიდა სივრცე
 შეყვარებულთა წყვილებს...
 საუკუნე რომ მისცე,
 მათთვის წამია მცირე...

VII

* * *

შენი წარსული ტკივილი მწუხრის,
და სინმინდეთა შებღალვა ძალით...
და უფლის გარდა ქედს არ მოუხრის
ღვთისმშობლის ხატთან ვედრება ქალის...

VIII

* * *

მენატრები გასაოცრად,
ლიხის ქედებს გასცდა ლოცვა...
მკერდი სავსე – ა, ეგ მთები,
შენი ტრფობით ავინთები...
კულულების სულ სხვა ხიბლი,
სიყვარულის თვალზე ლიბრი...

IX

* * *

მიყვარხარ... ეს სიტყვა ყველაფერს მეტყველებს,
გადივლის ტყე-ველებს,
აქარწყლებს იმ ცოდვებს...
მიყვარხარ, იცოდე!
მიყვარხარ... გიხსენებ და ცრემლი მერევა,
შენც ფიქრობ ისევე, როგორც მე ამჯერად –
შორსა ხარ? მერე რა!
მიჯნურებს მანძილის არ ჯერათ!

X

* * *

ნეტავი ჩემგან გყოლოდა ბავშვი,
ამ სიყვარულის ნაყოფი ტკბილი
და მონატრებამ დააბოლოვა:
ნეტავი ჩემგან გყოლოდა შვილი...

XI

* * *

დილა მშვიდობის ძვირფასო მერი...
აქ, ახლა ღამე დღეს გაეყარა...
შენს თვალებს შერჩა ქართული ფერი
თუ „ფრანციცული“ ელავს ქვეყანა?...
არ დავიღლები შენი ყურებით,
არ დავიღლები შენი ალერსით...
ჩემი ბავშვობის ნაფეხურები
ავაციმციმე მაგ შენს თვალებში...

XII

* * *

თვალიდან არ მშორდება
მერი შენი ჯვრისწერა...
კი არ ფეთქავს, ბოლდება
გული, დარდით ირწევა
და ძლივს გადავიტანე
უშენობის წარსული,
პოეზიის ტიტანის
საოცნებო ასულო...
მერი, გემუდარები!
მერი, მხოლოდ ჩემი ხარ!
მძულს პარიზის ბარები,
მენატრება შენი ხმა...



ეკუ კვანტადიანი

პოეტური დუეტი ციკლიდან: „ჯვრისწერა ღამით...“

(გალაკტიონის და მერის სიყვარულის ისტორია)

I

* * *

მონატრება შორიდან უცნაური რამაა,
დღეები კი შენს ნახვას მოუთმენლად ელიან...
ეს ცხოვრება რასინის და კორნელის დრამაა,
თუმცა ბედნიერი კი განა მოლიერია...
დღე ჰიუგოს ეთმოზა, ნავიკითხავ აფიშას –
საფრანგეთი ისევე თეატრშია ჩართული...
დგამენ: „მეფე ერთობა...“ მე კი კვლავ არა მიშავს,
ვერ შეცვალა პარიზმა ხასიათი ქართული...

II

NOTRE-DAME DE PARIS...

გამოიარა ქარტეხილებში გზები,
ვერა დააკლო ჟამმა... სიავემ დროთა...
აქ ესმერალდა ერთ დროს ცეკვავდა გზნებით,
დღეს საფრანგეთის გული წუხილით მოთქვამს...
ჟანა დ'არკივით ცეცხლში გახვეულ ტაძარს,
ცრემლით უმზერდა სენ-ჟერმენი და ბორდო...

მერე კედლებმა თითქოს ჩაიცვეს ძაძა,
„ბედისწერა...“ – ტიროდა კვაზიმოდო...

III

* * *

როგორ მიმღერი, როგორ მამშვიდე
და სიყვარულით მავსებ ყოველთვის...
როგორც საყდარი ძველი სამშვილდის,
ვტიროდი ჩემი სიმარტოვეთი...
შენ დამინახე პოეტის მზერით,
მამკობ ლექსებში ციურ ფრაზითა
და გააბრწყინე ჩვენს გულში მზე ვით
ამ მიჯნურობის სილამაზითა...
კვლავ მენატრები და გიალერსებ...
ტრფობისთვის ღვრიდნენ ცრემლს პოეტები...
სენტიმენტალურს მოგიძღვნი ლექსებს,
სავსეს ფრანგული ტრიოლეტებით...

IV

ბაბაფხული...

ჩამოდიოდა რიონი ნელა,
ბალთან იპოვა დილამ იები...
ნითელ ხიდთან კი ვით ცისარტყელა,
ყვოდნენ მარტის მაგნოლიები...
უცხოა შენთვის სევდის არ ქონა,
ტუჩები თრთოდნენ მიამიტები...
ლექსით მოგქონდა ვარდების კონა
და რითმებივით თეთრი ტიტები...

V

* * *

ღრუბლებს ხორუმი გაუმართავთ, ხევს გარს უვლიან,
მეხთატეხა და ქარიშხალი მთათა წესია...
მამულზე... დარდით კლდეთა შუბლი დანისლულია,
კავკასიონზე ლიხის ქედი უმრწემესია...

მთა იზვიადებს, ვარსკვლავეთი იგალაქტიკებს,
 გადაივლიან მშვილდოსანი და ორიონი...
 გაზაფხულია... თუმცა ცივა ისევ აქ კიდევ
 და ჩვენი გზებით მისეირნობს ხიდთან რიონი...
 შენა ხარ ჩემი სიყვარული და ნეტარება,
 ჩვენი შეხვედრა ზღაპარია ნეტა რომელი?
 ქართველთ ტკივილის გულით იცი მუდამ ტარება,
 ხარ მზეზე თბილი და თერგივით დაუდგრომელი...

VI

სიყვარულის ტრიბონომეტრია

ხომ გიყვარვარ? გეკითხები როცა,
 ხმის ტემბრიდან ისევ სევდა აწვიმს...
 „ძალიანო!...“ მერე გულში გლოცავ,
 ცრემლის მძივით იმოსება ღანვი...
 კოტანგესი-კოსინუსი საზღვარს
B ნერტილით გადაფარავს **A**-დან...
 გულმა ყველა გზები გადახაზა,
 როცა შენი სული შემეყვარდა...

VII

* * *

შენ დამიამე დარდები მწველი,
 ნაიარევი გულის ფიცარი...
 ადრეც მიყვარდი ათასი წელი
 და როცა შემხვდი უცებ გიცანი...

VIII

* * *

გვერდით ხარ თითქოს ყოველთვისა ვგრძნობ
 და წელი ჩვენთვის წუთია რაკი,
 შენზედ ვლოცულობ ძვირფასო განძო,
 თუმც ნატვრამ სევდის მოისხა ფრაკი...
 რომანტიზმს ლექსით უმღერს დე ვინი...
 ეს ნაზი გრძნობა მოდის ზეციდან,

ვფიქრობ შენამდე ვიყავ დევნილი
და გვერდით ყოფნა შენთან მეც მინდა...
ცრემლი არ ვიცი რას დავაბრალო,
ჩვენი სულები ერთმანეთს ჰგვანან...
მონატრებაა შენი უბრალოდ,
მარტოობა წერს ამ სიტყვებს განა...

IX

* * *

რას გაუგებ... შეიცვალა ხალხი
უცნაურად, ვით ანბანი მორზეს...
გადაწერენ პითაგორას ახლით,
მაგრამ ერთი არ იყოფა ორზე...
მიიზადავს კანონს ნიუტონის
ისევ ლურჯა ცხენები და სრბოლა...
გალა, ლექსში პოეტური ტონით
გააცოცხლე ტრფობის ჰიპერბოლა...

X

* * *

„ნეტავი შვილი მყოლოდა შენგან...“
ძვირფასო გალა რამდენჯერ გითქვამს...
ის მამაკაცი ოცნების, შენ ხარ,
ჩვენს სიყვარულზე სტროფებს რომ რითმავს...
ო, პოეზიის პერიპეტია –
ჩვენი წიგნია ჩვენივე პირმშო...
ვიდრე მოკეთე, მტერი მეტია,
თვალზე დადენილ ცრემლს ლექსით ვიშრობ...

XI

* * *


თავს მოიწონებს Moulin Rouge-ითა
პარიზში ისევ ძველი კაბარე,
სამშობლოს დახსნა მტრის მარყუჟიდან
ისევ ლექსებით გადმოგაბარე...

გული გვკარნახობს გვიხსნის გამჩენი,
ვერვინ წაართმევს ქართველს მეობას...
დროებითია სხვა დანარჩენი,
ამ ცოდვა-მადლის მონაცვლეობა...

XII

* * *

მონატრებული ვარ მუდამ შენზე,
პარიზში მარტო დავხეტილობ...
ზოგჯერ გავივლი აქ პერ-ლაშეზზე...
ღმერთო, დრო წალმა დაატრიალე...
არ გასვენებენ ვალები... ბანკი...
თუმც ნუგეშს ღვთისგან მოველით წინ და
სახლში ტომებით მიცდის ბალზაკი,
სულ მენატრებით შენ და მთანმინდა...



სოფიო ღღონტი

* * *

შემომადნა ზამთრისაგან ნასესხები თოვლი,
დაიგრგვინა გაზაფხულის ნანამებმა ელვამ,
ახლა მინდა, რომ შევიგრძნო დასაბამი ყოვლის,
ახლა მინდა გადამედოს ტალღებისგან ლელვა..
შემოფრინდეს ჩემს სარკმელში მოლულუნე მტრედი,
ანტიკური საოცრება შევიმეცნო მითად,
არ ვირწმუნო დანერილი ბედისწერა, ბედის
უხმაურო ხმაურისგან რომ ავანყო რითმა...
შემომადნა გაზაფხულის ანაცრემლი თრთვილი,
მომენატრა გარიჟრაჟის სიოს ნაზი თრთოლა,
ამ შეუცნობ სანუთროში შუქ-ჩრდილებით ვივლი,
სანამ ქვეყნად ავბედითი აღსასრული მოვა...

იუდას მონოლოგი

ნაიღეთ ვერცხლი, მომაშორეთ თვალთაგან ახლა!
შემჯავრდა ჩემი უმადური მოდგმა და ჯიში!
ვერ ვუძლებ ტკივილს, რაც იმ ღამის სინანულს ახლავს,
ვწყევლი იმ წუთებს, რომ ამ ქვეყნად დაცემით ვიშვი!
მე ვგმობ ჩემს ბაგეს, რადგან უფალს შეჰკადრა კოცნა,
იმავე ბაგემ იცრუა და გაჰყიდა მხსნელი,
რატომ არ გასკდა დედამინა მაშინაც, როცა
30 ვერცხლით რომ ავივსე მემრუშე ხელი!
შენდობას ვერა, ვერ შეგკადრებ უფალო, რადგან
ვერც წმინდა ტრაპეზს შევექეცი კრძალვით და კდემით,
არა ვარ ღირსი, წმინდა მინას მე ფეხს რომ ვადგამ,
დავპატარავდი ერთ ღამეში დავბერდი, ვკვდები...
ვიცი, რომ მერე მათიანეც შემრაცხავს მტრად და
შთამომავლობა გაიხსენებს იუდას კრულვით,

თურმე რამხელა ბოროტების ჩადენა მწადდა,
 სისასტიკეა, მკერდში მიცემს უგვანო გული...
 წაიღეთ ვერცხლი, მომაშორეთ თვალთაგან ამ წამს,
 ასე რომ გაქრა წმიდა სული, ფარფაგა მტრედი,
 ჩემი სიცოცხლე მსურს მივანდო თოქსა და ბანარს,
 სადმე ხეზე მსურს ჩამოვკიდო ჩემივე ბედი...
 წაიღეთ ვერცხლი, წაიღეთ ვერცხლი, წაიღეთ ვერცხლი...

* * *

ლექსი მანვალებს, ქარბუქიან ფიქრებს ამიშლის,
 ვიცი, მშფოთვარე ლამეებიც მაფარებს საბანს,
 მზე რომ ამოვა, აიტაცებს დედა თავის შვილს
 და ცისარტყელა გამოკრთება, როცა პირს დაბანს...
 დედა, მიშველე! ლექსი უნდა ამოვთქვა, თორემ
 ბობოქრობს სევდა, უშობელი კვდება აზრები,
 მდინარე დგება, ხახას იშრობს და ხდება მდორე
 და ლაბირინთში უგზო-უკვლოდ დავიარები...
 ლექსი მანვალებს, ვულკანებად ამოვა მგონი,
 ვიმშობიარებ ამ ცხრა თვეზე ნამწიფებ ვარამს,
 ვიცი, რომ კვლავაც დამიფარავს მაღალი გონი,
 ლექსის სინმინდე ნაცოდვილარ ცხოვრებას ფარავს...
 ლექსი მანვალებს, მას სიმშვიდეც ამოაქვს შფოთიც,
 ვხედავ ბეთჰოვენს ჩამოანვა თითებზე დალლა,
 ნიკალასა და გალაქტიონს შეარქვეს ლოთი,
 მათი სტრიქონი სინანულად დამტირის ახლა...
 ლექსმა მომიხმო, ჩამომიჯდა სანოლზე თავად,
 იქნებ ლექსია, ან მე გავხდი ძალიან ავად?!

* * *

არის დრო შენების, აგრეთვე ნგრევის დრო,
 სიცოცხლის ნაცვლად კი თარეშობს სიკვდილი,
 დანაცრულ სახეზე, ბაგეზე და დიდრონ
 თვალეზზე ნაომარ წუთებთან ჭიდილით...
 მაკლდება სიცოცხლე, იბნევა წამებად,
 სულს მხოლოდ ვინაყრებ ცვრიანი ლირიკით,
 მომბეზრდა ამდენი ტანჯვა და წამება
 სიკეთე რომ ბრუნავს ამოდ, პირიქით...
 არის დრო დუმილის, მაგრამ მე არ ვდუმვარ
 და სულის აფრები ჰკიდებენ არშიებს,

ადამიანი და ქალი მეც თუ ვარ,
 გრძნობები გულს რატომ ძარცვავს და აშიებს?...
 არის დრო, არის დრო და ეს დრო რა არის?
 ეკლესიასტე, სოლომონ არ სცდები,
 ჩვენ დაგვაგინდა შეცნობა მთავარის
 და ჰუმანური, გულწრფელი განცდები...
 არის დრო შენების, აგრეთვე ნგრევის დრო,
 სიცოცხლის ნაცვლად კი თარეშობს სიკვდილი,
 დანაცრულ სახეზე, ბაგეზე და დიდრონ
 თვალებზე ნაომარ წუთებთან ჭიდილით...

მშობას

გთხოვ, მოდი ჩემთან, მარტოობას ვერაფერს ვშველი,
 მოდი და განდობ, პალიტრაზე რაც გსურს, დანერე,
 დღეს უჩვეულოდ გამიავდრდა, ქუჩაა სველი,
 აბდაუბდობა შეეპარა ლექსებს, ნანერებს,
 ოლონდაც მოდი და ფიქრები გამითბე ისევ,
 ამ უბილიკო ბილიკებზე მომკიდე ხელი,
 ჩემს დამშეულ სულს შენს გარეშე ვერაფრით ვივსებ,
 მსურს დავივინყო ტკივილები და სევდა ძველი...
 უნდა მოფრინდე, დღეს წარსულიც მომტაცო უნდა,
 ანმყოც არა მსურს, უშენობით ქრება ფერები,
 უფალმა უწყის, შენს წიაღში ცხოვრება მსურდა,
 მომწონდა სიტყვა, შენი აზრით შენაფერები...



ინბა გობიძარიძე

წერილი შავ ზღვას და მზეს, რომელსაც ისევ მინდა ხელით შევხსო (ჩემო აფხაზეთო – ეძღვნება ნუნუ რეხვიაშვილს!)

...მე აქ ვარ შენთან, ძალიან ახლოს. დავდივარ შენს ლამაზ სანაპიროზე, მარილის მლაშე სურნელს შევიგრძნობ, შენი ფერების მონაცვლეობა მაოცებს... თუმცა, გიყურებ, მაგრამ ფიქრებით სხვაგან ვარ, სოხუმის ზღვის სანაპიროსთან, პალმების შრიალთან ერთად, რომ მაყვარებდა შენს ყველა წვეთს, დღეს რომ ცრემლის წვეთად ქცეულა ჩემთვის და ბევრი ჩემისთანა სოხუმელისათვის... ბათუმში ვსეირნობ, მაგრამ მინდა იქ ვისეირნო, ისევ ისე მომესალმონ იქ და გამიღიმონ, როგორც ოცდახუთი წლის წინ... თითქოს არ ყოფილა ეს განშორება, ჩემო უკიდევანო ზღვის ტალღებო... მინდა ხელით შეგეხო მზეო, სულ სხვანაირი და ჰაერო ტკბილო... რით ვერ დავივინყე შენი სითბო, მზის სხივებო? რატომ წვავს ეს სხივები ასე ჩემს გულს. მაოცებს, სულ უმნიშვნელო განსხვავებაც კი სოხუმისა და ბათუმის სანაპიროებს შორის... არა, თითქოს განსხვავება არც არის, აქაც დაჰქრის ბათუმური შავი ყავის სურნელი, რომელსაც ის დაუფინყარი გემო მოაქვს ჩემთან, მაშინ მხოლოდ ერთადერთ პატარა ტავერნაში რომ მზადდებოდა – შავი, მუგუზალივით და ცხელი ტარტაროზივით ყავა, მაცოხლებელი ჩვენი წარსულისა, დილის საღმისა და დღის სიმშვიდისა.

...როგორ მინდა შევიგრძნო, ჩაგეხუტო, შენს ტალღებში ვილივლივო, შეუცვლელი და ბობოქარი ჩემთვის დღესაც, ზღავაო, შავო და თან ფერადო, მზეო, ჩვენი გულების მკვლელი, როგორ დაგიბრუნო...

მასწავლე ზღვაო!

მასწავლე მზეო!!!

პასკა — ღმერთის საჩუქარი და სულის საზრდო

ჩემმა მეგობარმა სააღდგომოდ პასკა მაჩუქა.

პასკა – ღმერთის საჩუქარი და სულის საზრდო.

ვიცი, ცომს, რომ ზელდა ჩემთვის საყვარელ სიტყვებს ბუტბუტებდა:

ქიშმიშები – ვარსკვლავები,

ყვითელი ჩირი – მთვარის ნატეხები,

სკიჯი – მზის სხივები და პასკა მას, ჩემს მეგობარს სიყვარულით.

პასკა მართლაც ძალიან ლამაზი იყო, ალბათ გემრიელიც, ვანილის სურნელით ავსებული, მზის სხივებით გაჯერებული...

ჩემმა მეგობარმა სააღდგომოდ პასკა მაჩუქა,
 პასკა – ღმერთის საჩუქარი და სულის საზრდო.
 მე კი ეს პასკა არ შევჭამე.
 აფუებული ვარ და ვიფიქრე, ზედმეტი მზის სხივი აღარ მინდა მეთქი და შევინახე განჯინაში,
 იქ სადაც უამრავი ანტიკვარული ნივთი ინახება,
 იქ სადაც იმდენი ისტორიაა, რამდენსაც ჩვენი ფიქრები გასწვდება.
 ვიცოდი, ეს პასკა განჯინაში საკუთარ ისტორიას შექმნიდა
 მიტოვების, არ გაზიარების, ცრუ მოლოდინისა და მარტოობის,
 საშინელი მარტოობის,
 იმ მარტოობის, როცა ღმერთის საჩუქარსაც მიაგდებენ და დაივიწყებენ,
 როცა სულში მზის სხივები ცრემლებად იღვრებიან.
 ჰოდა, მივატოვე თუ არა, იმის მაგივრად, რომ ამსუბუქებულიყო, გამხმარიყო და ამჩატებული-
 ყო, დაჩიავებულიყო და დაპატარავებულიყო,
 თურმე უფრო დამძიმდა, დატკბა და დაშაქრდა...
 და როცა განჯინის კარი რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ შევადე,
 თავად უკვე დასუსტებულმა და ძალაგამოცლილმა,
 თეთრი მინანქარი ოქროსფერი დამხვდა,
 პასკის თითოეული ნამცეცი სავსე სიყვარულით,
 იმ სიყვარულით პირველად რომ ჩააქსოვა ჩემმა მეგობარმა ცომის ზელისას.
 როგორ მეამა...
 ის გადარჩენილიყო...
 ყველა ტანჯვა-წამებისათვის გაეძლო...
 ნელ-ნელა ნამცეც-ნამცეც ვჭამდი, ნება-ნება ვყლაპავდი,
 ვფიქრობდი ჩემს მეგობარზე, რომელმაც სააღდგომოდ პასკა მაჩუქა.
 პასკა – ღმერთის საჩუქარი და სულის საზრდო.
 ვიცი, ცომს, რომ ზელდა ჩემთვის საყვარელ სიტყვებს ბუტბუტებდა:
 ქიშმიშები – ვარსკვლავები,
 ყვითელი ჩირი – მთვარის ნატეხები,
 სკიჯი – მზის სხივები და პასკა მას, ჩემს მეგობარს სიყვარულით.

უნდა შევეჭიდო ზევსს...

უნდა შევეჭიდო ზევსს... სხვა გზა აღარ დამრჩა... უნდა მივეკედლო ღმერთს...
 ცა ცარიელია, წვიმს მაშინ, როცა ზევსს უჭირს ალბათ...
 ელვაც არაა და ქუხს მაშინ, როცა ვიცი, რომ ღმერთი დუმს...
 უნდა მოვეჭიდო ხავსს.
 იქნებ ხავსმა მითხრას, მიწიდან ამოსულს, რა ბედი ეწევა ბალახს.
 რა ბედი ეწევა ვენახს, წითელ თიხას და ქვევრს, ათასწლეულობით შენახულს, ჩემს სატკივარს
 და ბედს.
 უნდა შემინახოს მიწამ...
 უნდა მივეკედლო ღმერთს...

ვთხოვ,
ჩემი მეზობლის პატარას, გამოუგზავნოს აბრა,
გულზე რომ გაიკრას და სამათხოვროდ, იაროს სხვაგან!
აქ არა.
აქ მე ვეჭიდები ხავსს,
აქ მე ვეჭიდები ზევსს,
აქ მე ვეკედლები ღმერთს...
მან კი რა უნდა ქნას, სად წაიღოს ეს სარეკლამო აბრა?
აბრაზე წერია – აქ შიმშილია,
იქ კიდევ ტკივილია, აქ ავადმყოფობა, იქ კიდევ უგულობა,
მე უნდა მივეკედლო ზევსს, რომ მან განაგოს ეს გზა, წყალი, ჰაერი და მთა...
უნდა შევეჭიდო ზევსს... სხვა გზა აღარ დამრჩა... უნდა მივეკედლო ღმერთს...
ცა ცარიელია, მაშინ წვიმს, როცა ზევსს უჭირს ალბათ...
ელვაც არაა და მაშინ ქუხს, როცა ვიცი, რომ ღმერთი დუმს... დუმს... დუმს...
ზეცის ქალღმერთი ვარ, ჰერა... ჰაჰაჰა... ჰაჰაჰაჰა.
ზეცის მბრძანებელი ზევსიც.
მომავლის დანახვის ნატვრაც,
ზევსის შექმნილი ჩემთვის ბედით,
გუშინ რომ ქუხილით მაცნობა ცამ.
სიზმრებში დავიკარგე, არნივმა მომიტაცა და სადღაც გადამკარგა კვლავ... ჰა ჰა ჰა ჰა.
იქ, სადაც მინა ცას უერთდება, ვერავინ ვერ ხედავს, ვერ აწვდენს თვალს,
იქ მე ვარ... ზევსი... ღმერთი და შენც მყავხარ ალბათ. ვერავინ ვერ გვანვდენს მაინც თვალს...
იქ ზევსი აკონტროლებს წესებს და ადათებს, ის იცავს ყველაფერს აქაც.
აქ კი, სარეკლამო აბრა, ზედ რომ აწერია – „შიმშილი“, ზღვის ტალღებს მიაქვს სხვაგან... მიაქვს
და მოაქვს...
მიაქვს და მოაქვს... სხვაგან...
უნდა შევეჭიდო ზევსს...
სხვა გზა აღარ დამრჩა...
უნდა მივეკედლო ღმერთს!
ცა ცარიელია, მაშინ წვიმს, როცა ზევსს უჭირს ალბათ...
ელვაც არაა და მაშინ ქუხს, როცა ვიცი, რომ ღმერთი დუმს... დუმს... დუმს!

ფრიდა

...დღეს, ვილაცამ ფრიდა ახსენა და მოულოდნელად ხერხემალში რკინის ხელსაჭიდის მიღმა გა-
მიარა.

...დღეს, ვილაცამ ფრიდა ახსენა და ვიგრძენი, ერთი ფეხი ჩემი მოკლე იყო უფრო, ვიდრე მეორე.
...დღეს ვილაცამ ფრიდა ახსენა, ფრიდა კალო და სურვილი გამიჩნდა ტკივილის შეგრძნების მო-
შორების, მაგრამ ამაოდ...

მე ხომ ფრიდა არ ვიყავი... ფრიდა კალო...

ფრიდამ ტკივილები, ფოცხვერისა და მაიმუნის გულში გადამალა, მაგრამ ის ფრიდა იყო და ამი-
ტომ, მისი ტკივილები ჩიტის გულში გადაფრინდა.

...ჩიტის გულმა ვერ დაიტია ტკივილი მისი, გარეთ გამოვიდა ყელზე შემოეჭდო...

ფრიდა კალო...

მოკლედ, დღეს, ვილაცამ ფრიდა ახსენა და მოულოდნელად ხერხემალში რკინის ხელსაჭიდის მიღმა გამიარა.

აღმბსი

...აღმასი, რომელიც მას მოვპარე ცხრა მთას უნდა გადავატარო. ცხრა მდინარე უნდა გადავცურო, ცხრა ცხრაკლიტული უნდა შევალო და შევინახო, გადავმალო...

– სსსსსსსს, მომდევენ ისინი.

– შშშშშშ, შრიალებენ ფოთლები.

ფრთხილად. ძალიან ფრთხილად უნდა ვიარო... იმის გამო, რომ მათ არ ესმით, უფრო მძაფრი სმენა აქვთ... იმის გამო რომ ვერ ხედავენ, უფრო მეტს გრძნობენ... სსსსსსსს აურაცხელი ვნება იფრქვევა გარშემო... სიარულიდან სირბილზე გადავდივარ... მივრბივარ... თითქოს მთელი ქვეყანა უკან მომდევს და მაინც მარტო ვარ. უკვე მინდა დავუბრუნო, უკან გადავუგდო, როგორც წიქარას სავარცხელი, მაგრამ ხელებზე მეკვრება ცეცხლის ალივით... მწვავს... მდაგავს და მფიტავს... შიშით უეცრად შორიდან მიახლოვდება. გულის ძაფზე ვკიდებ აღმასს და სხეულზე თოკებად ვიმაგრებ... სსსსსსსს, მომდევენ ისინი.

– შშშშშშ, შრიალებენ ფოთლები.

სვლას ვუკლებ... რამდენიმე კლდე გადაულახავი მეჩვენება, მაგრამ ეს აღმასი მაძლევს ძალას... როგორ ანათებს!!! როგორ ბრწყინავს!!!

ნუთუ ვერ შევძლებ? შევძლებ!!! მზის სხივებმა დამხედა და ჩემმა აღმასმა სხვადსხვა ფერებით დაიწყო ნათება... მიპოვიან... ალბათ მალე მიპოვიან, მაგრამ ამას მაინც ვერ დავთმოვ.

ბრწყინავს!

...აღმასი, რომელიც მას მოვპარე ცხრა მთას უნდა გადავატარო, ცხრა მდინარე უნდა გადავცურო, ცხრა ცხრაკლიტული უნდა შევალო და შევინახო, გადავმალო...

– სსსსსსსს, მომდევენ ისინი.

– შშშშშშ, შრიალებენ ფოთლები.

ლოლას

თვალს ვერ გაშორებ, როგორ ცეკვავ ბრაზილურ ტანგოს და შენი ტანი ისე ირხევა, როგორც ვერხვის ფოთოლი – ლოლა.

თვალს ვერ გაშორებ როგორ კვებავ პატარ ჩიტებს, ყვავის ნაშიერთ, ცაში უშვებ ტკივილისა და სევდის საკრეფად – ლოლა.

თვალს ვერ გაშორებ ათას ქალში. უცხო კაბაში, მთვარის ნათელშიც ამივიცნობ შენი თმების უცხო სურნელს – ლოლა.

შენი ხელის ყველა მოძრაობაზე ჩემი გულის რხევის ხმა მესმის – ლოლა.

თვალს ვერ გაშორებ როგორ იშორებ შენი ზურგიდან სიყვარულის ნაფლეთებს – ლოლა.

თვალს ვერ გაშორებ, რომ თან წავილო, იმ სიმღერების და ცეკვის რიტმი თან რომ გსდევს მუდამ, როგორც აჩრდილი – ლოლა.

თვალს ვერ გამოვრებ, ვერც მოგაშორებ რომ სიყვარული მალულად თქმული შენთან დარჩეს, გაიფურჩქნოს და აყვავილდეს – ლოლა.

ლოლა – კვლავ ცეკვავს ტანგოს ბრაზილიურს!

ლოლა – კვლავ მღერის სიმღერას ვნებიანს, არა ბრაზილიურს!

ლოლა – კვლავ ელის სიყვარულს არაამქვეყნიურს!

ალურა აყვავდა, მამა!

...მამა-პაპისეული სახლი დაბლობში იდგა, ჩვენი ალურის უზარმაზარი ხე კი შემაღლებაზე, ეზოს რკალად რომ გასდევდა. მთელი ბაშვობა ეს ალურის ხე იყო ჯადოსნური წერტილი – ხის უკან ვიმალებოდით, იქ ვთამაშობდით, იქ ვსწავლობდით და იქ ვუცქერდით მამას, რომელიც მოწითალო-მოყავისფრო მიწისაგან ულამაზესს და უძვირფასეს თიხის ნივთებს აკეთებდა... სულიერ სიმშვიდეს მხოლოდ ამ ალურის აფეთქებული, ულამაზესი და უნაზესი ყვავილების ცქერა ანიჭებდა... ჩვენც ვერაფერს ვხედავდით მის გარდა – მხოლოდ მამის მობზრიალე ხელებს და ალურის აფეთქებულ ყვავილებს. თიხის ჯამები, დოქები, ქვევრები რომ გამოიფინებოდა გასაშრობად, მაშინ ხომ მონუსხულები მზეზე თვალს ვერ ვაშორებდით ვერცერთს და ვფიქრობდით, რომელი უფრო ძვირფასი იყო ამ ქვეყანაზე – ალურის აფეთქებული ყვავილები, თიხის ნივთები, თუ მამის ხელები...

...უეცრად ცხოვრებაში მოფრენილმა ქარიშხალმა მამა წაგვართვა, თიხის ჯამები დაამსხვრია, ალურის უზარმაზარი ხე ფესვებიანად მოგლიჯა... ვერავინ გაბედა იმ ალურის ხის დაჩეხვა. იყო მიტოვებული... მიუსაფარი...

...მაგრამ ამ გაზაფხულზე მამა, უეცრად ალურა აყვავდა!!!

...ჩვენი ალურა აყვავდა და ულამაზესი ყვავილებით დაიფარა...

...ალურა კვლავ აყვავდა, მამა!

...ჰო, ის ალურა აყვავდა ჩვენი მამა-პაპისეული სახლის დაბლობში რომ იყო მიუსაფარი და მიტოვებული. ახლაც იმაზე ვფიქრობ, რომელი უფრო ძვირფასია ამ ქვეყანაზე-ალურის აფეთქებული ყვავილები, თიხის ნივთები, თუ მამის ხელები.



ირინა პიქაბარიძე

პარიზი

...შენ არასდროს გიოცნებია პარიზში წასვლაზე ეიფელის გამო...

გერჩინა ამ ლამაზი ქალაქის მყუდრო და მივარდნილ კაფეში მჯდარიყავი, სადმე ახლოს ფანჯარასთან, ერთი ფინჯანი ყავით და ნამდვილი, ფრანგული კრუასანით...

გარეთ წვიმა წამოსულიყო და შენ ღიმილმორეულს გეყურებინა, როგორ გარბიან წვიმაში შეყვარებულები, თავზე ქურთუქმოფარებული და ჩახუტებული... მჯდარიყავი კაფეში, ნელ-ნელა გესვა ცხელი ყავა და გცოდნოდა, რომ სადაც ახლოს, პატარა, ლამაზი ქუჩის ძველ და მყუდრო სახლში, ცხოვრობს ადამიანი, რომელიც წერს თავის ერთადერთ წიგნს, რომლის მთავარი გმირი ხარ და ამ წიგნს შენი სახელი ერქმევა...

...მერე ამდგარიყავი, ლამაზი ფრანგული აქცენტით და ღიმილით მადლობა გადაგეხადა მიმტანისთვის, გასულიყავი ამ თავსხმა წვიმაში და გველო პარიზის ძველ ქუჩებში, თხელი საზაფხულო ფეხსაცმლით, დაგსველებოდა კაბის ბოლოები... მერე დაგეკეცა ქოლგა, გაგეშალა ხელები და სახე წვიმისთვის მიგეშვირა, გერბინა წყლის გუბებში ისე, როგორც ბავშვობაში, გერბინა იმ სახლამდე, სადაც ის ერთადერთი ადამიანი გეგულებოდა, რომელიც შენი ოცნების ნაწილი იყო, მთავარი ნაწილი... ასე სველს აგერბინა კიბეები და მის კარებზე გაუბედავად დაგეკაკუნებინა, მერე მისი გაოცებული თვალების დანახვაზე გაგლიმებოდა და ნაბიჯი ვერ გადაგედგა... მას კი ეთქვა: – „ჩემო სულელო გოგო“...

მზესუმზირები

მეგობართან ხარ. სვამ და დროგამოშვებით მწერ ტელეფონზე. მე გთხოვ, რომ მალე მოხვიდე. შენ მპირდები, მაგრამ არ მოდიხარ. შენი წერილები სულ უფრო იშვიათდება და გირეკავ. ტელეფონი გამორთული გაქვს. ბრაზი, შიში, ეჭვიანობა, – ყველაფერი ერთად მემართება. ვიცვამ ტანზე და შუალამისას გავდივარ ქუჩაში, იქნებ სადმე შემხვდე... არ ვიცი საით წავიდე... თან მეშინია მარტო ვარ... ვილაც ქალს და კაცს ვხედავ და ცოტას ვმშვიდდები, მიახლოვდებიან.

– შვილო დახმარება ხომ არ გჭირდება? – ალბათ სახეზე მატყობენ ნერვიულობას.

– არა, გამადლობთ-მეთქი, – ვუღიმი მადლიერად.

არსად მიდიან.

– ქმარს ელოდები? – მეკითხება მამაკაცი და ცნობისმოყვარედ მიყურებს...

– კი, ქმარს (ისე დამაჯერებლად ვთქვი, რომ თვითონაც დავიჯერე)... ნასვამია და ტელეფონიც გამორთული აქვს, – ვეუბნები და იქეთ-აქეთ ვიხედები, იქნებ გამოჩნდე.

– ნუ გეშინია შვილო, რაც არ უნდა მთვრალი იყოს, სახლს მაინც მოაგნებს... თუ უყვარს. – მეუბნება და ჯიბიდან სიგარეტს იღებს...

– ელო, ჩვენ ხომ არსად გვეჩქარება? – ეკითხება ცოლს.

– არა ბორიკო, – ეუბნება ისიც და ხელკავს უკეთებს...

– ჰოდა, დაველოდოთ მაშინ იმ კაცს ჩვენც... – ამბობს და იქვე ახლოს, სკამისკენ მიდის...

– მოდი, ბიძიკო, აგერ ჩამოჯექი, მოვა ის შენი ნერვიულობის მიზეზი, სად წავა აბა?!...

მივდივარ და მორჩილად ვჯდები...

გადის ათიოდე წუთი და შენს გამხდარ სილუეტს ვხედავ. ნაბიჯი ოდნავ გერევა. ხელში ლუდის ბოთლი გიჭირავს. ვდგები და შენსკენ მოვდივარ. შენ გაოცებას ვერ მალავ.

– აქ რა გინდა ბუსუნა? – მეკითხები და სახეზე მკოცნი. არაფერს გეუბნები. შენ ხელს მხვევ მხარზე და თმაზე მეფერები. სიგარეტის და დასალევის სუნი გაქვს. ის ასაკოვანი ცოლ-ქმარი ჩვენსკენ მოდის.

– რა ქენი ბიძიკო, კარგად მოილხინე? – გეკითხება მამაკაცი და ხელს გინვდის გამარჯობის სათქმელად. შენ ხელს ართმევ და – უჰ, გადასარევადო ეუბნები... მერე ცოტა გიკვირს, ვინ არიანო... მე გიხსნი, რომ მარტო არ დამტოვეს და შენ ათას მადლობას უხდი ორივეს. მერე სახლში ეპატიჟები. გვიანო და არაფრით გთანხმდებიან. შენ პირობას ადებინებ, რომ ხვალ

გვესტუმრებიან აუცილებლად. სალამოს, ვახშამზე. ამაზე თანხმდებიან და შენც კმაყოფილი ხარ. მერე თბილად ვემშვიდობებით და ჩვენ მოვდივართ ჩვენს სახლში... შენ მეუბნები, რომ მე საშინელი გოგო ვარ და საერთოდ არ გიყვარვარ. მიყურებ თვალეში და ორივე ხელს მკიდებ ლოყებზე. მკოცნი ტუჩებზე, თვალეზე... მე გეუბნები, რომ ძალიან შემაშინე...

– კაი, გაჩუმდი... – ამბობ და ტუჩებზე ხელს მაფარებ. მე თითებზე გკოცნი. გიხარშავ ყავას. შენ სიგარეტს იღებ და უკიდებ. ეწევი. მე გიყურებ. ვუყურებ შენს გამხდარ თითებს, მაჯებს... ასე ძალიან რომ მიყვარს.

დგები. ფირფიტას იღებ და პიაფს რთავ.

„Sous le ciel de Paris“.

მიყვარს პიაფი.

მოდინარ, ხელს მინვდი. ვდგები. თავს გადავებ მხარზე და ვცეკვავთ. არა, კი არ ვცეკვავთ, უფრო მუსიკას ვყვებით.

– მინდა შვილი გვყავდეს, – მეუბნები და ხელეებს მხვევ, ისე მაგრად მიხუტებ, სუნთქვა მიჭირს.

ჩვენს ლურჯ ოთახს ისე უხდებიან მზესუმზირები...

შენ ზღვის და ზამთრის სუნი გაქვს...

წვიმს...

წერილი ტომს

დღესაც წვიმდა ტომ.

შენ რომ დატოვე, ის ბათინკები ჩავიცვი, მერე რა მოხდა, თუ სამი ზომით დიდია, თასმები მაგრად მოვუჭირე და მორჩა! და არც ერთი გუბე არ დამიტოვებია, ყველაში გავტოპე.

ჰო, სულ გავილუმპე და თმებიდანაც წურწკურით მომდიოდა წვიმა (ვიცი ასეთ სიტყვებზე გეცინება და ხან მაგიტომაც ვიგონებ ხოლმე).

მართალია, შენ აქ აღარ ხარ, მაგრამ ჩვენს ჩვევას, გუბეების დალაშქრვის, ხომ არ მოვიშლი?!

იცი როგორ მიყურებდნენ ეს „დიდები“? ალბათ ფიქრობდნენ, ვინ არის ეს შტერიო, მე კიდე

მეცინებოდა, ასე ძალიან რომ უნდოდათ „დიდობა“. რა იციან, პატარა რომ ხარ, როგორი კარგია! რამდენი სისულელის გაკეთება შეგიძლია... ესენი კიდევე სულ სერიოზულები არიან...

მართალია წვიმაში ბამბის ვარდისფერი ნაყინი არ იყიდება, მაგრამ შოკოლადის ნაყინი ვიყიდე და მარტომ ვჭამე... გახსოვს, სულ რომ ვიყოფდით? ახლა სულ მე დამრჩა... შოკოლადის კარაქიც... ჟოლოს მურაბაც... ქილიდან რომ ვჭამდით ყოველთვის... აღარ მიყვარს ძველებურად...

წვიმამ გადაილო.

ცისარტყელაც დავინახე... ოღონდ მერვე ფერი აკლდა... მე და შენ რომ გამოვიგონეთ, აი ის.

შენი ისედაც დიდი ბათინკები სულ დამძიმდა და ძლივს მოვათრევედი ფეხებს.

როგორც იქნა მივალწიე სახლამდე.

ახლა ვზივარ და ვფიქრობ.

რა მოსაწყენი იქნებოდა ყველაფერი უშენოდ... ჩემი მხიარული ტომის გარეშე... კეპი რომ ახურავს და სულ რომ იცინის...

ამ წერილს ფოსტით გიგზავნი, ხომ იცი, როგორ მიყვარს ნამდვილი წერილების წერა?!...

ვიცი, სადმე სახურავზე აძვრები და იქ წაიკითხავ...

მერე შენი ბატიფეხურით (იცინე, ხომ, იცინე) ნანერ წერილს გამომიგზავნი, სადაც მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერება: „ჩვენყველაზეკაიტიპებიც“..... მიყვარხარ.

მუდამ შენი პეპილოტა.

პეპი

ჰოდა... ზის პეპი სახლის სახურავზე, სახეზე ისეთი ყვითელი ჭორფლები აყრია, გეგონება ვილაცამ ყვითელი ფლომასტერით მიახატაო.

გვერდით ყვითელი ფორთოხლებით სავსე პარკი უდევს... ტომს ელოდება... ჰოო, ტომს, ტომ სოიერს... სულ ახლახანს გაიცნო, ერთი შტერი ბიჭია, სულ იცინის და ათას სისულელეზე ლაპარაკობს...

პეპის ისე უყვარს სახურავზე ტომთან ერთად ყოფნა და ქალაქის ყურება, განსაკუთრებით

როცა ლამდება და ფანჯრებში ციციანათელებით ინთებიან სინათლეები...

ხანდახან ქარს ყვავილების სუნი მოაქვს და მაშინ ორივე თვალს ხუჭავს და ასე გაჩუმებული სხედან და დიდ მწვანე მინდორში ჰგონიათ თავი...

ტომი დღესაც მოიტანს ვარდისფერ ბამბის ნაყინს...

პეპის ძალიან უყვარს ბამბის ნაყინი, ყვითელი ფორთოხლები და უნდა, რომ ის და ტომი არასდროს გახდნენ დიდები...

სახლამდე არც ისე შორია

შავი, მუხლამდე პალტო აცვია.

ხელები ჯიბეებში ჩაუნყვია და მოაბიჯებს თავდახრილი.

არავის უყურებს.

მარტოა თავისთავთან და თითქოს არც არავისთან შეხვედრა უნდა ახლა.

თითქმის დაღამდა.

სულ ცოტაც და ქუჩის ფარნები აინთებიან.

ჯიბიდან ტელეფონს იღებს და რეკავს. ელოდება. ელოდება.

მერე ისევ ჯიბეში აბრუნებს ტელეფონს და იქვე ქუჩის სკამზე ჯდება.

პალტოს იხსნის. სიგარეტს იღებს და ჯიბეში სანთებელას ძებნას იწყებს.

ვერ პოულობს და გამვლელ ბიჭს სთხოვს.

მერე თავს უკრავს მადლობის ნიშნად და თავის ადგილს უბრუნდება.

არსად ეჩქარება.

არც გამვლელებს უყურებს. ზის თავისთვის და ეწევა.

რამდენიმე წუთში დგება და იქვე მაღაზიაში შედის. ორ ბოთლ ლუდს ყიდულობს, გამყიდველს გახსნას სთხოვს.

ერთ ბოთლს იმ წვერიან მამაკაცს აძლევს, მაღაზიის კართან რომ დგას და მოწყალებას ითხოვს.

კაცს ელიმება და მადლობას უხდის. ხელის აწევით ემშვიდობება და მიდის.

სახლამდე არც ისე შორია.

კიბე ძველია და გრძელი.

ძალიანაც რომ მოინდომო, ჩუმად ვერ აივლი. არც უცდია.
 ნელი და დინჯი ნაბიჯით აუყვანა.
 ახლა მხოლოდ ერთ რამეს ნატრობს, დედას ეძინოს.
 ლაპარაკის თავი არ აქვს.
 დედა კი აუცილებლად ჰკითხავს როგორ არის. დღეს ძალიან ეზარება ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.
 ხვალ, ხვალ შეეკითხოს.
 კარს ჩუმად აღებს და პალტოს იხდის. სახლში ყავის და დარიჩინის სუნია.
 დედას უყვარს დარიჩინიანი ყავა.
 სამზარეულოში შედის და მაცივრიდან წყლიან გრაფინს იღებს.
 ბავშვობიდან, ზამთარშიც კი მაცივრის წყალს სვამს.
 მაგიდაზე ტილოგადაფარებული ვახშამია დატოვებული.

შუქს აქრობს და თავისი საძინებლისკენ მიდის.
 – დე... – ესმის მშობლების საძინებლიდან. კარი ოდნავ ღიად დაუტოვებიათ.
 – მოვედი... – ამბობს ხმადაბლა.
 – გინდა ავდგე და ჩაი გაგიკეთო?
 – არა... დილით დავლევ.
 – კარგი, დაიძინე...
 – ჰო... ძილინების...
 – დე... დღეს პატარა ბიჭი მოვიდა, ძალიან ლამაზ თევზებს ყიდდა, ჩემია, ძალიან მიყვარს, მაგრამ ფული მჭირდებაო... მამაშენმა სულ გაატანა ის ფული, შენ რომ წამლისთვის დატოვე... თევზებიც...
 ელიმება.
 დედას შუბლზე კოცნის და ოთახიდან გადის. ლოგინზე გაუხდელად წვება,
 შორიდან, პალტოს ჯიბეში ჩატოვებული ტელეფონის ხმა ისმის...

კაბრომლი

ზაფხულის ხვატია.
 მზე როგორც იქნა ჩემს აივანს მოსცილდა და მეც ვზივარ იატაკზე დაფენილ ჭრელ ბალიშებზე. ეს ბალიშები კაიროდან ჩამოვიტანე, იქაური ბედნიერება ჩამოჰყვანა და მიყვარს...
 ვზივარ, ვენევი და ჟასმინის ცივ ჩაის ვწრუპავ. აივანი სავსეა ქოთნის ყვავილებით. ამდენი სხვადასხვა მცენარის სუნი ასეთ სიცხეში, ერთ ველურ, ტკბილ-მწარე არომატს აფრქვევს.
 მიყვარს ჩემი სახლი.

 კარის ხმა ისმის.
 აივანზე გამოდის. გვერდით მიჯდება. მერე თავს კალთაში მიდებს.
 სიგარეტს მართმევს და ეწევა. მიყვარს ამას რომ აკეთებს. ისიც მიყვარს, ერთი ჭიქით რომ ვსვამთ ყავას... ჩაის...
 მისი მაისურების ჩაცმაც მიყვარს, მერე რა, რომ მკერდზე ოდნავ მიჭერს და ინელება... ამა-

ზე არასდროს მიბრაზდება და საერთოდ ძალიან იშვიათად ვჩხუბობთ.
 – გშია? – ვეკითხები.
 – კი.
 ვდგებით და სამზარეულოში გავდივართ. მაცივრიდან სალათს ვიღებ, ცივ ატმის კომპოტს და დესერტად მურაბიან ბლინებს.
 გემრიელად ჭამს. ვზივარ და ვუყურებ.
 – სამსახურიდან წამოვედი, – ამბობს დაბალ ხმაზე და ისე მიყურებს, თითქოს საყვედურს ელოდება ჩემგან.
 – ძალიანაც კარგი, – ვეუბნები და თითებს თმაში ვუცურებ, – სანამ ახალს იპოვი, ჩემთვის მეტი დრო გექნება.
 ელიმება და ხელისგულზე მკოცნის.
 – მოდი, დაგხატავ... – ვეუბნები.
 – დამხატავ? არასდროს გითქვამს...
 – ახლა გეუბნები.
 – კარგი, – ამბობს და ეცინება.

ჩემი სტუდია სახლთან ახლოს არის. რამდენიმე წუთში იქ ვართ. კარს ვაღებ თუ არა, საღებავების სუნი გვცემს. სახლისგან განსხვავებით აქ მუდმივად ქაოსია, ისევე როგორც ჩემს თავში.

წინსაფარს ვიკეთებ და მოლბერტს ვამზადებ.

– სად დავჯდები? – მეკითხება და აქეთ-იქეთ იხედება.

– სადაც მოხერხებულად იგრძნობ თავს.

კუთხეში მიდგმულ ხის ყუთს აჩოჩებს და ჯდება.

.....

ერთი წლის წინ კაიროში გავემგზავრე. პლენერზე. თვითმფრინავში მოვკალათდი, ყურასამენები გავიკეთე და მუსიკა ჩავრთე. რამდენიმე წუთში მოვიდა და გვერდით მომიჯდა. ცნობისმოყვარეობის გამო გავხედე. ეგზოტიკური გარეგნობა ჰქონდა. ჩემდაუნებურად გავუღიმიე. მგონი არ ელოდა და თვითონაც დაბნეულად გამოიღიმა.

ისე ვიფრინეთ ხმა არ გაგვიცია ერთმანეთისთვის. ის ნოუთბუქში რალაცას წერდა. მე მუსიკებს ვუსმენდი და ცოტა ხანს ჩამთვლიმა კიდეც.

ჩავფრინდით თუ არა, ჩანთა ავიღე და აეროპორტის გასასვლელისკენ წავედი.

გასასვლელთან დამხვდა. – თქვენ გელოდებოდითო. ჩანთა გამომართვა.

– თუ მომცემთ ნებას, მე მიგიყვანთ სასტუმრომდე. ჩემი მანქანა აქვე, აეროპორტის სადგომზე მყავს დატოვებული.

წინააღმდეგობა არ გამინევიან, რატომღაც ვენდე და არანაირი შიშის გრძნობაც არ გამჩენია, არადა, იშვიათად რომ, უცნობ ადამიანს ასე თვალდახუჭული ვენდო.

სასტუმროში მიმიყვანა. ნომრამდე ამაცილა და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

მერე იყო ორი ულამაზესი, ეგვიპტური კვირა. ნოელი ჰქვია. მე ჩვენებურად ნოეს ვეძახი.

.....

– რამდენ ხანს უნდა ვიყო ასე გაუნძრევლად? – მეკითხება და იღიმის. როცა იღიმის ისეთი ბავშვური და თბილი უხდება თვალები, რომ ჩახუტება მინდება.

– რამდენსაც გაძლებ. გპირდები, როგორც კი დაილღები, დაგასვენებ.

– კარგი... მოდი რამეს წავიკითხავ ხმამალა, – მეუბნება და წიგნების თაროსკენ მიდის... – მოემის „თეატრი“ – არა, თვითონვე პასუხობს საკუთარ თავს და წიგნს უკან, თაროზე აბრუნებს... შექსპირის „სონეტები“, აი, ეს კარგია! – ამბობს და კმაყოფილი თავის ადგილს უბრუნდება.

.....

ფირუზისფერი, თხელი პერანგი აცვია, ღილები თითქმის ბოლომდე აქვს შეხსნილი და ხორბლისფერი სხეული მოუჩანს. ფეხშიშველად და შარვლის ბოლოები აკეცილი აქვს. მუქი ყავისფერი, ტეხილი თმა კისრამდე სწვდება. შავი თვალებით და თხელი, კობტად შეკრეჭილი წვერით ნამდვილი კაიროელია.

.....

„სადა ხარ, მუზავ, ამდენი ხნით რამ დაგამუნჯა, რატომ დასტოვე უმღერალი შენი სახატე?!“

ვაი თუ, ნამდვილ ტრფიალებას იგდებ აბუჩად, და ვინმე უღირსს გატაცებით შენც

შეჰლალადებ!...“

.....

თითქმის ერთი საათი გადის. არ წუნუნებს. წიგნის კითხვით დაილალა და შეეშვა. მე მოვასწარი ჩანახატის გაკეთება.

მისი ტელეფონი რეკავს.

სტუდიიდან გადის. მე მაცივრიდან წყალს ვიღებ და ერთ ჭიქას ერთი ამოსუნთქვით ვსვამ. ამ ბოლოს წყურვილის გამძაფრებული გრძნობა მაქვს, თუმცა რა გასაკვირია, ისე ცხელა...

შემოდის, მეხუტება, მერე ორივე ხელს მკიდებს სახეზე, ტუჩებს მიბუშტავს და მკოცნის.

– კონიაში მივდივართ! – ამბობს და თვალებში მიყურებს...

იცის! იცის, რომ ჩემი ბევრი წლის ოცნებაა მევლანას საფლავის ნახვა!! მთელი ხმით ვკივი, ვეხუტები, ვკოცნი...

ბავშვებივით გვიხარია...

ორ დღეში მივფრინავთ.

ჯერ სტამბოლი. მერე კონია.

სასტუმროში ღამით მივდივართ.

ხვალ ოცნებას ავიხდენ.
თუმცა მანამდე სულ სხვა, სულ სხვა, მთავარ
და ყველაზე დიდ ბედნიერებაზე უნდა ვუთხრა...

ჩემში რომ ცოცხლობს, უკვე ნამცეცა გული
რომ უფეთქავს და აუცილებლად რომ ექნება
კაიროელის შავი თვალები...

პოეტი

შორიდან გიყურებ როგორ წერ... სიგარეტით
ხელში...

დანერ...

მონევ...

დანერ...

მონევ...

ან პირიქით.

ეს წვერიც რალაცნაირს გხდის... მამაკაცურ-
რს. ხან ისეთი სერიოზული ხარ, შენს ასაკში
ექვნი მეპარება, მაგრამ ერთი გაღიმება და საოც-
რად სხვანაირი ხდები, ბავშვური, თბილი.

მე ყველანაირი მომწონხარ.

მომწონხარ სასმელის და თამბაქოს სუნინანი.

მომწონხარ როცა შენივე ლექსს კითხულობ,
შენებური მანერით.

გიყურებ...

შორიდან...

არ იცი რომ გიყურებ.

შენ უბრალოდ წერ...

გიყურებ და მეღიმება სიამოვნებისგან, რომ
ახლოს ხარ.

რალაც დროის მერე მამჩნევ და მანიშნებ,
რომ შენთან მოვიდე.

მე კალთაში გიჯდები და კისერში გეხუტები.

საოცარი სუნი გაქვს.

გაიზარდე თმა... რომ ხელი შეგიცურო და ხან
ცხვირი ჩავრგო.

საფეთქლებს გიკოცნი... თვალებს, სიცილის-
გან რომ გეჭუტება.

– გინდა ჩაი გაგიკეთო?

არ მიშვებ...

– მაშინ შოკოლადები ვჭამოთ.

შენ მწარე შოკოლადი გიყვარს.

მე ყველაფერი ის, რაც შენ.

მიყვარხარ.

გკოცნი ჩემი შოკოლადიანი ტუჩებით შენს
შოკოლადიან ტუჩებზე...

ამბობ, რომ გემრიელი ვარ.

მე ვამბობ, რომ შენ ამის გარეშეც ხარ გემ-
რიელი.

გარეთ ისევ წვიმა ნამოვიდა...

ვდგები და ფანჯარას ვხურავ.

მალე დალამდება.

მოდინარ და ზურგზე მეხუტები, თვალებს
ვხუჭავ და ვიტრუნები...

– ნამაკითხე შენი ნაწერები.

ამბობ, რომ ჯერ ადრეა... ჯერ უნდა მორჩე
წერას და მერე...

– მე ვიქნები შენს წიგნში? – გეკითხები და
მეცინება.

– შენ არა... შენ ჩემთან იქნები.

მინდა მჯეროდეს...

ვიჯერებ.

გიჯერებ.

– ჩემო თოჯინა... – მეუბნები და უფრო მა-
გრად მიხუტებ.

მიყვარხარ. შორიდან გიყურებ როგორ წერ...
სიგარეტით ხელში...

დანერ...

მონევ...

დანერ...

მონევ...

ან პირიქით...

ეს წვერიც რალაცნაირს გხდის... მამაკაცურ-
რს... ხან ისეთი სერიოზული ხარ, შენს ასაკში
ექვნი მეპარება... მაგრამ ერთი გაღიმება და სა-
ოცრად სხვანაირი ხდები... ბავშვური, თბილი...

მე ყველანაირი მომწონხარ...

მომწონხარ სასმელის და თამბაქოს სუნია-
ნი...

მომნონსარ როცა შენივე ლექსს კითხულობ,
შენებური მანერით...

გიყურებ...

შორიდან...

არ იცი რომ გიყურებ...

შენ უბრალოდ წერ...

გიყურებ და მელიმება სიამოვნებისგან, რომ
ახლოს ხარ...

რალაც დროის მერე მამჩნევ და მანიშნებ,
რომ შენთან მოვიდე...

მე კალთაში გიჯდები და კისერში გეხუტები...

საოცარი სუნი გაქვს...

გაიზარდე თმა... რომ ხელი შეგიცურო და ხან
ცხვირი ჩავრგო...

საფეთქლებს გიკოცნი... თვალებს, სიცილის-
გან რომ გეჭუტება...

გინდა ჩაი გაგიკეთო?

არ მიშვებ...

მაშინ შოკოლადები ვჭამოთ...

შენ მნარე შოკოლადი გიყვარს...

მე ყველაფერი ის, რაც შენ...

მიყვარხარ...

გკოცნი ჩემი შოკოლადიანი ტუჩებით შენს
შოკოლადიან ტუჩებზე...

ამბობ, რომ გემრიელი ვარ...

მე ვამბობ, რომ შენ ამის გარეშეც ხარ გემ-
რიელი...

გარეთ ისევ წვიმა წამოვიდა...

ვდგები და ფანჯარას ვხურავ...

მალე დალამდება...

მოდხარ და ზურგზე მეხუტები... თვალებს
ვხუჭავ და ვიტრუნები...

– წამაკითხე შენი ნაწერები...

ამბობ, რომ ჯერ ადრეა... ჯერ უნდა მორჩე
წერას და მერე...

– მე ვიქნები შენს წიგნში? – გეკითხები და
მეცილება.

– შენ არა... შენ ჩემთან იქნები...

მინდა მჯეროდეს...

ვიჯერებ...

გიჯერებ...

– ჩემო თოჯინა... მეუბნები და უფრო მაგრად
მიხუტებ...

ბლუზი

ძილისნინ ნაცარმიყრილ ნაკვერჩხალს ჰგავს
ახლა ჩემი სიყვარული...

გაიღვიძე...

გადამაცალე ეს ნაცარი და სული შემიბერე, –
სანამ მთლად არ ჩავქრი...

გამაღვივე...

და გაითბე გაყინული ხელები...

ნუ გეშინია... ახლოს მოდი...

ის ერთი ბოთლი სასმელიც ჩამოიღე ბუხრის
თავიდან, გუშინ რომ აღარ დალიე...

რა ჭიქა?... ჯანდაბას ჭიქა და ეტიკეტები!
როცა ხელები ასე გაყინული გაქვს...

დალიე, რომ სისხლი იგრძნო კაპილარებში...

შენს სუსტ მაჯებში...

ქალაქისფერ თითებში...

ჩართე ძველი ფირფიტებიანი რადიოლა...

ბლუზი ჩართე...

დახუჭე თვალები და უსმინე ჩემს ხმას...

ჩემს ხმას და მუსიკას...

დახუჭე თვალები და გათბი...

„BLUES IN MY SOUL...“



სადოჰა კუკუბუძე

* * *

აზრში უაზრობის გაჩნდა მოსაზრება.
იდეაში იყო რალაც დიდებული.
და სასწაულებიც ისე გაინირნენ,
ვერმოსწრებული და ჯერ არ მხილებული.

აზრში აზროვნების არის დეფიციტი.
აზროვნებაშია აზრთა ილუზია,
არის დღეები მე რომ მეხება და
მაინც ჩემი არა, სხვების მინუსია.

ასე ნელი, ასე ზანტი აჩქარებით
ნაბიჯ-ნაბიჯ მივალ უსასრულობისკენ,
მაგრამ მგონია რომ ასე, ამ ქარებით
გადავექანები უსაფუძვლობისკენ.

და ეს საფუძველიც ფუძეს მოკლებული,
სიტყვა აფიქსებით, სიტყვა უაფიქსოდ.
აბა რა აზრია ჩემთან მოგდებული
ტონის უქონლობით, გრძნობის უმახვილოდ.

მე მიკონტროლებენ სასვენს, ოღონდ ნიშნებს.
არადა სასვენი სულს აქვს საძიები.
შინაარსი ატარებს ჩემთვის ახლა სიტყვებს,
გამოუქვეყნები მსუყე სტატიები.

ავტორს გამირბიან,
ავტორს გამირბიან,
ავტორს გამირბიან დიდი ნაწერები.

ჩემი სული მიაქვთ,
ჩემი სული მიაქვთ,
ჩემი სული მიაქვთ, მელნის ამწეებით.

სიტყვა უტონო და გრძნობა უმახვილო,
ახლა სასვენი აქვს სულსაც სანიშნები.
აზრი საზრიანი მაგრამ უნაპირო,
და მეც გამბნევია სიტყვის საკინძები.

აბა მე რომელი რიგის მწერალი ვარ,
რიგის დარღვევისთვის ხელებს დამამტვრევენ.
წერას ვეშვები და ხელით სალი ვრჩები,
ეპიტაფიად კი სხვის ლექსს დამანერენ.

* * *

ანი გინერ ლექსებს წარამარა,
წვივებს თვალებს არ აშორებ წამით,
თითქოს მასზე მანერია – „წამო“,
წამასწარი წრიალისას ლამის.

მგვრი ჟრუანტელს, ამიტომაც ვშფოთავ.
მგმობ კიდევაც დროდადრო და ამით,
მგელივით მაქვს მძაფრი ახლა ყნოსვა
შენი კანის, შენი თმის და ბაგის.

გადმომედო შენი მანერები,
გადმოვდივარ შენს ბინაში ხვალვე,
თუ არ მოგწონს ჩემი ნანერები,
მითხარი და სათითაოდ დავხევე.

და ხევ ნატვრის, მოქარგულო ნაჭრით.
დავჭრი მეც ჩემს უსაყვარლეს კაშნეს,
რომ შეგაბა ჭრელ-ჭრელ სურვილებად
და გთხოვო, რომ სურვილებად დარჩეს.

* * *

სიჩუმეს წამებს ვუთვლი, მეტი მღელვარებით.
თან თითებს ვაყოლებ, რიტმით გაჟღენთილებს.
სამოცამდე ვითვლი წამებს ელვარებით
გონებაში ვტკეპნი დათვლით გადაღლილებს.

თითებს გადაჯაჭვულს წამის ნაწნავებით,
წუთებს წუთისოფლის ფერი ეკარგებათ
ცხოვრება მეწვეა მსხვილი „ნაფაზებით“
ფილტვი კი არა და გული არ ნებდება.

მფერფლავს მოგონება, კვამლი მაინც ჩანდეს,
როგორც საომარი ბოლო მინიშნება,
იქნებ მიშვილოს და მამაჩემი გახდეს
მთვარემ, რომელიც დღეს მზეზე ინიშნება.

თორემ ამ ობლობას ბოლო აღარ უჩანს,
ბოლო აღარ უჩანს ცრემლის დინებასაც,
როგორც ვერ აიტან მამაძაღლობას და
ისე ვერ აიტან დედის გინებასაც.

ჯერ არ შეგინებულ დედას გეფიცებით
თითქმის ყოველ ღამე ასე მესიზმრება,
თითქოს მიშვილა და მამაჩემი გახდა
მთვარე, რომელიც დღეს მზეზე ინიშნება.

* * *

ისეთი მთვრალი ვარ სიფხიზლე მივაგდე,
მოვეშვი მიმიკებს და სახე მოვირგე.
მხოლოდ და მხოლოდ კალამს, რომ მიაგნებ,
ფიქრობ, რომ ამით ცხოვრება მოიგე.

ისეთი მთვრალი ვარ, მინასაც შევეხე.
ციდანაც დავეშვი, მოვეშვი კიდეებს.
ჩემს ეზოს ამშვენებს ბრონეულის ხე,
რომელსაც მე თავად ვუმნიფებ იდეებს.

ისეთი მთვრალი ვარ, ორი რომ ასია.
მერევა თვლაში და თვლემა არ მერევა.
მე სხვისი მეგონა, თურმე რომასია,
ან იქნებ სახელი სხვა ქვია, მერე რა...

ისეთი მთვრალი ვარ, ცხოვრებაც მოვირგე.
ასე სხვა ვერა რა, ვერ მომაფხიზლებდა,
მგონია, რომ ყველა ნაბიჯი მოვიგე
ვიცნობდი მთვრალებს და ვიცნობდი ფხიზლებსაც.

მე ისე დავთვერი მინასაც შევეხე,
ციდანაც დავეშვი, მოვეშვი კიდეებს.
ახლა ჩემს ეზოში ის ბრონეულის ხე,
ამშვენებს და თავად მიმნიფებს იდეებს.

სიონში (ყაზბეგის, ამჟამად სტეფანწმინდის, რაიონი) სტუმრად მისულს, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა მოხუცმა გამანდო შემდეგი:

ადრე მესხეთიდან აჭარაში ჩასახლებულან ძველი თავადები, გვარად ჯაყელები. ისინი ხულოში დამკვიდრებულან; შემდგომ ორი ძმანი კონფლიქტის გამო (კაცი შემოკვდომიათ), აყრილან ხულოდან და თავშესაფრის ძებნა დაუწყიათ; ბოლოს ხევში ასულან და იქ დასახლებულან. ერთი ძმა – ალიბეგ ჯაყელი – სოფელ სტეფანწმინდაში დასახლებულა, გვარიც შეუცვლია და ალიბეგაშვილად დაწერია; მეორე ძმას კი გვარად ხულელიძე აურჩევია და გაიბოტენში დასახლებულა.

დღეს ალიბეგაშვილებიც და ხულელიძეებიც მრავლად არიან ხევში. ავთანდილ სილაგაძისა და ანზორ თოთაძის მიერ 1997 წელს გამოცემული წიგნის – „გვარ-სახელები საქართველოში“ – მიხედვით, საქართველოში სულ 575 ალიბეგაშვილია დაფიქსირებული; მათ შორის თბილისში – 233, ყაზბეგის (ამჟამინდელი სტეფანწმინდა) რაიონში – 95, ქარელის რაიონში – 46; ხოლო ხულელიძეთა რაოდენობა 358; მათ შორის ყაზბეგის რაიონში – 179, თბილისში – 109, დუშეთის რაიონში – 35 (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997, გვ. 21, 243). სწორედ მათი შთამომავალი უნდა იყოს ილიას ენაწყლიანი მეგზურიც.


ლელთ ღუნის ნარმომავლობაზე მსჯელობისას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა გასათვალისწინებელი: ილია ჭავჭავაძე მისი გვარის წინ სამ წერტილს სვამს („...ლელთ ღუნის მიხმობენ“). რას უნდა ნიშნავდეს ეს წერტილები? საფიქრებელია ორი მიზეზი: 1. ან ილიამ კარგად ვერ გაიგონა, ან ველარ გაიხსენა მოხვეის გვარი და შემდეგ, როდესაც ის თავისი ნაწარმოების გმირად აქცია, წინ სამი წერტილი დაუსვა; 2. ანდა, ქართული ენის დიდი მოჭირნახულე მწერალი ამ გვარის რუსულად თარგმნის შემთხვევაში უცნებურო სიტყვის ნამოტივტივებას მოერიდა.

ამრიგად, მართალია, „მგზავრის წერილების“ თანახმად, ილიას თანამგზავრი ლელთ ღუნიაა, ვისი პირითაც სამშობლოს უდიდესმა ჭირისუფალმა ილია ჭავჭავაძემ მისი და ყველა ჭეშმარი-

ტი მამულიშვილის გულისტკივილი გაგვაცნო („ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟამდის, ქალაი ქალაბდის... აწინა ტყურბით, მეძავ-მრუშობით, ფიცთა გატეხვით, ერთურთ ლალატით სარჩო-საბადებელი საშოვერ გაგვიხდინის“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 20 ტომად, ტ. II, თბ., 1988, გვ. 30-32), თავად აღნიშნავს, რომ მოხვევა და გაიბოტენში ბინადრობს.

ხევში არსებული გადმოცემის თანახმად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაიბოტენელი ხულელიძეები ნარმომობით არიან უძველესი მესხები, გვარად ჯაყელები, რომლებიც ჯერ ხულოში დამკვიდრდნენ, შემდეგ კი ხევში გადმოსახლდნენ; ასევე ალიბეგაშვილებიც ნარმომობით მესხები არიან, თავად ჯაყელების შთამომავლები. ამრიგად, ჩვენც მიგვაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ ერთ-ერთი გმირი – თავისი სამშობლოს უბადლო პატრიოტი და გმირული წარსულის მოტრფიალე ლელთ ღუნია გვარად ხულელიძე იყო, ნარმომობით კი – აჭარელი. თუმცა თავად არაერთგზის მიანიშნებს, რომ მოხვევა. დიახ, ის მართლაც სულით ხორცამდე მოხვეე იყო, ხევში გაზრდილი და მის ადათ-წესებს ნაზიარები, ვისთვისაც ესოდენ ძვირფასი იყო „უწინდელ განძთა საფარი სამების ტაძარი“ თუ „ერთა საბჭო“, „ქართველის ტალავერის იერი“, „ერობა“ და შეუბღალავი ვაჟკაცური სული.

მართალი იყო „...ლელთ ღუნია“, იგივე ხულელთ ღუნია... იქნებ მართალი ვარ მეც, რადგან კარგად მახსოვს საუკუნეს მიტანებული მხცოვანი მოხვეის ნაამბობი. ყველაზე მართალი კი ჩვენი დიდი წინაპარი, საქართველოს უგვირგვინო მეფე – სულმნათი ილიაა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოდ ...ლელთ ღუნია, ანუ ხულელთ (ხულელიძეების) ღუნია წარმოაჩინა და სამშობლო ქვეყნისათვის თავდადებისა და მისადმი მსახურების მბჟუტავი ნაპერწკალი სწორედაც უბრალო მოხვეის გულში დაინახა, დაინახა და აამეტყველა, რათა სრულიად საქართველოს მოსდებოდა და ერთ დიდ კოცონად ქცეულიყო.



მისი მხარეა

საერთაშორისო უმცველი გამონათქვამი

დღევანდელი მსოფლიო მრავალმხრივი და სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. საქართველოში, როგორც მსოფლიოს შემადგენელ ნაწილში, ბუნებრივია, ეს გამოწვევები სხვადასხვა მხრივ და სხვადასხვა სფეროში თავისებურად მჟღავნდება. რაც მთავარია, ეს გამოწვევები ყურადღება მისაქცევია, მით უმეტეს, როცა ისინი მიუღებელია და არც თუ იშვიათად საფრთხეებსაც შეიცავს.

– გამოწვევაა აბა რა, როცა „ყურანის“ ქართულად მთარგმნელთაგან ერთ-ერთს პლაგიატში ამხელენ, ის კი ამას არად დაგიდევს და თავს იწონებს იმით, რომ „ყურანის“ ყველაზე თანამედროვე და სრული ქართული თარგმანი ნაკითხულიც კი არა აქვს;

– გამოწვევაა ისიც, რომ წინასწარმეტყველ მუჰამადზე უცხო ენიდან თარგმნილ წიგნს მეორედ ისე გამოსცემს ინკოგნიტო გამომცემელი, რომ მასში არც მთარგმნელი მითითებული, არც გამომცემლობა, არც გამოცემის ადგილი და არც გამოცემის წელი.

– ასევე გამოწვევაა, როცა ფუძნდება რაღაც გაუგებარი სახალხო მოძრაობა, რომელიც გამოსცემს უსახურ გაზეთს ჩვენი რეალობისთვის დაუჯერებელი 30 ათასიანი ტირაჟით.

ახლა უფრო დაწვრილებით და თანმიმდევრობით ამ გამოწვევებზე.

ფრთხილად, სინდინაქია!

საქართველოში აღიარებული არაბისტიკის სკოლის მიუხედავად, ბოლო დრომდე არ გვქონდა მუსლიმთა წმიდა წიგნის – „ყურანის“ ქართული თარგმანი ორიგინალიდან. შეიძლება ნაწილობრივ ამის მიზეზი საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიური წნეხი და ათეისტური მსოფლმხედველობა იყო, მაგრამ ყველაფერს ამას ვერ დავაბრალებთ.

ასევე არ გაგვაჩნია საფუძვლიანი გამოკვლევები ისლამის ფილოსოფიასა და მუსლიმურ რენესანსზე. მაშინ როცა, ჩვენ დიდი ფილოსოფიური ტრადიციები გვაქვს და აღმოსავლური რენესანსის თეორიაც საქართველოში შეიქმნა. მუსლიმურ რენესანსთან ქართული რენესანსის პარალელები კი, ბევრ ახალსა და საინტერესოს მოგვცემდა...

„ყურანის“ პირველი ქართული თარგმანი 1906 წელს გამოქვეყნდა, რომელიც ფრანგულიდან ქართულ ენაზე გადმოიღო ცნობილმა მთარგმნელმა, პედაგოგმა და პუბლიცისტმა *პეტრე მირიანა-*

შვილმა (1860-1949). ამის შემდეგ მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში ამ თემას საქართველოში არავინ მიბრუნებია. ზუსტად 100 წლის შემდეგ ყინული დაიძრა – 2006 წელს გამოიცა აღმოსავლეთმცოდნე, ფილოლოგიის დოქტორის გიორგი ლოჭანიძის მიერ ორიგინალიდან – არაბული ენიდან თარგმნილი „ყურანი“. თარგმანის ავტორი საქართველოში დაჯილდოვდა „საბას“, ხოლო ირანში სახელმწიფო პრემიით – „წლის წიგნი“ – ყურანისტიკაში უცხოეთში გამოქვეყნებული საუკეთესო ნაშრომისთვის. ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტია და უდავოდ მეტყველებს თარგმანის მაღალ დონესა და აღიარებაზე. ამის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში „ყურანის“ სხვადასხვა ავტორის რამდენიმე ქართული თარგმანი დაიბეჭდა. მათ შორის არის ფერეიდანელი ქართველის – იმამ ყული ბათავანის შესრულებული თარგმანი.

„ყურანის“ თარგმნა ვერ დაასრულა ცნობილმა ქართველმა აღმოსავლეთმცოდნემ, აკად. აპოლონ სილაგაძემ (1942-2017). მან თარგმნა და საყურადღებო კომენტარებით გამოაქვეყნა „ყურანის“ 14 სურა 4 წიგნად (2009), რაც მოცულობით წმიდა წიგნის ერთ მესამედზე ცოტათი მეტია.

წერილში, ძირითადად, განსჯის საგანი იქნება 2016 წელს სტამბოლში გამოცემული რეზო მიქელაძის თარგმნილი „ყურანი“ (პირველად გამოქვეყნდა 2012 წელს). საქმე ის არის, რომ სწორედ ამ თარგმანის ირგვლივ ატყდა ხმაური პლაგიატობის გამო, თუმცა საკითხი დღესაც გაურკვეველია. არადა, საქმე სინამდვილეს ეხება. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასავლეთ საქართველოს სამუფტო (უფრო გასაგებად: აჭარის სამუფტო), რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, „ყურანის“ სწორედ რ. მიქელაძისეულ თარგმანს ანიჭებს პრიორიტეტს, სხვა ქართულ თარგმანებს არ აღიარებს და თავის მრევლს მოუწოდებს „ყურანის“ მხოლოდ ამ თარგმანით ისარგებლოს.

მე ვერ განვსჯი „ყურანის“ რომელიმე ქართული თარგმანის ავკარგიანობასა და ხარისხს, ეს აღემატება ჩემს კომპეტენციას. კონკრეტულ შემთხვევაში განვიხილავ საკითხის ტექნიკური მხარეს, რაც ასევე მნიშვნელოვანია და, აგრეთვე, პლაგიატობის თემას. ამ უკანასკნელის უყურადღებოდ დატოვება, მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა.

დავინწყოთ ტექნიკური მხარით. „ყურანის“ თარგმნასა და მასთან დაკავშირებული საკითხებისადმი რ. მიქელაძის მიდგომებში ჩემი ყურადღება მიიქცია რამდენიმე მომენტმა, კერძოდ:

1) რ. მიქელაძე აღნიშნავს, რომ „ყურანის“ არაბულიდან ქართულ ენაზე თარგმნისთვის *წელიწადი და სამი თვე დასჭირდა* და დღეში დაახლოებით 18 საათს მუშაობდა. მისივე აღნიშვნით, ისლამთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ქართულად, ფაქტობრივად ახლა იქმნება (<http://www.tspress.ge/ka/site/artcles/12078>).

კონტექსტი გვაფიქრებინებს, რომ რ. მიქელაძეს ერთი წელი და სამი თვე, რაც მას „ყურანის“ თარგმნისთვის მოუწოდებია, დიდ დროდ მიაჩნია. სწორედ ეს განცხადება აჩენს ეჭვს, რადგანაც ყოვლად წარმოუდგენელია დროის ამ მონაკვეთში „ყურანის“ კვალიფიციური თარგმნა. ისეთმა დიდმა არაბისტმა და ისლამმცოდნემ, როგორც იყო აკად. იგნატი კრაჩკოვსკი (1883-1951) მთელი ცხოვრება მიუძღვნა „ყურანის“ თარგმნასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს. უშუალოდ „ყურანის“ ტექსტის თარგმნას კი, 9 წელი (1921-1930 წწ.) მონადმომა. ამის მიუხედავად, იგი მიიჩნევდა, რომ თარგმანი არ იყო სრულყოფილი და სწორედ ამიტომაც ი. კრაჩკოვსკის თარგმნილი „ყურანი“ ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, იგი გამოიცა მისი გარდაცვალებიდან 12 წლის შემდეგ, 1963 წელს.

თუკი რ. მიქელაძე გაეცნობა შესაბამის ლიტერატურას, დარწმუნდება იმაში, თუ რა კოლოსალური შრომა გასწია ი. კრაჩკოვსკიმ „ყურანის“ რუსულად თარგმნისთვის. ეს შრომა მხოლოდ „ყურანის“ ტექსტს კი არ გულისხმობდა, არამედ მოიცავდა არაბეთის ისტორიას, კულტურას, არაბეთ-

ში ისლამამდელ არსებულ რელიგიებს და თემასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. სხვანაირად მსოფლიო კულტურის ისეთი საგანძურის, როგორც „ყურანია“ ადეკვატური და სრულყოფილი თარგმნა შეუძლებელია (დანვრ. იხ.: „*Коран*“. Баку, 1990. გვ. 3-24, 723-737).

აკად. აპოლონ სილაგაძე 10 წელზე მეტ ხანს მუშაობდა ორიგინალიდან „ყურანის“ თარგმანზე და ამ ხნის განმავლობაში „ყურანის“ მხოლოდ ერთ მესამედზე ცოტა მეტის თარგმნა მოასწრო. ორიგინალიდან „ყურანის“ პირველ სრულ ქართულ თარგმანს კი გ. ლობჯანიძემ 12 წელი მოანდომა.

რ. მიქელაძის აღნიშვნით, „ისლამთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ქართულად, ფაქტობრივად ახლა იქმნება“. ეს რას ნიშნავს? განა 1999 წელს ქართულ ენაზე გამოცემული – „ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი“, რომლის ავტორებიც არიან აღიარებული ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები (კარლო კუცია, მეგი მეტრეველი, გიორგი სანიკიძე, მიხეილ სვანიძე, გოჩა ჯაფარიძე (ხელმძღვანელი)), ისლამთან მომართებით ქართულ ტერმინოლოგიას არ ამკვიდრებდა? ამასთან, რ. მიქელაძისგან განსხვავებით, აღნიშნულ ავტორებს არაბული ენის კურსები კი არა აქვთ გავლილი, არამედ დამთავრებული აქვთ სპეციალური ფაკულტეტები და სამეცნიერო ხარისხებიც ამ სფეროში აქვთ დაცული.

2) ასევე ეჭვს ბადებს რ. მიქელაძის შემდეგი აღნიშვნა: „თარგმანში არ გვხვდება უცხო სიტყვები და სხვადასხვა ცნებების გადმოსაცემად აქტიურადაა გამოყენებული ძველი და ახალი ქართული ენის ლიტერატურული და სამეცნიერო წერილობითი ნაშრომები“ (<http://www.tspress.ge/ka/site/articles/12078>).

საქმე ის არის, რომ, როგორც რ. მიქელაძის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს, ის ხულოს რაიონში სკოლის დამთავრებისთანავე თურქეთში წასულა სასწავლებლად, დაუმთავრებია სტამბოლის მარმარას უნივერსიტეტი. შემდეგ ეგვიპტეში გაუვლია არაბული ენის კურსი და დაბრუნებულა სამშობლოში. ამჟამად მუშაობს აჭარის სამუფტოში და განაგებს განათლების განყოფილებას. ბუნებრივად ჩნდება კითხვა – აჭარის სამუფტოს მხრიდან „ყურანის“ რ. მიქელაძისეული თარგმანისადმი პრიორიტეტის მინიჭება მისი თანამდებობრივი მდგომარეობითაც ხომ არ არის განპირობებული?

ამასთან, და ეს მთავარია, რ. მიქელაძის ბიოგრაფიიდან არ ჩანს, რომ მას რაიმე ურთიერთობა ჰქონდა რომელიმე ქართულ უნივერსიტეტთან. ბუნებრივია ჩნდება კითხვა – მაშინ საიდან ძველ და ახალ ქართულ ენასთან დაკავშირებული ურთულესი საკითხების ცოდნა? არადა, მსგავსი ამბიციების ავტორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გავლილი რომელიმე ნამყვანი ქართული უნივერსიტეტის ან სამეცნიერო ცენტრის ქართული ფილოლოგიის სკოლა.

3) რ. მიქელაძის მიდგომებში ყველაზე გაუგებარი და მძიმეა მისი მხრიდან აპელირება ქართველ მთარგმნელთა – პ. მირიანაშვილისა და გ. ლობჯანიძის არამუსლიმობაზე. ამის საფუძველზე კი, ის ხაზგასმით და კატეგორიულად, ყოველგვარი არგუმენტის გარეშე ლაპარაკობს მათ თარგმანებში არსებულ უტყუარ შეცდომებზე. ამასთან, როგორც იგი აღნიშნავს, მას არ ნაუკითხავს და არც ნაიკითხავს (!) გ. ლობჯანიძის თარგმანს, თუმცა ყველა გვერდზე იპოვის შეცდომას. აქ რაღა კომენტარი უნდა გააკეთო! თუკი მუსლიმობას ასე დიდი მნიშვნელობა აქვს „ყურანის“ თარგმნისას, მაშინ რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ ისეთმა ისლამურმა ქვეყანამ, როგორც არის ირანი, არამუსლიმი გ. ლობჯანიძე „ყურანის“ ქართულად თარგმნისთვის სახელმწიფო პრემიით – „წლის წიგნი“ დააჯილდოვა?

როდესაც გ. ლობჯანიძის მიმართ რ. მიქელაძის აგებულ და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას გავეცანი, სპეციალურად მივუბრუნდი „ყურანის“ ლობჯანიძისეულ თარგმანს, უშუალოდ

მთარგმნელის შესავალსა („ყურანი“. თბილისი, 2008, გვ. 5-104) და განმარტებანს (გვ. 373-668). ამ მასალის საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ განციფრებული დავრჩი. „ყურანის“ თარგმნის გარდა, რა მოცულობის კვლევები ჩაუტარებია ავტორს. შესავალში მოცემულია მუჰამადის ცხოვრება და მოღვაწეობა, „ყურანის“ ისტორია და ეგზეგეტიკა, წმინდა წიგნის შესწავლის, თარგმნისა და კომენტარების ევროპული ტრადიცია, „ყურანი“ საქართველოში. ამ მასალას ფართო ფორმატიანი წიგნის 100 გვერდი უკავია, მრავალმხრივ და ღრმასაფუძვლიან განმარტებებს კი ამაზე თითქმის სამჯერ მეტი – 295 გვერდი.

გამოყენებულ ლიტერატურას არ იკითხავთ? ამ ტიტანური შრომისთვის გ. ლობჯანიძეს გამოყენებული აქვს ლიტერატურა არაბულ, გერმანულ, ინგლისურ, რუსულ, სპარსულ ფრანგულ და ქართულ ენებზე.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ გ. ლობჯანიძე პირველი ქართველი მთარგმნელი აღმოსავლეთმცოდნეა, ვინც „ყურანი“ სრულად თარგმნა ორიგინალიდან და დაურთო 400 გვერდიანი გამოკვლევა. მასვე, ქართველ ავტორთაგან პირველს, ეკუთვნის ვრცელი მონოგრაფია – „მუჰამადის ცხოვრება“ (თბილისი, 2008. 320 გვერდი). ამის არ დანახვა და არ დაფასება, მით უმეტეს ქართველი მუსლიმის მხრიდან, უბრალოდ გაუგებარია, მეტიც – მკრეხელობაა!

ამასთან, გ. ლობჯანიძე არა მხოლოდ სწავლული აღმოსავლეთმცოდნე და მთარგმნელია, არამედ პოეტიცაა და ამიტომაც იკითხება თავისუფლად და ლაღად მისი თარგმანი და კვლევები.

ყოველივე ამის შემდეგ ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს და არაფრად ჩააგდო ეს, ჩვენი კულტურისა და თუნდაც ქართველი მუსლიმებისთვის განეული ფასდაუდებელი შრომა. მეტსაც ვიტყვი: ყველა წიგნიერმა ქართველმა მუსლიმმა უნდა წაიკითხოს გ. ლობჯანიძის თარგმნილი „ყურანის“ ვრცელი შესავალი და კიდევ უფრო ვრცელი განმარტებანი, მონოგრაფია მუჰამადის ცხოვრებაზე, რაც მათ სრულ წარმოდგენას შეუქმნის წინასწარმეტყველის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, „ყურანზე“, მის ისტორიასა და ინტერპრეტაციებზე, საქართველოში „ყურანის“ გავრცელების პერიპეტიკებზე და სხვ.

რ. მიქელაძემ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ვინც მსგავს საპასუხისმგებლო საქმეს მოკიდებს ხელს, მას წინ უნდა ედოს „ყურანის“ მისთვის ხელმისაწვდომ ენებზე შესრულებული ყველა თარგმანი, ადარებდეს მათ დედანთან და ა. შ. მთარგმნელს თავი მოგქონდეს მშობლიურ ენაზე არსებული შენთვის საინტერესო „ყურანის“ ტექსტის არ წაკითხვით, რა არის და რა ჰქვია ამას?

რ. მიქელაძის ლოგიკას თუ გავყვებით საერთოდ მხედველობაში არ უნდა მივიღოთ „ყურანის“ სხვა ენებზე თარგმანები, რადგანაც მთარგმნელები არამუსლიმები არიან. სხვა თუ არაფერი, „ყურანის“ ერთ-ერთი უბადლო მთარგმნელი, აკად. ი. კრაჩკოვსკი არა მხოლოდ არამუსლიმი, არამედ რუსეთის საიმპერატორო მართლმადიდებლური პალესტინური საზოგადოების წევრიც იყო.

სხვათა შორის, ამავე საზოგადოების წევრი იყო გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე (არაბისტი, თურქოლოგი, ისლამმცოდნე), პირველი რუსული „ისლამის ენციკლოპედიის“ ერთ-ერთი ავტორი – აკად. ვასილი ბარტოლდი (1869-1930).

4) ასევე გაუგებრობას იწვევს რ. მიქელაძისეული „ყურანის“ თარგმანის 2016 წლის გამოცემის კომპოზიცია, სადაც ქართული ენის, დამწერლობის საწინააღმდეგოდ „ყურანის“ ტექსტის მისეული 2016 წლის გამოცემა იკითხება მარჯვნიდან მარცხნივ. გადავამოწმე სხვა ევროპულ ენებზე არსებული „ყურანის“ ტექსტები და მსგავსი ვერაფერი ვნახე!

თუკი ამას რაღაც მოსაზრებით აკეთებ, ვალდებული ხარ ამის თაობაზე გააკეთო შესაბამისი განმარტება. სხვა მხრივ ეს არის ჩვენი ენის, კულტურის და ტრადიციის იგნორირება და უპატივისმცემლობა, მეტიც – შეურაცხყოფა.

თუმცა, რ. მიქელაძე „ყურანის“ აღნიშნულ კომპოზიციაში ბოლომდე თანმიმდევრული არ არის, კერძოდ: ტექსტში ყურანის სურები იკითხება ქართული ენის მიხედვით – მარცხნიდან მარჯვნივ და, როცა ერთ სურას ჩაიკითხავ, მომდევნო სურის წასაკითხად უკან უნდა დაბრუნდე. ამის გარდა, შესავალი წერილი – „მონყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით“ დართულია ტექსტის ბოლოში, რაც ქართული ენის მიხედვით არის დასაწყისი. ეს შეუსაბამობები ქართული ენის ტრადიციებზე აღზრდილ მკითხველს, უბრალოდ დააბნევს.

რაც შეეხება პლაგიატობას, ჯიმშერ რეხვიაშვილი რადიო თავისუფლების ინფორმაციაში (24.06.2016) გადმოსცემს „ყურანის“ ქართული თარგმანებზე ატეხილი ხმაურის პერიპეტიებს. ამ ინფორმაციის ერთი მთავარი ნაწილი სწორედ რ. მიქელაძის თარგმანს ეხება. ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ გ. ლობჯანიძე რ. მიქელაძეს „გაძარცვაში“ ამხელს. მხედველობაშია 2012 წელს გამოცემული რ. მიქელაძის თარგმნილი „ყურანი“.

გ. ლობჯანიძე ძალიან მკაცრად აფასებს ამ მოვლენას: რ. მიქელაძის თარგმანში „მატრიცად, ყალიბად აღებულია ჩემი თარგმანი, სხვა ქართული თარგმანები, რაც არსებობს: მირიანაშვილის, ასი წლის წინათ გამოცემული და ქართული ენის თვალსაზრისით შესანიშნავი თარგმანი, ჩემი თარგმანი, აპოლონ სილაგაძის თარგმნილი (იქამდე, სადამდეც თარგმნილია) – ესენია აღებული, შეერთებულია ერთმანეთთან რალაც გაუგებარი პრინციპით, გაფუჭებულია ტექსტის მთლიანობა, რადგანაც, როცა ერთი კაცი თარგმნის ყურანს, მან იცის როგორ დაარეგულიროს რიტმი, როგორ გამართოს ტექსტი ისე, რომ იყოს უნიფიცირებული, როგორ მისცეს მას აკადემიური სახე და როდესაც შენ იღებ რალაც ნაწილს ერთი თარგმანიდან და რალაც ნაწილს მეორედან, აფუჭებ ყველაფერს, საერთოდ. ამ თარგმანის მიხედვით იოლად შეიძლება დაასკვნა, რომ მთარგმნელმა არ იცის არაბული და, რაც მთავარია, არ იცის ქართული! თუ რამე შეიცვალა ჩვენი თარგმანიდან, დაახლოებით, ასეთი სახით... არ გეგონოთ, ვაზვიადებ. დაახლოებით, არის ასეთი ცვლილებები: „მამა მევიდა, დედამ ნევიდა“.

საბოლოო შეფასების გაკეთებამდე, აუცილებლად უნდა ითქვას: რ. მიქელაძის თარგმანთან მიმართებით კუთხურ (აჭარულ) „მევიდა“, „ნევიდაზე“ აქცენტის გაკეთების ნაცვლად, აჯობებდა გ. ლობჯანიძეს კონკრეტული მაგალითები მოეტანა რ. მიქელაძის მხრიდან მისი თარგმანის დამახინჯებაზე.

როგორც ვნახეთ გ. ლობჯანიძე რ. მიქელაძეს პლაგიატობაში ამხელს და, რაც მთავარია აღნიშნავს, რომ მან (რ. მიქელაძემ) არათუ არაბული, არამედ ქართული ენაც კი არ იცის.

ამ უმკაცრეს შეფასებას პასუხი სჭირდება და არა რ. მიქელაძის მხრიდან თვითდამშვიდება და ასეთი აბსურდული პასუხი: „[...] არ მაინტერესებს ბატონი გიორგი და სხვა მეცნიერები რას ფიქრობენ ჩემს მიერ გაკეთებულ (?) ყურანზე. არ მაინტერესებს ნაიკითხავენ თუ არა ან უნივერსიტეტში შეიტანენ თუ არა. ეს ქართველი მუსლიმებისთვის გაკეთდა იმიტომ, რომ ქართველ მუსლიმებს ყოველთვის ჰქონდათ ეჭვი იმასთან მიმართებაში, რაც გააკეთეს არამუსლიმებმა [...]“ (ხაზგასმა ჩემია – მ. მ.).

არ ვიცი რა პასუხი უნდა გაეცეს ამ გაუგებარ და წინააღმდეგობებით სავსე ფრაზას. ან რას ნიშნავს – „ეს ქართველი მუსლიმებისთვის გაკეთდა“?

ჯერ ერთი, როცა წიგნი დაიბეჭდება ის უკვე მკითხველის კუთვნილებაა ეროვნების, რელიგიურობისა თუ პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად.

მეორე: განა ისეთი რა დანაშაული აქვთ ჩადენილი ქართველ მუსლიმებს, რომ მიუსაჯო „ყურანის“ იმ თარგმანით სარგებლობა, რომლის ავტორიც სულ მცირე პლაგიატობაშია შემჩნეული.

რ. მიქელაძე, როცა ამბობს „რა გააკეთეს არამუსლიმებმა“, იქნებ იმაზე გვიპასუხოს როგორ იბრძოდნენ არამუსლიმი – ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი და სხვები თავისი მუსლიმი თანამოძმეების დასახმარებლად. შეიძლება ასე ჰაიჰარად უპასუხისმგებლო და მავნე განცხადებები?

„ყურანი“ უდიდესი სინმინდია, ის მსოფლიო კულტურის მონაპოვარია და შეიძლება ასეთი არასერიოზული განცხადება, რომ მისი (რ. მიქელაძის) „ყურანის“ თარგმანი მხოლოდ ქართველი მუსლიმებისთვისაა განკუთვნილი. იქნებ ღრმად მორწმუნე ქრისტიან ვლადიმერ სოლოვიოვს (1853-1900) არ უნდა დაენერა წიგნი წინასწარმეტყველ მუჰამადზე? არადა, 122 წელი გავიდა ამ წიგნის გამოცემიდან და დღესაც სანიმუშოდ ითვლება იგი.

განსახილველ თემასთან მიმართებით საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის თეონა სუხიაშვილის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევები. მას საგანგებოდ შეუსწავლია ეს თემა და მისულა შემდეგ დასკვნამდე, რომ რ. მიქელაძის თარგმანი „ყურანში“ „პლაგიატი არის მრავლად როგორც პეტრე მირიანაშვილის თარგმანიდან, ასევე გიორგი ლობჯანიძისა და აპოლონ სილაგაძის თარგმანიდან. გიორგი ლობჯანიძის თარგმანიდან აღებულია ყველაზე მეტი, რადგანაც სრულად აქვს თარგმნილი. მირიანაშვილის, ეტყობა დაიწუნა რაღაც მიზეზების გამო, მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი და აია აქვს აღებული. ბატონი აპოლონისგან აღებული აქვს ნაწილი, თარგმანის სტილი. გარდა ამისა, აიები არის გადმონეროილი ხან პერიფრაზულად, ხანაც სიტყვასიტყვით. ხშირია, როცა ბატონი გიორგის თარგმანში აქვს შეცვლილი რაღაც სიტყვები, თუმცა სტილი იგივე აქვს, მაგრამ სიტყვების შეცვლის გამო, არეული აქვს აზრი“.

სანიმუშოდ თ. სუხიაშვილს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს თავისი აზრის დასადასტურებლად. თ. სუხიაშვილს შემდეგაც გაუგრძელებია კვლევები ამ მიმართებით, თუმცა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რატომღაც ის არ გამოუქვეყნებია.

როგორც ვნახეთ გ. ლობჯანიძე და თ. სუხიაშვილი რ. მიქელაძეს პლაგიატობაში ამხელენ. რ. მიქელაძის მხრიდან პლაგიატობის უბრალო უარყოფა საკმარისი არ არის, ამაზე საჭიროა დასაბუთებული პასუხი. სხვა შემთხვევაში პლაგიატობის ფაქტი ეჭვგარეშე იქნება. პლაგიატობა კი, მოგეხსენებათ, შესაბამის ზომებს ითვალისწინებს.

ცნობისთვის: დღეისთვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში თვით სტუდენტებისთვის დაწესებულია მკაცრი კონტროლი პლაგიატთან მიმართებით და აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება სტატუსიც შეუჩერდეს.

ერთი შეხედვით, ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ბოლომდე არ არის მიყვანილი. ჯ. რეხვიაშვილის ინფორმაციის სათაურია – *ყურანით სასამართლოში?* სწორედ ამ ინფორმაციიდან ვგებულობთ, რომ გ. ლობჯანიძე გამოთქვამს ვარაუდს დავის სასამართლოში შესაძლო გაგრძელებაზე, მაგრამ საქმე ამაზე შორს არ წასულა.

გ. ლობჯანიძე არ არის მართალი, როცა ეს საქმე შუა გზაზე მიატოვა. თუ ის სასამართლოში არ იჩივლებდა, კრიტიკული სტატია მაინც უნდა გამოექვეყნებინა რომელიმე სამეცნიერო ჟურნალში ან გაზეთში. როცა ეს არ კეთდება, სწორედ ამიტომაც საეჭვო და არაკვალიფიციური თარგმანი მიჩნეულია სანიმუშოდ, ხოლო მის მთარგმნელს თავი მოაქვს, როგორც შედეგის ავტორს.

არადა, გავიმეორებ გ. ლობჯანიძის სიტყვებს: *ეს ხომ ყურანია!*

ისევ პლაგიატობის შესახებ

შემდეგი საკითხი „ყურანს“ არ ეხება, თუმცა პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ბმაშია იმ გაუგებარ და უპასუხისმგებლო ვითარებასთან, რაზედაც გვქონდა საუბარი. საქმე ეხება წინასწარმეტყველ მუჰამადის ცხოვრებაზე *მარტინ ლინგის* ნაშრომს – „ცხოვრება მუჰამადისა“, რომელიც ინგლისურ-რიდან თარგმნა მარიამ ნანობაშვილმა და გამოიცა სტამბოლში 2008 წელს.

გამოცემის რედაქტორი და შესავალი წერილის – „ალლაჰის მოციქული“ (გვ. 3-10) ავტორია აპოლონ სილაგაძე. თარგმანი გამოუცია თურქეთის რესპუბლიკის დიანეთის ფონდს.

აი ეს, ახლა აღნიშნული გამოცემა ხელმეორედ გამოცა საქართველო-თურქეთის მეგობრობის ასოციაციამ. ამ ორი გამოცემის უბრალო შედარებითაც ცხადი ხდება, რომ მეორე პირველის ასლია. მაგრამ მეორე გამოცემა ერთობ „ორიგინალურია“: გამოცემას არავითარი რეკვიზიტი არ გააჩნია, არ არის აღნიშნული თუ სად გამოიცა ეს წიგნი, არ აწერია გამოცემის წელი... რაც მთავარია სრულიად იგნორირებულია მთარგმნელი, რედაქტორი ვიღაც ახსოვს.

მარტინ ლინგის მუჰამადის ბიოგრაფიის თარგმანის ინკოგნიტო გამოცემაში დამატებულია რაღაც შენიშვნების მაგვარი, რაც დასათაურებელია სრულიად გაუგებარი „სიტყვით“ – *ოოტნოტეს*, ხოლო სარჩევი დასათაურებელია ასევე გაუგებარი – *ჩონტენტს-ით*.

ინკოგნიტო გამოცემაში წიგნის სათაურია, როგორც ეს მ. ნანობაშვილის თარგმანშია – „ცხოვრება მუჰამადისა“. მაგრამ შიდა გვერდზე წიგნის დედნისეული სახელწოდება ასეა შეცვლილი – „მუჰამედის ცხოვრება“.

მ. ნანობაშვილის თარგმანში სარჩევის პირველი თემა – *ალლაჰის სახლი, ჩონტენტს-ში* დასათაურებელია, როგორც – *ღვთის სახლი*. ეს არის და ეს.

მ. ნანობაშვილის თარგმანს თან ახლავს შეცდომების გასწორება, რაც არ გვხდება ინკოგნიტო გამოცემაში. მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ მეორედ გამოცემის მესვეურებმა შეცდომები გაასწორეს და რაღაც იყო საჭირო შეცდომების გასწორების ფურცელი. სწორედ ეს არის პარადოქსი, ამ ახალ ინკოგნიტო გამოცემაში დედნის ტექსტში არსებული შეცდომებიც კი არ არის გასწორებული.

მოკლედ, აქაც პლაგიატთან გვაქვს საქმე. ამასთან, ეს ისე ურცხვად არის გაკეთებული, რომ გამომცემლებს საერთოდ იგნორირებული ჰყავთ მკითხველი. გამოცემის მესვეურნი იმდენად შორს არიან წასული, რომ არც იმაზე უფიქრიათ – მკითხველთა ერთ ნაწილს ხომ შეიძლება სცოდნოდა მ. ნანობაშვილის თარგმანი.

ახალი თავსატეხი სომ არა?

კიდევ ერთი საკითხი, რაც ასევე გამონვევად მიმაჩნია და მისი უყურადღებოდ დატოვება, შეცდომა იქნებოდა. მხედველობაში მაქვს ამ ორი წლის წინათ ბათუმში დაფუძნებული საერთო-სახალხო მოძრაობა – „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმები საქართველოს ერთიანობის დასაცავად“. მოძრაობას გააჩნია საკუთარი ბეჭდვითი ორგანო – „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმების მაცნე“.

ვიდრე მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ, ყურადღება მივაქციოთ მოძრაობისა და გაზეთის დასახელებას. ორივე შემთხვევაში ჯერ ნახსენებია მუსლიმანი და შემდეგ ქრისტიანი ძმები. რა თქმა უნდა, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში იგულისხმება მუსლიმი და ქრისტიანი ქართველები. გაზეთის მე-4 ნომრის პირველ გვერდზე კი ერთ რიგში ჯერ ბათუმის მეჩეთის ფოტოა მოთავსებული, ხოლო მის შემდეგ ბათუმის მართლმადიდებლური საკათედრო ტაძრის.

არავისთვის არ არის დასამალი, რომ ქრისტიანობა ქართველი ხალხისთვის არა მხოლოდ რელიგიაა, არამედ იდეოლოგია და მსოფლმხედველობაცაა, ქართული სულიერების ხერხემალია. საქართველოსთან მიმართებით ამას ხომ ვერ ვიტყვით ისლამზე.

ისლამი მსოფლიო რელიგია და უდიდესი მნიშვნელობის სულიერი მოვლენაა, მას მილიარდზე მეტი მიმდევარი ჰყავს. ამასთან, ისლამი ქართველთა ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის აღმსარებლობაა და მას პატივი უნდა ვცეთ. ეს ასეც არის, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა. მაგრამ საქართველოსთან მიმართებით ქრისტიანობისა და ისლამის ერთ დონეზე დაყენება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ამიტომაც, თუკი ძმობაზეა ლაპარაკი, გვინდა თუ არა, ქრისტიანობით უნდა დავინყოთ. ასევე უნდა ითქვას მეჩეთისა და მართლმადიდებლური ტაძრის ფოტოების განლაგებაზე. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მოძრაობისა და გაზეთის სახელწოდებებში ამ ცნებების ასეთი თანმიმდევრობა არ უნდა იყოს შემთხვევითი და იგი მიზანმიმართულად არის გათვალისწინებული მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიაზე.

ახლა მთავარზე. მსგავსი მოძრაობის ჩამოყალიბების შემთხვევაში გაჩნდება კითხვა – თუ რა საფრთხეებმა განაპირობა ასეთი მოძრაობის შექმნა. საქმე ის არის, რომ დღეს მუსლიმი და ქრისტიანი ძმების ერთად ყოფნა საქართველოს ერთიანობის დასაცავად სრული გაუგებრობაა. რა ისეთი საშიშროება დაინახეს მოძრაობის მესვეურებმა, რომ აუცილებელი გახდა მუსლიმი და ქრისტიანი ქართველების ერთად დგომა? რა ისე არ დგანან ერთად?! ან კათოლიკე ქართველები რატომ არ უნდა იყვნენ მათ გვერდით? არის რაიმე ლოგიკა აქ?

არადა, მოძრაობა ფართოვდება, ყალიბდება რაიონული ორგანიზაციები, თუმცა პასუხი მსგავსი ორგანიზაციის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე კვლავ ბუნდოვანია.

ამგვარი მოძრაობის დაფუძნება გამართლებული იქნებოდა 1878 წლის შემდგომ პერიოდში, როცა აჭარა 300 წლიანი ტყვეობის შემდეგ ახალი დაბრუნებული იყო დედასამშობლო საქართველოს წიაღში. ამ დროს აჭარის მკვიდრნი სხვადასხვა მიზეზების გამო ერთგვარად გაუცხოებულნი იყვნენ და საჭირო იყო დიდი ძალისხმევა ქართულ რეალობაში მათი უმტკივნეულოდ დასაბრუნებლად. მაშინ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების გონივრული პოლიტიკითა და მიზანდასახული საქმიანობით, ეს მიზანი მიღწეული იქნა.

მსგავსი მოძრაობის დაფუძნება ასევე გამართლებული იქნებოდა 1918-1921 წლებში, როცა სხვადასხვა ძალები ცდილობდნენ აჭარა ჩამოეშორებინათ საქართველოსგან. მაშინაც მემედ აბაშიძის და მისი თანამებრძოლების კარგად გააზრებული მოქმედებით ეს საფრთხეც აცილებული იქნა.

ახლა ამ საკითხის გაცოცხლება, უბრალოდ ანაქრონიზმია. დღეს, როცა ქართველობის თვალსაზრისით ნაშლილია ზღვარი ქრისტიან და მუსლიმ ქართველებს შორის, როცა არც თუ იშვიათად აჭარაში ერთი ძმის ოჯახი მუსლიმურია, მეორესი ქრისტიანული და ეს არავითარ პრობლემას არ ქმნის, რა ძმობაზეა საუბარი? რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისები – თითო-ოროლა ფანატიკოსი ქრისტიანი თუ ფანატიკოსი მუსლიმი, მაგრამ ესენი გამონაკლისია და საერთო ვითარებაზე გავლენას ვერ ახდენს.

ყველაფერი ამის გათვალისწინებით ვიტყვით, რომ მსგავსი მოძრაობა უფრო დაპირისპირებას შეუწყობს ხელს, ვიდრე გაერთიანებას. ამასთან, გაცხადებული ძმობის მიუხედავად, ამ მოვლენამ ღიად თუ ფარულად შეიძლება რელიგიური დაპირისპირების პროვოცირებაც გამოიწვიოს.

პირადად მე მეგონა, რომ ქართველ ქრისტიანებსა და ქართველ მუსლიმებს შორის ქართველობის თვალსაზრისით ზღვარი დიდი ხანია ნაშლილი იყო, მაგრამ ამ ახალმა მოძრაობამ ეჭვები გააჩინა და არა მხოლოდ ჩემში. დღეს, როცა რელიგიური აღმსარებლობის სრული თავისუფლებაა, რატომ გაჩნდა ასეთი მოძრაობა?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად არ მინდა ვიმარჩიელო ან კიდევ შეთქმულების თეორიას მივმართო. უფრო მარტივ გზას ავირჩევ და ვფიქრობ დასმულ კითხვას პირდაპირ თუ არაპირდაპირ სავარაუდო პასუხი გაეცემა.

ავილოთ მოძრაობის ბეჭდვით ორგანო – „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმების მაცნე“. დავინყოთ გაზეთის ტირაჟით, რაც ჩვენი რეალობისთვის დაუჯერებელი და არნახული ციფრით – 30 ათასით გამოიხატება და ეს ყოვლად მდარე, უგემოვნო პროდუქცია უფასოდ რიგდება, მეტიც კარდაკარ დააქვთ და სახლებისა თუ ბინების შესასვლელ კარებში ტოვებენ.

გაზეთში დაბეჭდილია, რბილად თუ ვიტყვი, სრულიად უცნობი ავტორების წერილები და ინტერვიუები. ამას კიდევ არა უშავს, გაზეთის ერთ ნომერში გვხვდება თავის დროზე მკვდრადშობილი თემის გაცოცხლების მცდელობა, რასაც მეზობელი ქვეყნისადმი ტერიტორიული პრეტენზიების წაყენების სუნი ასდის. ერთ უნიჭო ჩანახატში მეზობელი ეთნოსისადმი სიძულვილია ღიად გამოხატული, ხოლო ერთ წერილში გაქილიკებულია „პროდასავლური თავები“ და ა. შ.

რაც მთავარია საქართველოს გაერთიანებისთვის „გულმხურვალე მეზობლებს“ ერთი სიტყვაც არ წამოცდენიათ ოკუპაციაზე, ბორდერიზაციაზე, ქართველების გატაცებაზე და ა. შ. ამის შემდეგ განა ძნელი გამოსაცნობია თუ საიდან უნდა უბერავდეს ქარი?

საინტერესოა, რაიმე რეაქცია თუ ექნება ამ მოძრაობას პუტინის დემაგოგიაზე, რის თანახმადც დამოუკიდებელმა საქართველომ 1918 წელს აფხაზეთის ანექსია მოახდინა, ხოლო 1920 წელს ოსების გენოციდი მოაწყო. თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული სახალხო მოძრაობის განწყობას და პათოსს, ამ მიმართებით მათგან დუმილი გარანტირებული გვაქვს.

ამ გაზეთის ქართული სინამდვილისადმი შეუსაბამო საოცრად დიდი ტირაჟის მიუხედავად, არა მგონია მას სერიოზული მკითხველი ჰყავდეს. სამაგიეროდ, გაზეთის გამოსვლისთანავე იგი აღმოჩნდება შესაბამისი ქვეყნის სპეცსამსახურების ყურადღების ცენტრში, რაც ეჭვგარეშეა ახალ თავსატეხს გაუჩენს ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ ჩვენს ქვეყანას.

დიდად სამწუხაროდ, ამ მოძრაობაში გაერთიანებული არიან ან თანაუგრძნობენ მას ჩვენი საზოგადოების არც თუ ისე უცნობი სახეები, რაც ნამდვილად დამაფიქრებელია.

P. S. ჩემი კრიტიკული გამოსვლა მიმართულია არა რ. მიქელაძის, არა საქართველო-თურქეთის მეგობრობის ასოციაციის ან სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ, არამედ იმ სამწუხარო და დასაგმობი ტენდენციის, რაც დამკვიდრდა ჩვენში – აჭარაში, კერძოდ, ბათუმში.

დღეს სრული განუკითხაობაა მუსლიმური ლიტერატურის ქართულად თარგმნასთან მიმართებით. თარგმნის ყველა, ვისაც არ ეზარება, არც საბაზო ცოდნას დაგიდევენ, არც ტრადიციას და არც თარგმნის ჩვევებს. თარგმნიან ყველას და ყველაფერს და სულაც არ ანალვლებთ რამდენად მისაღებია ეს ლიტერატურა ჩვენი კულტურისთვის, ჩვენი ტრადიციისა და მომავალი თაობისთვის.

ჩვენი რეალობაა, რომ ქართველი ხალხის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მუსლიმური აღმსარებლობისაა. მათ სჭირდებათ სათანადო მუსლიმური რელიგიური ლიტერატურა ქართულ ენაზე და ეს გასაკეთებელი საქმეა, მაგრამ არა მოყვარულთა და დილეტანტების დონეზე. ამ საკითხის დარეგულირება უნდა შედიოდეს როგორც სამეფტოს, ისე მორწმუნე მუსლიმების და საერთოდ, ქართული საზოგადოების ინტერესებში.

რაც შეეხება საერთო-სახალხო მოძრაობას – „მუსლიმანი და ქრისტიანი ძმები საქართველოს ერთიანობის დასაცავად“, ყოველი ასეთი გაურკვეველი ორგანიზაცია არაფერში წაადგება ქვეყნის ერთიანობას, პირიქით – არ არის გამორიცხული მან შეიძლება ხელი შეუწყოს ჩვენი ხალხში დაყოფა-დაქსაქსულობის მენტალიტეტის ჩამოყალიბებას.

მ. მ.

04.09.2019



ნათილა ვახაძე-როშიძე

ქოზე სარამაგუ – „სიბრმავე“

„და ვცხოვნდებოდე მას შინა,
ვიდრე უმეცრებასა შინა ვიყავ“.

იოანე საბანისძე

ნიგნი ადამიანის ცნობიერებას ცვლის. ყოველი ახალი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ დიდხანს ცხოვრობ მძილებული შთაბეჭდილებით.


ყოზე სარამაგუს „სიბრმავეს“ შემდეგ კიდე უფრო მეტად მივხვდი, როგორ შემეცვალა წარმოდგენა ცხოვრებასა და ადამიანებზე.

„ლიტერატურა ხალხისათვის სიკეთეში გადამყვანი ხდება და ფონი! როგორც კეკელუცისათვის სარკე, ისე ხალხისათვის ლიტერატურა საჭიროა, რომ შიგ ჩაიხედოს და თავისი სახე მისი ღირსებით და ნაკლულევაანებით დაინახოს“ – უბრძანებია აკაკის. ჭეშმარიტად ასეა, „სიბრმავე“ არის ნიგნი, რომელიც საკუთარ ღირსებასაც დაგანახვებს და ნაკლსაც.

რთულია ემოციის გარეშე გაიხსენო ეპიზოდი ნიგნიდან. არადა, თავს ვერ ანებებ კითხვას, გვერდზე დებ ყველაფერს. ხვდები, რასაც კითხულობ, შენ თვალწინ კი არ ხდება, მონაწილე ხარ.

რა სასტიკია ცხოვრება, რა უძლურია ადამიანი მის წინაშე, როგორ გათამაშებს, გამარცხებს, გთელავს. ამავდროულად საშუალებას გაძლევს, წამოდგე, მაგრამ სად არიან ადამიანები, წამოდგომაში რომ დაგეხმარებიან?! და

ეძებ ასეთ ადამიანს სარამაგუს „სიბრმავეში“. ექიმის ცოლივით თვალხილული იმას ხედავ, რასაც ის, მაგრამ ისე გრძნობ? ისე განიცდი? ისე ცდილობ? რა თქმა უნდა, არა, რადგან



მას მიჰყვები, მის ზურგსა და მხრებს ამოფარებული. შიშით, ძრწოლით, განცდით – შენც არ გაგთელონ, შენც არ დაგემართოს იგივე, არ დაბრმავედე, არ გესროლონ, გვამებს ფეხი არ დაადგა, არ დამდაბლდე, არ მოკლა, არ შეურაცხყო, არ დაგავინყდეს ღმერთი! გაოცებას ვერ მალავ, ერთადერთ ქალს შეუძლია ამ ყველაფერს გაუმკლავდეს და ბოლომდე თავისუფალ ადამიანად დარჩეს. შენც გიჩნდება სურვილი, „გათავისუფლდე“, ეს ალბათ მაშინ მოხდება, ექიმის ცოლს ფარად რომ აღარ დაიყენებ, როცა შენც იმავეს გაივლი არა სიცოცხლისთვის, არამედ თავისუფლების ძიებისთვის.

ჟოზე სარამაგო კი დაგაფიქრებს: იქნებ შენც ისეთი ხარ, მათნაირი, გაიხედე ირგვლივ – განა იგივე არ ხდება? განა ადამიანები ადამიანებისთვის მგლები არ არიან? განა ერთმანეთს არ იმეტებენ? არ ჩაგრავენ? არ ართმევენ ლუკმას? სიბინძურეში არ ცხოვრობენ? და შემდეგ შეგეკითხება – შენ ხარ ის, ვისაც შეუძლია ადამიანებს დაეხმაროს, უმეცრებიდან გამოიყვანოს, სიბინძურის სუნსა და გარემოს ააშოროს, მოსაკლავად ვერ გაიმეტოს, დაინდოს, დაიცვას, შეიფაროს? კიდევ იმაზედაც დაგაფიქრებს დედამიწაზე ღმერთკაცი, იმედი და სასოება რომ არსებობს. ეს სამება წაგიყვანს, დაგსვამს ტრიალ ადგილას, სიმწვანეში ან სითეთრეში და მოგცემს ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლესთან ერთად თავისუფლების განცდისა და შეგრძნების ნიჭს. მერე? მერე შენ და სამყარო... გაახილე თვალი, მიუხედავად იმისა, რომ თვალღია ხარ, გახსენი გულისა და გონების კარი და მიხვდი – შენ ადამის მოდგმა ხარ, უფლის ხელით შექმნილის მოდგმა, ღვთაებრივსულჩადგმული და შეისრუტე შენი წილი თავისუფლება, რომელიც სხვისი თავისუფლების აღიარებით იწყება. სივრცე? სივრცე დიდია, შენ – პატარა, მაგრამ ხომ შეიძლება, სივრცე გახადო პატარა და შენ გახდე დიდი? აქაც არჩევანის წინაშე დადგები – ეს სიდიდე ამპარტავნება კი არა, თავმდაბლობაა, ადამიანში ღირსების გაღვიძება, იმ ღირსებისა ადამიანის თვალეზიდან რომ უნდა ანათებდეს. ჰოდა, თუ თვალი სულის სარკეა, მაშინ სარამაგოც სულიერ სიბრმავეზე წერს.

ეს არის წიგნი, რომელიც უმძიმესი ეპიზოდების მიუხედავად სულმოუთქმელად იკითხება. არა მარტო იმიტომ, რომ თავი დააღწიო ამ სისასტიკეს, არამედ იმიტომ, რომ შენ ირგვლივ თვალგახელილი კი არა, სიბრმავედან გამოსული, ბედნიერი, თავისუფალი ადამიანები იხილო და უთხრა მათ: „ვისაც თვალი აქვს, იხილოს და ვინც იხილავს – შეიცნოს“.



ყველაზე დიდი ემოცია ამ წიგნში თანაგანცდაა. საოცარია, როგორ იცვლები ნანარმოების ბოლოს, როგორ გიხარია, რომ სამყაროს ფერები დაუბრუნდა, გჯერა, ყველაფერი თავის ადგილას დადგება. არ შეიძლება ადამიანები ასეთებად დარჩნენ. დარწმუნდები, რომ სარამაგუს ადამიანები კი არ სძულს, პირიქით, ძალიან უყვარს, მაგრამ ასეთი რამ რომ არ მოხდეს, იმიტომაც დაწერა, ალბათ, ეს წიგნი. და კიდევ იმიტომაც, რომ შეგვახსენა: „ადამიანებო, იყავით ადამიანურნი, ეს თქვენი პირველი მოვალეობაა!“

გაოცებს ავტორის მსოფლხედვა, მსოფლალქმა, აზროვნება, მით უფრო მაშინ, როცა ხვდები – ეს ფანტაზია კი არა, რეალური ამბავია...


გაოცებს შემოქმედებითი ნიჭი და უნარი პერსონაჟთა შექმნისა, ძერწვისა, ხატვისა, თუნდაც, უსახელო ადამიანთა მრავალფეროვნება...

გაოცებს ესთეტიკური იდეალის პოვნისკენ მიმავალი ფართო გვირაბი, რომლის ბოლოში ერთი უბრალო ქალი, ექიმის ცოლი დგას და ერთადერთი თვალხილულია ბრმა ბრბოში, რომელიც ხედავს ადამიანთა სიმდაბლეს, სიბილწეს, სისასტიკეს და მაინც ადამიანად რჩება.

ზოგადად მხატვრულ ნანარმოებებში რეალობა პირობითია, ამ პირობითობა იერსახე, საზოგადოდან შექმნილი ინდივიდი, პერსონა, პიროვნება. ჟოზე სარამაგუს ესთეტიკური იდეალიც ესაა – ანტისიბრმავე და არა ფართოდ გახელილი თვალეზი.

ჩემთვის არსებობს მრავალი მიზეზი, რისთვისაც უნდა ნაიკითხოთ ეს წიგნი:

1. რა ნიშნით ირჩევენ მწერლებს ნობელის პრემიის ლაურეატებად;



2. არსად წამიკითხავს მწერლისგან ასე სასტიკად გამეტებული ადამიანები;

3. ცალ-ცალკე ყველა მოვლენა ხდება წუთისოფელში, აქ კი ერთადაა თავმოყრილი და ამიტომაცაა წასაკითხად მძიმე;

4. იმიტომაც, რომ თავს მოერიო, კაცებრივ ჩარჩოს არ გასცდეს;

5. თავი გამოსცადო, როგორც მკითხველმა;

6. იმიტომაც, თუ ვინმე ბრმას იცნობთ, დაფიქრდეთ, მართალია, ისინი ვერ ხედავენ, მაგრამ ჩვენზე კარგად და ბევრად უკეთესად გრძნობენ;

7. იმიტომაც, რომ უყურებდე და ხედავდე, გესმოდეს და გაიგო.

და ბოლოს, უკანასკნელი აბზაცი წიგნიდან: „ექიმის ცოლი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, ქვემოთ ნაგვით გავსებული ქუჩები დაინახა, ადამიანები, რომლებიც მღეროდნენ და ყვიროდნენ. მერე ზეცას ახედა და სრული სითეთრე დაინახა. გაიფიქრა, აი, ჩემი ჯერიც დადგაო, შიშმა თვალები ძირს დაახრევინა, ქვემოთ კი ქალაქი ისეთივე დარჩა, როგორც იყო“.

ის გადარჩა...

სითეთრის, სისპეტაკის ადგილი ცაშია, მინა (ქალაქი) კი ისეთად უნდა დარჩეს, როგორც იყო... ცასა და მინას შორის კი ჩვენი სამშენიველია. ჰოდა, წაიკითხეთ ჟოზე სარამაგუს „სიბრძნე“, მინა რომ მინად დარჩეს და ცის მშენიერებითაც დატკბეთ!



დიანა ზოიძე

პრიპიქი

არსენ ბულმაისიმის ძის ბიოგრაფიული ცნობები

არსენ ბულმაისიმისძე (დაახლ. 1185-1250) – საქართველოს კათალიკოსი და ჭყონდიდე-ლ-მნიგნობართუხუცესი 1224-1247 წლებში, ცნობილი სასულიერო მწერალი და საზოგადო მოღვაწე რუსუდან დედოფლის ზეობისას. ხვარაზმელთა შემოსევის დროს სამეფო კართან ერთად დასავლეთ საქართველოში გადავიდა და 1226-1233 წლები დაჰყო გელათის საგანეში. ამ დროს მისი სვინგელოსის (მრჩევლისა და თანაშემწის) მოვალეობას ასრულებდა სამეფო კარის ეპისკოპოსი საბა. დაახლოებით 1230 წელს დავით VII (რუსუდანის ძე, შემდგომში დავით ნარინი) აკურთხა ქუთაისში რუსუდან დედოფლის თანამოსაყდრედ და „სრულყო... წესი კურთხევისა“. გელათში ყოფნის დროს არსენს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხიხათა (აჭარის) ერისთავთ-ერისთავების სახელოვან წარმომადგენლებთან – აბუსერ, ვარდან და ტბელ აბუსერიძეებთან, რასაც მოწმობს ხელნაწერი A-85 (1233 წ.). ამ ხელნაწერში ტბელ აბუსერიძეს შეუტანია არსენ ბულმაისიმისძის 4 ტექსტი: 1. „უფალო ღაღადყავსა ხატისა უხილავისა და სხუანი მეოთხის გუერდისნი გალობანი“ (დანერილი ვარდან აბუსერიძის თხოვნით); 2. „თჳთძლისპირნი გა-

ლობანი ჳელთუქმნელისა ხატისანი მეორის გუერდისნი“ (დანერილი აბუსერ აბუსერიძის თხოვნით); 3. „ეპისტოლე აბუსერ აბუსერიძისადმი“. 4. „თებერვალ-მაისის იამბიკური სვინაქსარი“ – იოანე პეტრიწის თხზულების გაგრძელება, რომელიც არსენს დაუნერია ტბელ აბუსერიძის თხოვნით. 1233 წლიდან არსენი ისევ მცხეთაშია. რუსუდან დედოფლის თხოვნით, 1240 წელს ის, დავით VII-ის მეფედ დამტკიცების მიზნით, ქართველ დიდებულებთან ერთად ელჩად იმყოფებოდა ყარაყორუმში ბათო ყაენთან, რასაც გვაუწყებს მისი „დანერილი“ მგელა აბულახტარისძისადმი: „მას ჟამსა, ოდეს ღმერთმან და ვიკადრო – გამზრდელმან ჩემმა მეფეთ-მეფემა რუსუდან ბათოისსა გამგზავნეს სამსახურად, შენ მაშინ თანა მყევ და დიდი მოიჭირვე და ჭირნი ჰნახენ“. 1247 წელს გუიუქ-ყაენმა ორივე დავითი (VII – რუსუდანის ძე და VIII – გიორგის ძე) დაამტკიცა საქართველოს სამეფო ტახტზე. კათალიკოსის საყდარზე ამ პერიოდიდან არსენ ბულმაისიმისძეს შედარებით ნეიტრალური კანდიდატი სცვლის, თავად მნიგნობართუხუცეს-ყოფილი კი შიო-მღვიმის მონასტერში მიდის, რის შესახებაც ცნობას გვანვდის „დანერილი გრიგოლ სუ-

რამელისა მღვიმისადმი“. შიო-მღვიმეში მწირობის დროს არსენმა დაწერა წმ. შიო მღვიმელის სვინაქსარული ცხოვრება და „გალობანი წმიდისა შიო მღვიმელისანი“, რომლის აკროსტიქიც შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობას: „არსენი ქართლისა კათალიკოსი შიოს უგალობ“.

შიოსადმი მიძღვნილი საგალობელი ძირითადად შინაარსობრივად ჰიმნოგრაფიული მასალაა და ჰაგიოგრაფიულ თხრობას ემყარება. შიოს მწერალი უწოდებს უდაბნოს მნათობს, მათა ყუავილს, უდაბნოს დაუვალ ვარსკულავს და სხვ. შიოს ღვანლის და სულიერი ზეაღსვლის საჩვენებლად უხვადაა მოხმობილი ბიბლიური მოტივები და პარადიგმები.

არსენ ბულმაისიმისძის შემოქმედებით კალამს ეკუთვნის „გალობანი წმიდისა ნინოსნი“ (შედგება 33 სტროფისა და რვა გალობისაგან). ერთვის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარები. წმინდა ნინოს ავტორი უწოდებს არა თუ მოციქულს და მოციქულთა სწორს, არამედ მახარებელს, რითაც იგი სახარების ავტორებს ამოუყენა გვერდით (ნ. სულავა). მის საგალობელში ნიკოლოზ გულაბერიძის კვალდაკვალ აქცენტირებულია ქრისტეს კვართი, ჯვარი და ცხოველი სვეტი, ნინო მოხსენიებულია, როგორც ტყვე და ტყვეთა მხსნელი, მოციქული, ქადავი, განმანათლებელი.

ამასთანავე ნინოსადმი მიძღვნილი სხვა ეპითეტები იმეორებს ღმრთისმშობლის ეპითეტებს („სუეთი ნათლისა“, „ცუარი ღრუბლისა“, „სიონი“), რომელსაც იმავე საგალობელში უძღვნის ქებას. ამით ჰიმნოგრაფი აგრძელებს იდეას, დამკვიდრებულს არსენი კათალიკოსის (XI ს.) ნინოს მეტაფორასულ ცხოვრებაში, რომ ნინო ღმრთისმშობლის მიმბაძავია, წმინდა ნინო შუამავალია ქრისტესა და ქართველებს შორის, როგორც ღვთისმშობელი იყო შუამავალი ქრისტესა და ადამიანებს შორის. საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობა ნინოს მოსვლით იქნა ღვთის მიერ გაცხადებული.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები თავმოყრილია კრებულში A-85. არსენის საგალობლები დიდი პოპულარულობით სარგებლობდა, რასაც ადასტურებს მათი შეტანა XVII-XVIII საუკუნეების „სადღესასწაულოებში“.

არსენ ბულმაისიმისძის შემოქმედებას კარგად იცნობენ გვიანი ავტორები: ტრიფილე არქიმანდრიტი, გაბრიელ მცირე, ანტონ კათალიკოსი, იოანე ბატონიშვილი, რომლის დასტურიცაა ის, რომ ანტონ კათალიკოსმა „წყობილსიტყვაობაში“ არსენ ბულმაისიმისძეს მიუძღვნა სამი სტროფი, სადაც შეფასებულია მისი ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობა. (რელიგია, 1996, №10-11-12, 99-103.) აგრეთვე არსენის შესახებ ტრადიციული, XVIII საუკუნეში შემუშავებულ შეხედულებებს გადმოგვცემს იოანე ბატონიშვილიც (მცირე უწყებანი, 118).

ჰიმნოგრაფიული ნაწარმოების სპეციფიკა მოითხოვს საღვთისმეტყველო აზრის, ლიტურატურული ტექსტის და მელოდიის შერწყმას. ამიტომ ჰიმნოგრაფი ერთდროულად არის ღვთისმეტყველიც, პოეტიც და მუსიკოსიც. ასეთ მოთხოვნათა სიმალღეზე დგას კათალიკოს არსენ ბულმაისიმისძის ლიტურატურული შემოქმედება. როგორც ჩანს, მისი ნიჭის, განათლებისა და უნარის გამო სთხოვეს მას დიდგვაროვანმა ძმებმა აბუსერისძეებმა მიუძღვნა საგალობელი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი. არსენს, სანამ დათანხმდებოდა, მსგავსად მისი წინამორბედი მწერლებისა, რომელთაც „დუმილი ოქროდ მიაჩნდათ“, დიდხანს უჭოჭმანია. საპასუხო ეპისტოლეში უდიდესი ქრისტიანული თავმდაბლობით და ადამიანური მოკრძალებით არის გამოხატული მისი შეხედულება შემოქმედებით პროცესზე, როგორც სული წმიდით შთაგონებული მდგომარეობა: „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაი საუკუნოდ, რომელსამე საქებელყოფად, ხოლო სხვისა – განქიქებად უმეცრებისა, ვითარ ვხედავ ან ჩემსა“. ამავე ეპისტოლეში გამოხატულია არსენის შეხედულებები თავისთავად ლიტურატურაზე, რაც უსათუოდ ეპოქის ლიტურატურულ-ესთეტიკური პრინციპების გამოძახილია: „ჭეშმარიტებაი უფროის თხზულთა

პირველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაი საუკუნოდ, რომელსამე საქებელყოფად, ხოლო სხვისა – განქიქებად უმეცრებისა, ვითარ ვხედავ ან ჩემსა“. ამავე ეპისტოლეში გამოხატულია არსენის შეხედულებები თავისთავად ლიტურატურაზე, რაც უსათუოდ ეპოქის ლიტურატურულ-ესთეტიკური პრინციპების გამოძახილია: „ჭეშმარიტებაი უფროის თხზულთა

სიტყუათა წინაშე ბჭისა კეთილისა და სიმართლე – წინაშე მეფისა დიდისა“. მაშასადამე, ჭეშმარიტისმეტყველება ისევე უმჯობესია „თხზულ“, გამოგონილ ამბავთან შედარებით, როგორც სიმართლის თქმა სიცრუეზე მსაჯულის წინაშე. ჭეშმარიტების წყარო ღმერთია, ამიტომაც იგი ყოველთვის აღემატება გამოგონილს. არსენს სწამს, რომ ადამიანის ნამუშაკვევი, მათ შორის ლიტერატურული, ღმერთს უნდა მიეძღვნას, მას უნდა დაუბრუნდეს, რადგან თავად ღმერთია ამ კეთილ საქმეთა დასაბამი და მათ გასაკეთებლად ღმერთისადმი რწმენა ამოძრავებს ადამიანის კეთილ ნებას ცხადია, ასეთი შეხედულებანი, დაფუძნებული ბიბლიურ ცოდნაზე, პატრისტიკულ ლიტერატურაზე და ღვთისმეტყველებაზე, არ იქნებოდა სწორი მხოლოდ არსენის ეპოქისათვის მიგვეწერა. ასეთ შეხედულებათა ძლიერი ნაკადი ქართულ მწერლობაში უკვე VIII საუკუნიდან, იოანე საბანისძის თხზულებიდან ჩანს, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით ყველა დროში ასაზრდოებდა შუა საუკუნეების ქართულ მწერლობას.

მინაწერი გვანდის ცნობას იმის თაობაზე, რომ არსენ ბულმაისიმისძე, აქვე მოიხსენიება როგორც „მონაი მონათა ღმერთისათაი მდაბალი არსენი ამორტალი (293r), აბუსერ აბუსერისძისათვის ეპისტოლთან ერთად გაუგზავნია საგალობლები, მიძღვნილი მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი (სულავა, 2003. გვ. 168),

საგალობელთა წარწერებიდან და ანდერძიდან გამომდინარე, მათი შექმნისას არსენ ბულმაისიმისძე ყოფილა საქართველოს (ხელნაწერის მონაცემებით- ქართლის) კათალიკოსი. ხელნაწერი 1233 წლითაა დათარიღებული, ე. ი. არსენი ამ დროს საქართველოს კათალიკოსია. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არსენი უძველეს ხელნაწერებში, სადაც მისი თხზულებებია შემონახული, იხსენიება ბულმაისიმისძედ და არა ბულმაისისძედ ან ბულმაიძედ. მისი ამგვარი მოხსენიება გვიანდელი, XVII-XVIII საუკუნეების ტრადიციაა. ეს ფაქტი პირველმა ნ. ბერ-

ძენიშვილმა აღნიშნა (ნ. ბერძენიშვილი, მოამბე. V-VI, 1940, 409.).

არსენ ბულმაისიმისძის საკათალიკო მოღვაწეობითა და ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობით სხვადასხვა დროს დაინტერესებულან და გამოკვლევები მიუძღვნიათ: თ. ჟორდანიას, პ. კარბელაშვილს, ზ. ჭიჭინაძეს, ს. კაკაბაძეს, კ. კეკელიძეს, ნ. ბერძენიშვილს, გ. მიქაძეს. ამასთან სპეციალური ძიების საგნად გაუხდია კ. კეკელიძეს, რომელმაც პირველმა შეისწავლა მისი ცხოვრება და მოღვაწეობა. აღნიშნა მისი დამსახურება ქართულ სასულიერო მწერლობაში კონკრეტულად კი ჰიმნოგრაფიაში.

ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც დაწვრილებით განიხილა წინა პერიოდის მკვლევართა შეხედულებები არსენის მოღვაწეობის შესახებ და დაასკვნა, რომ არსენი იყო არა ქართლის, არამედ აფხაზეთის კათალიკოსი.

გ. მიქაძემ ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიძღვნილ სპეციალურ სამეცნიერო ნაშრომში დააზუსტა არსენის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები და ივარაუდა, რომ ის უნდა დაბადებულიყო XII საუკუნის მიწურულს და XIII საუკუნის დამდეგს, რადგან A-85 ხელნაწერის მიხედვით 1233 წლისათვის ის კათალიკოსია, ხოლო კათალიკოსობა, იმდროინდელი საეკლესიო კანონების მიხედვით, შეიძლებოდა მხოლოდ 35 წლის ასაკიდან. გ. მიქაძემ ამავე ნაშრომში ეჭვქვეშ დააყენა და ძალიან რეალურადაც ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ არსენი იყო არა ქართლის, არამედ აფხაზეთის კათალიკოსი. ასევე ყურადღება მიაქცია ხელნაწერთა მონაცემებს და დაადასტურა, რომ არსენი ქართლის (ე. ი. საქართველოს) კათალიკოსია. საინტერესო არგუმენტებზე მიგვიანწინებს ნესტან სულავაც „ქართლის ცხოვრებიდან“ ან სხვა ისტორიულ დოკუმენტებში დაცული ტრადიცია საქართველოს კათალიკოსთა მოხსენიების შესახებ საქართველოს ერთიანობისა და პოლიტიკური ზეობის ხანაში, თამარის ეპოქაში, მისსივე ისტორიებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ

საქართველოს კათალიკოსები წარმოითქმებიან „ქართლის კათალიკოსებად“, მაგალითად: ბასილი ეზოსმოდვარი წერს: „ხოლო წინამძღვართა კრებისათა ნიკოლას და ანტონი... არა ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოსი, რამეთუ წინაუკმო იწყო წესთაგან ეკლესიისთა“ საუბარია გიორგი მესამისა და თამარის თანამედროვე საქართველოს კათალიკოს მიქაელზე. „მოკუდა ქართლის კათალიკოსი“.

სრულიად რეალური და ჭეშმარიტი მაგალითები მოჰყავთ სულავასა და მიქაძეს, არსენ ბულმაისიმისძის ქართლის კათალიკოსობის შესახებ. ჩემთვის გაუგებარია რის საფუძველზე ან რას დაეყრდნო ნ. ბერძენიშვილი, როდესაც განაცხადა იმის შესახებ, რომ არსენ ბულმაისიმისძე აფხაზეთის კათალიკოსია და არა ქართლის.

ივანე ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ ეკლესიის მსახურთა და მათი უფლება-მოვალეობათა ქართული საისტორიო და ჰაგიოგრაფიული თხზულებების მონაცემთა მიხედვით შეეხო კათალიკოსის უფლება-მოვალეობასა და დადგინების წესებს და აღნიშნა, რომ კათალიკოსი საჭეთმპყრობელი იყო.

ა. ჯავახიშვილის კვლევის თანახმად, რომელმაც სიღრმისეულად შეისწავლა და განიხილა ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოს უფლებამოსილების საკითხები, წყაროებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ ამათგან უმთავრესი ქართლის კათალიკოსია, რომელიც ამავე დროს, გახლდათ საქართველოს კათალიკოსი.

არსენის საგალობელს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის შესახებ საფუძვლად დაედო ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილი აპოკრიფული თხრობა მაცხოვრისა და ედესის მეფის ავგაროზის მიმონერის თაობაზე.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ XII-XIII საუკუნეების ქართული სასულიერო მწერლობა და თვით მონუმენტური ფერწერაც ცხოველ ინტერესს იჩენს ხელთუქმნელი ხატის თემისადმი. ხელთუქმნელი ხატი განსაკუთრებულ რელიქვიად იქცა ქართული ეკლესიისათვის, მას ეთაყვა-

ნებოდნენ როგორც განკაცების სახეს და როგორც სასწაულმოქმედების უნარით აღჭურვილ სინმინდეს. ბიზანტიაში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ოფიციალური კულტის ისტორია 944 წლიდან იწყება. ამ წელს ჩაუტანიათ ედესიდან კონსტანტინოპოლში ცნობილი მანდილიონი მაცხოვრის ანაბეჭდით. 945 წელს ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე VII-მ ხატს მიუძღვნა ქადაგება, ამის შემდეგ საეკლესიო კალენდარში დაწესდა ხატის სახელობის დღესასწაული 16 (29) აგვისტოს და შეიქმნა მისდამი მიძღვნილი სხვა საკითხავები.

ამავე დღეს აღინიშნება ქართულ საეკლესიო კალენდარში ანჩისხატობის და მამა ანტონობის ხსენების დღე. საქართველოს ეკლესიის ლიტურგულ პრაქტიკაში ამ თარიღის განწესება, სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, გიორგი მთანმინდელს მიეწერება.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობელში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი ქართველი ერის რჩეულობის იდეა გამოხატულია ბიზანტიასთან გატოლების ნიშნით: „ქალაქთა მზემან ტილოი, ხოლო ქართლმან კეცი დაიმკვიდრა სიმდიდრედ საცხოვრებელად“. მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის დამკვიდრების ფაქტს საქართველოში (მისი არსებობა იგულისხმება მარტყოფის ტაძარში) არსენ ბულმაისიმისძე იყენებს, რათა ქართველი ერი ახალ ისრაელად, „ახალ“, საზეპურო ერად გამოაცხადოს: „შუამდინარით ვარსკულავი აღმოჰხედ დიდისა მთებისა პავლეს ძიებად, ოი, მამაო ანტონი, და საუნჯე მიიტაცე, რომელი ვერვინ წმიდათაგანმან შეუძლო შეძინებად, ღმრთიექმნული ხატი ყოვლად წმიდაი, და ისრაელსა ამას ახალსა დაუნჯე ქართველთასა ერსა საზეპუროსა, ვინაიცა იდიდე ღმრთისა მიერ ბრძენო, შემყუარებელი მისი...“

ჰიმნოგრაფიისათვის უცხოა დროისა და სივრცის დაკონკრეტება. ისტორიული მომენტი, რეალური პოლიტიკური მოვლენები, რაც არ უნდა მწვავე იყოს ისინი, ჰიმნოგრაფიაში არ ასახება. არსენ ბულმაისიმისძე, რასაკვირველია,

მომსწრე იყო საქართველოში დატრიალებული უმძიმესი მოვლენებისა (ხვარაზმელები, მონღოლები), რომლებსაც შეუძლებელია მასში ადამიანური მღელვარება არ გამოენვია, მაგრამ, მარადიულობაზე მოფიქრალ მწერალს, ცხადაა, არ შეეძლო ასეთ საგნებზე წერა. ეს უკვე იმდროინდელი გაგებით, მეისტორიეთა საქმე იყო. მაგრამ მისი საგალობლების ამალღებული განწყობილება, ქართველი ერის რჩეულობის ქადაგება, შერწყმული უნატიფეს რელიგიურ განწყობილებებთან, თავისთავად იძენდა იდეოლოგიურ დატვირთვას, რაც უსათუოდ ზემოქმედებდა ეკლესიის მრევლზე განსაცდელის ჟამს.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლების კომპოზიციური და სტრუქტურული ნყობა, აზრობრივ-თემატური დატვირთვა, საღვთო სახელები, ღვთისმშობლისა და წმინდანთა ატრიბუტ-

ები, ეპითეტები, ბიბლიური წიგნებიდან აღებული პარადიგმული სახეები მთელი სისრულით ასახავს იმდროინდელი საღვთისმეტყველო აზროვნების დონეს და ქართული სასულიერო მწერლობის განვითარების უწყვეტ გზას.

მიუხედავად იმისა, რომ არსენ ბულმაისიმისძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მწირი ინფორმაცია გვაქვს, ხელნაწერებზე დაყრდნობით თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსენი გახლდათ XIII საუკუნის უდიდესი ჰიმნოგრაფი, რომლის საგალობლები ფილოსოფიურ-თეოლოგიურ აზროვნების მაღალ დონეს განეკუთვნება. რომელმაც შემოქმედებითი სახით გადმოგვცა თავისი ინტელექტუალური, სულიერი, მორალური, ეროვნული თვითშეგნება ქართული ერის განსაკუთრებულობის, მისი გამორჩეულობის დასაბუთებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კეკელიძე კ., ქლტ, I, გვ. 326-329.
2. მიქაძე გ., არსენ ბულმაისიმისძე, ლიტერატურული ძიებანი, XV, 1963, გვ. 115-140.
3. სულავა ნ., XII-XVIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. „მერანი“, თბილისი, 2003. გვ. 167-168.
4. ჯაფარიძე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. II, თბ., 1998, გვ. 214-218.
5. „ანტონ კათალიკოსი ქართული ჰიმნოგრაფთა შესახებ“, რელიგია, 1996, №10-11-12 გვ. 214-218.
6. სულავა ნ., არსენ ბულმაისიმისძის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიური მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1996, №3-4, გვ. 97-123.
7. სულავა ნ., პოლიტიკური იდეოლოგია და XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, სამეცნიერო კონფერენცია – „ქრისტიანობა, წარსული, აწმყო, მომავალი“, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, 2000 წლის 11-17 ოქტომბერი „მემატიანე“, თბილისი, 2000.
8. ჟორდანიას თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, თბილისი 1987, გვ. 108-110.
9. ინგოროყვა პ., ძველი ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 391-412.
10. ჩხიკვაძე ნ., „ავგაროზი ეპისტოლის“ შესახებ, ჟურნ. გზა სამეუფო, 1996, №1.
11. ჯანელიძე დ., მისტერია „გალობაი წმიდისა მოციქულისა ნინოსისი“. ხელოვნება, 1992, №3-4, გვ. 46-59.

არსენ ბულმაისიმისძე – „გალოპანი წმინდისა მოციქულისა ნინოსი“

არსენ ბულმაისიმისძის საგალობელთა შორის აღსანიშნავია წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელიც შემონახულია რამდენიმე ხელნაწერით, აქვს აგრეთვე აკროსტიქი: „ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს“. არსენი. თხზულება არის ჰიმნოგრაფიული კანონი, 33 სტროფისგან შედგება, იყოფა 8 გალობად და თითოეული მათგანი მთავრდება ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარით.

საინტერესოა საგალობლის შინაარსი და სტრუქტურა, რომელიც იწყება ქრისტესადმი მიმართვა-თხოვნით, რომ ჰიმნოგრაფს შეაძლებინოს საგალობლის დაწერა და წმინდა ნინოს ღირსეულად წარმოჩენა: „ქრისტე აღახვენ ძნობად ბაგენნი ჩემნი ქალწულისა დედისა მოციქულისა და ქადაგისა შენისა ნინოსისა შესხმად“.

არსენ ბულმაისიმისძე საგალობელში ნინოს აქებს, ქართველი ერის სულიერ განმაახლებელს და არმაზის კერპთა მსხვერველს. „არმაზსს შეედევა ძრწოლადი მების ტეხითა და ზედენისნი უხმარ იქმნეს სიცბილნ“. წმინდა ნინომ ქვესკნელთა ბჭეთა განხმით გამოიხსნა არმაზის კერპთა მიერ ტყვედ მპყრობილნი. ამიტომ წმინდა ნინო „თვს ერთგული მახარობელგყო ღმერთმან... მოგავლინა და მოგვწოდა ძედ თვსად“. საინტერესოა არსენის მიერ წმინდა ნინოს მახარებლად მოხსენიება, ის გაუთანაბრა არამარტო ქრისტეს მოციქულებს, არამედ მახარებლებს, სახარების ავტორებს დაუყენა გვერდით (სულავა, 2003, 213).

საგალობელში ნინო გვევლინება, როგორც „ქალწული დედის მოციქული და ქადაგი“, „სულითა მოძრავი ბრძენი“; „ღმრთისა მხილველი“; „ტყუე და ტყუეთა მსხნელი“; „ღირსნი ნინო“; „დიდებული“; „ქადაგი და განმანათლებელი ჩუენი“; აღნიშვნის ღირსია ის გარემოება რომ საგალობლის 8 ტროპარი ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ეძღვნება და ჰიმნოგრაფი მას მოიხსენიებს უმთავრესი ატრიბუტით, როგორც

ქალწულს, „ქალწულო ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო“; „მაცხოვარებაო ჩუენო“; „ქრისტეს ღმრთისა დედაო“; „არსთა მოქმედისა ქრისტეს ღმრთისა დედაო“; „წმიდაო დედაო და სძალო“.

ჰიმნოგრაფის საგალობელი შედარებული არის „აკათისტოს“, რომელიც ღვთისმშობლის სამადლობელი საგალობლადაა აღიარებული. წმიდა ნინო ღვთისმშობლის მიმბაძავია, რომელიც შუამავალია ადამიანსა და მაცხოვარს შორის; ნინო კი შუამდგომია ქრისტესა და ქართველობას შორის, წმიდა ნინო ქართველთათვის ღვთისმშობლის მონაცვლეა (სირაძე 1992, 114), რასაც ადასტურებს წმინდა ნინოს ვაზის ჯვრით შემობრძანება საქართველოში.

არსენ ბულმაისიმისძე წმინდა ნინოს მოციქულს უწოდებს: „ქრისტეს ქადაგო და დიდო მოციქულო!“. ტრადიციულად, ქართული ეკლესია წმინდა ნინოს მოციქულთა სწორად მოიხსენიებდა. ივანე ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ პირდაპირ მოციქული მას პირველად ნიკოლოზ გულაბერისძემ უწოდა, მანამდე კი მას მხოლოდ მოციქულთა სწორად იხსენიებენო. ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაში „საკითხავი სუეტისა ცხოველისანი“ ვკითხულობთ: „ათორმეტთა თანა მეცამეტე ჭეშმარიტი მოციქული და დედა „ქართველთა არის წმინდა ნინო“.

„ნინოს ცხოვრებებზე“ კვლევა-ძიებამ დაადასტურა ის ფაქტი, რომ წმინდა ნინოს მოციქულს ადრევე უწოდებენ. კერძოდ რ. სირაძემ დაიმონმა „ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-კიმენური რედაქცია, სადაც წმინდა ნინო უშუალოდ მოციქულად და მახარებლადაა აღიარებული. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წმინდა ნინო ტროპარებში მოიხსენიება საღვთო და საღვთისმშობლო სახელებით: „სუეტი ნათლისაი“, „ცუარი ღრუბლისაი“.

არსენ ბულმაისიმისძე წმინდა ნინოს ღვთისმშობლის მონაცვლედ წარმოაჩენს, რასაც საფუძვლად ჰაგიოგრაფიული მონათხრობი უდევს.

ყოველთვის ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ქრისტეს კვართისა და სუეტი წმინდაის ხსენება ერთად.

არსენის საგალობელში „სუეტი“ წმინდა ნინოს ხელთაღპყრობით აღემართა: „აღმართა რაი სუეტი წმიდაი შენ მიერ აპყრობითა ხელითაითა“, რომელსაც ჰაგიოგრაფიული მონაცემები უდევს საფუძვლად – ტაძრის მშენებლობისას მეშვიდე სვეტი ვერ აღმართეს. „ნინოს ცხოვრების“ ძველ-შატბერდულ რედაქციაში შვიდი სვეტი არ ჩანს, მხოლოდ ერთია ნახსენები და სწორედ იგია ცხოველი სვეტი, ნავძის ხისგან დამზადებული. ლეონტი მროველი კი ადასტურებს შვიდი სვეტის არსებობას. ლეონტი მროველისა და ნიკოლოზ გულაბერისძის მიხედვით, ვერ აღმართეს, გათენებისას ილოცა წმინდა ნინომ, ნახა ცეცხლით წარმოსხმულმა ჭაბუკმა, რომელმაც შეძლო (მთავარ სვეტის) დედაბოდის აღმართვა, ხოლო სვეტმა სახე იცვალა და ცეცხლის სახე მიიღო, ასევე დაეშვა იგი უკვე ნათლის სვეტად, რომელიც მიწიდან ზეცად აღინეოდა და თავზე ნათლის გვირგვინი ედგა. შატბერდული რედაქცია გვეუბნება, რომ მოსულემა დილით იხილეს „საკვირველი იგი ნათლითა მბრწყინვალე სვეტი იგი ჩამოვიდოდა ადგილად თვსა, რეცა თუ დადგა ხარისხსა თვსაზედა და დაემყარა ხელშეუხებლად კაცთაგან“.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობელი ასე სიღრმით არ გადმოგვცემს ნათლის სვეტის შესახებ, როგორც ნიკოლოზ გულაბერისძის და ლეონტი მროველის საგალობლებშია მოთხრობილი, თუმცა ჰიმნოგრაფი ადასტურებს უფლის კვართის მცხეთაში ჩამოტანას, მის დაკძალვას და სვეტის ნათლის აღმართვას. ასევე კერპების დამსხრევასა და მის ნაცვალად ეკლესიების აშენებას: „ბილნი არმაზის ნაცვლად შვილნი სიონისანი, ნინოსაგან განათლებულნი უგალობენ ჯუარსა ქრისტესსა, კუართსა თანა სუეტსა“.

არსენის საგალობლებში ერთ რიგშია მოქცეული, ჯვარი, უფლის კვართი და სვეტი წმიდა, რ. სირაძის აზრით, იქნებ ამანაც განაპირობა კვართის ადგილზე სვეტისცხოვლის აშენება, რო-

მელიც 12 მოციქულის სახელობისაა და მასთან ახლოს ჯვრის სამონასტვრო კომპლექსის შექმნაც, რომელიც ნინოს ცხოვრება-მოღვაწეობას უკავშირდება.

სამი სინმიდის ხსენება-ჯვარის, საუფლო კვართის, წმიდა სვეტის ერთად, ერის გადარჩენის სურვილით იყო ნაკარნახევი. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა ქართულ მწერლობაში დამკვიდრებულ მესიანისტური იდეის გაცოცხლებას.

„ნინოს ცხოვრების ყველა რედაქცია გვამცნობს, რომ ნინო თავადაა ტყვე და სხვა ტყეთა მხსნელი. რასაც ადასტურებს ბერძნული წყაროებიც. რ. სირაძემ სპეციალური კვლევის საგნად აქცია ნინოს ეპითეტები – ტყვე და დედოფალი, მისი აზრით, არაა გამორიცხული, რომ ტყვე ქრისტიანულ იდეალს გამოხატავს. როგორც ჩანს ქრისტოლოგიური თვალსაზრისით ნინო სულიერი მეუფე „მონაა“.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობელში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია წინა პლანზე წამოსაწევი, რომელიც განპირობებულია ქების ობიექტის მოღვაწეობით. ცნობილია, რომ ჰაგიოგრაფია ერისთვისებს წარმოაჩენს ორი მიმართულებით – დადებითითა და უარყოფითით. ჰიმნოგრაფიაში ჟანრული თავისებურებების გამო ამგვარი რამ იშვიათია. არის გამონაკლისებიც, მაგალითად; ნინოსადმი მიძღვნილი არსენის თხზულება ამ თვალსაზრისით საინტერესო მასალას იძლევა. მასში ისტორიული დროითაა შემოსაზღვრული ქართველთა ნაკლოვანებანი, რომელიც ისტორიულ კატეგორიად გაიზარება და იმით გამოიხატება, ერი ნინოს მოსვლამდე იმყოფებოდა „სატანაისთა პყრობელებასა შინა“, მხოლოდ ნინოს მოციქულობა და ქადაგებამ იხსნა იგი „ქუესკნელსა ტყვეობისაგან“ (სულავა, 2003. გვ., 217).

არსენ ბულმაისიმისძის შემოქმედება და განსაკუთრებით საგალობლები გამოირჩევა სიმბოლოებით და მხატვრული სახეებით. აღსანიშნავია წმიდა ნინოს შედარება ლომთან, მტრედთან და ორბთან, რასაც ფსალმუნის მონაცემები დაედო: მაგალითად, მტრედი სინმინდის სიმბოლოა „ბარბაროზნი და უჟიკნი ქედფიცხელნი ტრე-

დმან წმიდამან, დასავალით მხობელმან, სიტყ-
ბოებათა თვსთა მიერ დუმილით ხელთ უსხნა
შემოქმედსა, სძალმან წმიდამან სიძესა თვსსა,
განბანილი მადლითა“ (სულავა, 2003, გვ., 219).

მიუხედავად იმისა, რომ საგალობელი გამო-
ირჩევა შინაგანი რიტმით, მაგრამ მხატვრულ-
გამომსახველობითი ხერხების თვალსაზრისით
იგი მცირედ განსხვავდება კლასიკური ხანის
ჰიმნოგრაფიისაგან, ნესტან სულავას თვალსაზ-
რისით ეს ფაქტი შეიძლება ჟანრის ისტორიული
განვითარების შედეგი იყოს. თუმცა აქა-იქ მა-
ინც ვხვდებით ზოგიერთ მხატვრულ ხერხებს,
მაგალითად ევფონია შეიძლება დავასახელოთ
და მოვიტანოთ ერთი მუხლი საგალობლიდან
ანაფორის ნიმუშად: „რაბამ რაიმე არს ხსენება
ესე შენი, რაბამ საკვირველ მოქალაქეობაი შენი,
რაბამ შეუენიერ მოციქულებაი შენ, და ყოველივე
სიკეთითა აღსავსე, ქალწულებითა შემკობილი,
ოი, ნინო“. ტროპარი ანაფორული კომპოზიციითაა
აგებული, სიტყვის „რაბამ“ სამგზის გამეორება
მთელ სტროფს ემოციური და აზრობრივი დატ-
ვირთვით გამოარჩევს, სიტყვის გამეორება მკი-
თხველს, სიდიადის, ამაღლებულობის განცდას,
სიმშვიდისა და ლოცვის განწყობას უქმნის.

ასევე საინტერესოა „გალობანი წმიდისა მო-
ციქულის“, როგორც მისტერიულ ჭრილში გა-
ნხილვა. მეცნიერების დიდ ყურადღებას იქცევს
„გალობაი წმიდისა ნინოისნი“, რომელიც სოლო-
მონ ყუბანეიშვილისა და დიმიტრი ჯანელიძის
აზრით მისტერიულია. ამის მიხედვით შეიძლება
გავარკვიოთ, წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეთა
ქართლ-რელიგიურ-ქრისტიანული მისტერია,
„ქართლის მოქცევის“ თემაზე.

საინტერესოა, გალობის ერთ-ერთ სტროფში
ნათქვამია:

„ვლიტანიობდეთ ჩვენ
პირსა შენსა,
ქალწულო ქრისტეს ქადაგო
და დიდო მოციქულო“.

ე. ი. მღვდელმასხურნი, მგალობელნი, მორ-
წმუნეთა კრებული მიმართავს წმიდა ნინოს:
შენს წინაშე სადიდებლად ლიტანიას ვყოფთ,

ლიტანიას ვასრულებთ – „ვლიტანიობთო“-ო, ეს
სიტყვა გვეხმარება, გვიადვილებს მისტერიის
შესრულების ადგილის დადგენას. აკად. აკაკი
შანიძის განმარტებით: „ლიტანია საყოველთაო
ლოცვაა ეკლესიის გარეთ, იმართებოდა დიდი
დღესასწაულების დროს“ (შანიძე, 1946, 111).
ილია აბულაძის ენის ლექსიკონით „ლიტანია
– სავედრებელი ლოცვა, ღამის თევა“, ეკლესი-
ის გარეთ ლიტანია მისტერიის შესრულებას
დიდ თავისუფლებას უქმნიდა. თავისუფლება
გამომსახველ საშუალებათა შერჩევას, დიალო-
გის შეუზღუდელ მიმართვას და სამღერალის
(სასცენო დანადგარის) მოსახერხებელი სახეო-
ბის მოწყობაში მდგომარეობდა. ამის თაობაზე
არსენ ბულმაისიმისძის გალობაში ვპოულობთ
საგულისხმო მინიშნებას:

მოციქულო ნინო, ყოველი ერი ქართველთა
გიძნობთ.

და ღვთისმშობელსაც ასე შეჰლაღადებს „გიძ-
ნობს არის ქართველთა, ღმრთისა დედაო“. აქ
გალობისმიერი მისტერია სრულიად საქართვე-
ლოსთვის საყოველთაო ქმედებად – ახიობა-სა-
ხიობად, ძნობად არის წარმოდგენილი. მისტე-
რიების გამართვაში დიდი ადგილი და როლი
ეჭირათ მოქალაქეებს, ასევე მეფეებს, დედოფ-
ლებს და ხელოვნებასაც, რომლის დახასიათება
და დეტალებზე ყურადღების გამახვილება საგა-
ლობლის მიხედვით შორს წაგვიყვანს.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსენ
ბულმაისიმისძის „გალობაი წმიდისა ნინოისნი“
არის XIII საუკუნის ქართულ ქრისტიანული კულ-
ტურის მისტერიული და ასევე მრავალმხრივ სა-
ყურადღებო მნიშვნელოვანი ძეგლი. ჰიმნოგ-
რაფი იყენებს მხატვრულ სახეებს, გამოთქმებს,
რელიგიურ ფრაზეოლოგიებს. ამავე დროს, სა-
ფუძვლად დაუდო ჰაგიოგრაფიული მონათხრო-
ბი. საქართველოს ძნელბედობის ჟამს, როცა ეს
საგალობელი დაწერა არსენ ბულმაისიმისძემ
გამოხატა, ნინოს ღვაწლი და დამსახურება ქა-
რთველ ერის წინაშე და მესიანისტური იდეის
გააქტიურებით შეეცადა ეროვნული თვითშეგ-
ნების გაღვივებას და განმტკიცებას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. სირაძე რ., ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა I. თბ., 1992, გვ.114.
2. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე თბ., 1954 გვ. 464, , 654.
3. სულავა ნ., XII-XII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია თბ., 2003, გვ. 217, 219.
4. ჯანელიძე დ., მისტერია „გალობაი წმიდისა მოციქულისა ნინოსისნი“, ხელოვნება, 1992, №N3-4, გვ. 46-59.
5. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980, გვ. 326-329.
6. ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, თბ., 1897, გვ. 108-110.
7. სულავა ნ., პოლიტიკური იდეოლოგია და XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, სამეცნიერო კონფერენცია – „ქრისტიანობა, წარსული, აწმყო, მომავალი“, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, 2000 წლის 11-17 ოქტომბერი, „მემატიანე“, თბ., 2000.
8. ინგოროყვა პ., ძველი ქართული სასულიერო პოეზია, თბ., 199, გვ. 262-263.
9. ჯანაშვილი მ., ქართველები და ქართული ენა. ჟურნ. „განათლება“, 1917, №4-5 გვ 282.

არსენ ბულმაისიმისძე – „გალობანი წმიდისა შიო მღვიმელისანი“

თვასაჩინო ქართველმა ჰიმნოგრაფმა არსენ ბულმაისიმისძემ მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მის კალამს ეკუთვნის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა და შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი საგალობელთა ორი ციკლი, წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული კანონი, ასევე მას გაუგრძელებია იოანე პეტრიწის სახელით ცნობილი მსოფლიო წმიდათა სათვეო სვინაქსარის გალექსვა, რომელიც შემდეგ XIII საუკუნეში დაუსრულებია ანტონ კათალიკოსს.

არსენ ბულმაისიმისძე გამოირჩევა ღრმა ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების უნარით და ეროვნული სულისკვეთებით, რომლის დასტურიცაა მისი შემოქმედება.

ამ სტატიაში განვიხილავთ უმნიშვნელოვანეს საგალობელს, რომელიც არსენ ბულმაისიმისძემ მიუძღვნა შიო მღვიმელს. იგი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული განგებაა, შეტანილია გვიანდელ ხელნაწერებში XII-XIII საუკუნეების სადღესასწაულოებში. ასევე მეტად მნიშვნელოვანია შიო მღვიმელის ხსენების დღე საეკლესიო კალენ-

დრის მიხედვით, აღინიშნება რამდენჯემდე: 9 (22) თებერვალს, 9 (22) მაისს – შიოს მიცვალების დღეს ყველიერის ხუთშაბათს 4 (17) იანვარი კი შიომღვიმის მონასტრის მოღვაწე და მონამე წმიდა მამათა ხსენების დღეა.

არსენ ბულმაისიმისძეს შიოს სახელზე დაუნერია მცირე ფორმის რამდენიმე საგალობელი და ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელთაგან ერთი აკროსტიქულია, რომელიც ბიბლიოგრაფიულ ცნობას შეიცავს: გალობანი წმიდისა შიოსნი, რომელთა თავნი იტყვან: „არსენი ქართლისა კათალიკოსი შიოს უგალობს: ძირითადად საგალობელი ჰაგიოგრაფიულ მონათხრობს ეფუძნება, რომელსაც დიდი ინტერესი ჰქონდა ასურელ მამათა მიმართ და გასაკვირი არ არის, რომ არსენ ბულმაისიმისძემ VI საუკუნის გამორჩეული მოღვაწე, შიო მღვიმის მონასტრის დაამარსებულს, მიუძღვნა საგალობელი.

როგორც ზემოთ ავლენიშნეთ საგალობლები ჰაგიოგრაფიულ მონათხრობს შეიცავს, რაც განპირობებულია, შიო მღვიმელის არსებული რედაქციებით, ესენია: კიმენური, მეტაფრასული და

სვინაქსარული. აქედან გამომდინარე რთული დასადგენი არ არის ჰიმნოგრაფიული თხზულების მიმართება ჰაგიოგრაფიულ ძეგლებთან.

ჰიმნოგრაფიული თხზულება რედაქციებისგან განსხვავებით ამბებს ვრცლად არ გადმოგვცემს, მხოლოდ ზოგადად შეეხება ამა თუ იმ ეპიზოდს შიო მღვიმელის ცხოვრებისა.

არსენ ბულმაისიმისძის ორივე ჰიმნოგრაფიული კანონი სტრუქტურული სიმეტრიით გამოირჩეული თხზულებებია. პირველი („უგალობდითსა“) და მეორე („ადიდებდითსა“) გალობები გამოხატავენ ერთი მხრივ, ღმერთისა და შიო მღვიმელისადმი ვედრებას, ღირსეული შესხმა წარმოათქმევინოს ჰიმნოგრაფს წმინდანის მიმართ, მეორე მხრივ, შიო მღვიმელის დღის მნიშვნელობა განსაზღვროს, წმინდანს ევედრება შიომღვიმის და ქვეყნის დაცვას. მეორე (კანონის მიხედვით მესამე – „განძლიერდასა“) და მერვე („აკურთხევდითსა“) გალობებში ურთიერთსაპირისპირო ანტინომიური სახეები და თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხედვა ჩანს: „განძლიერდასა“ აჩვენებს შიოს სწრაფვას ქრისტესკენ, ნივთიერი სამყაროდან ნივთთა მოქმედი ღმერთისკენ სვლას და მის კვალზე შედგომას, ქრისტეს ბაძვას და ქრისტეს „მოგებას“. „აკურთხევდითსა“ წმინდანის ზეაღვსილას, ცის ძალთა ხილვას, სულიერი სრულყოფილების მიღწევას, უნივთო ცხოვრებით, უნივთო სამყოფლის მოპოვებას მიუთითებს. „განძლიერდასაში“ ასახული ქრისტეს ბაძვის მოტივი „აკურთხევდითსაში“ სრულყოფილების მიღწევით დასრულდა, რაც კომპოზიციურად კრავს მთელ საგალობელს.

საინტერესოა ის გარემოება, თუ როგორი იყო ხელნაწერი თავდაპირველად, რადგან ტექსტი გვიანდელი ხელნაწერებითაა შემონახული. ხელნაწერებში ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტებია. თანმიმდევრობის აღწერა შესაძლებელი ხდება მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობლების არქიტექტონიკის გათვალისწინებით, რაც ემყარება ზოგადად დღესასწაულთა განგების სქემას.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები იწყება ძე ღმერთისადმი, ღმრთის სიტყვისადმი ვედრე-

ბით, რომ წმიდა მამის საკვირველ შიოს წარმოათქმევინოს მისი ხსენების დღეს. საგალობელი მთავრდება შიო მღვიმელისადმი ვედრებით, რომ მტერთაგან იხსნას და გვირგვინოსანჰყოს ჩვენი მეფე, განდევნოს ბარბაროსები და აგარეანნი, ანუ მაჰმადიანები, ხოლო თვით მგალობელს შემწე ექმნას. შიოს ქების წარმოთქმა ენას არ ძალუძს, „ენასა ზეშთა არს ქებაი შენი“, მისი ღვანლის გამოთქმა და გადმოცემა გონებას არ შეუძლია, მხოლოდ ქების დიდი სურვილით ძლეული ჰიმნოგრაფი უძღვნის მცირეოდენ შესხმას, რათა უკეთ აჩვენოს სიტყვის უძღურება.

არსენ ბულმაისიმისძე საგალობლებში შიოს მოიხსენიებს ასეთი ატრიბუტებით, როგორიცაა: უდაბნოს მნათობი, მამათა ყუავილი, სანატრელი, საკვირველი, ნეტარი, ტკბილი, ღირსი, სასო, სულითა ნეტარი, დიდებული, ღმერთშემოსილი, უდაბნოს დაუვალი ვარსკვლავი, დიდებული ნივთმოქმედი, ღმრთივ-განბრძნობილი, ქრისტესებრ თვთ ჯვარცმული, ასევე უწოდებს „სოფლის უდაბნოს შუენიერებას“, რომელმაც მიატოვა მისი დაარსებული სამწყსო და შეუდგა ქრისტეს კვალს, ამიტომ იგი არის „ვარსკვლავად დაუვალად“ უდაბნოში, რომელიც მისი ცრემლითაა მორწყული. სწორედ ეს უდაბნო ევედრება, რომ ააღორძინოს მისი დაარსებული მონასტერი და ისწრაფვის სულიერ შვილთა შეწევნად. სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, უდაბნო გამოცდის ადგილია (სირაძე, 1992, 148-152) რომელიც წარმატებით გაიარა შიო მღვიმელმა. უდაბნო მონესრიგებული გარემო არ არის, იგი მოსაწესრიგებელია (სირაძე, 1992, 148-152); შიოს მისვლით ქართლის ეს მხარე სულიერი აღმავლობის და განათლების ცენტრად იქცა, მისი ლოცვა-კურთხევით და დაუღალავი შრომით. შიოს მიმდევრები გაუჩნდნენ, პირველ რიგში, უნდა დავსახელოთ ევაგრე, რომელმაც შეძლო და დაძლია უდაბნოში მუდმივ ნამებასთან დაკავშირებული გარემო. ჰაგიოგრაფია მოგვითხრობს, რომ შიომ ქადაგებები შექმნა, მის სახელს ქადაგებების შექმნასაც უკავშირებენ. შიოსთვის უდაბნო მართლაც „ლოცვათა ხუავითა მოგებულია“. თუმცა უდაბნო არ არის

შიოსთვის ბოლო ნავსაყუდელი. უდაბნოში მან გამოცდა წარმატებით ჩააბარა, შექმნა წმინდა მამათა სავანე, დაიმორჩილა ცხოველები და ფრინველები, შექმნა თხზულებები.

აქედან გამომდინარე, შიო მღვიმელი სიბრძნის შექმნის შემდეგ მღვიმეში მიდის, რომელიც სოფლის ცოდვათაგან განთავისუფლების ადგილია, სადაც სულიერი განწმენდა ხდება. მღვიმეში დაიძლევა უდაბნო, ხოლო მისი საპირისპიროა მთა, რომელიც ღმერთან ზიარების ადგილადაა მიჩნეული. მთას ასვლა იდეალთან წვდომაა დასახული, ამზეა საუბარი მე-14 და 23-ე ფსალმუნებში: „უფალო, ვინ დაემკვიდროს მთასა წმიდასა შენსა? რომელი ვიდოდის უბინოდ და იქმოდის სიმართლესა და იტყოდის ჭესმარიტსა გულსა შინა თქსსა“. (ფს. 14, 1-20). მღვიმისაგან სულის ამოყვანას ევედრება ღმერთს ფსალმუნთა ავტორი: „უფალო აღმოიყვანე ჯოჯოხეთით სული ჩემი და მისხენ მე მათგან, რომელნი შთავლენან მღვიმესა“ (ფს. 29, 4) არსენის სიტყვით, შიომ „მღვიმე მოისიბრძნა“, განერიდა ამქვეყნიურ ცხოვრებას, კონკრეტულად, რომ ვთქვათ სამონასტვრო ცხოვრებას, სულითა და ხორცით მარტოდ, შთენილ, უფრო ღრმად სწვდება ღვთიურ სიბრძნეს, ვიდრე სოფელში მამათა საკრებულოში მყოფო ბრძენკაცი.

შიოს პიროვნული შედარებები ზნეობრივი სახის საჩვენებლად ავტორმა ბიბლიური მოტივებით და მონათხრობით განამსჭვალა.

საგალობელში ბიბლიურ მოტივთა ფონზე სახეების შედარებებით წარმოსახა შიო მღვიმელის ღვთაებრიობა. ამიტომ საყურადღებოა შიოსა და ევაგრეს შედარება მოსე წინასწარმეტყველსა და ისუ ნავესთან, ელიასა და ელისესთან: „სხუაი მოსეს ასუებრი, ახვსა ელიაისი ელისეებრი ევაგრი სულის ტრფიალი, არა ხოლო ენითა წყლის განმლები, გარნა კუერთხითა მოძღუარისათა სულსა მისსა თანა მქონი ნიშნებს ღირსი“. შიოს პარადიგმული სახეებია მოსე და ელია წინასწარმეტყველი, ევაგრესი ნავე და ელისე.

საგალობელში შიო ელია თეზბიტელსაა შედარებული, რომელიც მარხულობით გამოირჩე-

ოდა და ღმერთმა დაუნესა საკვები, ყორნის მეშვეობით იკვებებოდა (III მეფ. 17, 2-6). მისგან განსხვავებით, შიო საკვებს ანგელოზის მეშვეობით ღებულობდა, რადგან იგი ღმერთმა გამოარჩია.

მეორე კანონის მეოთხე გალობა, „მესამესა“ შიოს განღმრთობილი ბუნებაა ნაჩვენები. მესამე ტროპარი კი შიოს სიძლიერეს და მის მიერ სატანის დამორჩილებას აჩვენებს. მხეცების ადამიანების სამსახურში განწესებას, რომელთაგან ზოგნი შიოს ბრძანებით გაეცალნენ სამყოფელს. ჰიმნოგრაფი შიოს სასწაულმოქმედად წარუდგენს მსმენელსა თუ მკითხველს. „იორდანებრი მდინარისა არა ხალელმან, კუერთხმანხმელმან საკვირველისა ევაგრის ხელთა შინა შენა აქა ყო, მოძღუარისა რაი სულითა აღივსო შიო“.

საგალობელში შიო ორბთან არის შედარებული, მისი სულიერი, შინაგანი ხილვა ორბის მსგავსად ამალღებულად არის წარმოჩენილი, რომლის წყაროც ფსალმუნია. „რომელმან“ აღავსო კეთილითა მიერ გულის-თქმაი შენი; განახლდეს, ორბის სიჭაბუკე“ (ფს. 103, 5).

შიო მღვიმელი წინასწარმეტყველური ენითაც არის დაჯილდოებული, ეს უნარი ღვთისგან აქვს მინიჭებული. საგალობელში სწორედ ასეთ მინიშნებებზე აქვს საუბარი არსენ ბულმაისიმისძეს. მან თავის ძმობას ამცნო ანგელოზთაგან ნაუნყები თავისი „განსვლა ხორცთაგან და მისვლა წმიდათა მწყობრსა თანა“. ასევე ტროპარში ხმიანდება „მისვლა წმიდათა მწყობრისა თანა“. ბასილი დიდის ეპიტაფიის სიტყვები, რომელიც გრიგოლ ღვთისმეტყველს ეკუთვნის და რომელშიც ბასილი დიდის „მწყობრთან“, ანუ ღმერთთან შეერთებად არის აღქმული მისი ამიერქვეყნით განსვა (შდრ. აგრეთვე, შოთა რუსთაველის სიტყვები: „მოგვცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობრისა“) (სულავა, 2003, 224).

საგალობელში ასახულია შიოს ზეცად აღვსლის ამალღებული სურთი, რომელსაც „ზენანი წესნი“ აღსრულდა და ანგელოზებსა და მართალთ მიეახლა. შიოს სულიერ სისრულეს ავტორი გამოხატავს სიტყვა „სრულის“ მრავა-

ლგზით განმეორებით, რაც აღიქმება ადამიანის განღმრთობით პირველ რიგში, მეორე მხრივ, გამომსახველობით საშუალებად: „სრული სრულებით სრულთასა საყოფელსა სისრულედ მიუხედ აღმავსებელად მათდა. „სრული“ ღმერთის ერთ-ერთი სახელია, რომელსაც წმინდანის ეპითეტად იყენებს მხატვრული ლიტერატურა.

საგალობელში წმინდანის სახე სქემატურია, ყველანი ერთნაირი სახეებით, ეპითეტებით, შედარებებით, მეტაფორებით არიან შემკულნი, მაგრამ მთელი საგალობელი წმინდანს ინდივიდად აღიქვამს. გარდა ამისა მასში წმინდანის ზოგადი იდეალია გამოვლენილი. შიოს ინდივიდობა და ზოგადობა შერწყმულადაა ნაჩვენები საგალობელში. ჰიმნოგრაფი ამას აღწევს სულიწმინდის ჩაგონებით შექმნილი საგალობლით. იგი ერთდროულად არის კონკრეტული პიროვნება და იდეალიც, მაგალითად წმინდანიც (სულავა, 2003, გვ. 225).

შიო მღვიმელისადმი მიძღვნილი მცირე ფორმის საგალობლებში და ჰიმნოგრაფიულ კანონებში ვლინდება ანფორის მაგალითები.

„დღეს მამათა მწყობრი იხარებს“;

„დღეს მონაზონთა გუნდი მდიდრად განცხრების“;

„დღეს მოლუანეთა ერი განშუენდების“;

„დღეს დღესასწაული აღსავსე სიხარულითა გამობრწყინდება“.

მზა რელიგიურ ფორმებით გამოხატულია ძირითადი სათქმელი. სიტყვის გამეორებით მიღწეულია სრულყოფილება, რომელიც ასახავს მომენტს და ძლიერ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

არსენ ბულმაისიმისძის საგალობლები ეფუძნება ჰიმნოგრაფიულ ტრადიციებში შემონახულ მზა რელიგიურ ფორმულებს, დოგმატურ ფრაზეოლოგიას, მზამზარეულ მხატვრულ სახეებს და სიმბოლოებს, გაქვავებულ გამოთქმებს. ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან ჰიმნოგრაფი გვევლინება ღვთაებრივი სიტყვის ოსტატად, ხოლო სიტყვა ღვთისა არის მარადიულად უცვლელი, იგი საგალობლიდან საგალობელში გადადის, იცვლება მწერლის განწყობილება და ემოცია. შიო მღვიმელის საგალობელი არის მისტიკურ პოეტური ხილვათა ჰარმონია, დახვეწილი ნაზავი, რომლის ყოველდღიური შესრულება და მოსმენა აფაქიზებს მისი აღქმული სულიერ სამყაროს, ზრდის მას ზნეობრივად და ინტელექტუალურად, რაც ადამიანის განღმრთობის საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სირაძე რ., ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, I, თბ., 1992, გვ. 148-152.
2. სირაძე რ., ქართული ჰაგიოგრაფია. თბ., 1993, გვ. 148-152.
3. სულავა ნ., XII-XIII ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., „მერანი“, 2003, გვ. 223-225.
4. ჯანელიძე დ., მისტერია „გალობაი წმიდისა შიო მღვიმელისადმი“. ხელოვნება, 1992. №1-2 გვ. 46-59.
5. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 326-329.
6. ყორღანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, თბ., 1940, გვ. 319-412.
7. სულავა ნ., პოლიტიკური იდეოლოგია და XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბ., „მერანი“, 2003.
8. ბერძენიშვილი., სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენიმიკის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 397-409.
9. შოშიაშვილი ნ., XIII ს-ის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის, სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVIII-B, 1954.
10. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, I, გვ. 537-538.
11. მიქაძე გ., არსენ ბულმაისიმისძე, ლიტერატურული ძიებანი, ტ XV, 1963.



ექსპლიზიის ღიუჩები¹

კარგა ხანს სასტუმროს ჰოლში ვიჯექი: მსი-
ამოვნებს აქ გამეფებული სიჩუმე და სიგრილე.
შემდეგ ეზოში გამოვედი. ახალგაზრდები ოკ'ს
თამაშობენ, მევლუდთან კი ბასლეკარელი შუა
ხნის მამაკაცი საუბრობს.

– **იაშარ ქეჩეჯი**, – გამაცნო მევლუდმა.

იაშარი ორმოცდათხუთმეტი წლისაა, მძლო-
ლად უმუშავია, ახლა ემექლია, აქვს საკუთარი
მეურნეობა, უფრო მეფუტკრეობას მისდევს.
ქართულად კარგად ლპარაკობს, თუმცა მის ქა-
რთულში ხშირად თურქულიც გამოერევა...

– იაშარი ჩაგანერიეფს, – მეუბნება მევლუდი,
მტოვებს ახალგაჯნობილ ბასლეკარელთან და
სასტუმროში შედის.

– ბასლიკარის ადგილის სახელები მითხარი,
– ვთხოვ იაშარს.

– **ტუზის ქალა**, – მარილის ქალა? (შდრ. თ.
tuz). რატომ მარილის?

– **ნასხიდი//ნასქიდი**, – ნასყიდი? შეიძლება
სხვაგვარი ახსნაც: ნასხიდი<ნახსითი, **ნახსი** კი-
დევ **ნავსს**, **თარსს** ნიშნავს².

ქასახეთი//ქაცახეთი, ამოსავალი ჩანს ქა-
ცან ფუძე.

ახოა,

წითევლები<წით[ლ]ევლები. შდრ. წითლე-
ვკარი; **წითლე**³ იგივეა, რაც **წითლებ**...

ეზოში ქალბატონი თინა გამოვიდა, ჩვენთან
ჩამოჯდა დაბალ სკამზე.

– იაშარ ბატონო, დილით გვითხრეს, წვიმები
რომ ბევრი იქნება, დევსაკარას გახვალთ, ილო-
ცებთ...

– **ღმერთ შუვეხვენებით!**

**ქარჩაზე დევსაკარას გევალო, ყურბან და-
ვჰკლავო, დუას ვიქო: ყურბან დავშქრიო,
ხუთი *თაჲ, ოთხი თაჲ... დუა ქნიხა ხელ ასე
ვიქო** (ქვევით დაუშვა ხელი – ავტ.), **განვიმდე-
სო, ხელ ასე ვიქო** (ხელი მაღლა ასწია – ავტ.)
– **ამინდი დადგესო.**

წუმს გედეღეფს, ზითვალი იქნება...

კურალია – განუმდება...

[ხოცს] **ვადულებო** (აქ: ვხარშავო), **ღენჭებ
ენწინ მივართუამო, მასკან დიდუანი დავსხ-**

¹ გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ჭოროხი“, №4, 2019 წ.

² შ. ნიჭარაძე, დასახ. ნაშრ.

³ ა. შანიძე, „ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში“. თხზ. 12 ტომად, ტ. II, თბ., 1981, გვ. 441.

დებით, თუ დარჩება სახლებში წევლები, დეკაცებს მუუტანთ.

შენიშნავთ: აქ მნიშვნელოვანია, რომ რიტუალში ქალები არ მონაწილეობენ, მხოლოდ მამაკაცები და ბავშვები.

*თაჲ <თავი აქ: ნაწილი.

– შენზე ამბობენ, ბევრი ამბავი იცისო, გვიტხარი, – აგულიანებს თინა, წიგნში შევიტანთ, დარჩებაო.

– **სხვებიც ამბობენ, ქითაბ ვწერთო თქვენზე, მალაპარიკებენ, წიგნი არაა,** – ამბობს იაშარი და ლექსსაც მოაყოლებს:

გოგო, გამოდი კარზე,
ბალი შექნილა, ბალი,
დევნიოთ ტალი,
შევჭამოთ ბალი!

– კიდევ გაიხსენე რამე, ლექსი, ამბავი... – არ ეშვება თინა.

– **თენარში გოლი არი ერთი, ლომბიტბა გოლი, იმაში ფერი არი. მე არ დიმიანხია. კარზე გუმუსულა, *თმებ იგებდა, ჩუნქი დიგვინახაო და წყალში ჩავარდაო. დიდი თმები ქონებია. ჩვენი დედებ დუნახია, ჩამსტარა, დაკარქულა.**

***თმების დაგება** – აქ: თმების დავარცხნა.

ლომბიტბისა და მასში მცხოვრები ფერი ქალის ამბავი სხვებისგანაც მოვისმინე, იაშარმა განსხვავებული ვარიანტი მოგვითხრო. მნიშვნელოვანია, რომ ფერი „დედებ დუნახიან“, „მე არ დიმიანხიაო“, – მთხრობელმა.

ჩანს, ბევრი ამბავი იცის იაშარმა, ჯინებისა და შეითნების შესახებაც ეცოდინებაო, იფიქრა თინამ და თხოვა, მოგვიყვიო რამე.

არ ჩქარობს იაშარი, ეშმაკურად ჭუტავს თვალებს, ილიმება, რაღაცას იხსენებს, ბავშვობაში გაგონილს ალბათ, ბოლოს დაიწყა:

– **ყოლი ინსნის შიანაა შეათანი: შეათანი იტყვის, აჲ კაცი დავკლათო, არ ილოცოო...**

ჯაზი იტყვის, ღენჭის გული შევჭამოთ...

შეთანი – ინსანი ჯენნეთში არ შევდესო, ნამაზი არ ილოცოო, დანევიო, დეჰინეო...

ჯაზებ პუტურაჲ ქონებია, *ჩუხური ქონებია.

ჯაზი ინსანია, აჲ ჩვენ ვართ, იმფერი. ღენჭი **ბლავიანობისან გულს შეჭამსო.

ეშმაკი ეტყვის [კაცს], ღარჭის გული შეჭამეო, თუ არ შიჭამა, მაღლი იგებს.

შენიშვნა:

***ჩუხური** – ორმო.

****ბლავიანობა** – ტირილი.

– იაშარ, ჯაზებისა და შეითანის შესახებ გავიგეთ, აღრიბასანის შესახებ თუ გსმენია?

– ***აღრიბასანი ფეხებიდან წუმუა, **შემონვება, ***შეგაჭირვებს. არ ჩანს, ვერ დიგინახია, ****ბლენთია, ვერ დიგინახია. მძიმე შემონვება, შეშჭირდები, *****ქარი ვერ ამოიღეფ... ჩემი დიდი ძმაჲა, აღრიბასანი დაანვა.**

აბა, რა იქნებოდა ავსულებზე ჩვენი საუბარი, აღრიბასანი რომ არ გვეხსენებინა. ახლა უკვე სრულად მოვიცავით: შეითანი, ჯაზი, აღრიბასანი. ჰო, ჭინკებისა და ხორთლალისა ვერაფერი გვითხრა იაშარმა...

შენიშნავთ: ***აღრიბასანი** – მაჯლაჯუნა. საბა იტყვის: „მაჯლაჯუნა ესე სენია, ძილსა შინა წაეკიდების, სისხლის უძრაობისა მიერ და ესრეთ ჰგონებს, ვითარმედ დაანვა ვინმე, ანუ ერკინა ვინმე და განიფროთხობს“⁴. დიახ, მაჯლაჯუნა სენია და არა ავსული...

****შემონოლა** – აქ: დანოლა.

*****შეგაჭირვებს** – აქ: შეგანუხებს.

******ბლენთი** – აქ: სიბნელე.

*******ქარი ვერ ამოიღეფ** – აქ: ვერ ამოისუნთქავ.

საინტერესო კაცია იაშარი. ცდილობს, ბევრი მოგვითხროს, იხსენებს, წვალობს, როგორმე რომ ჩვენი ცნობიმოყვარეობა დააკმაყოფილოს.

– სოფელში ქორნილი იქნებოდა, ქალოცაჲ, სხვა შელიგობა, არ იცეკვებდით?

– **ასე ვიქმოდით!** (ხელი ჩაგვჭიდა მე და თინას):

გაღმი გამოღმი ჭერები

მე გოგვებ ვემჭვერები...

⁴ ს.ს. ორბელიანი, „სიტყვის კონა“, თბ., 1949.

– რა თქმაა ვემჭვერები? – ვუქცევ ტაოურად.

– **ვემჭვერები? ვუყურავ, ის თქმაა!**

შდრ. **ჭვერეტა**.

ჭყერა ცქერის მნიშვნელობით დასტურდება აჭარულში: „ვეჭყირე, ვეჭყირე და ძვილ დევნახევი“⁵. ბარემ ვიტყვი, რომ **ჭყერა** არ დაგვიდასტურების შავშურსა და კლარჯულში.

იაშართან საუბრიდან გავიგე, რომ ხეობაში **ნადს მეფელსაც** ეძახიან (იციან მეშველიც): „**მეფელი ვიჯებით... ხის მოჭრიხანო**“ – ინფორმატორმა. ანდა: „**მეფელი მოვა, გეფელევა, შაჭმელ მუუტან, ჩაი... ვასვავთ**“.

და კიდევ: ხერხვას ხიზრვას ეძახიან ხევეკში. ხიზარი (თ. hizar) დიდი ხერხია⁶, რომელსაც მორის ფიცრებად დასახერხად გამოიყენებენ. სპეციალურ „ისკელეს“ (ხარაჩო) ააშენებენ, ზედ გასახერხ მორს დადებენ, – ხიზარს გამართავენ. ხიზარს სამი კაცი (ზოგჯერ ორი) სჭირდებოდა: ერთი ზემოთ, ორი – ქვემოთ. ხიზარით ფიცრის გახერხვას ეძახიან ხიზრვას. თუმცა ხიზარით, დიდი ხერხით, ხესაც მოხერხავდნენ⁷ და დამორავდნენ.

ბევრი რამ მოვისმინეთ იმ საღამოს, მათ შორის ესეც:

– **თიხა ურევდა, დაჯეჯგვიდა, დაჯეჯგვიდა, გამაგრდებოდა ისა** (თიხა – ავტ.), **კეცებ ვაშენებდით, გავაცხელებდით, შიგან ცომს ჩავასხმიდით, პურს გამოვაცხობდით, გემრიელი პური გამოვდოდა...**

ხოჯამ ეზანი დაიძახა, ახშანამაზის სალოცავად მოუხბო მორწმუნეებს.

– იაშარ, სალოცავად ხომ არ აპირებ წასვლას?

– **არა! ლოცვა კააა, ჩამოხვალ** [ჯამეში – ავტ.], **დიდ მადლს მეგეფ, არ ჩამოხვალ, ღმერთი თავში არ ჩაგცხებს. ზოგნი ემე იჯებიან, უჭერსდებიან.**

„ლოცვა მადლიაო“ იაშარმა, მაგრამ თუ არ ილოცავ, „ღმერთი თავში არ ჩაგცხეფს“ (აქ: ჩა-

გარტყამს). მისი აზრით, არაა სწორი, კაცს გაუბრაზდე, ჯამეში რატომ არ დადიხარო.

ბუნებით დემოკრატია იაშარი, სწორად მსჯელობს, ვერ შეედავები.

– იაშარ, ბავშვი რომ არ იძინებს, აკვანს რომ დაარწვევდით, არ იმღერებდით? – კითხა თინამ.

– **ააა, აკვან დუარწებდით!**

ნანი, ნანი, ნანინაა,

ახლა მუა ანაა,

ააა, აააა...

მოხუცონი იმღერებდეს.

იაშარს შვილმა დაუძახა, დაგვემშვიდობა, კიდევ ვილაპარაკოთო და წავიდა.

შენიშვნა:

დაჯეჯგვა: აქ: თიხის ცემით მოზელა, იგივეა, რაც დაჩეჩქვა (<*დაჯეჯგვა), ძველ ქართულში გვხვდება დამსხვრევის მნიშვნელობით: მოვიდა წმამ სეტყუასა თანა ვიდრემდის ყოველი ნაყოფი ვენაწისაა წარწყმიდა, ფურცელი დაჩქუა⁸. ახალ ქართულში დაჩეჩქვას ცემის მნიშვნელობაც აქვს.

ბარემ ვიტყვით, რომ **დაჩეჩქვის** სემის მატარებელია **შედრესა:** ერთსა დღესა ბაიასა დააწყობდა მამაჲ იოანე და მწყურვალსა მას მახვლსა ქუასა შეადრესდა...⁹.

მთავარია, რომ ტაოურში გვხვდება **დაჯეჯგვა ცემის** მნიშვნელობით.

ცომის ჩასხმა: ცომის კეცში (ან სპეციალურ ყალიბში) ჩაკვრა. **ჩასხმა ჩაკვრის** მნიშვნელობით იხმარება შავშეთსა და კლარჯეთშიც, აჭარულში – პური, მჭადის დაკვრა//ჩაკვრა.

დუარწებდით <*დუვარწებდით<დავარწებდით. როგორც აღვნიშნეთ, ტაოურში V-V პოზიციაში ვ' იკარგება; მეორეს მხრივ: **აა>უა**'ს დისიმილაციით.

– იმდენი ვანვალეთ, მეორეჯერ არ გაგვიჩერდება სალაპარაკოდ, – გადავულაპარაკე თინას, კარგი ამბები კი მოგვითხრო.

⁵ ჯ. ნოლაიდელი, დასახ. ნაშრ.

⁶ შ. ნიჟარაძე, „ქართული ენის აჭარული დიალექტი“, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

⁷ ჯ. ნოლაიდელი, „აჭარული კილოს სალექსიკონო მასალა“, ბათუმი, 2015.

⁸ კიმონებო: ზ. სარჯველაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, თბ., 1995.

⁹ იქვე.

სასტუმროს ჰოლში შევედით: მალხაზ ჩოხრაძე რეჯებ ქეჩეჯს ესაუბრებოდა. ახლო ჩამოვჯექი, შორიდან ვუსმენ მათ დიალოგს, რამდენიმე ჩემთვის საინტერესო ფრაზა ჩავინერე:

- დევსაკრული ვარ (შდრ. *დევსაკრელი),
- ფიშნარხველი ვარ (<*ფიშნარხველი),
- იეთური ვარ,
- ელიასხველი ვარ (<*ელიასხველი)...

ჩანს, ტაოურში წარმომავლობის სახელებს აწარმოებს –ურ//–ულ და ევურ//ევულ სუფიქსები.

ბრძნადმოუბარია რეჯები, ასეთი აზრის მომენის შემდეგ მივედი ამ დასკვნამდე:

– მასისი ღმერთის თა არი. მასი – ღმერთის ერთი სახელი.

საყურადღებო ახსნაა ტოპონიმ მასისისა, ვინ იცის, იქნებ არის კიდევ ღმერთის საბრძანებელი პონტოს (კაჩკარის) მთის უმაღლესი მწვერვალი.

ზემოთ აღვნიშნე, ახალგაზრდები ოკ'ის თამაშობდნენ-მეთქი. ერთი ახალგაზრდა ბასლევკარელია, იაშარ ქეჩეჯის ვაჟი, სხვები ჩვენი ექსპედიციის წევრები: ნონა ნიქაბაძე, ნატა ჩხარტიშვილი და ტარიელ დიასამიძე.

ტარიელმა თამაშის წესი დაარღვია, ქვა „მოიპარა“, ბასლევკარელმა შენიშნა და გააპროტესტა:

- აგი იპრის!
- შენ არ იპრი? – ჩავერთე საუბარში, უფრო ზმნის ფორმის დასაზუსტებლად.
- მე არ ვიპრი!

ვფიქრობ, საყურადღებო ფორმები დავადასტურეთ:

- ვიპრი (მე),
- იპრი (შენ),
- იპრის (ის).

გვიან ვივახშმეთ. დღეს 30 ივლისია, ქალბატონი მერის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღე. მალხაზის დაყენებული რამდენიმე ბოთლი ღვინო გვქონდა სპეციალურად საამდლოდ გადანახული. ქალბატონი მერი გავიხსენეთ: კარგა ხანს ვსაუბრობდით, ექსპედიციებსა თუ უნივერსიტეტში გატარებულ დღეებს ვიხსენებდით...

31 ივლისი, სამშაბათი. საუზმის შემდეგ იუსუფელში წავედით: წვრილმანი ნივთების შეძენა გვჭირდება, მეორეცაა და დღეს მათ ბარამიძე უნდა ჩამოვიდეს, მასაც უნდა შევხვდეთ და „მასისში“ წამოვიყვანოთ. ჩვენთან ერთად მოდის მეველუდის მეუღლე, – ნურსერი, პროდუქტები უნდა შეიძინოს, თან მოხუც დედას მოინახულებს. სასტუმროდან დიდი გზა არ გვქონდა გავლილი, მაიამ რომ დარეკა, მალე იუსუფელში ვიქნებო, გვითხრა.

– ქალაქის შემოსასვლელში იაშარ გულერის (ჭედლიანის) კაფეა, იქ მიდი და დაგველოდო, – ვუპასუხეთ.

იუსუფელში ჩასულებმა პირველ რიგში მაიას მივაკითხეთ, საჭირო ნივთებიც შევიძინეთ და მანქანასთან შევიკრიბეთ.

– მოდი, ნურსერს ჯერ ნუ დავურეკავთ, ოთხთა ეკლესიაში წავიდეთ, ნატასა და ნონას მცირე ექსკურსია მოვუწყვოთ, ჩვენც ერთხელაც მოვინახულებთ ტაძარს.

– კიდევ როდის მოვიცლით იქ ასასვლელად, ისევ დღეს ჯობია... – მეთანხმება მალხაზი და მთელი ექსპედიციაც.

პარხლის გაღმა, მარჯვენა ნაპირზე, გადავიდით და ოთხთას გზას დავადექით: გავიარეთ თექ კალე, კავკასისძეთა საბრძანებელი და სოფელ დორთ ქილისას (ოთხთა ეკლესია) მივადექით. იუსუფელი-ისპირის გზიდან მარჯვნივ შევუხვიეთ და მდინარე ოთხთა ეკლესიის ხეობაში შევედით. ხევი რკინა-ბეტონის არტახებიტაა შეკრული, გზაც მოწესრიგებულია, ასფალტი დაუგიათ დიდ ნაწილზე...

ავედით ოთხთა ეკლესიაში. ტაძრის ქვემოთ, წყაროსთან, მანქანა გავაჩერეთ და ეკლესიაში ავედით. ფეხზე მდგარი შეგვეგება ბებერი ოთხთა... ოთხთა ეკლესიისაკენ მიმავალთ ერთი კითხვა გვიტრიალებს მუდამ: დაგვხვდება კი ფეხზე საუკუნეების ქარტახილებს გამოვლილი ტაძარი? მისი ყოველი ხილვისას მაღლობას ვწირავთ უფალს, რომ ბაზილიკა უვნებელი დგას...

აღმართი ავიარეთ და ტაძრის ეზოში შევედით: სანთლები დავანთეთ, ერთხელაც თვალი

შევავლეთ ოთხთას, ეზოში გავიარეთ, ჩრდილო ფასადზე ამოკვეთილი წარწერის ამოკითხვა ვცადეთ: **ქუე აუდე დოთ მკუპტი** – შემდეგ წარწერის ექვთიმე თაყაიშვილისეული წაკითხვა გავიხსენეთ: **„ქრისტე, ადიდე დავით მეფე კუროპალატი“**. ვფიქრობთ, სწორად ამოიკითხა მკვლევარმა წარწერა და სწორადაც გახსნა ქარაგმები. წარწერები სხვაც დახვედრია ექვ. თაყაიშვილს ოთხთაზე, რომლებიც ამოიკითხა და გამოაქვეყნა კიდეც¹⁰. დღეს ისინი აღარ განიჩევა. შემდეგ საოსტიგნისა და სემინარიის შენობაში გადავედით მე და რამაზი... ტაძრის წინა ეზოში რომ გამოვედით, ექსპედიციის წევრები უკვე გველოდებოდნენ, საუბრობდნენ ოთხთას ბედზე...

დაბლა ჩამოვედით, კაკლის ჩრდილში სუფრა გავშალეთ და ვისადილეთ. შემდეგ ხეობას მალა ავუყვებით, ვფიქრობთ, ვინმეს შევხვდეთ, რაიმე ახალი ინფორმაცია მოვიპოვოთ ოთხთა ეკლესიისა თუ სხვა ძეგლების შესახებ, ტოპონიმები ჩავინეროთ...

გასული საუკუნის დასაწყისში აქ ქართული ყველამ იცოდა¹¹. ექვთიმე თაყაიშვილს რამდენიმე გადმოცემაც ჩაუწერია ოთხთას შესახებ, ეგებ დღესაც ახსოვს ვინმეს რომელიმე:

„სოფლელებს რომ ჰკითხოთ, ტაძარს ეს სახელი იმიტომ ჰქვია, რომ იგი იშხანს, ოშკსა და ხახულს შემდეგ მეოთხე შესანიშნავი ეკლესიაა“¹².

ბარემ ვიტყვით, რომ, ადგილობრივთა გაგებით, „დორთ ქილისა“ „ოთხი ეკლესიაა“ და არა – „ოთხთა ეკლესია“ და ჩამოთვლიან კიდეც ოთხ ტაძარს: 1. დიდი ბაზილიკა; 2. იქვე, მდინარის გაღმა ეკლესიის ნანგრევები; 3. ცენტრალური ტაძრის ზემოთ, ტყეში, ორი საათის სავალზე მდგარი ეკლესია, ბაირ ქილისესი; 4. კავკასისძეთა ციხის ბაზილიკა¹³, არადა, ოთხთა ეკლესია ოთხი მახარებლის სახელზე აშენებული ტაძარია.

დაბოლოს, ერთი გადმოცემაც ოთხთას მშენებლობის შესახებ: სოფელ ოთხთა ეკლესიის

მცხოვრებლების თქმით, „მთავარი ტაძარი აუშენებია მეფის ასულს, რომელსაც ხელები არ ჰქონია. მას ფული შემოლევია და ხარჯების დასაფარავად თმები შეუკვეცია და გაუყიდია (თქმულების სხვა ვარიანტის მიხედვით კი – თმის სამკაული). სოფელ ქობაკში ამ ქალის ვინაობასაც ასახელებენ: თამარი ყოფილა, ნური-შირვანის ასული. მამამისს ყველა თავისი შვილი ისლამზე მოუქცევია და მარტო თამარისთვის დაურთავს ნება ქრისტიანად დარჩენისა...“¹⁴.

არც ქობაქში და არც ოთხთა ეკლესიაში მსგავსი თქმულება ჩვენ არ მოგვისმენია. ჩანს, დავიწყებას მიეცა დიდებული ტაძრის მშენებლობის ლამაზი ლეგენდა...

ოთხთა ეკლესიის ხევის მარჯვენა ნაპირას, ბოსტნის გვერდით, ხელოვნურ მინდორზე შუახნის ცოლ-ქმარი შეშას ალაგებდა „პიკაპის“ ძარაზე. მანქანა გავაჩერეთ, რუ გადავიარეთ და მივუახლოვდით მშრომელებს, მივესალმეთ.

– **აჰმედ აზიჯი**, – გაგვეცნო მამაკაცი.

ჩვენც, – მაიამ, მალხაზმა, რამაზმა, ნუგზარმა, ნონამ და მე – ჩვენი სახელები ვუთხარით. ნატა და თინა რუს გაღმა დარჩნენ, შორიდან გვადევნებენ თვალს, ტარიელი მანქანიდან არ გადმოსულა.

– სოფელი დორთ ქილისეა, ახლა თექ ყალე (სოფელი ოთხთა ეკლესია, თანამედროვე დაყოფით, თექ ყალეს სამუხტროს//სამამასახლოს შემადგენლობაშია და მის მაჰალედ ითვლება. სინამდვილეში კი ორ სხვადასხვა სოფელთან გვაქვს საქმე).

მურხაჩგილ – ოთხთა ეკლესიის, ტაძრის ტერიტორიას ეძახიან. მასში გამოიყოფა **-გილ** სუფიქსი.

ბოლექ ბაშ გილ,

მოლლემე გილ,

იმამ გილ,

გუნეჲ მაჰალესი,

¹⁰ ექვთ. თაყაიშვილი, „თხზულებანი“, ტ.1, თბ., 2016, გვ. 380.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

¹³ მ. ფალავა, „შავშური ჩანაწერები“, თბ., 2011, გვ. 262-264.

¹⁴ ექვთ. თაყაიშვილი, იქვე.

თაშდები მაჰალესი,

ქოთუ მაჰალე.

–გილ სუფიქსიანი ტოპონიმები საკმაოდ ხშირია მეთურქულე ტაოში. –გილ იმავე მნიშვნელობისაა, რაც –ეულ//–ოულ, –იენთ//–იეთ//–ეთ მანარმობლები. „–გილ სუფიქსით გაფორმებული სახელები ძირითადად ერთი წარმომავლობის ოჯახებით დასახლებული ტოპონიმებია და აღნიშნავს სოფლის უბნებს, სადაც, როგორც წესი, ამ გვარის(?) ოჯახები ცხოვრობენ“¹⁵. სხვაგვარად, –გილ სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმი პატრიარქალური ოჯახის საცხოვრებელი უბნის სახელია სოფელში. ჩანს, ოთხთა ეკლესიაშიც დასახლების იგივე ფორმა გვაქვს, რაც ელიასხევის სოფლებში... და კიდევ, –გილ სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმები ახალი ფენაა ტაოს ტოპონიმიაში და ქართული –იან, –ეულ//–ოულ, –იენთ//–იეთ//–ეთ სუფიქსიანი წარმოების ანალოგიითაა შექმნილი.

ახმედმა საუბარში აღნიშნა, რომ ეკლესიის ზემოთ, ტყეში კიდევაა ეკლესია, ბაირ ქილისესი, იგი ორსართულიანია და კარგადაა შენახული. ისიც დასძინა, რომ აქაური მხლებლის გარეშე არ ნახვიდეთ, ვერ მიაგნებთ, შეიძლება, ტყეში გზაც აგებნეთო...

არაერთი ინფორმატორისაგან გვსმენია ოთხთას ზემოთ ეკლესიის არსებობის შესახებ, დღეს გავიგონეთ მისი სახელიც – ბაირ ქილისე, თუმცა ვერ შევძელით მისი ნახვა. ერთმა ისიც თქვა, ოთხთა ეკლესიიდან ორი საათის სავალიაო ტყეში.

მაფიქრებს – ბაირ ქილისე, სახელი ახალი ჩანს, საინტერესოა, რა ერქვა მას წინათ...

სხვა ტოპონიმები, საგეოგრაფიო სახელები არ იცის ახმედმა, ცოლიც აძალებდა, გეყოფა ლაპარაკი, მოდი, შეშა დავტვირთოთო.

დეკაცის თხოვნამ, იქნებ მუქარამაც სძლია სტუმართმოყვარეობის წმინდა ადათს და ახმედი დაგვემშვიდობა.

ერთი გარემოებაც მაფიქრებს: საუკუნის წინ ოთხთა ეკლესიაში ქართულად ლაპარაკობდნენ, იგულისხმება, რომ სოფელში ადგილის სახელებიც ქართული იყო, ახმედის დასახლებულ ტოპონიმთაგან ქართული არცერთია. ვფიქრობ, ინფორმატორმა არ იცის ძველი გეოგრაფიული სახელები, რაც ჩაგვანერინა, ის ახალია... დასაშვებია, ოთხთა ეკლესიის ძველი მოსახლეობა ახლით შეიცვალა... სხვადასხვა აზრი მანვალეებს, ერთ აზრამდე ვერ მივსულვარ...

იუსუფელში ჩამოვედით, ნურსერს გავუარეთ და სასტუმროში ავედით.

ბნელდებოდა, სასტუმროში რომ დავბრუნდით.

„მასისის“ ეზოში იაშარ გულერი, ჭედლიანკარელი ჭედლიანი გავიცანი, 52 წლის ტაოელი.

იაშარი ისტორიკოსია განათლებით, ოცნებობს, თავისი კუთხის შესახებ გამოკვლევა დაწეროს, საამისოდ მასალებსაც აგროვებს, სწავლობს კუთხის ეთნოგრაფიას, აქ გავრცელებულ თქმულებ-გადმოცემებს, მატერიალური კულტურის ძეგლებს... ჩემთან საუბარში საქართველოს ისტორიის შესწავლის სურვილი გამოთქვა. დავპირდი, ბათუმში რომ ჩამოხვალ, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს დაგახვედრებ-მეთქი...

– რა მასალები გაქვთ შეკრებილი: ფოლკლორული, დიალექტოლოგიური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური... ტექსტები გაქვთ ჩანერილი? – ვეკითხები იაშარს.

– არ მაქვს ჩანერილი, აქ მაქვსო, – საფეთქელთან მიიღო ხელი.

– გასაგებია! სჯობს, ჩაინერო გაგონილი, სხვისი მონათხრობი, ყველაფერს ვერ დაიმახსოვრებ, საჭირო დროს გახსენებაც გაგიჭირდება... ხომ ხედავ, ჩვენ ვინერთ ყველაფერს.

– ჯერ არ მჭირდება ჩანერა! – მეუბნება იაშარი.

¹⁵ ნ. ცეცხლაძე, „ძიებანი ქოროხის აუზის ტოპონიმებიდან“, ბათუმი, 2004, გვ. 108. შდრ. მ. ფალავა, თ. შიოშვილი, შ. მამულაძე, მ. ცინცაძე, მ. ჩოხარაძე, ზ. შაშიკლაძე, ნ. ცეცხლაძე, თ. ფუტყარაძე, მ. ბარამიძე, ჯ. კარალიძე, ვ. ჩხარაძე, „შავშეთი“, თბ., 2011, გვ. 329 (შემდეგ: შავშეთი); კლარჯეთი, გვ. 631.

– შენი ნებაა-მეთქი, მე ვურჩიე, დანარჩენი თავად იცის. ძველი ამბები, გადმოცემები ჩამანერინე-მეთქი, – ვთხოვე იაშარს.

ნაუყრუა, „ვერ გაიგონა“ ჩემი ნათქვამი.

– იაშარ, შენმა სიძემ, მევლუდ დოლენჯო-ლიმ მომიყვა „ფერი ქალის“ ამბავი, ამისთანა სხვაც იქნება ხეობაში, ერთი მაინც გაიხსენე.

ვერაფერი ვათქმევინე, მდუმარება არჩია, ჩემი თხოვნა დარჩა „ხმად მლაღადებლისა...“

ვხედავ, გარკვეულ ინფორმაციას ფლობს იაშარი, ვიფიქრე, მექართულე ტაოს სოფლებსა და „გვარებს“ გადავამონმებ-მეთქი. ელიასხევის სოფლების ჩამოთვლაზე უარი არ უთქვამს, ქვემოდან დაიწყო:

პაპაშები – პატარა სოფელი ელიასხევის მარჯვენა სანაპიროზე (ავტ.).

***ქორიეთი,**

ქორიეთის „გვარები“:

ხიტინანი,

კულვანნი<*კულოვანნი//კულვიანნი,

პაპაშები,

ჯიჯიხები. კრაეკარში დასტურდება **ჭიჭიხი.**

ჭიჭიხი და **ჯიჯიხი** ერთი და იგივე სახელის ფონეტიკური ვარიანტებია და რაც მთავარია, **ჯიჯიხ**ში გამოიყოფა **ხ'** სუფიქსი, რაც მისი სიძველის მანიშნებელია: **ჯიჯიხი** – **ჯიჯის** შვილია.

სალიანები.

შენიშვნა: *ქორიეთში გამოიყოფა **ქორ'** ფუძე და –**ეთ** სუფიქსი. **ქორიეთი ქორ'**ის ოჯახის, სახლეულის საცხოვრისია. ქართულ კულტურაში დასტურდება საკუთარი სახელი (შეიძლება – მეტსახელი) **ქორი** (შდრ. გვარი **ქორიძე**).

ელიასჯევი//ელიასჯე:

ქომობანი<*ქვემო უბანი,

ცუცეკარი,

ბონმინდა,

კუპრეთი, გამოიყოფა –**ეთ** სუფიქსი და **კუპრ'** ფუძე. **კუპრი//კუპრა** ადამიანის სახელი ან მეტსახელი ჩანს. შდრ. გვარი **კუპრაძე**.

ბასლეკარი<ბასლიანის კარი, **ბასლეთი** – ბასლეს//ბასილას სახლეულის საცხოვრისი. შდრ. **ბასილაზე//ბასილაძე**.

გოდლეკარი.

გოდლეკარის „გვარები“:

სალიანნი,

სოფორანნი,

თათარიანნი,

იუნუზიანნი (<*იუნუსიანნი?),

იბრაიმიანნი,

კულახსიოანნი.

დოლეჯანნი//დოლეჯიან კარი.

დოლეჯიანკარის „გვარები“:

დოლეჯიანნი,

თათარიანნი,

სოფორანნი.

კრაეკარი<*კრავეკარი. **კრავი** ადამიანის საკუთარი სახელი ჩანს, ან მეტსახელი. შდრ. გვარი **კრავეიშვილი**.

კრაეკარის „გვარები“:

ხანზუტიანნი,

მიხიკიანნი,

ჭიჭიხები,

კულვანი<*კულოვანი,

მანიანნი,

ჭედლიანკარი,

ხამფიანკარი და **ქონობანი** ერთია.

ფიშნარჯევი//ფიშნარჯე.

ფიშნარხევის უბნებია:

არზინიან კარი,

ხუცეთები, ამბობენ – **ხუცეკარსაც. ხუცი'** საკუთარ სახელად//მეტსახელად ჩანს, შდრ. გვარი **ხუციშვილი**. ხუცეთები//ხუცეკარი ადგილია, სადაც **ხუცის** ჩამომავლები სახლობენ. დღეს ტაოში არავინ იცის **ხუცის** მნიშვნელობა, ტოპონიმმა დაიცვა სახელური ფუძე.

ქელაზორი,

ცერეკარი,– ცერე'ს სახლეულის საცხოვრისი. შემორჩენილია მხოლოდ ტოპონიმი, **ცერეანი'** „გვარი“ არ დაგვიდასტურებია.

ჭედლიანკარი – თხუთმეტი ქობი **ჭედლიანი** ცხოვრობს.

შაბანიან კარი.

იეთი.

იეთის მაჰალეები:

ობლეკარი,

ობლეკარის „გვარები“
ბაჯახსონი,
კედელიანნი – კედელა' ადამიანის სახელი//
 მეტსახელი ჩანს.
იალობიანი,
მაჰმადიანნი.
სადგიყანა.
 სადგიყანის „გვარები“:
კაკაჩები – კაკაჩი ადამიანის სახელი//მეტსახელი ჩანს.
კურდვანნი* კურდოვანნი,
ბასტაები.
ველითაჲ//ველითავი – იეთის აგრებიან.
 იეთის „გვარები“:
ფერიანნი,
ზურნები,
ისმაილოლები – ახალი „გვარი“ ჩანს. გვხვდება პარალელური ფორმაც – **ისმაილიანნი.**
ვაჩეკარი – ქორიათის ხალხი ზღაფხულ ვაჩეკარშია, ზამთარში – ქორიეთში (ინფორმატორის შენიშვნა).
დუგური – ძველი აგრები.
ქომობანი* ქვემოუბანი.
 ქომობანის „გვარები“:
სილაჯები (შდრ. თ. silah – იარაღი), მეტსახელი ჩანს კაცის – მეიარაღე?
ხამფიანნი,
ფაზლიანნი,
ფაფაები,
მელოლიანი – ორმაგი წარმოებისაა: **მელოლი-იან-ნი(ი).** **მელ(ა)** მეტსახელი ჩანს, შდრ. **მელაძე, მელაშვილი.**
ყანთრანნი* **ყანთარანნი.** შდრ. ყანთაროლი. ყანთაროლი შეარქვეს იმიტომ, რომ წინაპარი ყანთარს, სასწორს აკეთებდა, აშენებდა, როგორც აქ იტყვიან.
კოშები. კოში – წონოლი აყირო (ინფორმატორის განმარტება – ავტ.). **კოში** – მეტსახელი ჩანს...
ბასლეკარი, – ბასლეთები იქ მიდიან (ინფორმატორის შენიშვნა – ავტ.).

ბასლეკარის „გვარები“:
ქეიჯიანნი,
მუსტოები (მუსტო მუსტაფას შემოკლებული ფორმაა. **მუსტოები** – მუსტოს ჩამომავლები),
***პაჯახსიონი** შდრ. **ბაჯახსიონი** (ობლეკარული „გვარია“). პირველი მეორეს ფონეტიკური ვარიანტია.
ბასლეთები შდრ. ბასლიანნი.
შენიშვნა: *ტაოს „გვარებში“ პირველად გამოვლინდა – **იონ** სუფიქსი (შდრ. ბაგრატიონი...). – **იონ** რთული სუფიქსია: **ივ-ან**, რომელიც ერთი მხრივ იძლევა – **იონ** ნაირსახეობას (**ვაჟო** გზით), ხოლო, მეორე მხრივ, – **იან'ს** (ხმოვნებს შორის ვსონანტის ჩავარდნით)¹⁶.
 ამდენად, – **იან** და – **იონ** ერთი სუფიქსის (–**ივან**) ფონეტიკური სახესხვაობაა და მისი ერთ-ერთი ფუნქციაა, ადამიანის საკუთარი სახელისაგან ანარმოს „გვარი“¹⁷.
***დვალეკარი,**
 დვალეკარის „გვარები“:
თოსოები,
მოლელიანი,
სალიანნი.
 ყურადღებას მივაქცევ გეოგრაფიულ სახელს **დვალეკარი. დვალი** ადამიანის სახელი/ მეტსახელი ჩანს, შდრ. **დვალიძე.**
ქვაბაჲ//ქვაბავი//ქვაბაჲ კარი.
 ქვაბაჲს „გვარებია“:
კაკაბები, შდრ. გვარი – კაკაბაძე.
ჯიდები,
ღარღაჯები,
ტურციანნი,
სოფიანნი,
თოფლიანნი* **თოფალიანნი.** შდრ. თ. tofal – კოჭლი. დასტურდება თურქული გაფორმების მეტსახელი – გვარი **თოფალოლიც.**
 იაშარ გულერთან „დავაზუსტე“ ელიასხვის სოფლები და აქ განსახლებული „გვარები“. უმეტესი სხვა ინფორმატორებისაგანაც გვქონდა ჩანერილი, ზოგიც, უფრო „გვარები“, დღეს ჩა-

¹⁶ ბ. ჯორბენაძე, მ. კობიძე, მ. ბერიძე, „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი“, თბ., 1988, გვ. 239.

¹⁷ იქვე, გვ. 215.

ვინერე: ჩემთვის ახალი იყო: ჯიდეები, კაკაბები, პაჯახსიონი//პაჯახსიონი. სამივე „გვარს“ საფუძვლად მეტსახელი უდევს, შესაბამისად, ჯიდი, კაკაბი, პაჯახ//პაჯახ. პირველი ორი ფუძე ქართულია, მესამე – თურქული ნასესხობა ჩანს. შდრ. თ. **bacaksiz** – 1. უფეხო, 2. მოკლეფეხება: 2.1. ტანდაბალი, ჯუჯა, ქონდრისკაცი. 3. ანცი, ცელქი, ყაჩაღანა¹⁸. სამხრულ კილოებში უფრო 2.1. მნიშვნელობით იხმარება.

სასტუმროს ჰოლში შევედი. ვხედავ, მევლუდ დოლენჯოლი ჩამჯდარა ახალგაზრდებს შორის და ოკ'ს თამაშობს, ხუმრობს, ერთობა. სანაძლეო დაუდვია, წაგებულმა **ხავინი//ხაინი** უნდა გაამზადოს სახვალაოდ. მოთამაშებთან ახლოს დავეჯექი, ვუსმენ მათ საუბარს, საინტერესო ფრაზებს ვინერე:

- მე დუძახო, მოვდეს, ილაპარაკოს...
- ამა *უხარის...
- შენ **ხაინი'და ქამო... ონ (აქ: ათი) აქოს.
- ***ფადიმე ამათკე არი.
- ****ნონამა თვალმა კრა.
- ნონას *****თვალმა დიმიჭირა.
- ჰაადე, კარგათ იყათ.

მოყვანილი, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ფრაზები საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისით, კერძოდ:

*დადასტურდა ხოლმეობითის ფორმა – **უხარის**.

****ხავინი>ხაინი** – ამზადებენ აჭარაში, შავშეთში, კლარჯეთში, ოლონდ – განსხვავებულად, მაგ.

აჭარა: აჭარაში განასხვავებენ ხავინს (იციან ზემო აჭარაში) და ხავინის ფაფას (იციან უფრო ქვემოაჭარასა და ქობულეთში).

ხავინის ფაფა – პურის ფქვილით, თაფლითა და ერბოთი შემზადებული ფაფა. ადულებულ წყალში ნელ-ნელა ჩაყრიან პურის ფქვილს და გააკეთებენ სქელ ფაფას. თეფშზე ამოიღებენ, შუაში ამოაღრმავებენ და შიგ ერბოში მომწვარ

თაფლს ჩაასხმენ¹⁹. ქვემოაჭარაში თაფლის ნაცვლად შაქარსაც იყენებენ.

ხავინი: „ადულებენ წყალს, ჩადებენ შიგ ნადულს, დოს და კარგად მოურევენ, თან ნელ-ნელა ჩაყრიან შიგ პურის ფქვილს. მასა თანდათან გასქელდება, მოიხეთქავს, თავზე მოიდება ადღს, ცხიმს. გემოვნებით ურთავენ მარილს. შეიძლება მიირთვან თაფლით ან შაქრით“²⁰.

შავშეთი: პურის ფქვილისაგან დამზადებული ფაფა²¹.

კლარჯეთი: პურის ფქვილის ფაფა ერბოთი²².

ტაოში ხავინს ერბოთი, ნალებითა და მჭადის ფქვილით ამზადებენ.

*****ფადიმე** – ნატას ეძახის მევლუდი მოფერებით.

******ნონამა თვალმა კრა** – ნონამ თვალი კრა (ჩაიხედა, დაინახა).

*******თვალმა დიმიჭირა** – გამთვალა.

ნააგო მევლუდმა პარტია, ადგა, მიმავალმა:

**გარეთ გეველ, გოგოვო,
ლურბელს *მუხარხატია,
ლურბელო, **გაჰკარ-გამოხკარ,
***ზის თვალი გამააჩინე.**

*კიდევ ერთი ლამაზი სიტყვა გავიგონე – **მობარხატება>მობარატება** (ნ-ბ>ხ-0 დისიმილაციური დაკარგვით).

ტაოურში თვალშისაცემია **ჰ:ხ პრეფიქსების მონაცვლეობა: **გაჰკარ-გამოხკარ**.

*****ზის თვალიც** იციან ტაოელებმა.

მევლუდი სასტუმროში გაუჩინარდა. მალე ვახშამიც მოგვართვეს...

ნავახშმევს საუბარი გავაგრძელე მევლუდთან.

– მევლუდ, რომელია სწორი ფორმა **გოდლეკარი** თუ **გოდრეკარი**?

– **გოდლეკარი** თქვი, **გოდრეკარიც** იქნება: **იცო, გოდლეკარ რვა ქოხია:**

¹⁸ იხ. „თურქულ-ქართული ლექსიკონი“, ლია ჩლაიძის რედაქციით, სტამბული, 2001.

¹⁹ ჯ. ნოლაიდელი, დასახ. ნაშრ. შდრ. ნ. ნოლაიდელი, „ლექსიკური ძიებანი“, ბათუმი, 2013, გვ. 251.

²⁰ ნ. ნოლაიდელი, დასახ. ნაშრ. გვ. 251.

²¹ იხ. „შავშეთი“, გვ. 611.

²² იხ. „კლარჯეთი“, 2016, გვ. 1080.

პირველია – იალოზიანი (<*იაკობიანი? კ:ლ მონაცვლეობით),

მერე – *ხარდლები,

მერე – თათარიანი,

მერე – სალიანნი,

მერე – სოფთარანი,

მერე – იუნუზიანი (<*იუნუსიანი? შდრ. იუნუსი – მამაკაცის სახელი),

მერე – იბრაიმიანი,

მერე – კულახსუანი<*კულახსიანი.

იაშარ ჭედლიანმაც ჩამანერინა გოდლეკარის „გვარები“, თუმცა რამდენიმე „გამორჩა“: **იალოზიანი** და **ხარდლები**.

***ხარდლები** – მეტსახელი ჩანს კაცისა ხარდალი, რომელიც რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება ქართულში: ა. მდოგვი; ბ. ყურძნის დაუდულარი წვენი; გ. პირშუშხა²³.

„სიტყვის კონაში“ საბას შეტანილი აქვს **ხარდანი** – სარიანი ვენაჟი²⁴.

ჯ. ნოლაიდელი აჭარულში დაადასტურებს ფორმას **ხარდანი** – პირშუშხას მნიშვნელობით, „ბრტყელფოთლება სამკურნალო ბალახი“ – განმარტავს მკვლევარი²⁵.

შ. ნიჟარაძე განასხვავებს **ხარდალსა** (ა. მდოგვი, ბ. ყურძნის ან მსხლის დაუდულარი წვენი) და **ხარდანს** (პირშუშხა)²⁶.

დასაშვებია, რომ **ხარდალი** და **ხარდანი** ფონეტიკური სახესხვაობებია **ლ:ნ** თანხმოვანთ-მონაცვლეობით მიღებული. ვფიქრობთ, **ხარდალსა** და **ხარდანს** განსხვავებული მნიშვნელობა აქვს და უფრო სარწმუნოა შ. ნიჟარაძის განმარტება. ყოველ შემთხვევაში, ქეგლ-ის **ხარდალის** განმარტება დასაზუსტებელია. უპირველესად, **ხარდალი** არ აღნიშნავს **პირშუშხას**. მეორეცაა და **ხარდლის** მეორე მნიშვნელობისათვის მოყვანილი საილუსტრაციო მასალა გაუგებარია. მეტი სიზუსტისათვის მოვიყვანთ სრულად: 2. კუთხ. (აჭარ.), ყურძნის დაუდულარი წვენი.

„ტკბილისგან ხარდლის გარდა ჩურჩხელასაც აკეთებენ“ (მითითებულია თ. სახოკია). „ხარდალი ყურძნის დაუდულარი წვენი თუა“, მაშინ „ტკბილისაგან ხარდლისა და ჩურჩხელის“ დამზადება გაუგებრად გვეჩვენება. თ. სახოკიას განმარტებიდან ჩანს, რომ ტკბილისაგან მზადდება ხარდალი(?).

დაბოლოს, **ხარდალ'** სახელური ფუძე დაუცავს ერთ ტაოურ „გვარს“, თუმცა მისი არც ერთი მნიშვნელობა არ დასტურდება ტაოურში.

გვიანობამდე ვისხედით სასტუმროს ჰოლში, ბევრი ვისაუბრეთ. ერთი ამბავიც მოგიყვია მე-ვლუდმა, „იბრაიმიან ბერის ამბავი“; ვფიქრობ, საინტერესო თქმულებაა, ამიტომაც სრულად მოვიყვან:

– **იბრაიმიან ბებერი წასულა ტყეში: (1) უკურკუტია, უკურკუტია... შიშა მუგროვებია, ნაძვის (2) ტლები. დუნყვია დიდი (3) ტირთვი. შემძრალა ტირთვის ძირიდან, წამოწვეს კი, ძიმეა, კიდო წამოწვეს, კიდო წამოწვეს, კიდოვ ძიმეა... გომოდრომა იქსა, ვერ გომოდრება. მეახედავს კი დათვის (4) ტოტოლები ბებრის ბეჭზე არი გადმოდებული.**

ბებერი ეტყვის დათვს:

– დათო, მე სახლსა მყავან ღენჭები, მიცდიან შეშას, არ შემჭამო.

დათვი ეტყვის ბებერს:

– არ შეგჭამ, ჰამა ერთი რამ გეტყვი, დეჯერე!

ბებერი ეტყვის, თქვიო.

– ჩემთან ერთათ'ნა ვიცხოვროთ, არ'ნა ნახუდე სახში! – ეტყვის დათვი.

ბერიც ეტყვის:

– თუ არ შემჭამ, ვიქნები შენთან!

ერთ დღეს დათვის უკან (აქ: ერთად – ავტ.) ილაპარაკებენ. დათვს ეტყვის ბებერი:

– შენ წინდები არ გაქვა, შემოგცივდება, ზამთრი ავათ გახდება. შენ გაგპარცო, (5)კედი დავართო,, მოგიქსოვო წინდები.

²³ იხ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (შემდეგ: ქეგლ), ტ. 8.

²⁴ ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრ.

²⁵ ჯ. ნოლაიდელი, დასახ. ნაშრ.

²⁶ შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

დათვი დეაჯერეფს.

ოხშან ქეთქეთზე მივლენ, დაჟდებთან. ბებერი გაპარცავს დათვს, მერე გაჩეჩავს, შექნის (6)ნართს, დართავს კედსა. გუდმუშვებს კედს თავდაღმისკე, დათვსა ეტყვის:

– ჩევდე, კედი გამოვტანო, შენ აქიდან დამცვი (აქ: დამცავე).

დეაჯერეფს დათვი. ნუმუა ბებერი (7)ბარგა-ბურგით. გემეარს უკან ჳევს, გავა სახში, დემაღვის.

ღამე შექნება, დათვი (8)იღარღალებს: რატომ გავგზანე ბებერიო.

ნომოვა გოდლეკარისკე, მოვა იაღობიანჩი, ფენჯრიდან შეხედავს, იტყვის: ბებერი მანდ არი, თუ არ არი?

არაო, – ეტყვიან!

მივა იბრაიმიანჩი. ფენჯრიდან დეანახავს ბებერს, ეტყვის: ფენჯრიდან შომოვდე თუ ოჯახიდან?

ბებერი ეტყვის:

– ოჯახიდანო.

ოჯახში დაჰდებს, დაჯოხავს პანა-პუნასა, მიცემს ცეცხლსა. დათვი ჩუმოვა ოჯალიდან, მეეკიდება ცეცხლი, გიდახდება წყალზე, გეაქცევა ჩირდილისკენ: ჩირდილში გავა კი, რა დეანახოს? სხვა დათვებ აქვან ქორწილი. ეს გახრაკული გავა იმათჩი.

დათვები ეტყვიან: ვინ გეხვონა, ბებრებ უკან (9)იხტვინე?

– მერე რა მოხდა? – ვეკითხები მევლუდს.

– მერე? გათავდა, აღარ არი!

იშვიათია, ჭოროხის ქვეყნებში, განსაკუთრებით ტაოში, ასეთი გრძელი ამბავი მოგიტხროს ვინმემ. ჩვეულებრივ, ინფორმატორებს არ ჰყოფნით ლექსიკური მარაგი, ქართული ზოგადად, რომ ვრცლად ისაუბრონ: თხრობის პროცესში ხშირია კოდების შენაცვლება: როცა მთხრობელი ქართულად ვეღარ ახერხებს ამბის

გაგრძელებას და თურქულად განაგრძობს... და ეს იმდენად ბუნებრივად ხდება, რომ თავად ვერ გრძნობს; თუ ჩაერთვები და შეახსენებ, ქართულად ისაუბრე, მე ხომ თურქული არ ვიციო, გაკვირვებული შემოგხედავს, აბა მე რომელ ენაზე ვსაუბრობო...

მევლუდი ახერხებს ქართულად ამბის მოყოლას.

თქმულებაში რამდენიმე ლექსიკური ერთეული შევნიშნე:

(1) **კურკუტი**, გვხვდება აჭარულში²⁷, მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში²⁸, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით: „წყალში გაუხსნელი ფქვილის გუნდა“. ტაოურში **კურკუტი** მოხუცის, ბებრის მოხრილი, მოდრეკილი მოქმედებაა... შდრ. აჭარული: **მოკუნკვა, მოკუნკვილი, მოკუნცხვილი**²⁹.

(2) **ტალი** (მრ. ტლები), აქ: ტოტი.

(3) **ტირთვი** – ტვირთი, ვ'ს რედუქციით.

(4) **ტოტოლი** (მრ. ტოტოლები) – ტოტები (დათვის), შდრ. **ტოტი** – წინა ფევი მჭეცისა, გინა ნიფხვს ცალი მწარე³⁰.

(5) **კედი** (<მკედი) – მომსხო ძაფი (ს.ს. ორბელიანი). დასტურდება მუჰაჯირთა მეტყველებაშიც.

(6) **ნართი** – დასართავად გამზადებული დაჩეჩილი მატყლი.

(7) **ბარგა-ბურგით** (წამოსვლა) შდრ. ბაძგა-ბუძგით წამოსვლა.

(8) **იღარღალებს** – აქ: ხმამაღლა უაზროდ დაიღრიალებს. შდრ. ლარღალი (აჭარ. იმერ), ლარღილი (გურ.).

(9) **იხტვინე** – იხტუნე.

1 აგვისტო, ოთხშაბათი. დილით ბასლეკარში ავედით, მოზრდილი სოფელია, თხუთმეტამდე ქოხით. იგი ბასლეკარის ხევის მარცხენა ნაპირზეა გაშენებული. მდიდარი სოფელი ჩანს ბასლეკარი: ბალები, ბახჩები... განსაკუთრებით

²⁷ შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ. შდრ. ჯ. ნოლაიდელი, დასახ. ნაშრ.

²⁸ შ. ფუტყარაძე, დასახ. ნაშრ.

²⁹ შ. ნიჟარაძე, იქვე.

³⁰ ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრ. შდრ. შ. ფუტყარაძე, დასახ. ნაშრ.

ნოყიერი ჩანს მდინარისპირა მერე. რას აღარ ნახავს აქ კაცი: ვაშლი, მსხალი, თუთა, კაკალი, ქლიავი, ვაზი... სიმინდის ყანები, ლობიო, კიტრი, მრავალფეროვანი ბოსტანი... ორლობეში მივდივართ, ვათვალთვლებთ დასახლებას, ვსაუბრობთ. სახლები უმეტესად ძველია, ტიპური ტაოური ქოხები.

ორლობეში თივით დატვირთული მანქანა შემოვიდა, ჩვენთან ახლოს ერთი სახლის წინ გაჩერდა. მანქანიდან რამდენიმე ახალგაზრდა და შუახნის ცოლ-ქმარი გადმოვიდნენ. გავიცანით: შაჰინ ქეიჯიაშვილი//ქეიჯიანი//ქეჩეჯი, მისი მეუღლე აისელი და ორი ვაჟი. ცა მოქუფრულია, წვიმას აპირებს. ჩქარობენ ქეჩეჯები თივის დაბინავებას, ჩვენ კიდევ მათთან საუბარი გვსურს.

შაჰინი ჩვენთან მოვიდა, მისი ვაჟები და მეუღლე შეუდგნენ მანქანის დაცლას.

– **ჭაპნები შეხსენით და...** გასძახა ვაჟებს მამამ. შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა, მკითხეთ, რაც გაინტერესებთო. აშკარაა, შაჰინს უჭირს ჩვენი ქართულის გაგება, რამდენიმეჯერ ვუმეორებთ თქმულს:

– **ჩვენი ლაპარაკი და თქვენი ერთი არაა!** – თავს იმართლებს შენუხებული ინფორმატორი.

– ლექსები გვითხარი, გეცოდინება, წიგნში უნდა შევიტანოთ აქაური ამბები, – თხოვს თინა.

არ მოსტეხო კონკალი,

ჩადი, დეწიე ტალი! – ნაიმღერა შაჰინმა.

– კონკალი რა თქმაა? – მოვუქციე მათთვის გასაგებ კილოზე.

– **ბალისა ასე ბევრი შექნილა, კონკალი ეტყვიან,** – აგვიხსნა აისელმა, შაჰინის მეუღლემ.

კონკალი იგივეა, რაც აჭარული **კონნოლი**: „ნაყოფით დახუნძლული შტო, კუნწულა. კონნოლ-კონნოლ ზმნს. კუნწულეზად, კუნწულეზის სახით...“³¹. ამოკონწლული ასხიაო, იტყვიან, ბალს, ვაშლს, მსხალს, ტყემალს, ქლიავს... ხილს ზოგადად. მაშადამე, ტაოური **კონკალი** და აჭარული **კონნოლი** შესაძლებელია, სინონიმებად ჩავთვალოთ.

რამაზი მირჩევს, მოდი, დაბლა ჩავიდეთ, ზექერია ყანთაროლლი ვნახოთ ქომობანში, მჭედელია, ბევრი ამბები იცის, კარგი მოუბარიაო.

დავთანხმდი, ნონა და ნატაც გამოგვეყვინ. თინა, მალხაზი და მამია შაჰინის ეზოში დარჩნენ.

ბილიკებს ჩავუყვით ხევისაკენ, ჯერ დაბლა დავეშვიტ, შემდეგ მარჯვნივ შევუხვიეთ და ქომობნის დასახლებაში შევედით. ახალგაზრდა მამაკაცი და ქალი საუბრობდნენ სახლის აივანზე. ზექერია ყანთაროლლის ქოხი ვიკითხეთ. მე გაგვევითო, მამაკაცმა და წინ გაგვიძღვა. ეზოდან შესძახა ზექერიას, სტუმრები არიანო მოსული შემთან.

სახლში მიგვინვია მოხუცმა. აივანზე დავსხედით, იქვე ზექერიას მეუღლე იჯდა, ავადმყოფი ქალბატონი.

„ყანთაროლლის დესტანი“ გვსურს ჩავინეროთ ზექერია ქანთაროლლისაგან. კარის თავზე ჩამოჯდა მასპინძელი, რამაზმა კამერა სამფეხზე შეაყენა და ჩასანერად მოემზადა.

მცირე განმარტების შემდეგ დაიწყო მოხუცმა „დესტანი“: ამბობს ზეპირად, გზადაგზა განმარტავს, ვუსმენთ. ამბავს თურქულად ყვება მთხრობელი, ხშირად ავიწყდება, იხსენებს... ბოლოს გაჩერდა, მეტი აღარ ვიცო.

რას ვიზამთ, სჯობს თემა შევცვალოთ, ეგებ მეტყველების ნიმუშები მაინც ჩავინეროთ.

დაიქუხა! წვიმა წამოვიდა, წვეთები გვეცემა ყანთაროლლის აივანზე მსხდომებს. კარგა ხანია, ელოდება წვიმას ნასიცხარი და გადახანძული, ყურადღით განუხებული ტაო.

– ყანთაროლლის რატომ გეტყვიან? – ვეკითხებით ზექერიას.

– **ყანთარი უსაქმია, უშენებია ჩვენ დედისი ემის, ჰუსეინას აღას. ა' ვიცი, იმისი სახელი ა' გიმიგონია. თუქანი ა' იმან გააკეთა...**

„ყანთარის მშენებლისათვის“ ყანთაროლლი უწოდებიათ, მოქნილი ნიშანი შეურჩევიათ სახელდებისათვის, შთამომავლობას შერჩა სახელმეტაჲ წინაპრის ხელობის მიხედვით.

ბარემ ვიტყვი:

³¹ შ. ნიჭარაძე, დასახ. ნაშრ.

ემი – თ. emmi – ბიძა.

თუქანი – არ. dükkân, სავაჭრო, დუქანი. ყანთაროლლის მონათხრობით თუქანი – სამჭედლოა.

შენება აქ კეთების მნიშვნელობითაა ნახმარი.

ჰუსეინას ალა – აქ: ჰუსეინას მამა.

ყანთარი – არ. kantar, ცალსასწორი, ხარიხიანი სასწორი.

აღვნიშნავ, რომ ჩვენი მასპინძელიც წინაპრის ხელობას მისდევს, სამჭედლო აქვს გამართული, ჭედავს, სხვადასხვა ნივთსა თუ იარაღს აკეთებს.

– თქვენც აკეთებთ ყანთარს?

– **ჟოქ, ჯანუმ, მე თოხი ვერ იმიშენებია!**

თავმდაბლობს ზექერია ყანთაროლლი, უფრო ამ სიტყვებით დიდი წინაპრის ოსტატობას უსვამს ხაზს, თორემ თოხსაც აშენებს, ნამგალსაც, ნაჯახსაც და სხვა ნივთებსაც.

გასულ წელს, „ტაო – 2017-ის“ ფარგლებში სტუმრობდა რამაზ ხალვაში ზექერია ყანთაროლლის. არ დაიზარა და მისი „საბრძანებელი“ დაათვალიერებინა მასპინძელმა სტუმარს. ექსპედიის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ მხლებელს. რამაზს იაშარ ჭედლიანი მეგზურობდა მაშინ, ამიტომაც მოინდომა მოხუცმა, უამბო სტუმარს ყველაფერი, რაც გაიხსენა, რამაზმაც ყველაფერი ვიდეოფორზე ჩაიწერა.

ვიდეოკადრებიდან ჩანს, რომ შარშან უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდა ზექერია ყანთაროლლი, დღეს აშკარაა, უჭირს, თუმცა თავს აძალებს და საუბრობს.

ჩანართი: ზექერია ყანთაროლლი მოგვითხრობს: „ჩემი დედები სამი ძმა ყოფილან, ერთი დუქორნილებელი ყოფილა, იმიდან არავინ არ დარჩნეს. ორი თანედამ ვართ, ერთი თანედამ – ჟოქ. დედედამ ქოხი დიგვირჩა, სხვა – ააფერი“.

– **ყანთაროლლი, ხვეკლი, შენი დედეა ყოფილა?** – კითხულობს იაშარი.

– **არა, დედესი ემი!**

თავისი წინაპრების ცხოვრების ერთი ეპიზოდი ლექსად თქვა ზექერია:

მაშალლაჰ ბუკვან-ალა,
ოქუზ იქი დერექლი დერ,
ბუნუ აფთურან ალა,
აურექლიდერ აურექლიდირ.
მუსაფირ გელმიშიმ,
სუფრა გელსუნ ბორექლიდე...
ევდა ჰასტალანრიმ ვარ,
დერ უსტინე დერდ ექლე[ნ]დი,
ინშალლა შიფა ბულურ
ააღიმ მუბარექლიდირ.

სიტყვასიტყვით ქართულად ასე ჟღერს: ყოჩაღ (||ღვთის წყალობა) ბუკვან-ალა, ოცდათორმეტ სვეტიანში [სახლში], ამის გამკეთებელი (||ამშენებელი) ალა გულიანია, გულიანი. სტუმარი ვარ მოსული, სუფრა გაშალეთ ფუნთუშასთან (||ღვეზელთან) [ერთად].

სახლში ავადმყოფი მყავს, დარდს დარდი დაემატა!

ღმერთით (||ღვთის შეწევნით) გამოჯანმრთელებიან,

დალოცვილი (||კურთხეული) ფეხი მაქვს.

მოგვითხრობს მოხუცი თავისი წინაპრებისა თუ თავის თავგადასავალს, ხშირად, ისე რომ ვერც გრძნობს, ქართულად დაწყებულ თხრობას თურქულად აგრძელებს. იაშარი ახსენებს ხოლმე ზექერიას:

– **გურჯიჯა იხვართე!**

– **მეა?** – უკვირს ზექერიას, მე ხომ ქართულად ვლაპარაკობო.

არ გვიკვირს ასეთი სიტუაცია ტაოში, მექართულე ტაოში, არც შავშეთში გვიკვირდა, არც – კლარჯეთში, არც – მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებში... ვიცით, ბატონი ზექერია-სათვის წინაპართა ენის, ქართულის ცოდნა პასიური ცოდნაა, ნაკლებად იყენებს და იმიტომ. ოჯახში ურთიერთობისათვის (აღარაფერს ვამბობს – სოფელზე და სოფლის გარეთ ურთიერთობებზე) კარგა ხანია თურქულმა შეცვალა

ქართული; შვილებსა და შვილიშვილებს, მეუღლესაც კი, თურქულად ელაპარაკება, თურქულად ლარაკობს მეზობლებთან და სოფლის გარეთ... ამიტომაც ჩვენთან საუბრისას, ჩვეულებრივ, ქართული და თურქული ცვლის ერთმანეთს, ზოგჯერ ერთი მეორეს ავსებს...

ამიტომაც არ გვიკვირს ზეჟერია ყანთაროლის (არც სხვების) ქართულში კოდების ბუნებრივი მონაცვლეობა, ეს მათი ყოველდღიურობითაა შეპირობებული.

დავუბრუნდეთ თხრობას:

– მე ქალი ავით გიმიხდა, ედა, ყურბეთში ველარ ნევე სამუშაოთ, დავჰჩი სახში... მალე-ბი შევნახე, პირტყევი შევნახე, ანადუმ ფუტკრები შევნახე, დედემ თუქანი გვქონდა, დემირჯი დუქანი. ქორუგი აქ არი, [სხვა] დუანგრიე და იქ ჩევტანე, ჯეირანი (აქ: ელექტროსაბერველი) დავდგი. ჯეირანი იქ არი, ქორული – ჰაიდე, დევნახოთ. ედა, ალმანი მოვდა, ალმანი, მე მეხვარათა, იქ გევდა, მაშინ დანგრეული არ იყო. შეხედა, ბახალუმ, უნინდელი იგიავო, ცული აშენება, თოხი აშენება... ისინი ემე ქნაა, გომოვდა... ედა, ალლა რაზი ოლსუნ, ამისთანა მოზობლები: თაფლი ედეს, ერბო ედეს, ყველი ედეს, მამუშავეს, ონდა სორა, ანადუმ, პურტყევი, მალევი გეჩიმი ვქენი...

მეზობლების მაღლიერია ზეჟერია, იმიტომ, რომ სოფელმა დააძლევინა გაჭირვება.

– ის გერმანელი მარტო ხომ არ მოსულა? – ახსენებს იაშარი. ჩანს, მას ადრეც მოუსმენია ყანთაროლის მოთხრობა.

– ერთი ქალი ეახლა, ერთიც – კაცი. ახ ქალი პროფესორია. გიმიყვანეს აქა, მანეთები დავანახვიე ერთი ქითაბი. იმ დეკაცმა უთხრა ქი, ახ ველოთო. რაცხა უთხრა იმ კაცმა, აღარ ედეს.

– ამა აქო ძველი მანათი, რუსული მანათი!

– ეუბნება იაშარი რამაზს.

– ორი, სამი თანე მაქ!

– აქ გაქვა მანათი? – კითხულობს იაშარი.

– სამ არი ჩამარხული, არ გუმუაჩინოვო. მანათზე ასი მიეცა, მიმეცა'და, ა' მომცენ, ა' მივე.

– სად ნახეთ მანათები? – დაინტერესდა რამაზი.

– დედეს ალთუნი გუდუვლებია (აქ: გადაუცვლია) მანათზე.

შემდეგ ბატონი ზეჟერია გაუძღვა სტუმრებს და ძველი და ახალი ნივთები დაათვალიერებინა. ვფიქრობთ, მრავალმხრივ საინტერესოა ამ ნივთების სახელწოდებანი:

სასრე ჩარხი, *მალესაე. ესა ამუშავეფს და! ფეხით სამუშავებელი, ეს დაბ[რ]უნდება, ააა! მისი დააბრუნებელი (sic) და (ღვედზე ამბობს – ავტ.). ე' აბრუნებს, ეს. ამა **ონაგორა ფეს ანევი, დაბუნდება.

*მალესაე – რაც ლესავს...

**ონაგორა – თ. ona göre – ამის მიხედვით, შესაბამისად.

შემდეგ საბერველი, ქორუგი/ქორული (თ. köruk) გამოიტანა მოხუცმა გაჭირვებით. იაშარი თხოვს, მძიმეა, ნუ ასწევო.

მაინც გამოიტანა ზეჟერიამ საბერველი და ზედმინევით აუხსნა სტუმარს მისი მუშაობის სპეციფიკა:

– ამა ასე ვნევთა. ახლა ახ გამაგრებულია, დაალო'და, ამა ასე იქამ, ამასაც ასე იქამ, აქილამ ნიავი მუა, ქარი, იქა ცეცხლ აანთებ, უბერავს: დუ, დუ, დუ. ე ქარი აქედამ მივა. ქარი აქედამ შევა, აქედამ გამეარბენს.

– ქორუგი ბევრი ძველია? – დაინტერესდა იაშარი.

– ბევრი ძველია, უნინდელი აშენებულია (აქ: გაკეთებული). უჩ აუზ სენე (სამასი წლის) იქნება. ეს მოვხსენეთ, დაძველდა ტყაე. ტყაე [იქნება] ჯარისი, ფურისი. კინა არი, იმაზე იმა იჯება (მიხვდი ახლა რას იჯება – ავტ.), ეკვიროსო [ტყავი].

– სახლის აგებულებას კითხულობს რამაზი.

– ძირაე ქორი, ბოსელი, – პირტყევი, მალევი ვინახავთ.

მეორე ყათში ჩვენ ვდგავართ.

მესამე [ყათში] – თივებ ვჯოხავთ. ამა ბელ ეტყვიან.

– ეს რაღაა? – საკვამურზე ეკითხება რამაზი.

– სახლისი დუმანი (აქ: კვამლი) მოვა და!

– სართულებს შორის მიწაა?

– ასე თახტებია და ზედამ მიწა არი. ხევნარი გაყრილია ასე, ზედამ – მიწა.

დიახ, ტაოურ სახლში სართულებს შორის გადებულ მორებზე ფიცრებს დაანყობდნენ, რომელზეც მიწას აყრიდნენ, ტკეპნიდნენ და ანყობდნენ იატაკს.

– ესა მერული (ხის სამთითა): დიკას, ქერსა გავლენავთ, ამით ვანიავებთ, ბუქ ვაძლევთ, ართულ (აქ: ახლა).

– ეს კიბე!

– ეს წელედაა (პატარა კალათი, ხელზე ჩამოსაკიდი)!

– ეს გოდორი!

– ეს ქვაბი.

გამოალაგა ძველი თუ ახალი საოჯახო ნივთები მასპინძელმა. მათი სახელები ცნობილია ჭოროხის სხვა ქვეყნებშიც.

– ეს რაღაა? – კითხულობს რამაზი.

– ეს თაგვი *დუზალია: აქა შაჭმელია, თაგვი შევა, შეშქამს, დასხლიტავს. იქ ასე ხეთქავს იმა, გააცუნცებს, ისხლიტავს, ეცემა. აგერ ქვააა, ხეთქავს იმა.

დუზალი – ხაფანგი.

ხეთქვა – აქ: დაარტყამს.

გაცუნცება – გაცოცება(?)

– ესაც ართულ დიკაა მარტო დაჭრება, იმა ემე ვაძლევთ, ბუქს (ხის ნიჩაბს უჩვენებს ზექერია, მარცვლეულის ასანიავებლად რომ იყენებდნენ). ამა მე ვიჯები. ჩვენი დიდი დედეა ყანთარი უშენებია, ესაც მისი ნაშენებია – ცული.

– ეს განია, ეს – კოჭი, ეს – კულაბი – ათვალიერებინებს სტუმრებს კარზე ბოქლომის სამაგრებს.

განი – ურდული, რომლის ბოლო ამოჭრილია, მასში თავს ამოყოფს კოჭი, რომელზეც ბოქლომი მაგრდება.

კულაბი – გრძელი ანჯამი, მაგრდება კარის მთელ სიგანეზე.

– ეს კირკენია – თოკზე მააბამ, არ ცვითავს თოკს.

თანდათან გვიმრავლდება საოჯახო ნივთების სახელწოდებები, საყურადღებოა, რომ უმეტესი მათგანი ქართულია.

– ეს რაღაა?

– ესა? კალოზე ქი გავშლით ქერსა... დევენია (კვერი – ავტ.) დიდი, ერთ წარ ამ თერეფში მუაბამთ, ერთ – ამ თერეფში, ვარბენიებთ, ვარბენიებთ, გავლენავთ. ამის სახელიცანდია (ლვედი, რომლითაც ხარებს აბამენ კვერში – ავტ.).

– ჩემი დიდი დედეა უსტა ყოფილა, – უკვე მერამდენედ ამბობს ზექერია, – დიდი დედეა... ესენი უშენებია, ჰა... აა ყანთარია. ეს უშენებია ჩვენ დედესა და იმის გამიერს ყანთაროლი უთქმიან.

შემდეგ სასწორის ნაწილებს უჩვენებს რამაზს:

კვერი – საპირნონე (გირი?),

ჯენჯირი (ჯაჭვი).

პეტრაა რამ იქნება აწონაა, ამაზე წამოდებ, ამაზე (კავზე – ავტ.), დიდი ქი იქნება, ამას ასე მუხოვ, აწწევ, აწწონავ! – უხსნის მოხუცი სტუმრებს, – ამას ვინახავ და, მუზელული!

დღეისათვის სამუზეუმო ექსპონანტად ქცეულა უფროსი ყანთაროლის ნაჭედი ყანთარი// სასწორი. ბატონი ზექერიაც ინახავს წინაპრის ნამუშავეს.

შემდეგ ბელელთან მიიყვანა სტუმრები მოხუცმა.

– ეს რა ჯიშის ყურძენია? – დაინტერესდა რამაზი აივანზე გასული მაღლარი ვენახით.

– ვაზი, ყურძენი, და!

ყურძნის ჯიში არ იცის ზექერიამ, იცის – ვაზი და ყურძენი.

– აა ბელელია, თაგვი არ შევა, ვჯოხავ (აქ: ვანყო) და!

ეს გობი, ხელგობი. ამაში ცომ იქმოდეს, ასუქებდეს.

ეს საცერი, ცხრილი, ე – ცხაა (შდრ. ცხავი).

ეს კოლია...

გულმოდგინედ ათვალიერებინებს სახლ-კარს სტუმრებს ზექერია, დრო და დრო ხუმრობის ხასიათზე დგება:

– **კაცო, ახ სატყეა** (გასალახი – ავტ.) **კაცია, საქმე გამაგდება!** – იაშარ ჭედლიანზე ამბობს ვითომ საყვედურით. **ახლა შენიდან მენათრება, თვარა იაშარი'ნა შევტყვიპო. მე დიდი ვარა, ხელ ვერ შემოაღებს** (შემომიბრუნებს – ავტ.), **ვერ შემტყეპავს. ჰაიდან მიპოე შენე, ჰალლა, ჰალლააა!**

და განაგრძობს ჩვენებას ზექერია:

– **ეს მანგალი, თირფანი არ მოთიბავს, ამით იქამ.**

ეს ბიჩხია (ხერხი – ავტ.), **ამა გადავჭერი** (ტოტს გვაჩვენებს – ავტ.). **იმაში** (სკაზე, კოდზე მიუთითებს – ავტ.), **ფუტკარ ჩაჰყრიდი, თაფლსა იქავს, ამით ვიხილავთ. ამასა სახილაა, თაფლის სახილაა** [ქვია], – თაფლის სახილავ იარაღს (ალბათ დანა – ავტ.) აჩვენებს მთხრობელი.

ახლა სათვალაა (აქ: ფული – ავტ.) **ამან'და მომცეს თუ შენ?** – მოულოდნელად ეკითხება მასპინძელი რამაზს.

რამაზი ილიმება, ზექერია ეშმაკურად იცინის.

ყანთაროლის „მუზეუმის“ დათვალიერება გრძელდება. უნდა ითქვას, რომ სტუმარი ყურადღებით ნახულობს ყოველ ნივთს, მისთვის არცთუ უცხოს, მაგრამ მაინც საინტერესოს...

– **ეს საფექროში მოქსოფლია**, – მორიგ ექსპონანტს აჩვენებს გიდი.

– **საფექრო იცი, რა არი?** – გამომცდელად ეკითხება რამაზს.

– **ეს კოდია, ეს კოდი ყაფალი** (სახურავი – ავტ.).

შემდეგ კოდში შეახედებს რამაზს და უხსნის:

ეს ჯიღია, აქო გამოსლამდე ა' გუმოვხილავთ, ისა მისია, ფუტკრის. ამა ვხილავთ, ჰა, ეტყობა გუმოხილული.

მეფუტკრემ იცის, სკიდან რამდენი თაფლი ამოიღოს და რამდენი ფუტკარს დაუტოვოს საკვებად, – ზამთრის სარჩოდ.

– **შენ ბევრი მახვარათე, შენ ფარა'და გუმოვილო!** – მიუბრუნდა სტუმარს მოხუცი.

საფუტკრეში ეპატიჟება რამაზს ზექერია, იქ ახალი სკებია, იმას გაჩვენებო, ეს „**ძველი მოლა-აო**“, შემდეგ „**თუქანჩი ჩვენეთო**“, თუმცა გზად რამდენიმე ნივთი კიდევ აჩვენა მოსულებს:

კვერი – ვარბენიებო, ვარბენიებო, დეგირ-მავდება, ბუქ მივსცემო.

ტაბიკი – ურმი ტაბიკი: კვერის წინა ნაწილს გვაჩვენებს, რაზეც ხარების შესაბამელი ღვედი მაგრდება.

ეს ჩივია!

ეს – **მაკარა** (შდრ. კოჭი), **ამაში** (სკის ჩარჩოში – ავტ.) **ვბლანდავთ თელს** (აქ: მავთულს).

კოტა – ამას [კარებს] მოსძრავ, ამა გადააბრუნებ, დადგება (ხის საკეტს გვიჩვენებს).

ეს კაკალასა ვნაყავთ. ართუხ, კაკალას, ფუნდულ ჩავხყრით, ამით (ფილთაქვა) ვნაყავთ.

ეს ავანაა – ჯამი, რომელშიც დასანაყ კაკალს ან თხილს ყრიან. „**კაკლიდამ გავაკეთებთ. ბოჯნე ძველი ემენია ესენი**“.

ესა სადგარი – ბუხრის სამფეხი, შდრ. საჯიანლი. „**დიდვან ფახრაჯებ ვდებთ იქა**“.

მშვენიერი ტერმინი შეურქმევიათ ტაოელებს ამ ნივთისათვის – **სადგარი**, იგი არ ჩანს სხვა სამხრულ კილოებში, უფრო **სამფეხი** ან თურქული **საჯიალი** იხმარება.

გუგუმი – ფახირი და! შდრ. თუნგი.

ეს კანჯა (კავი – ავტ.), **ამაზე წამოვდევთ, ჩამოვკიდავთ.** შდრ. თ. *kanca* – ზამბარა, კაუჭა³².

ეს ჩილფია, ხეს გავჩილფავთ, გავჭყრით.

ჩილფი, აჭ. **ჩირფი**, თურქულია, იგივეა, რაც **ლარი**, გაჭიმული ბანარი, რომელსაც წარნაქში ამოავლებდნენ დასახერხ ხეზე სწორი ხაზის გასავლებად³³.

საყელო – ძროხის//ფურის დასაბმელი რკალი: „**ამა ქეროზე წამოვდებთ, ამასაც (ჩივი) დუვასობთ მიწაში და მისთვინაა ძოვს ბითუმ** [ფური – ავტ.] – განმარტა ინფორმატორმა.

ჩაქული – კედელი სწორი გამოვდესო, ვიხმა-როთ. შდრ. აჭ. **ლენძა**, იყენებენ მშენებლები კედლის სისწორის დასაცავად.

³² შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

³³ იქვე.

კალათი – თუთა ამაში დავჰკრეფავთ. ნაძვი, კატარი ამის [ტკეჩი] საძრობელი არი, გავაძრობთ, ედა, ასე ვდრეკავთ, – ხსნის ზეჟერია.

სახნისი – სახენელია, მინაში მუშაოფს. აღარ დარჩა ისინი, დავჭარით, ახლა თრაქტორი იჯება.

მაჭა – ჯარებ დუბამთ, მაჭა დევჭირავთ, ვწნავთა. მაჭა – დასაჭერელი.

მაჭა გუთნის სახელურია!

ამასაც ასე დავასობთ, თირფან მოვსტყეპავთ, – ახასიათებს ცელის მოსაპირ ორსს ზეჟერია, თუმცა სახელს არ ამბობს.

მუხი – ლურსმანი.

მუჩი – ქვის სატეხი რკინის ჩივი, სოლი. შ. ნიჟარაძეს ლექსიკონში არ შეაქვს სოლი, ასევე – სოლაცული, „...დიდვანი ქუთულების დასაპობად ვიყენებთ“³⁴.

ტაოური მუჩი იგივეა, რაც სოლი, აჭ. ჩივი.

ესაც ჩივი – ამასაც შემას დავსცემთ ცულსა, ამასა ჩავდევთ, დავსცემთ, გავაპობთ.

შევნიშნავთ: ზეჟერის თქმით, მუჩი – რკინის პალოა, ხოლო ჩივი – ხის.

მოთორის ემელი – ბეშ მეთრო ხეს მოვშქრავთ, ედა მივასობთ, ბეშანქიში (ხუთი კაცი/პიროვნება?) ასე მევტაცებთ, ალააა!

რა გვითხრა მთხრობელმა? – მოთორის ემელი, რკინის ჩივი, რომელსაც დაასობენ მოჭრილ მორს, ზედ თოკს გამოაბმენ და გაათრევენ ხელით (ძველად), ტრაქტორით ან ხელით – ახლა.

ხესა ათრევენ, მღერავენ: ასა, ჰელესა, ჰემო... ასე გოთურურუს (გავათრევედითო – ავტ.).

შრომას შესაბამისი სიმღერა ან შეძახილი ახლდა, ასეა სხვაგან, ასეა – ტაოშიც.

საფორჩხელი – ფოცხი, ესაც – შეშიდამა!

საგნის სახელდებისათვის სხვა ნიშანია შერჩეული, დანარჩენი საქართველოსაგან განსხ-

ვავებული. ამ იარაღს ფოცხს ეძახიან: რაც ფოცხავს, ისაა ფოცხი. ტაოელმა სახელდებისას ყურადღება სხვა ნიშანს მიაქცია, რომ ეს იარაღი მინას ფორჩხავს, ამიტომაც საფორჩხელი შეარქვა.

შემდეგ ნისქვილში გადაინაცვლეს სტუმარმასპინძელმა. ძველი ნისქვილია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მისი ნაწილების ტაოური სახელწოდებანი, სხვაგვარად, იგივეა რაც საქართველოს სხვა კუთხეებში, თუ – განსხვავებული.

ეს ხარულია – ქერ ჩახყრი, ლაზუთ ჩახყრი.

შდრ. ტაოური ხარულა, ქართლური, რაჭული, აჭარული – ხვიმირი. ყურადღებას მივაქცევ ერთ ფაქტს, ხარულა ხაროს მსგავსია; ხარო კიდევ ცნობილი ფუძეა ქართულში, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს:

1. დიდი, ღრმა ორმო, პურის ორმო (ქართლური, ქიზიყური, მესხური, თიანური, ყიზლარ-მოზდოკური).

2. ნალია, სასიმინდე (გურული).

3. სკივრი ხორბლის შესანახად (ყიზლარ-მოზდოკური, აჭარული)³⁵.

სამივე მნიშვნელობას ერთი საერთო აქვს, იგი მარცვლეულის სათავსოა.

ხარულა ხაროს მსგავსია, მარცვლეულის ჩასაყრელი ადგილი ნისქვილში³⁶.

ესაც კრუჭი, ამ დელულიდან ჩავა (მარცვლეული), ჩაყრის. აჭარულმა იცის კროჭი, „საოჯახო ხის ჭურჭელი, კასრზე ოდნავ პატარა“³⁷. კრუჭი<*კროჭი'საგან.

ტაოურ ნისქვილში კრუჭი ხარულას ხვრელია, საიდანაც მარცვალი ხვრელში იყრება.

ტაკტაკაჲ, იგივეა რაც სარეკელა³⁸.

ტაოურმა ხმაბაძვითი სიტყვა გამოიყენა, რაც ტაკტაკებს, ისაა ტაკტაკაჲ. აჭარულმა იგივე ნაწილის აღსანიშნავად სხვა ნიშანს მიაქცია ყურადღება – სარეკელა, რაც რეკავს. სარეკელა იცის ხევსურულმა და იმერულმაც, იქნებ სხვა კილოებმაც.

³⁴ იქვე.

³⁵ ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრ.

³⁶ „ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი“, აჭარა, თბ., 2018.

³⁷ შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

³⁸ „ქართველი ხალხის ეთნოლოგიური ლექსიკონი“, აჭარა, თბ., 2018.

ე გუმოფქვეულ ფქვილ ჩახყრის, – ნივთის დანიშნულება იცის, სახელს არ/ვერ ასახელებს. აჭარაში მას ლაფერას ეძახიან³⁹, იგი ფქვილის ამოსაღები ხის ნიჩაბია.

ასანევი – თუ წმინდათ გინდა, ამა აჰნევე, დასვამ. წისქვილის ნაწილი, რომლითაც ფქვის პროცესს არეგულირებენ, თუ **დაროხვა//დაროშვა, დაღერღვა** სურთ, დასწევენ, თუ **წმინდად დაფქვა** – ასწევენ.

ფქვილი ხარო – სადაც ფქვილი იყრება.

ფევოზი – ასე დუდეფ, არ დეაქნიოს ფქვილი. ესაა ორი ფიცარი, რომელსაც წიქვილის ქვასთან ახლოს დებენ, ფქვილი რომ არ გაიფანტოს, „რომ არ დეაქნიოს ფქვილი“. ფევოზი არ ჩანს სხვა კილოებში.

წისქვილი ქვა – ჭედლიანკარიდამ იღებდენ, ასლან უსტა იჯებოდა იმა.

ღარი – რითაც წყალს მიუშვებენ წისქვილის ბორბალზე. ძველად „შეშიდამ იყო, ახლა ბეთონიდამ ვქენეთ“. ხისღარიანი წისქვილი დღემდე შეგვხვდებათ ტაოში.

ძალას არ იშურებს მოხუცი, ცდილობს, დააკმაყოფილოს სტუმრების ცნობისმოყვარეობა, თუმცა ზოგჯერ საყვედურობს ხოლმე იაშარს, **ბევრი მახვართე, საქმე გამაგდებიე, სატყე-პაე ხარო.**

ბოლოს ახალ სამჭედლოში შეიყვანა იაშარი და რამაზი ზექერიამ, დაათვალიერებინა, ერთი ნივთი აჩვენა, **კისხანჯი** – გახურებული რკინის დასაჭერი მაშა, ბრტყელტურჩას მსგავსი.

ერთი ფრაზა დამამახსოვრდა კიდევ სტუმარ-მასპინძლის საუბრიდან: **იქიდამ მოვდა, ათო-ლიეში ვეფერებოდო, – თქვა ზექერიამ.**

ნახეთ, ტაოელმა **დახმარებას მოფერება** უწოდა. სამხრულ კილოებში **მოფერება**, გარდა ცნობილი მნიშვნელობისა, აღნიშნავს **მოხერხებას** (ვერ ვაფერავ//ვერ მომიფერებია). კიდევ ერთი მნიშვნელობა გამოიკვეთა ტაოურში – **დახმარება.**

იაშარი და რამაზი დაემშვიდობენ მოხუცს, ზექერია სახლში წავიდა ავადმყოფ ბებერთან, სტუმრები კიდევ ჭილათში წამოვიდნენ.

ვფიქრობ: რამდენ ინფორმაციას ატარებს ყოველი პიროვნება, ამიტომაცაა ამოუწურავი სოფელი, ინდივიდიც კი; სოფელში დაკვირვებული „მკითხველი“ ყოველთვის იპოვის ახალს, საინტერესოს და სხვათაგან ვერდანახულს...

ჭილათში მეჰმედ იმამოლის შეხვდა რამაზ ხალვაში და მისგან მცირე ინტერვიუც ჩაინერა. რამდენიმე მომენტს მივაქცევ მკითხველის ყურადღებას, კერძოდ:

– **გალმა ფიჩხიეთია, უტავისაა, ბევრნი იყენენ, რამ არ არიან. ორი კაცია, აქასაც ადგნენ წევნეს... ზათი ბევრნი იყვენეს და აღარ დარჩნეს.**

„ბევრნი იყვენეს და აღარ დარჩნეს“ – გაიგონებთ ბევრ სოფელში. იცლება სოფლები, დაცლილა ფიჩხიეთიც. მივეჩვიეთ დაცლილი სოფლების ხილვას, ამიტომაც არ გვაკვირვებს ფიჩხიეთის დაცლის ამბავი, არც მიტოვებული ევლეგები – ტერასები ყორეებით. არადა, რა შრომა გაუნევიათ ფიჩხიეთელთა წინაპრებს, ყორეები რომ აეშენებინათ, მინა მოეზიდათ, დაევაკებინათ და სავარგული შეექმნათ, შემდეგ რუ მიეშვათ და სხვადასხვა კულტურა ეხარებინათ...

საყურადღებო საგეოგრაფიო სახელია **ფიჩხიეთი. ფიჩხი/ფიჩხა** ადამიანის საკუთარი სახელი ჩანს, იქნებ მეტსახელიც, რომელიც დაუცავს გვარსახელს – **ფიჩხაძე/ფიჩხაია.**

ფიჩხიეთი ფიჩხას ოჯახის საცხოვრისია.

დაბოლოს, ჭილათის მეჰმედისეულმა ეტიმოლოგიამ მიიქცია ყურადღება:

– **ჭილოე ისმინდა** (აქ: სახელი) **ერთი კაცი მოსულა, ჭილათი უთქმიან**, – ვერაფერს დაუნუნებ, მისაღები მსჯელობაა. აქ რომ გაჩერებულიყო მთხრობელი, გავიზიარებდით ჭილათის მისეულ ინტერპრეტაციას და მორჩებოდა ყველაფერი. მაგრამ აქ არ გაჩერდა მეჰმედი, „დააზუსტა“ თავისივე ნათქვამი და „გონებამახვილურ ვარჯიშად“ (სინტაგმა არნოლდ ჩიქობავასია) აქცია თავისივე ნააზრევი: „**ჭილი ცხენი ყოლია, ჭრელი, ანი. სახელი ჭილოე რქმევია და ცხენი ხყოლია ათი და ჭილათი უთქმიან**“.

³⁹ შ. ნიჟარაძე, დასახ. ნაშრ.

ასე გააფუჭა კარგად დანყებული თხრობა მეჭმედმა, ზედმეტმა მონდომებამ იცის ასე...

ყურში ჩამესმის მეჭმედის სიტყვები: აქაურები „არსაიდან მოსული არ არიან, ჯერლი არიან“.

ასეა, აქაურები ძველი ტაოელები არიან, ამ მინის მკვიდრები...

ეს ყველაფერი შარშან იყო, „ტაო 2017“-ის ფარგლებში, იმ დღეს, რამაზი დამოუკიდებლად რომ წავიდა სამუშაოდ, ჩვენ კიდევ – მეთურქულე ტაოში არქეოლოგიურ ძეგლებს ვსწავლობდით. უაღრესად ღირებული მასალები მოიპოვა რამაზმა იმ დღეს, ღირდა მარტო ხეტიალი ხეობაში...

* * *

დავბრუნდეთ ყანთაროლის აივანზე. დღეს უხასიათოდ საუბრობს მოხუცი, თავს ძალას ატანს, ხელცარიელი რომ არ გამოგვიშვას სტუმრები. იქვე, აივნის კუთხეში, ზექერიას მეუღლე ზის, ჩვენ შემოგვყურებს დარდიანი, დაღლილი მზერით.

– დედევ, ძველი ამბები, სიმღერები, რამე გაიხსენე სოფელში გაგონილი, – ვთხოვთ ზექერიას.

– ნათქვამი სიმღერები ა’ გვაგონდება, ბევრი ვიცი და!

– კარგი, სანამ გაგახსენდებათ, ადგილის სახელები ჩაგვანერინე!

– გუდმოღმა *უზევი ვუძახივარ.

გუდასხევ ე’ კილდე.

კუპრეთი იქ არის, კილდე *უფრის. გაყრილან ძმები, იქ დამსხდარან – ცუცეკარი, ****ჯირო, ინტკორ.

შენიშვნა:

*მშვენიერი სახელი უნოდებიათ – უზევი (<უმზევი<უმზეო), ჩრდილი ადგილისათვის. სხვა კუთხეებში ანალოგიურ ადგილს ჩრდილს//ჩირდილს//ჩილდირს შეარქმევდნენ. ტაოელი სხვა ნიშანს არჩევს სახელდებისათვის: მზე თუ ვერ უდგება ადგილს, მისთვის იგი უზევია და არა ჩრდილი.

**კუპრეთი –ეთ სუფიქსიანი წარმოებაა. კუპრ’ სახელური ფუძეა, ადამიანის საკუთარ

სახელში, უფრო მეტსახელში ჩანს, შდრ. გვარსახელი კუპრაძე.

***უფრის ზმნური ფორმაც იქცევს ყურადღებას, კილდე უფრის – კლდე ევარება, კლდე ფარავსო.

****მაფიქრებს საგეოგრაფიო სახელი ჯირო, უაფიქსო წარმოება ჩანს, მაგრამ მნიშვნელობა გაურკვეველია, ჯერ-ჯერობით მაინც.

მე ვერც გურჯიჯე მიმიგვრია, ვერც – თურქი, – ნუხილით ამბობს ზექერია.

– რა ყურძენია, – ვეკითხები ზექერიას.

– მართალი ყურძენია, ადესა მჯე (აქ: მჟავე) არი. ამისი ქერქი (აქ: კანი) აავუზია (თ. დიალ. მაგარი), იმისი – სქელია.

საფუტკრეში გაგვიყვანა მასპინძელმა, დაგვათვალიერებინა, ფუტკრის მოვლაზე გვესაუბრა, ერთმა ფრაზამ მიიქცია ყურადღება: ფუტკარ ანაჲ გუმუშვებს, მართვე ვებნევით.

დიახ, ფუტკარს ანაჲ, დედა ფუტკარი გამოუშვებს, რასაც ტაოელებიც მართვეს ეძახიან.

ფუტკრის ნაყარს მართვე ქვია მთელ საქართველოში, მართვე იციან ტაოელებმაც.

წვიმა წამოვიდა. ჩვენც წამოვედით ყანთაროლის ქოხიდან. სამანქანე გზაზე გავედით, ჯამის წინ აბდესხანას (ლოცვის წინ განსაბანელ ადგილს) შევაფარეთ თავი. ქალები მოვიდნენ, მაღლა სოფლიდან მოვდივართო.

– ჯამენა *დავაფაქოთ, და **წვენეთ’ნა. აქ ვმუშაოფთ და ფართო, – გვითხრეს ქალბატონებმა.

– როგორი წვიმა წამოვიდა, შემცივდა, – დაიჩვილა ნონამ.

– ***წუმსა, ხოშკაკალი, დიდრუანი თეთრი წუმს.

– მაღლა, ქვაბაჲშიც განვიმებულა და, ხეჲ დიდი ჩუმოვდაო, – მეორე ქალბატონმა.

ამ მცირე დიალოგში რამდენიმე სიახლე დავინახე:

*დავაქება – დასუფთავების მნიშვნელობით.

**წვენეთ<წევდეთ’ ნ:დ მონაცვლეობით.

***წუმს <წვიმს: ვი>უ უმლაუტს. აღვნიშნავთ, რომ ტაოურში დაჩნდება ხოლმე უმლაუტი-

ანი უ და ო ხმოვნები, უფრო მეტად, ვიდრე სხვა სამხრულ კილოებში.

მაღე ექსპედიციის მანქანაც მოვიდა და სასტუმროში წავიყვანა. მცირე დასვენების შემდეგ „მასისის“ ჰოლში შევიკრიბეთ. ჩვენი შარშანდელი მასპინძელი, სასტუმრო „აგარის“ მეპატრონე მუხო (მუხამედ) დევაძეა მოსული, მუსტაფა ჰამფიანთან ერთად, ქვაბიდან ბრუნდებიან, აქ შემოიარეს, უფრო ჩვენთან შესახვედრად. კარგა ხანს ვისაუბრეთ, ზოგიერთი რამ დავაზუსტეთ. სხვაგანაც მითქვამს, რომ მუხამედი კარგი მცოდნეა ხეობისა, აქაური ამბებიც იცის ძველი და ახალი, ადათებიცა და ტოპონიმებიც. დღეს ადგილის სახელები ჩაგვანერინა, ჩვენთვის საინტერესო:

– ოგდემში ადგილია **კაპრაშეთი**, გვხვდება მეტსახელი – **კაპრაშინი//კაპრაშები**, ბალახიცააო – **კაპრაში**, – გვეუბნება მუხამედი.

კაპრეშ//კაპრაშ სახელური ფუძე გამოიყოფა სოფლის სახელწოდებაში **კაპრეშუმი** (ორთაბათუმის თემი, აჭარის არ). ჩანს, ტაოში **კაპრაში//კაპრაშა** სახელმეტას დადებია საფუძვლად.

შემდეგ მუხომ იუსუფელს ზემოთ ტოპონიმები ჩაგვანერინა, რა თქმა უნდა, ძველი:

ვეჟანგეთი – პირველი სოფელი პარხლისწყლის ხეობაში იუსუფელს ზემოთ. **ვეჟანგეთი<ვეჟან–ეთ**ისაგან (**გ**’ ჩართული ჩანს) და **ვეჟან**’ის სახელულის საცხოვრის ალნიშნავს.

საფანეთი – საფანის ოჯახის საცხოვრისი.

ქისფორეთი,

ხემრუთი<ხემრუდი’საგან **დ**’ს დაყრუებით.

მახათეთი – **მახათა** ადამიანის საკუთარი სახელი/მეტსახელი ჩანს (შდრ.გვარი **მახათაძე**), **მახათეთი** კიდე **მახათას** საცხოვრისია.

კილაზეთი<კილაძეთი’საგან **ზ:ძ** მონაცვლეობით.

ჭილათი – გამოიყოფა –**ათ**’ სუფიქსი, რომელიც ფუნქციურად **ეთ**’ის ბადალია. **ჭილა**’ კიდე ადამიანის საკუთარი სახელია (შდრ. გვარ-სახელი – **ჭილაძე**).

ახალთი<ახალათი’საგან. **ახალა** ადამიანის საკუთარი სახელი/მეტსახელი ჩანს. შდრ. გვარ-სახელი **ახალაძე**, **ახალაია**.

ფიქალთავი,

ვანისხევი//ვანისჯე,

ვაკიათი,

აგარა,

კონახურა – კონახური მცენარეული ფუძეა, ა’ კიდე კინობითობის სუფიქსი.

ნაქერავი – წინავითარების სახელი **ნა–ევ** კონფიქსით ნაწარმოები.

ელიათვევი//ელიათვე – შესაძლებელია, ეს ფორმა იყოს ამოსავალი და არა აწინდელი ელიასხევი. შდრ. **ელიათი** – ელიას საცხოვრებელი. **ელია** საკუთარი სახელიც ჩანს, მისგანაა ნაწარმოები გვარი **ელიაძე<ელიასძე**.

საფლავექეთი//საფლაქეთი – საფლავი ქედი; ადგილი, სადაც ფლავენ.

სადგიყანა//სადღიყანა<სადგისყან’ისაგან. **სადგი**’ შესაძლებელია ადამიანის სახელი იყო.

სალიროლი – გვარია, ამასთან ადგილის სახელიცაა. საქართველოში, ტაოშიც, გვხვდება გვარი ადგილის სახელად, თუნდაც **კილაძე//კილაზე**.

აბდიოლი – ადგილის სახელია, **აბდის** ოჯახის საცხოვრისი. **სალიროლი** და **აბდიოლი** ახალი წარმოებისაა, ოსმალობისდროინდელი.

წინაგარა,

ჯარეთი – ფუძე უკავშირდება ადამიანის მეტსახელს **ჯარა//ხარა**, რომელიც მოგვიანებით საფუძვლად დაედო გვარ-სახელს **ხარაძე**, **ხარაიშვილი**.

სირია,

ყარადალი – ქართ. შავი მთის პირდაპირი თარგმანი ჩანს. „დავით და ტირიჭანის წამებაში“ ნახსენებია **წყვდიადის** მთები. ვფიქრობთ, იგი უნდა იყოს აწინდელი **ყარადალი**. ახალი სახელებისას სახელმდებელმა წყვდიადი გაიაზრა, როგორც შავი.

მუსტაფა ჰამფიანმა//ხანფიანმა კიდე რამდენიმე გეოგრაფიული სახელი დაამატა:

კარჩიყანა<*კარში ყანა||წინ ყანა – სახლის ეზოში, სახლის წინ მდებარე ყანა, მიწა.

ჯუმა ყანა – ჯუმა, პარასკევი სარწყავი დღე იყო და იმიტომ ასე დაარქვესო.

ადები შდრ. თ. ada – კუნძული.

ხეფეთები<*ხევეთები(?). სახელი ორმაგი წარმოებისაა: **ხეფეთები-ი//ხევეთები**, –ეთ და –ებ სინონიმური მნიშვნელობის სუფიქსებია. **ხეფ'** ფუძე ადამიანის საკუთარი სახელის//მეტ-სახელის ნაწილია.

ყანთრიანი – ყანთაროლის ქართული ვარიანტი.

სილიჯანი<*სილიჯიანი, ხელობის სახელი (სილიჯი) „გვარს“ დადებია საფუძვლად, ეს უკანასკნელი ტოპონიმად ქცეულა.

კარგა ხანს ვისაუბრეთ ბატონ მუხოსთან, ჩვენს საუბარში მევლუდ დოლენჯოლიც ჩართო, ერთი ლექსიც გვითხრა:

**ქობავრი ურუმია,
ხისიმ არ იცნობს,
ერთ ღამე დაგაყენებს,
ნიჩბის ტარს მეაპრის.**

ქობაელებს ეხუმრებიან, პარვა უყვართო, რაიმე სიკეთე თუ გაგიკეთა, სამაგიეროს მოგთხოვსო, სხვა თუ ვერაფერი დაგტყუა, ნიჩბის ტარს მოგპარავსო.

მევლუდმა რამდენიმე ტოპონიმიც მოაყოლა ლექსს:

ჩუჩუნაკარი – დოლენჯინკარის ალაგიაო. **ჩუჩუნა** კაცის სახელმეტყა იყო, იმის კარიაო.

საჭოკე,

მალ ყანები – შდრ. მალი – საქონელი, პირუტყვი.

გოროზოლი(?),

კუზიან კარი<კუზიანის კარი.

ხათუნი – მნიშვნელობა გასაგებია, მაგრამ ყანას რატომ უწოდეს ძნელი სათქმელია. ხშირად ძნელი გასაგებია ნათლის ჩანაფიქრი.

წვიმამ გადაიღო. ფიშნარხევში წავიდეთო მევლუდმა. მალე აჰმედ (ქვემოთ გამოვიყენებ ფორმას – ახმედი) მოლახოლის კარზე ვიყავით. ახმედ სალიანი (ბაქანი) და ახმედ ჭედლიანი (მოლახოლი) გავიცანით.

– რომელ სოფელში ვართ? – ვეკითხები დამხედურებს.

– **აჲ ფიშნარჯეა, ჩვენი სოფელი.**

– ეს რაა?

– **აჲ? – ჩეფერი, ლობე და!**

გვსურს, როგორმე საუბარში ავიყოლიოთ მასპინძლები. თავიდან ეზარებასავით დღის ჯაფით დამაშვრალებს, მევლუდს თავაზობს ახმედ სალიანი, შენ ილაპარაკეო.

– **მაგათ თქვენი ხვართობა უნდათ, მე ბოვრი ვეხვართო!** – ეუბნება მევლუდი.

– **ამათურაჲ ვერ მიხვართია, ჭო?! –** ამბობს ახმედი.

– როგორც შეძლებ ისე გვეხვართო, ჩვენ მივხვდებით, – ვამშვიდებთ ახმედს. მევლუდთან სალაპარაკოდ აქ ხომ არ ამოვიდოდით, ოტელში ვიხვართებდით. შენტან გვინდა ხვართობა!

– იქ, გაღმა ტყეს, რას ეტყვიო?

– **აზლენკარი ტყე!** – მპასუხობს ახმედი და განაგრძობს: **თქვენი რუსებ დიდი** (აქ: ჯარის მეთაური) **აქ ყოფილა, ასე გუდმუვლია, ბაღლიდამ გუდმუვლია: მალ უკლიან, აქიდან უულიან...**

– კი მაგრამ, ახმედ ბატონო, „რუსების დიდი“ ჩვენი რატომ არის? რუსი რუსია, ჩვენ ქართველები ვართ, გურჯები, როგორც თქვენ...

– **ასე გიმიგონია და ასე ვთქვიო,** – ახმედმა. **მე არ ვიცი თქვენი ხვართა და იმიტომ,** – თავს იმართლებს.

– **იცი, *ტყვილი არ უკეთო და რაცხა იცი, ელაპარიკე!** – „შეაგულიანა“ მევლუდმა ახმედი, იგრძნო რა მისი სურვილი, თავი ეხსნა აბეზარი სტუმრებისაგან და ჰკითხა:

– **აზლენკარ ხოჯას რა უკითხია** [კამანდარისათვის – ავტ.]?

– **ეარეთ, ჩეარეთ, შვიდი წვერი გედეარეთო. ართვინ ყალეს მისულან, იქიდან ჭოროხში გუდუყრიან რუსები.**

*მევლუდმა იხმარა სინტაგმა „ტყვილი არ უკეთო“ – „ტყვილი არ შეურიოს“ მნიშვნელობით. „კეთება“ „შერევის“ მნიშვნელობით ტაოურში გვხვდება მხოლოდ, თუმცა სხვა კონტექსტში სხვა კილოებშიც შეიძლება დადასტურდეს.

შემდეგ ის ამბავი გაიხსენა ახმედმა, ქეშიშმა თოვლის ჩამოსატანად ხალხი რომ გაგზავნა, რომლებიც მთაზე გავიდნენ, მაგრამ თოვლი ვერ

ჩამოიტანეს, ჯერ იყო და ხელები დაუზრო, მოუყინა გაგზავნილებს, შემდეგ კი გადნა გზაში. ამ თხრობაში სიახლე ის იყო, რომ ინფორმატორმა დააზუსტა ადგილი, სადაც ავიდნენ გაგზავნილები, – „ჩობან წყარო არი, იქ ყოფილა“.

ჩობან წყარო კიდევ მალაა მთაში.

– ზამთარ-ზაფხულ აქ დგახართ? – კითხულობს მალხაზი.

– **ზამთარჩი აქ ვიყავ ჩვენა. აქ ვიყავთ და! ქორიეთი ქომო მაჰალეა.**

– აქედან ქორიეთში ჩადიხართ?

– **ჩვენ ქორიეთ ჩევალთ. ვაჩეკარი, ხამფენკარი, აზლენკარი, კულვანები, ხონეთები, კალაჯიანები ბურსას წვენეს თელი, ჩვენ ქორიათ მივალთ.**

ფიშნარხეველები ვერ ელევინ მშობლიურ სოფელსა და კუთხეს: მართალია, გამოსაზამთრებლად დაბლა, ქორიათში, ჩადიან, მაგრამ უმეტეს დროს მალაა, ძველ სოფელში ატარებენ.

მკითხველი ხედავს, რომ თითქმის ყველა რესპონდენტს ვეკითხებით გეოგრაფიულ სახელებს, ვინერთ, ზოგჯერ მეორდება ტოპონიმები, მაგრამ მაინც ვინერთ; ხშირად განსხვავებულ ფორმებს ასახელებენ ინფორმატორები, რაც საყურადღებოა ერთის მხრივ ონომასტიკის, მეორეს მხრივ, ტაოური კილოს თავისებურებების შესასწავლად. ყურადღებას მივაქცევთ ზემომოყვანილ გეოგრაფიულ სახელებს:

ხამფენკარი, სხვაგან ჩავინერეთ – **ხამფიანკარი**, შდრ. მეტსახელი გვარი – **ხამფიანი**.

ხონეთები, დასტურდება – **ხონოთები**, ამოსავალი ჩანს პირველი (შდრ. **ხონ-ეთ-ებ-ი**), სადღაც უნდა იყოს მეტსახელი გვარი **ხონიანი** („ხვენნიანი, ვე>ო^ს“), თუმცა ჯერ არ შეგვხვდებოდა, გაბატონებულია **ხონეთები**, ორმაგი ნარმოების ტოპონიმი: **ხონ-ეთ-ებ^ი**.

პირველად გავიგონეთ ლაღაბი – **კალაჯიანები**. ხელობის სახელი უდევს საფუძვლად მეტ-

სახელ გვარს: თ. **kalayci**, მკალავი. ტაოში დადასტურდა **კალაჯიანი**, სხვაგან დასტურდება – **მკალავიშვილი**.

აზლენკარი, დავადასტურეთ – **აზლიანკარიც** (შდრ. აზლიანის ეზო), ამოსავალი სწორედ უკანასკნელი ფორმაა.

დაბოლოს, **კულვანები*** კულოვანებისაგან. **კულა** ადამიანის საკუთარ სახელადაც ჩანს ქართულში. იგივე ფუძე დიალექტებში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება:

1. ქვის ბოძი, რომელიც ამაგრებს სახლს⁴⁰; ქვის ოთხკუთხედი სვეტი⁴¹.

2. მოხეურში აღნიშნავს: მომცრო საღვინე ჭურჭელი⁴².

დასახელებულ მნიშვნელობათაგან რომელს უკავშირდება ტაოურ სახელში გამოვლენილი **კულა**, ძნელი სათქმელია, რამდენადაც ლექსიკური ერთეული **კულა** ტაოურში ჯერჯერობით არ დაგვიდასტურებია.

იუმორთან წილნაყარი არიან ჩვენი მასპინძლები, ორივე ახმედი, სალიანი და ჭედლიანი.

ვაჩეკარელები, ხამფენკარელები, კულვანები, ხონეთები, კალაჯიანები, აზლენკარელები **„ქალოცას მოვენეს, ამ ყანებ ძირ დათესვიდეს, გამოვდოდეს, ერთ კვირეს იფერხულბდეს, მოგლეჯვიდეს, კალოზე მოგტანდეს, იფერხულბდეს...“**

ფერხულობა უყვართ, საქმე – ნაკლებადო.

უნდა გენახათ, რა სიამოვნებით ხუმრობდნენ მეზობლებზე ორივე ახმედი.

მოვუსმინოთ ახმედ ჭედლიანს:

– **დეეჩუა და [ტყუილს – ავტ.]!**

ტყვილ გიგიკეთებს (აქ: მოგატყუებს), **წევა, არ მუა, იმა ჩვენ *ტალლაჯი ვეცყვით.**

***ტალლაჯი** – მატყუარას მნიშვნელობით პირველად ტაოურში გავიგონეთ.

შემდეგ ახმედ სალიანმა ერთი ლექსი გაიხსენა:

⁴⁰ ა. შანიძე, „ვაჟას ლექსიკონი“: ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. I-IV, თბ. 1922-1932.

⁴¹ ალ. ჭინჭარაული, „ხევსურულის თავისებურებანი“, თბ. 1960.

⁴² იხ. ს.ს. ორბელიანი, დასახ. ნაშრ. ნ. ჩუბინაშვილი, „ქართული ლექსიკონი“, თბ., 1961; დ. ჩუბინაშვილი, „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, თბ., 1984; ქეგლ.

**ქოხის უკან სათარი
ერთი გოგო რათ არი,
გალმით ერთი ქათამი
გამოლმით მოკაკანებს,
მამაგონდა აშილი,
გულში მაკანკალებს...**

თანდათან გაგვიშინაურდნენ ფიშნარხეველები, აღარ იძაბებიან კამერების წინ, არც ქართულის ცოდნის გამო გრძნობენ თავს უხერხულად, საუბრობენ თავისუფლად, ხუმრობენ, ეშმაკობენ.

შაირობა იყო წინათ, მაგრამ „ცეკვა მაგრა იყო“, ახმედმა.

– ეს დაჰა ლამაზათ უკრავს, ახლა ტიკში უბერავს და ველარ იჭირავს! – აჯავრებს ახმედ ქედლიანი სალიანი, „ერთი ხელა დუუკარ და!“ – თხოვს იგი მეზობელს.

– ეთი ვქენი (აქ: დავიფიცე, უარი ვთქვი), აღარ დუკრავ! – კატეგორიულად ამბობს ახმედ სალიანი.

წინწინ ძროხებ-მოსებ შევჰკრებდით, ქალები დაჰწველიდეს, დილამდე ვიფერხულებდით – იხსენებს ახმედ სალიანი.

ჩანს, ტაოელები ფერხულობდნენ დაილაში, ფერხულობდნენ ქორწილსა თუ თავყრილობებზე, ყველგან, სადაც ეფერხულებოდათ...

ზოგადად, ცეკვა, ფერხული უყვართ ტაოელებს, თუმცა ახლა ხშირად ველარ ახერხებენ.

– შეითანის ან ჯაზის შესახებ გაგიგონიათ? – საუბრის თემა შეცვალა რამაზმა.

– ამათი შეათანი ჭკვიანია, ჩვენი – ბერბათი, – ხუმრობს ახმედ ქედლიანი.

– ჯაზი არი, მე არ დიმიანახია, ისე გაგონილი მაქვს, ლენჭებ ჭამსა.

– დევი თუ იციო?

– ისე დიდ კაც დევე ვეტყვიო, – ამბობს ახმედ ქედლიანი.

– დიდი კაცი, გძელი კაცი, ჩვენ დევი ვეტყვიო, დევეკაცი, – აზუსტებს ახმედ სალიანი.

– ამ ტყეში დათვები არიან?

– წუხელ დათვი მოვდა კარჩი, ძაღლის უკან ეხლართენ, იჩხუბეს, გავაქციეთ.

– დათვს მსხალი უნდა ეჭამა ალბათ, ჭამდა და წავილოდა! – ვამბობ მე.

– სხალი ჯერ კოკრია, არ შეეჭმება! – ამბობს ახმედ სალიანი.

– მალი რომ შეხვდეს, შეჭამს? – კითხულობს რამაზი.

– მალი, ძროხები ქოხში ყავან შეყრილი, კარში ნახოს, შეშჭამს.

– ახმედ ბატონო, კაცს რომ შეეყაროს დათვი, შეჭამს?

– იმან კაცი დეშჭიროს, მაკედნს, შემჭამს.

დათვი ემტერება სოფელს, ანადგურებს მოსავალს, ჭამს პირუტყვს, არ ინდობს ადამიანს. მახსენდება, 1995 წლის ექსპედიციის დროს ცუცკარში ერთმა ქალბატონმა რომ მითხრა, ბებერი დაღეჭაო წუხელ დათვმა სოფელში...

დათვი მტრობს სოფელს, სოფელს კი მისი მოკვლის უფლება არ აქვს, სახელმწიფო კრძალავს.

– ტურა არის ამ ტყეში? – ვკითხულობ უფრო თემის გასაგრძელებლად.

– მელი არი, კურდღელი არი, ჩაკი//ჩაქი ბოვრია... ძინავხარ კი, ტურა მოვა, დეებლავლა, იმ სახჩი და ქალი მოკტება, და კაცი.

ანალოგიური ამბავი ჩემს სოფელშიც გამიგონია: იტყვიან, ეზოში ძაღლი თუ იტირებს, ვილაც მოკვდებაო, არ ვარგაო ძაღლის ტირილი. აქ ტაოში ტურაზე დაუცდიათ, ჩვენთან – ძაღლზე.

ამოვნურეთ რა ჯაზებზე და ცხოველებზე საუბარი, ხუმრობის ხასიათზე დადგნენ კვლავ მასპინძლები:

– გიჯები ყოფილან იქ, ბალხში, ვინც დაჭკვიანდა, აქ მოდენილან, – გამოაჯავრა ახმედ სალიანმა ბალხელები.

– ბალხი ისე არი, ჯუნუნ ეტყვიან, ჭკვა არ აქ და... – არ ჩამორჩა მეზობელს ახმედ ქედლიანი.

– აავ, ისენი (ბალხელები – ავტ.) ურუმ-ყურუმი არიან, იმამ ხისიმი-მისიმი თამ არ იციან, – ბალხელთა კიდევ ერთ თვისებას გაუსვა ხაზი ახმედ სალიანმა.

– რას ამბობ, კაცო, ბალხელებმა რომ გაგიგონ, რას იტყვიან? – ვეუბნები ახმედს.

– **ბალხის მუხტარი არია, ხეაშუია. ავ, უთხარი ჩემი სახელი, აჰმედა, სახელმეტაი – ჯანკუტარანი. მე ყური დიმიგდე, იმ ხობო მუხტარმა უთხრა კი, ჯანკუტარამა გითხრა, ხეაშუიაო, მეჰმეტ ყარაგიოზია მისი სახელი,** – მეტი სიმძაფრე შემოიტანა ახმედ სალიანმა.

– **ჭანები სიმინდ ბევრ ჭამენ, ჭკვა გამოღვლი აქვან,** – ახლა ლაზებს გადასწვდა ახმედ სალიანი...

ლამაზი სოფელია ფიშნარხევი, მთის ციცაბო ფერდობებზე შეფენილი. ოცი ქოხიაო ახლა ფიშნარხევი, უნინ სამოცი ყოფილა. მოიშალა ძველი სოფელი, ნაწილი ქორიათში ჩასახლდა, სხვა კიდევ მუჰაჯირად წავიდა ახალ დროში. ძველი იერი შეინახა ფიშნარხევა, ძველებური ტაოური სახლები, ყველა ეზოში კალო, ძველი ტაოური მეურნეობის ატრიბუტი.

წყაროები ბევრი ყოფილა ფიშნარხევიში:

სობან წყარო,

დაფიქლული წყარო,

მატლიან წყარო, – იქაა ზეით,

შაბან წყარო.

ოთხი წყარო დაგვისახელეს ამ პატარა სოფელში, თუმცა ზოგადად ტაო და ელიასხევიც წყლის ნაკლებობას უჩივის. ტაოს ბალ-ბოსტანი და ყანა-ჭალა ხომ მორწყვის გარეშე წარმოუდგენელია. ძველთაგან განვითარებულა სარწყავი სისტემა ამ კუთხეში, – სოფელს შემოუნახავს არხის მშენებლობასთან დაკავშირებული გადმოცემები.

აქ საყდარი არის სადმე? – კითხულობს მალხაზი.

– **საყდარი ქელაზორაა! ქარჩაზე გვედოდით, ცხვარი, ვერძი, კრავი დავჰკლავთ, ვჭამთა, მერე დუას ვიზამთ... საყდარ ქი ამბობენ, იმის ძირიდამე ქილისა ყოფილა, ჩანგრეულა, მიწა ჩამჯდარა. იქიდან მოსულან, იმათ უთქმიან, აქ ქილისა არისო.**

– საიდან მოსულებმა თქვეს, რომ აქ ქილისაა?

– **იქიდან და, ისტამბოლიდან!**

კარგა ხანს ვისაუბრეთ. სასტუმროში ჩამოვალთო, დაგვპირდნენ მასპინძლები, იქაც ვიხვარათოთო.

შევთანხმდით, ხვალ სალამოს „მასისის“ ჰოლში შევიკრიბებით სახვართოდ.

სალამოს სასტუმროში შევიკრიბეთ ვახშმის წინ: ნუგზარს კომპიუტერი გაუხსნია, წერს რალაცას.

ჯემალი ეთნოგრაფიული ნივთების ჩახატვას აგრძელებს.

ნონა, ნატა, ტარიელი და მალხაზი ოკ'ს თამაშობენ ვახშმის მოლოდინში...

მე და თინა ვსაუბრობთ.

დღეს ვახშმად ხავინს ამზადებენ, სხვა კერძებთან ერთად. რამაზსა და მალხაზს შარშან ფიშნარხევიში, ახმედ სალიანის ოჯახში, მიაართვეს თურმე ხავინი, მოენონათ. დღეს რამაზმა გადაწყვიტა, ჩაინეროს კერძის მომზადების მთელი პროცესი:

– **ხაან ვაკეთავ, ჰო! აჰ კამალი'ა, ახლა თენჯერში ჩავა'სხათ, ნელ-ნელა მურიოთ, მერე სიმინდის ფქული ჩავაყარო, ადუ'დღეს... ეს მარილი'ა, კამალი ახალი მოცემული'ა...**

ახლა სიმინდი ფქულ ვაყრი, არ გემურტლოს (აქ: დაკურკუტოს – ავტ.), ვურიონა. ქის, ქის,გაზს დუნე, ნელი (ცეცხლი – ავტ.) უნდა, ლექი (აქ: შეკრული – ავტ.) ხაანი შეიქნას.

ეს [ნაღები] ახალი'ა, ძველი ყოფილიყო ზეთი არ უნდო'და (ზეთს ასხამს ნურსერი, „ეშო ჩუტ-ჩუტო“, – ეუბნება მეველუდი – ავტ.).

სადგიყანაჲ არი და, იქ ამზადებენ, სოფელში კამალი ვერ გიპოვნია, [ქალს – ავტ.] სახლი ვერ დუფაქებია, აჰ რაფერ'და ქნას? – აპროტესტებს მეველუდი.

ერბოს მეახსლიტავს (აქ: მოიცვამს, მოიდებს – ავტ.) ხაანი...

– **ოო, გემრელი იქნა!** – აღფრთოვანებას ვერ მალავს მასპინძელი. **ამა მოხარშვა ქვია, ცუტა კიდო მეახარშოს... ხაანი ასეა, ჭენჭიანი (აქ: ნადებიანი), უჭენჭო – ლულუკია, – შენიშნავს მეველუდი.**

– **ეს ხაანი თამამია, ეს უკან დავდგა, ჰო. გაცივდება მერე, ცუტა ხან მერე გავშინჯოთ, – ამბობს ნურსერი.**

ვახშმად ხავინი მიირთვეს ექსპედიციის წევრებმა, მოინონეს. მე არ გამისინჯავს, ასე რომ ვერაფერს ვიტყვი.

2 აგვისტო, ხუთშაბათი. დილით სასტუმროს ეზოში შევიკრიბეთ. მიიანი ამინდია, თუმცა ჯერ გრილა. ჰიზირ სალიყაიას გამოველაპარაკე, ხვევეკელს. იუსუფელში მივდივარო, ჰიზირმა, მანქანას ველოდებო. საუბარში რამდენიმე „ეტიმოლოგიური ძიების“ შედეგი გამანდო. ჩანს, როგორც ბევრი სხვა, მოცალეობის ჟამს ისიც დაუფიქრებია ზოგიერთი გაოგრაფიული სახელის ისტორიას, კერძოდ:

ნალიკვანი (ყანაა ელიასხევში) < ***წყალუკვანი** < ***წყალუკანი** საგანო. დიახ, **წყალ** ფუძეს დაუკავშირა ჰიზირმა **ნალიკვანი**. მე **ნალიკვანი** < **ნალიკოვანი** ისაგან მიღებულად მივიჩნე კანონზომიერი ფონეტიკური გარდაქმნით. **ნალიკა** კიდევ სამკურნალო მცენარეა, იგივეა, რაც **მატიტელა**⁴³. **ნალიკვანი** ადგილია, სადაც **ნალიკა** იზრდება. მცენარის სახელში გამოიყოფა **ნალ** მარტივი ფუძე, რომელშიც, ჩანს, დაკარგულია **ყ** (წყალ): **ნალიკა** < **წყალიკა** საგან. იგი ხომ წყლის მცენარეა.

ჰიზირ სალიყაიას **პარხლის** ეტიმოლოგიაზეც უფიქრია და გარკვეულ დასკვნამდეც მისულა: **პარხალი** < **ბალხალი** < **ბალფხალი** საგან.

სხვაგვარად, **პარხალი** ადგილია, სადაც **ბალი** და **ფხალი** ხარობს.

ვერაფერს დავუწუნებთ, ჰიზირის მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება.

ბარემ ვიტყვი, რომ **პარხალ** სახელურ ფუძეზე მეც ვიფიქრე, ნაშრომიც დავწერე კარგა ხნის წინ, მასში **პარხ** ფუძე და **-ალ** სუფიქსი გამოვყავი. არც ახლა ვფიქრობ სხვაგვარად.

საყურადღებოა ხალხური ეტიმოლოგიები, ზოგჯერ გონებამახვილობის საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენენ.

სასტუმროს ეზოში დავტოვეთ ჰიზირ სალიყაია მანქანის მოლოდინში, ჩვენ კიდევ ბალხში წავედით, – გავიარეთ ქობა, გავედით მოკირ-

წყულ გზაზე და სამიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ სოფელს მივადექით. მანქანა ჯამესთან გავაჩერეთ. გაღმით მასისი ჩანს, პონტოს/კარკარის მთების უმაღლესი მწვერვალი. მოჩანს მთის ფერდობებზე გაშენებული მცირე სოფლები. სურათებს იღებენ ექსპედიციის წევრები, ვინ ფოტოაპარატით, ვინ – ტელეფონით...

რამაზს სამფეხზე შეუყენებია კამერა, მაღლა უჭირავს და ისე იღებს ფოტოებს.

მალხაზმა მასისის ფონზე გადაგვიღო ფოტო მთელს ექსპედიციას...

ლამაზი სანახავია ბალხს გაღმა სოფლები!

ორლობეს ავუყვებით. ბევრი ქოხი ჩამხლეულია ბალხში, ბევრიც – დანგრევისპირასაა, როგორც სხვა სოფლებში. იცლება ბალხიც, იცლება ტაოს ბოლო მექართულე ხეობა. რამდენიმე ოჯახილა აცოცხლებს ბალხს...

ორლობეში მივდივართ, დამლაპარაკეს ვეძებთ: ხმამაღლა ვსაუბრობთ, ეგებ ჩვენს ხმაზე გამოიხედოსო ვინმემ გარეთ. არავინ ჩანს, სულიერის ჭაჭანება არაა სოფელში.

ჩანს, სოფელი დღეს ჭალამია, თიბავს, ზამთრისათვის ემზადება. ჩვენი საუბარი აფხიზლებს ამ დილით სოფელს...

ბალხი ტიპური ტაოური სოფელია: სახლები ორლობეებითა და ბილიკებით უკავშირდება ერთმანეთს. დასახლებაში სახლები ერთადაა თავმოყრილი, ჭალები და ყანები სოფლის გარეთაა, მოშორებით. ერთი რამ იქცევს ყურადღებას: ბალხში ყველა სახლი ძველია, ტიპიური, აქაური არქიტექტურით, დაუმუშავებელი ქვითა და ტალახით ნაგები. პირველი (ბოსელი – ქორით) და მეორე (საცხოვრებელი) სართული ქვისაა, მესამე სართული, სადაც სათივე და ბელელია გამართული, ხისაა. ამბობენ, ტაოელები ცნობილი ქვითხუროები და ხითხუროები იყვნენო...

დასასრული შემდეგ ნომერში

⁴³ ალ. მაყაშვილი, დასახ. ნაშრ. შ. ნიჭარაძე, იქვე. შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

გური სადუქვაძე

უიქრები ნიგნა „სოფელი პარალილი და პარალილეები“

გაზაფხულის ლანქერივით მოვარდნილმა ნანატრმა თავისუფლებამ ჩვენში ხენჯი და წიდაც მოიყოლია. ზავით მოარღვია ზღუდეები, გადაჯეგა ჯებირები, ამოლექა სადინარები, კალაპოტი უცვალა და გადაასხვაფერა ჩვენი ყოფა, მაგრამ ვერ შეარყია ძირითადი, ფუძისეული – ერთგულება ჩვეულებისა, ვერ შეატოკა უკვდავებასთან წილნაყარი, მშობლიური სიყვარულით გაჯერებული სული. ალბათ, ამიტომაცაა სიყრმისეული სანახების ხილვისას თბილ ტალღასავით რომ მოგვანყდება ხოლმე წინაპართა ძახილის იდუმალი ექო და ჩვენში დამკვიდრებული სულიერი მატერიის მფეთქავი ძარღვი გვამცნობს, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა: „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც... ისტორია გულის ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე გვიჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისა და გაძლიერებისათვის“.

ილია ვახსენე. განა შეიძლება სამშობლოზე ფიქრს შეუყვე და ილია არ გყავდეს მეგზურად?! სიმართლისთვის იბრძვი და მხარში „ილია მართალი“ გიდგას; საქმეს წამოიწყო და „ყველა კარგი საქმე თავისთავად დიდიაო“ – გამხნევებს. შენც გელიმება და ეთანხმები მის დიდებულ აჩრდილს.

სწორედ ასეა ახლაც, როცა ხელში მიჭირავს ახლადდასტამებული წიგნი „სოფელი მარადიდი

და მარადიდელები“ – დიდებული სოფლის მამულიშვილთა დიდებული ჩანაფიქრი. წიგნს ვფურცლავ და რატომღაც საოცარი სურვილი მიპყრობს – მინდა ილიას, ზუგდიდში, ნიკო დადიანთან სტუმრობისას ნათქვამი ცნობილი სიტყვები გავახმოვანო პერიფრაზით: „მარადიდში ჩამოვედი და საქართველო დამხვდაო“.

მარადიდი, ჩვენი ისტორიული **მარადიდი!** 3500-წლოვანი ისტორიის მქონე უძველეს ტომთა სახელმწიფოების – დიაოხის, კოლხას, ხალიბიის, ჭანეთისა და სხვათა ფარდი თანამემკვიდრე **მარადიდი**.

თავისი მონამებრივი ყოფით სამშობლოს ხვედრის თანაზიარი **მარადიდი**.

გადამთიელთა თარეშის, ომების, მუჰაჯირობის, რეპრესიების მწარედ ნაწვწევი **მარადიდი**.


დღემდე გულში ისარგაჩრილი, ორად გაყოფილი **მარადიდი**.

არქეოლოგიურ საგანძურთა საბადო **მარადიდი**.

ხელმარჯვე ნაოსანთა **მარადიდი**.

ქართულ აკვანთა საოსტატო **მარადიდი**.

გულანთებულ მამულიშვილთა **მარადიდი**.



უანგაროდ სტუმართმოყვარე **მარადიდი**.

სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგია, როგორც მეცნიერ-მკვლევართა აზრით („მარანდიდი“, „მერედიდი“), ასევე ხალხური გადმოცემით (შვილთა დალოცვა-დიდებისათვის) სიტყვა „დიდს“, „დიდებულს“ უკავშირდება.

წიგნის გაცნობისას გრძნობ, რა საიმედო ხელშია მშობლიური სოფლის სიცოცხლით სავსე მაჯა, როგორ გულისყურით უსმენენ მის მგრძნობიარე, რიტმულ ძველას სოფლის მესვეურნი. მათ კარგად უწყიან, რომ გაღმა-გამოღმა გორაკებიდან გადმომცქერალი მიტოვებული სოფლების, ციხე-კოშკების, ტაძარ-სალოცავების, სამრეკლოების სევდიან მზერაში გაჩენილი კითხვის ნიშნები პასუხს ითხოვენ და ამიტომაც ასე რუდუნებით დაძებნეს, მოიპოვეს დაათავისთავეს ესოდენ მდიდარი ისტორიული, ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური, ფოლკლორული და ასევე სხვა, მრავალი ინფორმაციული მასალა.

ეს, საკმაოდ სქელტანიანი წიგნი აკადემიკოსმა **ოთარ დიდმანიძემ** მშობლიურ სოფელს აჩუქა – ამ სიტყვის ყოველნაირი გაგებით: შექმნა, გადმოცემა დააფინანსა და როგორც თავად აღნიშნავს, მისი მთავარი მიზანია მონოგრაფია მივიდეს მარადიდის მცხოვრებთა თითოეულ ოჯახში საჩუქრის სახით.

დიდებული საჩუქარია!

მონოგრაფია მოიცავს მშობლიური კუთხის ისტორიულ, სოციალურ, დემოგრაფიულ დინებას, ეტიმოლოგიურ, ტოპონიმიკურ, ონომასტიკურ მოცემულობებს, რითაც სოფლის ყოველი მკვიდრი გრძნობს:

ვინ არის იგი?

საიდან მოდის?

რა არის მისი საყრდენი?

ვინ ჰყავს მას იმედად?

წიგნში მკაფიოდაა ასახული სოფლის განათლების, მეცნიერების, კულტურის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, სოციალური ყოფის და სხვა საკითხები. აღწერილია მუჭაჯირად ნასულ თანასოფელთა თავგადასავლების საგულისხმო ისტორიები; სამამულო ომის მონაწილე-

თა, რეპრესიების მსხვერპლთა გვარ-სახელები, მოგონებები გარდაცვლილებზე, მოთხრობილია დღეს მოღვაწე ღირსეულ მარადიდელთა საქმიანობის შესახებ. მოცემულია მათი ბოგრაფიები, შთამომავლობის ასავალ-დასავლით – კოორდინატებით.

ბატონ ოთარს, ალბათ, გაუჭირდებოდა ამ დიდ საქმესთან შეჭიდება, რომ არა გვერდით მისი ერთგული მარადიდელი თანამოსაგრენი. ავტორი დიდ მადლობას უხდის: ბატონ **როლანდ დიდმანიძეს** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს, წიგნის რედაქტორს, ბატონ **სიმონ გოგიტიძეს** – მარადიდის მკვიდრს, პრაქტიკული მასალების შეკრება-შეგროვებისთვის. ბატონ **იბრაიმ დიდმანიძეს** – მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, წიგნის კომპიუტერული უზრუნველყოფისათვის.

წიგნის რეცენზენტებს, ბატონებს: **ონისე ლომაძეს** – მარადიდის საშუალო სკოლის პედაგოგს; **იაშა დიასამიძეს** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს; **ონისე სურმანიძეს** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

წიგნი საინტერესოდ იკითხება, მაგრამ დროდადრო თუ დააპაუზებ და სტრიქონთა შორის ქვედინებებს გაუყვები, მიხვდები, რომ ეს, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი წიგნი, სოფლის მათიანეა – მართებული გზით, საიმედო შიფრით და უტყუარი გენეტიკური კოდით.

– რა დიდებულია! – ვამბობ გულში და ვაგრძელებ ფიქრს სოფელზე.

სოფელი ქართველისათვის საკრალური მცნებაა. ჩვენ ხომ ყველაზე ძვირფასს, ღვთის მიერ ბოძებულს, სიცოცხლის გზას, „ნუთისოფელი“ ვუნოდეთ. სოფლის ფესვებზეა აღმოცენებული ჩვენი გასაგისი, ჩვენი ფუძე, კერა, ზნეჩვეულებები.

მშობლიური სითბოთი სავსეა ბატონ როლანდ დიდმანიძის წერილი „მარადიდი – ჩემი სიყვარული“: „აქ ყოველი კუთხე, ქვა, კუნჭული მახლობელია – წერს ის, – შემიძლია თვალდახუჭული გავიარო. როცა აქ, ამ მიწაზე ფეხს ვადგამ, ჩემთვის იგი ელექსირი ხდება – სიცოცხლეს, სიხალისეს მმატებს... მახსენდება ჩემი

ბავშვობა და ყმანვილკაცობა, ჩვენი დიდი ოჯახი, მშობლები; ჩემი სიცოცხლე აქედან იწყება, მამასადამე, ჩემი სამშობლოც“.

ღიას, ასეა! – დაემონმება, ალბათ, ყველა, ვინც იცის სოფლის ზნე და მისანდობლობა. **ქართული სულის ადგილის დედა სოფელია.** მას აბარია ჩვენი წინაპრების ადათ-წესები, ჩვეულებები, მამა-პაპათა საფლავები, რა დიდებული სანახაობაა ხსოვნის დღეებში ქალაქებიდან სოფლებისაკენ დაძრულ მანქანათა ქარავნები. რა დიადია წინაპრების სულთა ზეიმი, როგორ ბრწყინავს სოფელი, როცა ქვეყანას უღბინს.

სოფელს ხომ ზნეობის თავისი შეუმცდარი საზომი აქვს. სოფლის სასწორიც ხომ მისხალ-მისხალ წონის ცოდვა-მადლს.

სოფელს მიბარებულის ზნე ყოველთვის საიმედოდაა დაცული.

გიორგი სააკაძემ მისიონერების მეშვეობით ტყვეობიდან დახსნილი შვილის – პაატას წამებული ცხედარი მშობლიური სოფლის, ერთანმინდის მიწას მიაბარა, რითაც უკვდავჰყო თავისი სამკვიდრო.

მშობლიურ სოფელს – ნიგაზეულს დაუბრუნეს ვერაგი ბაბა-ფაშას მიერ ღალატით თავმოკვეთილი ჩვენი ეროვნული გმირის, სელიმ ხიმშიაშვილის ცხედარი, მისი რაზმის მამაცმა მედროშეებმა – უშარიძეებმა. რამდენი ერთი ჩამოვთვალეთ. ვინ იცის, რამდენი ადგილია ჯერ კიდევ დასადაფნავი, ჩვენი ისტორიის რამდენი ბნელი კუთხეა გასანათებელი, სადაც დღემდე მხოლოდ გმირთა სისხლის თესლზე ამოსულ ყაყაჩოთა ალი ბრიალებს და მათ მოლოდინი ჰქვია. მათთან მისასვლელ გზა-ბილიკებზე ბალახმა ფეხი ვერ უნდა მოიკიდოს. გზა ტაძრისკენ ამ ბილიკებზე გადის.

ბევრს დაუფრთხო ღამის ძილი მართებული გეზის ძიებამ. ყველა თავისებურად ეძებს ხსნის გზას.

თანამეინახეთა ცრემლის ღვარღვარი საქართველოს სადღეგრძელოს პასუხად ღამის რესტორნებში (როგორადაც არ უნდა გვჯეროდეს ამ ცრემლების უზადოება), ყანების ვახტანგუ-

რად ტრიალი ტუჩებში კოცნით და ზნესგადასული მუცელღაღობით დასტურ ბინდავს თვალსაწიერს.

„მე შენ მიყვარხარ, მკითხველო... სარკე მოგიტანე... მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია“ – ჩამესმის ილიას ხმა. ნათქვამს ვითავისებ და ვსვამ კითხვას:

– შენ რას ფიქრობ, ჩემო კეთილო? რა ხდება შენს მშობლიურ კუთხეში? თქვენთან ეგებ უკვე შექმნეს მონადინებმა გზამკვლევი – სოფლის ასავალ-დასავალით, ღირსშესანიშნაობებით, მისი ცოცხალი, ეტიმოლოგიური უჯრედებით – ტოპონიმიკური, ონომასტიკური წარმონაქმნებით; კონტურული რუკებით – შარაგზებით, გზა-ბილიკებით; სოფლის მკვიდრთა შთაგონებული სახეებით – მათი ნაამბობით წარსულსა და დღევანდელზე – კუთხის ღირსეულ შვილებზე; ხანდაზმულთა, – სოფლის ამ ცოცხალ ძეგლთა გულის წიაღიდან დაუნჯებული განძის მოპოვება – დაფიქრება-შემონახვით.

ათასწლეულეგამოვლილი გუმანის გემით შთაგონებულმა მარადიდებელმა შექმნეს დიდებული ნიგნი თავიანთ სოფელზე, სოფელზე, რომელსაც რუსეთისა (საბჭოთა კავშირის) და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობათა 1921 წლის ხელშეკრულების ძალამოსილებამ სახელმწიფო-სასაზღვრო ზოლი ზედ შუაგულზე გადაუტარა და გაჰყო ორად – ქვედა მარადიდად და ზედა მარადიდად (ზედა მარადიდს დღეს მურათლი ეწოდება. იგი ტერიტორიით და მოსახლეობის რაოდენობით აღემატება ქვედა მარადიდს და შედის თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში). ზედა მარადიდის ტერიტორიაზე მოსახლეობამ შეინარჩუნა ქართული სოფლის ცინცხალი უჯრედები – ტოპონიმიკური, ონომასტიკური წარმონაქმნები: „ჯავნარეთი“, „კიკიეთი“, „პაპნავეთი“, „დოლაბეთი“, „ნახიდური“ და სხვ.

მაგრამ, ენა?

ქართული წერა-კითხვა?

3000-წლოვანი ისტორიის მქონე ქართული სახელმწიფოს სათავეებთან მდგომ ტომთა ნაშეირ ქართველს, ქართული ენა დაავინყდეს?!

სიფხიზლის ზარი შემოჰკრეს მარადიდებელმა და ქვეყანას ამცნეს, რომ განრიდებული სოფელი ღვთის წყრომაა,

რომ „სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია“.

P.S. ამ სიბრძნის პასუხი ისევ ხალხური სიბრძნეა:

„სოფელი შურმა დაღია, ბაძილმა ააშენაო“.

ვირწმუნოთ, რომ გამოგვეხმაურებიან მონადინეები! ყოველი კუთხე, სოფელი უმოკლეს დროში დადებს ნიგნს, ისეთს, სწორედ ისეთს, ილიას რომ ეთქმის: – გადავფურცლე და საქართველო დამხვდაო!

საქმე საშურია.

დრო არ ითმენს.

კარს მოგვდგომიან „მოყვრად მოსული“ მოძალადეები, გადამთიელი „ნათლიები“ ჩვენს ეზო-მიდამოს, მზეჩამდგარ ზვრებს, ხეხილნარებს, გზა-ბილიკებს, ჩვენს ხოდაბუნებს, მთა-გორებს, ტევრებს, ველ-მინდვრებს, ტაძარ-სალოცავებს, ჩვენს ჩანჩქერებსა და ნაკადულებს, თავიანთი ყაიდის ნართაულ სახელებს შეარქმევენ!

მამულს გვედავებიან, ჩემო კარგო!

გულში ჩასაკრავი მშობლიური მიწაც აღარ დაგვრჩება!

შაგრენის ტყავივით ხელში შემოგვადნება სამშობლო!



ბანანა თავდბირიძე

„დიდი წარღვნის ლეგენდა აჭარის ფოლკლორში“

მკითხველმა ახლახან მკვლევარ გიორგი მახარაშვილის მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი წიგნი „დიდი წარღვნის ლეგენდა აჭარის ფოლკლორში“ მიიღო. ნაშრომში წარმოდგენილია აჭარის ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული დიდი წარღვნის ლეგენდის ვარიანტები, რომლებიც მეცნიერულად შესწავლილი დღემდე არ იყო. წიგნის ავტორი ღრმად და საფუძვლიანად აანალიზებს, როგორც ქრისტიანული, ასევე წარმართული რწმენის ამსახველ ლეგენდებს, რომელთაც აჭარის ხალხური ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი მუსლიმური რწმენის ვარიანტებიც ემატება.


დიდი წარღვნის თემატიკაზე შექმნილი ლეგენდების გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის რწმენა-წარმოდგენებისათვის ზეპირსიტყვიერებისათვის დამახასიათებელი პრობლემების გადასაწყვეტად. ზოგადად, ისტორიული მეხსიერების ერთ-ერთ ათვლის წერტილად ლეგენდის ხანა ითვლება, ამ პერიოდის მითური წარმოდგენების წიაღში მნიშვნელოვანი ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ჟანრები, მათ შორის, ლეგენდა და ამდენად, მის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ბუნებრივია, გამონაკლისს არც ქართული საგანძური წარმოადგენს.

გიორგი მახარაშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბე-

რძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში დაცული და მის მიერვე ფოლკლორულ ექსპედიციებში მოპოვებული მასალის საფუძველზე შეისწავლა სამეცნიერო საზოგადოებისათვის უცნობი აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული დიდი

წარღვნის ლეგენდის ვარიანტები. მათი სამეცნიერო საზოგადოებაში შემოტანით, საფუძვლიანად შესწავლილია, როგორც დიდი წარღვნის ზოგადქართული ლეგენდა, ასევე აჭარის მკვიდრთა ყოფითი კულტურისა და ტრადიციების აქტუალური საკითხები. ნაშრომში დასმული პრობლემები და მათი მეცნიერული გადაწყვეტის ცდა ხელს უწყობს ლეგენდის ჟანრობრივი სპეციფიკის უკეთ წარმოჩენას, ხოლო ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს ფოლკლორისტებს, ეთნოგრაფებს, ისტორიკოსებს და ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებულთ.

„დიდი წარღვნის ლეგენდა აჭარის ფოლკლორში“ განხილულია მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ფოლკლორულ შემოქმედებაში დამონმე-



ბული დიდი წარღვნის ლეგენდის მსგავსი ვარიანტები. მსგავსება ბაბილონური, აშურული, ძველებრაული დიდი წარღვნის ლეგენდებისა და ბიბლიისა ბუნებრივია შემთხვევითი არ არის. ყველა ხალხის მეხსიერებაში დევს საყოველთაო წყალდიდობის ფაქტები, მაგრამ სხვაობაა გახსენების ვარიანტებში. ასევე აქტუალურია პოლითეისტური სივრცის რწმენა-წარმოდგენები მსოფლიოს წარღვნაზე.

მკვლევარის შეფასებით, აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული დიდი წარღვნის ლეგენდის ყველა ვარიანტის ძირითადი სიუჟეტის წყარო არის „ბიბლია“. მაგრამ უკვალოდ არ ჩაუვლია თურქთა სამსაუკუნოვან ბატონობას. საკვლევ თემაზეც მოახდინა ზეგავლენა „ყურანმა“. ამ ვითარებას კანონზომიერს ხდის ის გარემოებაც, რომ ძველი აღთქმის ლეგენდები ფაქტობრივად იდენტურია „ბიბლიისა“ და „ყურანისათვის“.

გიორგი მახარაშვილს წიგნში წარმოჩენილი აქვს მსოფლიოს წარღვნის წინარე ხანის ამსახველი ეპიზოდები, ანალიზებს უფლის მიერ გამედიდებულთა შორის კეთილი, ზნეობრივი, ღვთის ცნებების ერთგული ადამიანის გამორჩევის პრინციპს, აღწერს უფლის რჩევა-დარიგებებს, თუ როგორ უნდა გადარჩენილიყო კაცობრიობის მომავალი. ავტორს შესაბამისად, განხილული აქვს სხვადასხვა ხალხისა და ცივილიზაციის წარმოდგენები უფლის რჩეულის მიმართ. განხილავს შუმერი ზიუსუდრას, ბაბილონელ კსისუტრას, შუამდინარელი უთანაფშვიშთის, ბერძენი დევკალიონისა და პირას, ინდოელი მანუსა და ებრაელი ნოეს დამსახურებას კაცობრიობის მონაპოვრის გადარჩენაში. ქართულ ხალხურ ლეგენდაში მომავლის გადამრჩენელს ნოე ჰქვია, რაც ბიბლიის გავლენით აიხსნება. ლეგენდის ფშაურ ვარიანტში მას კოპალა ენაცვლება, აჭარულ ვარიანტში ვხდებით ამ სახელის ფონეტიკურ სახესხვაობას: ნუხი, ნული, ზოგ შემთხვევაში კი მას ნოე (ნულ) (წინასწარმეტყველი) ფეილამბერად მოიხსენიებენ, რაც ბუნებრივია მუსლიმანთა წმინდა წიგნის – „ყურანის“ გავლენით უნდა აიხსნას.

დიდი წარღვნის ლეგენდის აჭარული ვარიანტების თანახმად, უფლის რჩეულია უცოდველი, მართალი ნოე (ნუხი), რომელსაც დაევალა კაცობრიობის მომავლის გადარჩენა. ამ უკანასკნელმა ეს დავალება უფლის შეწვევით პირნათლად შეასრულა. აქვე განხილულია ხალხის დასჯის მიზეზი – გამედიდებულება და ცოდვის მორევში ჩავარდნა. უფალმა წარღვნა მოუვლინა გაბუდაყებულ ბრბოს, რომელიც არ ასრულებდა უფლის მცნებებს და უზნეოდ ცხოვრობდა. დიდი წარღვნის აჭარის ლეგენდა იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ მის ერთ-ერთ ვარიანტში შემონახულია ცნობა ანგელოზებთან უფლის თათბირის შესახებ გაბუდაყებული ბრბოს დასჯის თაობაზე, რაც ბერძნული დიდი წარღვნის ლეგენდას ეხმაურება – ზევსის თათბირი ღმერთებთან. ეს კი ზოგადქართულ ფოლკლორში მხოლოდ ერთადერთი ვარიანტით არის ცნობილი.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული დიდი წარღვნის ლეგენდის ყველა ვარიანტის თანახმად, უფალმა თავის რჩეულს დაავალა გემის აგება და ყველა სახეობის დედალ-მამლის სულიერის აყვანა, რათა გადარჩენილიყო კაცობრიობა დაღუპვისაგან. ლეგენდის ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, ნუხ ფეილამბერი, იგივე ნოვე, თავად როფი აგებს კიდობანს, იგი პოულობს დამხმარეებს ზღვის კაცის – ყუნულისა და სამი ხელოსნის (უსტის) სახით. ერთი ვარიანტის მიხედვით, ნოეს ჩიტებიც ეხმარებიან და ძვლებს ეზიდებიან. ბუ არ დამორჩილდა უფლის ნებას და ამიტომაც დაწყევლილია – ღამით დაფრინავს და არც შთამომავალი გააჩნია.

დიდი წარღვნის ლეგენდის აჭარული ვარიანტების თანახმად, ნოემ გადალახა ყველა წინააღმდეგობა, დროულად ააგო გემი, აიყვანა ყველა სახეობა, აიტანა სათესლე მარცვალიც და დაიწყო წარღვნა.

ნოეს კიდობანი ხსნის ჭურჭელია, ყველაფრის შესაკრებელია. მასში უნდა შენახულიყო და გადარჩენილიყო ყველა და ყველაფერი. ჩნდება პრობლემები. წარღვნის დროს ჩნდება ნახვრეტი და ეს მსუნაგ თავს ბრალდება. გემს დაღუპვა ემუქრებოდა და ამ დროს გველი შემოვიდა. ნუხ

ფეილამბერს არ უნდოდა გველის არსებობა გემში, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო და დატოვა. სხვა ვარიანტების მიხედვით, გველმა ნახვრეტი თავისი ტანით შეავსო და გემი გადაარჩინა, რის სანაცვლოდაც ადამიანის სისხლი (ან ხორცი) მოითხოვა. ბუნებრივია, მას დანაპირები შემდეგ არ შეუსრულეს.

დიდი წარღვნის ლეგენდის აჭარული ყველა ვარიანტის მიხედვით, კიდობნის მშენებლებთან საკვები რძის სახით მოაქვს ერთ კეთილ დედაბერს, რომელსაც ნოემ კიდობანში შეყვანა შეპირდა, მაგრამ დაავინწყდა პირობის შესრულება. ლეგენდის არქეტიპში, კეთილი დედაბრის მიერ საკუთარი ძროხის რძით მშენებელთა დაპურებას საგანებო მისია უნდა ჰქონოდა და პატრიარქატის, დედისეული გვარის არქაული მოტივის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. დედაბრის სახის ევოლუციის მრავალსაუკუნოვანი გზის ერთ-ერთი მონაკვეთის ტიპური წარმომადგენელია აჭარული ლეგენდის მწყემსი დედაბერი, რომელსაც ერთადერთი ძროხა დარჩენია და მის ნაწველსაც გემის ოსტატებს უზიდავს, რათა გადარჩეს კაცობრიული თესლი და სიცოცხლე დედამიწაზე. უძველესი დროიდან რძეს საკრალური დანიშნულება ჰქონდა და გამწმენდ

რიტუალებში გამოიყენებოდა. რძით კიდობნის მშენებელთა დაპურებაც საკრალური დანიშნულებისაა: ძროხის რძით ხდებოდა გემის ოსტატების ცოდვებისაგან განწმენდა, რათა წარღვნის შემდგომი სოციუმი წმინდა და უბინო დაბადებულყო.

დიდი წარღვნის ლეგენდის აჭარული ვარიანტებით ნოეს კიდობანის შეჩერების ადგილი (ხინოს მთის მწვერვალი, არგენტის მთა) წმინდა ანუ კრივი ადგილია, რომლითაც დასტურდება უძველესი ანდრეზული სიბრძნე კრივი ადგილის აღმზრდელობითი ფუნქციის თაობაზე, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და გამოარჩევს აჭარის ზეპირსიტყვიერებაში დღემდე შემონახულ დიდი წარღვნის ლეგენდის ვარიანტებს.

გარდა ზემოაღნიშნული მაგალითებისა, დიდი წარღვნის ლეგენდის აჭარული ვარიანტები კიდევ მრავალ საინტერესო ეპიზოდს მოიცავს, რაც კიდევ უფრო ზრდის წიგნის მნიშვნელობას და მეცნიერულ ღირებულებას. ვიმედოვნებთ, მკვლევარი აღნიშნულ პრობლემატიკაზე სამეცნიერო კვლევა-ძიებას მომავალშიც განაგრძობს და სამეცნიერო საზოგადოებას მომავალში არაერთ სიახლეს გააცნობს.

ჭორბი 5 2019

მალხაზ ფალავას
პირადი წიგრული
ბიბლიოთეკა

2019 malkhaz.pagava@mail.ru